„ალჟირის“ პატიმართა პორტრეტები:
- სტალინიზმის ისტორიიდან

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი 2008

”ალჟირის” პატიმართა პორტრეტები:
 -  სტალინიზმის იტორიიდან

შემდგენელი: ნინო ლეჟავა
რედაქტორი: ნინო ბექიშვილი

Portraits of the prisoners of “ALZHIR”: History of Stalinism
Nino Lejava, Nino Bekishvili, Editors
Heinrich Böll Stiftung South Caucasus Regional Office, Tbilisi 2008.

HEINRICH BÖLL STIFTUNG
SOUTH CAUCASUS
© ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო, თბილისი 2008.

ISBN 978-9941-9009-4-5

# „ალჟირის“ პატიმართა პორტრეტები – სტალინიზმის ისტორიიდან

# სარჩევი

წინასიტყვაობა 7

*არსენი როგინსკი, ალექსანდრ დანიელი*
აკმოლინსკის ბანაკი სამშობლოს მოღალატეთა ცოლებისათვის 11

*ლევან გიგინეიშვილი*
„საქართველო — „ალჟირი“ — საქართველო: ერთი ეპიზოდი 1936-38 წლების სტალინური რეპრესიებიდან 26

ლადო ბარათაშვილი 77
Велиора Багатурова 85
მარინა ბერელაშვილი 107
კუკური დევდარიანი 135
გურანდა გიორგობიანი 147
სპარტაკ თაქთაქიშვილი 154
გენრიხ კარსანიძე 165
რევაზ და მიხეილ კეკელიები 179
Елизавета (Вета) Кислухина 193
რევაზ კვერენჩხილაძე 203
Нина Панцхава 220
თინათინ ყანდარელი 234
ინგა შენგერი 245
Элеонора (Нора) Цомадос 261
Ивери Цулукидзе 273
ლევან ხობუა 285
სიუზანა ჭავჭანიძე 300
ნანა ჯიქია 311
დამატება 320

# წინასიტყვაობა

ამ წიგნს გრძელი ისტორია აქვს. წარმოდგენილი მასალა თავადაც ისტორიულია და მის წიგნად გამოცემას კარგა ხანი დასჭირდა. 2002 წლიდან საერთაშორისო საზოგადოება „მემორიალმა“ და ჰაინრიჰ ბიოლის ფონდმა ერთობლივი კვლევითი პროექტი წამოიწყეს – „ქალთა ბედი სტალინის დროს“. ამ დიდი და მნიშვნელოვანი სამუშაოს პირველი ნაბიჯი იყო სამახსოვრო წიგნის „ალჟირის ტყვეების“[1] გამოცემა 2003 წელს. წიგნში შევიდა ბიოგრაფიული ცნობები 7257 ქალის შესახებ, რომლებიც 1937-1946 წლებში „ალჟირის“ (АЛЖИР – Акмолинский Лагерь Жен Изменников Родины) ბანაკში იხდიდნენ სასჯელს. ბანაკი სსრკ შინსახკომის 1937 წლის 3 დეკემბრის ბრძანებით ყაზახეთში, ყარაგანდის მახლობლად, აკმოლინსკში სპეციალურად სამშობლოს მოღალატეთა ცოლებისათვის შეიქმნა. რუსი კოლეგების მიერ გამოცემული წიგნის შესწავლისას საქართველოს სსრ-დან გადასახლებული ქალების რაოდენობა თვალსაჩინო გახდა. ასე გაჩნდა იდეა – გაგვეკეთებინა ცალკე გამოკვლევა საქართველოდან „ალჟირის“ ბანაკში მოხვედრილთა ბედისწერაზე; ჩაწერილიყო ალჟირის პატიმართა შვილების მონათხრობი, თვალყური მიგვედევნებინა, თუ როგორ აისახა გულაგში მოხვედრილი დედების ბედი შვილების ცხოვრებაზე.

გეოგრაფები იტყვიან, რომ ალჟირი აგრარული ქვეყანაა კარგად განვითარებული სამთო მოპოვების მრეწველობითა და ტურიზმით. მართლებიც იქნებიან. მაგრამ იყო კიდევ ერთი „ალჟირი“, რომელიც ჩრდილოეთ აფრიკაში კი არა, ჩრდილოეთ ყაზახეთში მდებარეობს. ამ ალჟირისგან ახლა ბევრი აღარაფერია დარჩენილი: ხეივანი, რომლის გაყოლებით ტუსაღი ქალები ბადრაგის თანხლებით სამუშაოდ დადიოდნენ, მემორიალი სოფელ მალინოვკაში, ხსოვნის კედელი – 7620 ქალის სახელით; და კიდევ – უამრავი საბრალდებო დასკვნა სტანდარტული ფორმულით: *„ცხოვრობდა ქმართან ერთად (...) წელი; მისთვის ცნობილი იყო მის მიერ წარმოებული კონტრრევოლუციური საქმიანობის შესახებ, მაგრამ საგამოძიებო ორგანოებს არ შეატყობინა“...*

### მეოცე საუკუნის ბნელი სივრცე

როცა სტალინური ტერორის ეპოქის პირველმა ქრონისტებმა – ვარლამ შალამოვმა, ალექსანდრე სოლჟენიცინმა, ევგენია გინზბურგმა ან ლევ კოპელევმა – გასული საუკუნის 60-იან და 70-იან წლებში საკუთარ მოგონებებს და სხვა გადარჩენილი თვითმხილველების ნაამბობს მოუყარეს თავი, მათ მხოლოდ სახელმწიფო გასაიდუმლოებასთან და ცენზურასთან არ უწევდათ ბრძოლა, ისინი თავდაცვითი ამნეზიის შემთხვევებსაც აწყდებოდნენ; ამნეზია რეპრესიების უამრავი მსხვერპლისა და თვითმხილველისთვის მათივე ტრავმატული გამოცდილებისაგან დამცავ საბურველად იქცა. ზოგიერთი მოკლე პერიოდის გამონაკლისის გარდა, როცა მილიონობით დაღუპულის შესახებ საზოგადოებაში მეხსიერების ანასხლეტი კრთებოდა – 1956 წლისა და განსაკუთრებით 1989

1. *Узницы «АЛЖИРа»: Список Женщин – заключенных Акмолинского и других отделении Карлага*. Москва: «Звеня», 2003.

წლის შემდეგ — საზარელ ეპოქას ნაწილობრივ ოფიციალური და ნაწილობრივ ნებაყოფლობით არჩეული მივიწყების სუდარა ეფარებოდა. ეს დღემდე გრძელდება.

სიყრუე და სიბრმავე საკუთარი წარსულის მიმართ, რომელსაც, სავარაუდოდ, საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობაც იზიარებს, ის ძირითადი პრობლემაა, რომელიც საკუთარი ისტორიის შემეცნებას უშლის ხელს. მიუხედავად იმისა, რომ 90-იანი წლებიდან არქივები ნაწილობრივ მაინც გაიხსნა, მიუხედავად იმისა, რომ ჩამოგლეჯილი რკინის ფარდის აქეთ, და უფრო კი იქით ინტენსიური კვლევა-ძიებაც მიმდინარეობს, სტალინური ტერორის ფენომენი მისი მოტივაციით, აღსრულების მეთოდებით, სოციალური და ფსიქოლოგიური შედეგებით კვლავ შეუცნობ სივრცედ რჩება.

წინამდებარე წიგნმაც ამ სიბნელის გარღვევას უნდა შეუწყოს ხელი. თუ ის, რაც ამ კრებულში შეგროვდა, მკითხველს დღემდე უცნობისა და გაუგებარის გაგებაში დაეხმარება, და თანაც საინტერესოდ წაიკითხება, მაშინ მას თავისი ფუნქცია შესრულებული ექნება. ამ გამოცემის მიზანი არ არის ვინმესთვის რაიმეს მითითება, არამედ სუბიექტურად განცდილი ფაქტების მოძიება და შეგროვება, გამოქვეყნება და გააზრებაა. თუ რა მოუვა ამ მოუხერხებელ სიმართლეს კომუნისტური ტერორის შესახებ — ეს უკვე ისტორიული გზის არჩევანის საკითხია: საზოგადოებამ შეიძლება აღიქვას ეს სიმართლე ანდა — უარყოს.

### როცა მშობელი ხალხის მტერია

წიგნში საბჭოთა საზოგადოების პორტრეტი ირეკლება: თაობა, რომელიც თავის და მშობლების ბედისწერაზე ჩურჩულით საუბრობდა, ჩრდილიდან გამოდის. ჩურჩულს შეიძლება განსხვავებული საფუძველი ჰქონდეს: საკუთარი თავისა და ახლობლების დაცვა, ანდა პირიქით — სხვისთვის ზიანის მიყენება. ბავშვები, რომლებიც საბჭოთა სისტემაში დაიბადნენ, გაიზარდნენ, ისწავლეს, იმსახურეს, შვილები გაზარდეს — ეს თაობა ათწლეულების განმავლობაში თანამედროვე ოჯახის კულტურას აყალიბებდა.

საბჭოთა ტოტალიტარული სახელმწიფო თავის ქვეშევრდომებს აიძულებდა, შვილებისათვის საკუთარი გამოცდილება, რწმენა და მსოფლმხედველობაც კი დაემალა. სწორედ ეს უნდა იყოს სტალინის სისტემის ყველაზე ხანგრძლივი და მდგრადი შედეგი: ადამიანებს გადაავიწყდათ და არ საუბრობენ უახლოეს წარსულზე. სამაგიეროდ, 70 წლის მანძილზე მათ კარგად დაიმახსოვრეს, თუ როგორ შეიძლება გადაურჩე საბჭოთა სისტემას: იცხოვრო ყოველდღიურობის პარალელურად, ისე, რომ იმის რეფლექსია არ დაგჭირდეს, თუ რა აკეთე.

შიში შლის სოციალურ კავშირებს. ის, ვისაც შიში სტანჯავს და ყოველი დღისაგან საფრთხეს მოელის, ადამიანებისადმი ნდობას კარგავს. ნდობის გარეშე კი საზოგადოება არ არსებობს. სოციალური კავშირების გარეშე ადამიანები ვერ შეძლებენ, გადალახონ ის შიში, რომელიც ამოძრავებთ. ამის მაგივრად, ისინი ცდილობენ, თვალში არავის შეეჩხირონ; მასას შეერწყან და ჩურჩულით ილაპარაკონ. სტალინური საზოგადოება მოჩურჩულეთა საზოგადოება[2] იყო, სადაც ძირითადად მხოლოდ ის ახერხებდა გადარჩენას, ვინც

2. *Orlando Figes, The Whisperers: Private Life in Stalin's Russia, Allen Lane 2007.*

საკუთარი პიროვნების მიჩქმალვას შეძლებდა. სსრკ-ში ადამიანის უფლებათა დარღვევებმა, რამაც აპოგეას 1937-38 წლებში, მასობრივი პოლიტიკური რეპრესიების პერიოდში მიაღწია, იმდენად ყოველდღიური და საყოველთაო ხასიათი მიიღო, რომ ის აღარც აღიქმებოდა რაღაც განსაკუთრებულად და საგანგებოდ.

ქალებს, რომლებსაც საბჭოთა ეპოქაში კაცებთან თანაბარი უფლებები მიენიჭათ, „პატივი ერგოთ" გაეზიარებინათ მათი ხვედრიც – ყოფილიყვნენ რეპრესირებულნი და საზოგადოებისგან იზოლირებულნი. მათ ბრალდების იგივე მუხლები მიესადაგებოდათ, რაც მამაკაცებს. მაგრამ იყო სისხლის სამართლის კოდექსის ერთი მუხლი, რომლის მიხედვითაც, თითქმის უგამონაკლისოდ, ქალები ისჯებოდნენ. „სმოწ"[3]-ებს – სამშობლოს მოღალატეთა ოჯახის წევრებს. თუმცა თვითონ არავითარი დანაშაული არ ჰქონდათ ჩადენილი, ქალებს სასჯელი მხოლოდ იმიტომ უნდა მოეხადათ, რომ იყვნენ იმათი დედები, ცოლები, დები და ქალიშვილები, ვინც ბრალდებული იყო სამშობლოს ღალატში. ამ ქალებისათვის შეიქმნა სპეციალური ბანაკები და ამის ანალოგი მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ მოიპოვება.

საბჭოთა რეპრესიული პოლიტიკის განსაკუთრებულობა მდგომარეობდა იმაში, რომ ის მიმართული იყო არა იმდენად გამოკვეთილი პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ (ასეთები უმცირეს ნაწილს შეადგენდნენ მილიონობით მსხვერპლთა შორის), არამედ უფრო გამოგონილი მტრების წინააღმდეგ. რეპრესიას განიცდიდნენ არა მხოლოდ რაიმე სიტყვებისათვის ან ქმედებისათვის, არამედ ამა თუ იმ ჯგუფისადმი კუთვნილებისათვის, რომელსაც ხელისუფლება მოცემულ მომენტში მტრულად აცხადებდა. მსხვერპლად შეიძლება ქცეულიყო ნებისმიერი, მიუხედავად წარმომავლობისა და სოციალური კუთვნილებისა, ასაკისა და სქესისა.

სსრკ-ს მოქალაქეების ერთ-ერთი ასეთი ჯგუფის ისტორიის ზეპირი ისტორიის მეთოდით შესწავლას ემსახურება ეს კრებული. თავად ზეპირი ისტორიის ცნება საკმაოდ სადავოა, რადგან იგულისხმება, რომ ისტორია მხოლოდ ზეპირი მასალების საფუძველზე იწერება და ყველა სხვა წყაროს გამორიცხავს. შესაბამისად, უკეთესი იქნებოდა „ზეპირ წყაროებზე" საუბარი. ამ ტერმინით იგულისხმება ისტორიული კვლევის ისეთი ტიპი, რომელშიც ზეპირ წყაროებს ენიჭება მნიშვნელოვანი, თუმცა არა განსაკუთრებული როლი. ზეპირი ისტორია ვრცელის მცირეში ასახვის საშუალებას იძლევა. მკითხველმა უნდა გაითვალისწინოს მისი სპეციფიკაც: მრავალი სუბიექტური ფილტრი, რომელსაც ამბავი გადის მთხრობელის, ინტერვიუერის, რედაქტორის, კორექტორის გავლით... მიუხედავად ამისა, სწორედ ასეთ მასალას, რომელშიც ასახულია დამახინჯებული ბიოგრაფიები და მივიწყების ფერფლმიყრილი ტრავმული გამოცდილება, საჯარო ცნობიერებაში შემოაქვს ის ძალადობა, რომელსაც ათწლეულების განმავლობაში განიცდიდნენ საბჭოთა მოქალაქეები.

* * *

წიგნი ერთის შეხედვით ეკლექტური გამოვიდა: მის ძირითად ბირთვს შეადგენს ალჟირის ტყვე ქალთა შვილების ნაამბობი.

3. ЧСИР - Член семьи изменника родины.

ეს სრულიად განსაკუთრებული ისტორიებია, სადაც ერთიანდება ორი მეხსიერება – თვით პატიმართა მეხსიერება, ნაწილობრივად შემონახული მათი მონაყოლის, წერილებისა და დოკუმენტების სახით და ის, რაც ახსოვთ მათ ქალიშვილებსა და ვაჟიშვილებს.

ნაამბობს ავსებს ზოგიერთი რესპონდენტის მიერ შევსებული საინფორმაციო ანკეტა მშობლებისა და მათი ბედის შესახებ. აგრეთვე ილუსტრაციები საოჯახო არქივებიდან, რომელთა ვიზუალური ხარისხი მათი სიძველის გამო ხშირად ნაკლებად დამაკმაყოფილებელია; თუმცა, ჩავთვალეთ, რომ მიუხედავად ამ ხინჯისა, საოჯახო მეხსიერების ზეპირი ისტორიების დასურათებისათვის მნიშვნელოვანია წლების წინ გადაღებული ფოტოებისა და გაცემული საბუთების წარმოდგენა.

ინტერვიუებს დავურთეთ პირთა ისტორიული საძიებელი და განმარტებების აპარატი, რომელიც შეადგინეს ლევან გიგინეიშვილმა, ლადო ვარდოსანიძემ და ამ სტრიქონების ავტორმა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ისტორიულ-ტოპოგრაფიული რუკა, რომელიც კომენტარების კითხვისას წარმოგვიდგება და რომელიც თავის მხრივ, დედაქალაქის განვითარების ისტორიაცაა. თუ მას კარგად ჩავუკვირდებით, აღმოვაჩენთ ტერორის ტოპოგრაფიასაც, საბჭოთა ურბანისტული განაშენიანების სურათსაც, და დროში და სივრცეში გაჭიმულ სევდიან მიგრაციულ პროცესსაც.

ჩაწერილ ზეპირ ისტორიებს განზოგადებისთვის და სტალინური ცივილიზაციის უკეთ წარმოსადგენად წინ წავუმძღვარეთ ორი გამოკვლევა: *„აკმოლინსკის ბანაკი სამშობლოს მოღალატეთა ცოლებისათვის („ალჟირი“): ისტორიული ცნობა“* (არსენი როგინსკი, ალექსანდრ დანიელი) და *“საქართველო – „ალჟირი“ – „საქართველო: ერთი ეპიზოდი 1936-38 წლების სტალინური რეპრესიებიდან“* (ლევან გიგინეიშვილი).

დიდი მადლობა ფსიქოლოგ მარიამ სეხნიაშვილსა და ისტორიკოს მაკა ლევიცკის, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის 2004 წლის სტიპენდიანტებს, რომლებმაც 2005 წელს ითავეს აკმოლინსკის ბანაკის ტყვე ქალების შვილების მოძიება, მათთან კონტაქტის დამყარება და ინტერვიუების ჩაწერა. მათი შრომის შედეგია აქ გამოქვეყნებული 18 ინტერვიუ. ასევე ვემადლიერებით საერთაშორისო ისტორიულ-საგანმანათლებლო, საქველმოქმედო და სამართალდამცველი საზოგადოება „მემორიალის“ (მოსკოვი) თანამშრომლებს ალიონა კოზლოვასა და ირინა ოსტროვსკაიას და „საქართველოში საბჭოური პერიოდის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნისა და თანადგომის საზოგადოება „მემორიალს“ (თბილისი) ინფორმაციის მოძიებაში გაწეული დახმარებისათვის.

გვსურს გულითადი მადლობა ვუთხრათ „ალჟირის“ ყოფილ პატიმართა ყველა შვილს, რომელიც დათანხმდა, ეამბნა ჩვენთვის თავისი ცხოვრების უმძიმეს პერიოდზე. მათ მოუხდათ მშობლების დაპატიმრების, მათთან განშორების, დაუცველობის საშინელი წლების გადატანა. ეს არ იყო იოლი მოგონებები. მით უფრო დიდია ჩვენი მადლიერება და პატივისცემა მათდამი.

ნინო ლეჟავა

*თბილისი, 21 დეკემბერი 2008*

*ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი*

# აკმოლინსკის ბანაკი სამშობლოს მოღალატეთა ცოლებისათვის

არსენი როგინსკი
ალექსანდრ დანიელი

თემა, — „ქალი ბანაკში“ — ყოველთვის ტრაგიკულია, ტრაგიკულია თავისი არსით. შემთხვევითი არაა, რომ საბანაკო მემუარისტიკის ყველაზე მკაფიო და ყველაზე საშინელი ფურცლები ქალის კალმითაა დაწერილი: ევგენია გინზბურგის „რთული მარშრუტი“, ეკატერინა ოლიცკაიას „ჩემი მოგონებები“, ნადეჟდა სუროვცევას, ოლგა ადამოვა-სლიოზბერგის, ხავა ვოლოვიჩის, ადა ვოიტოლოვსკაიას და სხვათა ათობით მემუარი. კოლიმის, ვორკუტის, ნორილსკისა და ტაიშეტის ქალების მიერ და მათზე დაწერილი გულაგის ყველაზე ღირებული და ყველაზე შთამბეჭდავი დამოწმებაა.

და მაინც, თვით „ქალთა თემაში“ ყარაგანდის ბანაკის ისტორიას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. სწორედ აქ, 1938 წელს, 26-ე შრომითი დასახლების ბაზაზე აკმოლინსკის ქალთა სპეცგანყოფილება გაიხსნა, „გულაგის არქიპელაგის“ სამი კუნძულიდან ერთ-ერთი, სადაც ხელისუფლებას ისინი ჩაჰყავდა, ვინც თავისი პატიმრობის ვადა მიიღო, როგორც „სმოჩ-მა“ — „სამშობლოს მოღალატის ოჯახის წევრმა“. დანარჩენი ორი ბანაკი, სადაც 1937-38 წლებში „მოღალატეთა ცოლებს“ გზავნიდნენ, მორდვეთში და ტომსკში იყო განლაგებული.

აკმოლინსკელი პატიმარი ქალები თავიანთ კუნძულს ერთმანეთთან საუბრისას ნახევრადხუმრობით მოიხსენიებდნენ ეგზოტიკური სიტყვით „ალჟირ“ — აკმოლინსკის სამშობლოს მოღალატეთა ცოლების ბანაკი.

* * *

პრევენციული დაპატიმრებები, პროსკრიპციები, მძევლობა და „კრუგოვაია პორუკა“, კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპი, რეპრესიები ამა თუ იმ ჯგუფისთვის მიკუთვნებულობის ნიშნით — ბოლშევიკთა ყველა ეს იურიდიული ნოვატორობა (უფრო ზუსტად, კარგად გახსენებული ძველი გამოცდილება, კაცობრიობის ისტორიის ბარბაროსულ ეპოქათა მემკვიდრეობა) საბჭოთა ხელისუფლების პირველივე თვეებიდან საფუძვლად დაედო პოლიტიკურ რეპრესიებს.

1918-1920 წლებში „კონტრრევოლუციონერთა“ მშობლებს, ცოლებს, შვილებს აპატიმრებდნენ, იძულებით

სამუშაოზე გზავნიდნენ, საკონცენტრაციო ბანაკებში ამწყვდევდნენ, ხვრეტდნენ. მაშინაც და, სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგაც, აპატიმრებდნენ და ასევე ხვრეტდნენ, ბანაკებში გზავნიდნენ გლეხთა აჯანყებების მონაწილეთა ნათესავებს. „კონტრრევოლუციურ ელემენტთა" ოჯახის წევრები, ეპიზოდურად, მთელი 1920-იანი წლების განმავლობაში იდევნებოდნენ.

ოჯახების წინააღმდეგ რეპრესიებს თითქმის ცენტრალური ადგილი უჭირავს კოლექტივიზაციის ისტორიაშიც. როგორც ცნობილია, „კულაკები" სამ კატეგორიად იყვნენ დაყოფილი. ისინი, ვინც ხელისუფლებამ პირველ კატეგორიას, ანუ „კონტრრევოლუციურ აქტივს" მიაკუთვნა – დააპატიმრეს და შემდეგ დახვრიტეს, ან ბანაკებში გაგზავნეს. მათი ოჯახები კი „კავშირის ჩრდილოეთ რაიონებში" უნდა გაეგზავნათ. ეს საბჭოთა ისტორიაში, რეპრესირებულთა ოჯახის წევრების წინააღმდეგ მიმართული ყველაზე მასობრივი ოპერაცია იყო. მას დაპატიმრებულ გლეხთა ასიათასობით ნათესავი ემსხვერპლა.[4]

1934 წელს საბჭოთა კანონმდებლობაში ჩნდება ტერმინი „[სამშობლოს] მოღალატის ოჯახის წევრი". **სსრკ ცაკ**-ის 8 ივნისის დადგენილებით ისჯებოდნენ საზღვარგარეთ გაქცეულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახები. იმის მიხედვით (გამომძიებელთა აზრით), იცოდნენ თუ არა გაქცეულთა გეგმების შესახებ, ოჯახის წევრებს სჯიდნენ ბანაკით 5-დან 10 წლამდე ან ციმბირში გადასახლებით 5 წლით[5].

„ყოფილთა" (თავადაზნაურობის, სასულიერო და მსხვილი ბურჟუაზიის წრიდან გამოსულთა) ოჯახების გასახლება ლენინგრადიდან 1935 წელს, „ანტისაბჭოთა ელემენტების" ოჯახთა დეპორტაციები დასავლეთ უკრაინიდან, დასავლეთ ბელორუსიიდან, ბალტიისპირეთიდან 1939-1941 წლებში, მოღალატეთა (ნამდვილ და არცთუ ისე) ოჯახების დაპატიმრებები და გადასახლებები ომის წლებში და ომის შემდგომ, ბალტიისპირეთისა და დასავლეთ უკრაინის ნაციონალური წინააღმდეგობის მონაწილეთა ოჯახების ომისშემდგომი გადასახლებები – ეს ჩამონათვალი შეიძლება კიდეც შეივსოს და კიდეც გაგრძელდეს.

1937 წლის ივლისის პირველ რიცხვებში მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები, რომლებმაც ტერორის მრავალი ათასი მომავალი მსხვერპლის ბედი განსაზღვრა. მათგან მთავარია – პოლიტბიუროს 2 ივლისის დადგენილება „ანტისაბჭოთა ელემენტების შესახებ", რომელმაც სტარტის ნიშანი მისცა „დიდი ტერორის" ეპოქის ყველაზე მასშტაბურ ოპერაციას. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე ივლისის ბოლოსთვის მომზადდება შინსახკომის /НКВД/ სახელგანთქმული ოპერ-

4. რაც შეეხება მეორე და მესამე კატეგორიის გაკულაკებულთ, აქ რეპრესია იმთავითვე მიმართული იყო მთელი გლეხური მეურნეობის წინააღმდეგ. გაკულაკებულ მამას და მეუღლეს შემდეგ კი არ მიაყოლებდნენ ხოლმე ცოლშვილს, არამედ მთელ ოჯახს ასახლებდნენ.

5. ზოგიერთ სმოწს 1937-38 წლებში დაპატიმრების მიზეზად დაკითხვაზე განუმარტავდნენ, რომ მათზე ახლა ვრცელდებოდა კანონი არდაბრუნებულთა ოჯახების შესახებ. იხ. Мамаева Е.А, Жизнь прожить...1998. С.77.

ატიული ბრძანება №00447 („კულაკური ბრძანება“), რომლის თანახმადაც სპეციალურად შექმნილი НКВД–УНКВД-ს *სამეულები* 1937 წლის 5 აგვისტოდან 1938 წლის შუა ნოემბრამდე გაასამართლებენ არანაკლებ 800 ათასი ადამიანისა, მათგან ნახევარს დახვრეტას მიუსჯიან[6].

როგორც ჩანს, სწორედ ივლისის პირველ დღეებში მოხდა შემობრუნება გეგმებშიც „ხალხის მტერთა“ ოჯახებისთვის მომზადებული ხვედრის შესახებ. 1937 წლის 3 ივლისს მათი შემდგომი დაპატიმრების მიზნით „კულაკთა“ აღრიცხვის ჩატარების მოთხოვნის დეპეშასთან ერთად ეჟოვმა თავის ქვეშევრდომებს ორი განკარგულება გაუგზავნა.

პირველი მოითხოვდა სსრკ-ს უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ გასამართლებულთა ოჯახების უკვე დაწყებული გასახლების დროებით შეჩერებას. პირდაპირ იყო მითითებული დროებითი შეჩერების მიზეზიც: „ეს ოჯახები უახლოეს ხანებში დამწყვდეული იქნებიან სპეციალურ ბანაკებში“.

მეორე განკარგულება დაეგზავნა УНКВД-ს ყველა უფროსს:

„ა.წ. ივლისისათვის წარმომიდგინეთ ყველა იმ პირთა ოჯახების სიები, რომლებიც 1934 წლის პირველი დეკემბრის შემდგომ იქნენ გასამართლებულნი უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ პირველი, მეორე და მესამე კატეგორიით, აგრეთვე, სასამართლოთა სპეცკოლეგიების მიერ გასამართლებულთა სოციალურად საშიში ოჯახების სიები.

სიებში მიეთითოს:

1) ოჯახის გასამართლებული უფროსის გვარი, სახელი, მამის სახელი, რომელი კატეგორიით არის გასამართლებული;
2) გასამართლებულის ოჯახის წევრთა გვარები, სახელები, მამის სახელები, აგრეთვე მათი ასაკი, სად და რა თანამდებობაზე მუშაობენ ან რომელ სასწავლო დაწესებულებაში სწავლობენ. ოჯახის შემადგენლობაში ჩაითვალოს: ცოლი, ქმარი, შვილები, აგრეთვე, მათ კმაყოფაზე მყოფი და მათთან ერთად მცხოვრები მამა, დედა, ძმები და დები. ეს ოჯახები უახლოეს ხანებში სპეციალურ ბანაკებში მოთავსდებიან. თქვენგან სიების მიღების შემდეგ დამატებით მოგაწვდით მითითებას ამ ოჯახების ბანაკებში გაგზავნის წესის შესახებ. ეჟოვი[7]„

დაბოლოს, იმავე დღეს, 1937 წლის 3 ივლისს დასავლეთ ციმბირის მხარის УНКВД-ს უფროსის მირონოვისა და ყაზახეთის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ზალინის

6. 1937 წლის აგვისტოდან მოყოლებული, НКВД გამოსცემს კიდევ რამდენიმე სპეციალურ ბრძანებას ე.წ. „ნაციონალური ოპერაციების“ ჩატარების შესახებ, რომელთა შედეგად 1937-38 წლების ტერორის მსხვერპლთა რიცხვი თითქმის 350 ათასით გაიზარდა. დასახელებული ციფრები ეყრდნობა 1937-38 წ.წ. პოლიტიკური რეპრესიების სტატისტიკის შესწავლის შედეგებს; კვლევა ჩაატარა „მემორიალის“ თანამშრომელთა ჯგუფმა.

7. რფ-ს უფს-ს ცენტრალური არქივი, Ф.3., Оп.4., Д.147., Л.315.

სახელზე მოსკოვიდან გაიგზავნა კიდევ ერთი შიფროტელეგრამა, რომელიც დაგეგმილი ოპერაციის მნიშვნელოვან დეტალებს შეიცავდა. მას ხელს აწერდა **გულაგის** უფროსი მ. ბერმანი, მაგრამ უეჭველია, რომ გაწერილი განკარგულება, ეჟოვისგან მომდინარეობდა:

*„უახლოეს ხანებში გასამართლდებიან და განსაკუთრებით გაძლიერებული რეჟიმის პირობებში უნდა იზოლირდნენ დახვრეტილ ტროცკისტთა და მემარჯვენეთა ოჯახები, დაახლოებით 6-7 ათასი ადამიანი, უპირატესად ქალები და მოხუცთა უმნიშვნელო რაოდენობა. მათთან ერთად გაიგზავნებიან სკოლამდელი ასაკის ბავშვები.*

*ამ კონტინგენტის მოსავლელად აუცილებელია ორი საკონცენტრაციო ბანაკის ორგანიზება დაახლოებით სამი ათას კაცზე, მკაცრი რეჟიმით, გაძლიერებული დაცვით (მხოლოდ თავისუფალ დაქირავებულთაგან), რაც გამორიცხავს გაქცევებს, აუცილებელი შემოღობვით მავთულხლართით ან ღობით, საყარაულო კოშკებით და მსგავსი რამეებით, კონტინგენტი გამოყენებული უნდა იყოს სამუშაოზე ბანაკის შიგნით.*

*ვინაიდან აუცილებელია ამ ბანაკების სწრაფად შექმნა, ყველაზე მიზანშეწონილად მიმაჩნია მათი ორგანიზება ნარიმში და ყარაგანდაში არსებული შრომითი დასახლებების ბაზაზე; პირველ რიგში, გამოყენებულ უნდა იქნას თავისუფალი ან ის ნაწილობრივ შესახლებული შენობები, რომლებიც სწრაფად შეიძლება გამოთავისუფლდეს იქ მყოფ გადასახლებულთა სხვაგან გადაადგილების შედეგად.*

*გთავაზობთ, სწრაფად დაამუშაოთ ნარიმში და ყაზახეთში საკონცენტრაციო ბანაკების ორგანიზების საკითხი, თითოეული – სამ ათას კაცზე“.*[8]

8. იქვე, ფურცელი 310-311

ბერმანის დეპეშა – პირველი დოკუმენტია, რომელსაც პირდაპირი და უშუალო კავშირი აქვს **ალჟირის** შექმნასთან.

* * *

ამ დეპეშებში ბევრი რამ ბუნდოვანი რჩებოდა: ბანაკებში ყველა გასამართლებულის ოჯახი გაიგზავნებოდა თუ მხოლოდ მათი ოჯახები, ვისაც დახვრეტა ჰქონდა მისჯილი, ახალი რეპრესიები მხოლოდ „ტროცკისტთა და მემარჯვენეთა“ ოჯახებს უნდა შეხებოდა თუ საფუძვლად სახელდობრ სამხედრო კოლეგიის მიერ გასამართლების პრინციპი (ბრალდების შემადგენლობისგან დამოუკიდებლად) ედო, რა უნდა ექნათ სხვა ორგანოთა მიერ გასამართლებულთა ოჯახებისთვის. ცხადი მხოლოდ ერთია – 1937 წლის ივლისისათვის

მსჯავრდებულთა ოჯახის წევრების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმართ, გასახლება, რეპრესიის არასაკმარის ზომად მიიჩნიეს და მისი ბანაკებში გამომწყვდევით ჩანაცვლება გადაწყვიტეს.

სამშობლოს მოღალატეთა“ ცოლების წინააღმდეგ მომავალი ოპერაციის კონტურები საბოლოოდ ორი დღის შემდეგ გამოიკვეთა – 1937 წლის 5 ივლისს პოლიტბიურომ დაადგინა:

*„1. მიღებულ იქნეს შინსახკომის წინადადება 5-8 წლით ბანაკებში გამწესების შესახებ სამშობლოს მოღალატეთა, მემარჯვენე-ტროცკისტული ჯაშუშურ-დივერსიული ორგანიზაციის წევრთა ყველა ცოლისა, წარმოდგენილი სიის მიხედვით.*

*2. წინადადება მიეცეს შინსახკომს, მოაწყოს ამისათვის სპეციალური ბანაკები ნარიმის მხარეში და ყაზახეთის ტურგაის რაიონში.*

*3. სამომავლოდ დადგინდეს წესი, რომლის მიხედვითაც გამოვლენილ სამშობლოს მოღალატეთა, მემარჯვენე-ტროცკისტ ჯაშუშთა ყველა ცოლი დაექვემდებარება ბანაკში გამწესებას არანაკლებ 5-8 წლით.*

*4. მსჯავრდების შემდეგ დარჩენილი 15 წლამდე ასაკის ყველა ობოლი ბავშვი აყვანილ იქნას სახელმწიფოს კმაყოფაზე, რაც შეეხება 15 წელზე მეტი ასაკის ბავშვებს, მათი საკითხები გადაწყდეს ინდივიდუალურად.*

*5. შინსახკომს წინადადება მიეცეს განათავსონ ბავშვები რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატთა საბავშვო სახლებისა და დახურული ინტერნატების არსებულ ქსელში.*

*ყველა ბავშვი უნდა განთავსდეს ქალაქებში, გარდა მოსკოვისა, ლენინგრადისა, კიევისა, თბილისისა, მინსკისა, ზღვისპირა და სასაზღვრისპირა ქალაქებისა“*[9].

* * *

1937 წლის 5 ივლისის შემდეგ შინსახკომში დაიწყო გაძლიერებული მზადება მომავალი ოპერაციისათვის.

აღირიცხა დაპატიმრებულთა და მსჯავრდებულთა ოჯახების ყველა წევრი. მონაცემები იგზავნებოდა მოსკოვში, სადაც მათ შინსახკომის ცენტრალური აპარატის აღრიცხვისა და სტატისტიკის განყოფილების თანამშრომლები ამუშავებდნენ. მიწერ-მოწერა მიმდინარეობდა განათლების სახალხო კომისარიატთან საბავშვო სახლებში ადგილების მომზადების შესახებ, ფართოვდებოდა შინსახკომის ბავშვთა მიმღებ-გამანაწილებლების ქსელი. გრძელდებოდა ქალთა ბანაკების მოსაწყობად შესაფერისი ადგილების ძებნა.

9. დადგენილების ფოტოტიპური გამოცემა იხ.: საზოგადოება „მემორიალის“ მმართველობის საინფორმაციო ბიულეტენში სექტემბერი, 1999, №12. გვ. 18. აგრეთვე: **გულაგის** ბავშვები, 1918-1956,შედგენილი ს.ს.ვილენსკისა და სხვათა მიერ. მოსკოვი, 2002.გვ. 229-230. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ წიგნში წარმოდგენილია დოკუმენტთა დიდი კორპუსი ბავშვების — **სმოწ**-ების შესახებ.

საბოლოოდ, 1937 წლის 15 აგვისტოს გამოიცა სსრკ შინსახკომის ბრძანება №00486.

თუ შეიძლება, რომ იმავე წლის 5 ივლისის პოლიტბიუროს ლაპიდარული გადაწყვეტილება ჩაითვალოს დოკუმენტად, რომელიც ინიცირებას უკეთებს შინსახკომის ოპერაციას „სამშობლოს მოღალატეთა" ცოლების წინააღმდეგ, ეს მრავალგვერდიანი ბრძანება იყო დოკუმენტი, რომელიც ამ ოპერაციის დაწვრილებით რეგლამენტაციას წარმოადგენდა. ეს დოკუმენტი უკანასკნელ წლებში არაერთხელ გამოქვეყნდა[10], ამიტომ მხოლოდ სამ ყველაზე მნიშვნელოვან დებულებას მივუთითებთ.

10. პირველად გამოქვეყნდა: მემორიალ-ასპექტი. 1993, №2/3, ნ.გ. ოხოტინის პუბლ. იხ. აგრეთვე: გულაგის ბავშვები. 1918-1956 , მოსკოვი, 2002 გვ. 234-238.

პირველ ყოვლისა, ამ ბრძანების თანახმად, დაპატიმრებას ექვემდებარებოდნენ იმათი ცოლები, ვისაც 1936 წლის 1 აგვისტოდან მიესაჯა დახვრეტა, ციხე ან ბანაკი უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის ან სამხედრო ტრიბუნალების მიერ „მემარჯვენე-ტროცკისტულ ჯაშუშურდივერსიულ ორგანიზაციებში" საქმიანობის გამო.

მეორე – შემდგომში ევალებოდათ „მომავალში გამოვლენილ სამშობლოს მოღალატეთა, მემარჯვენე-ტროცკისტ ჯაშუშთა ყველა ცოლი დაპატიმრებულ იქნეს ქმრებთან ერთად".

მესამე – განსაზღვრული იყო განაჩენთა გაფორმების მექანიზმი – სსრკ შინსახკომის საგანგებო თათბირი და პატიმრობის ვადა – „არანაკლებ 5-8 წელი".

დაბოლოს, ყველაზე არსებითი – პოლიტბიუროს გადაწყვეტილების კვალდაკვალ ბრძანება ეძღვნება სახელდობრ **ცოლებს** და **შვილებს**, და არა ზოგადად ოჯახის წევრებს, როგორც ეს შინსახკომის უფრო ადრინდელ დოკუმენტებშია.

თუმცა, დავიწყებული არც მსჯავრდებულთა სხვა კატეგორიების ნათესავები იყვნენ. მაგრამ ზომები, რომლებიც შინსახკომის ორგანოებმა ამ კატეგორიების მიმართ უნდა მიიღონ, ბევრად უფრო ინდივიდუალიზებულია. ასე, მსჯავრდებულთა **ყოფილი ცოლები** დაპატიმრებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექვემდებარებიან, თუ ისინი მონაწილეობდნენ მსჯავრდებულის „კონტრრევოლუციურ საქმიანობაში", მალავდნენ ან იცოდნენ მაინც ამის შესახებ და არ დააბეზღეს. **15 წელზე მეტი ასაკის ბავშვებიც,** ასევე მხოლოდ მაშინ ექვემდებარებოდნენ დაპატიმრებას, როცა მათ ცნობდნენ „სოციალურად საშიშად და ანტისაბჭოთა ქმედების ჩადენის შემძლედ". ამ შემთხვევაში მათი საქმეები, ისევე, როგორც დაპატიმრებულ ცოლთა საქმეები, განსახილველად საგანგებო თათბირს (ОСО) გადაეცემოდა. მართალია, მსჯავრდებული შვილები, შეიძლება, არა მარტო ბანაკში ან შრომა-გასწორების კოლონიაში გაეგზავნათ, არამედ „გაემწესებინათ განსაკუთრებული რეჟიმის საბავშვო სახლებში".

დაბოლოოს, უნდა შევნიშნოთ, რომ ბრძანების თანახმად, **ორსული ქალების, მძიმე ავადმყოფების, მეძუძურების, აგრეთვე ხნიერი ცოლების** დაპატიმრება დროებით უნდა გადადებულიყო. თუმცა, ბრძანების სხვა ადგილას მათი შემდგომი ბედის შესახებ მკაფიოდ არის ნათქვამი: „სამშობლოს მოღალატეთა მსჯავრდებული ცოლები, რომლებიც არ იყვნენ დაპატიმრებული ავადმყოფობის ან ავადმყოფი ბავშვების ყოლის გამო, გამოჯანმრთელებისთანავე დაპატიმრდებიან და გაიგზავნებიან ბანაკში. სამშობლოს მოღალატეთა მეძუძური ცოლები განაჩენის გამოტანისთანავე დაპატიმრდებიან და ციხეში შეგზავნის გარეშე იგზავნებიან უშუალოდ ბანაკში. ასევე უნდა მოექცეთ ხნიერ მსჯავრდებულ ცოლებს“.

ბრძანების მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა **დედის დაპატიმრების შემდეგ უმეთვალყურეოდ დარჩენილ ბავშვებს. ჩვილები ერთიდან სამ წლამდე** იგზავნებოდნენ ჯანდაცვის სახალხო კომისარიატის ბაგებში და საბავშვო სახლებში, ბავშვები **3-დან 15 წლამდე** – განათლების სახალხო კომისარიატის საბავშვო სახლებში. ამასთანავე, სპეციალურად იყო მითითებული, რომ თუ „დარჩენილი ობლების თავიანთ სრულ კმაყოფაზე აყვანას სხვა ნათესავები (არარეპრესირებული) მოინდომებენ – ამას არ შეეწინააღმდეგოთ“.

* * *

სტალინის თვალსაზრისით, ქალები, რომლებიც რეპრესირდებოდნენ №00486 ბრძანების ჩარჩოებში, მხოლოდ „ხალხის მტრების“ ცოლები არ იყვნენ. ისინი იყვნენ ცოლები „მთავარი მტრებისა“: „ტროცკისტ-ბუხარინელ შეთქმულთა“ – პარტიულ და საბჭოთა მოღვაწეთა, მრეწველობის ხელმძღვანელთა, გამოჩენილ სამხედროთა, კულტურის მოღვაწეთა[11]. თანამედროვე ენაზე რომ ვთქვათ, ელიტის ცოლები იყვნენ. სწორედ იმ ელიტისა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების პირველ ორ ათწლეულში ჩამოყალიბდა და რომელსაც სტალინი (არა მთლიანად, რასაკვირველია, არამედ მის მნიშვნელოვან ნაწილს) 30-იანი წლების შუა პერიოდისათვის განიხილავდა ან როგორც ბალასტს, ან როგორც მუდმივ წყაროს შეთქმულებებისა სწორედ ამ ხელისუფლების ან პირადად მის წინააღმდეგ. საუკუნის დასაწყისის რევოლუციონერ-იატაკქვეშელთა ოჯახურ ყოფაზე დაკვირვების საკუთარი გამოცდილება ჰკარნახობდა: ყოფილ თანამებრძოლთა და მომხრეთა – როგორც ხნიერთა, ისე ახალგაზრდათა – ცოლები თავიანთი ქმრების მხარეს უნდა ყოფილიყვნენ. ბელადის ლოგიკით ეს სულაც არ ნიშნავდა

11. გაგახსენებთ, რომ რეპრესირებულთა ამ კატეგორიის ბედის განსაზღვრაში სტალინი პირადად მონაწილეობდა. 1937-38 წლებში, მანამ, სანამ საქმე სამხედრო კოლეგიას გაეგზავნებოდა ხოლმე, იგი (თავის უახლოეს გარემოცვასთან ერთად, ჩვეულებრივ – მოლოტოვთან, ვოროშილოვთან, კაგანოვიჩთან, ჟდანოვთან ერთად) ათვალიერებდა და ვიზას აძლევდა მომავალ მსჯავრდებულთა შინსახკომის მიერ წარმოდგენილ სიებს. ამის შემდეგ სამხედრო კოლეგიას ისღა რჩებოდა, თავისი გადაწყვეტილებით „ბეჭედი დაესვა“ ფაქტობრივად, უკვე გამოტანილი განაჩენისათვის (80%-ზე მეტ შემთხვევაში – დახვრეტა). ხოლო 1937 წლის აგვისტოდან, ოპერაციის დაწყების შემდეგ, შინსახკომის №00486 ბრძანების თანახმად სამხედრო კოლეგიის მიერ ქმრისთვის გამოტანილ განაჩენს ავტომატურად მოსდევდა საგანგებო თათბირის (ОСО) განაჩენი ცოლისთვის. ისე, რომ გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ცოლებისთვის განაჩენი არსებითად იმავე ადამიანებს გამოჰქონდათ, რომლებმაც სიკვდილი მიუსაჯეს მათ ქმრებს, რადგან ისევ და ისევ „სტალინური სიებისაკენ“ მიგვითითებდნენ. „სტალინური სიები“ (მათში 40 000-ზე მეტი სახელია) გამოქვეყნებულია ელექტრონული სახით საზოგადოება „მემორიალის“ მიერ. იხ. კომპაქტ-დისკი: დასახვრეტთა სტალინური სიები, მოსკოვი,მემორიალ-რგოლები, 2002.

იმას, რომ ისინი პირდაპირ ეხმარებოდნენ მათ „კონტრრევოლუციურ საქმიანობაში“. მაგრამ იცოდნენ ამის შესახებ, არ შეიძლებოდა, რომ არ სცოდნოდათ. და ეს ცოდნა, შესაძლოა თანაგრძნობაც, აქცევდა ამ ქალებს თავიანთი ქმრების თანამოაზრეებად. სწორედ ამ ტიპის წარმოდგენები დაედო საფუძვლად რეპრესიებს ცოლების წინააღმდეგ.

„სამშობლოს მოღალატეთა“ ცოლების დაპატიმრებები 1937 წლის 15 აგვისტოს შემდეგ მაშინვე დაიწყო.

ჩვეულებრივ, ცოლებს ქმრებზე რამდენიმე დღით, კვირით და თვით გვიანაც კი აპატიმრებდნენ, რადგან ცოლისთვის განაჩენის გამოტანა მხოლოდ ქმრის გასამართლების შემდეგ შეეძლოთ.

საგანგებო თათბირის დადგენილებებში ბრალდების ნაცვლად ფიგურირებს ფორმულა „როგორც სამშობლოს მოღალატის ოჯახის წევრი“, ზოგჯერ კი პირდაპირ აბრევიატურა – **სმოწ** (ЧСИР) .

ხანდახან დაპატიმრებულ **სმოწ**-თა რიცხვში ხვდებოდნენ აგრეთვე მსჯავრდებულთა დები და მშობლები. ცნობილია შემთხვევები, როცა ერთ ბანაკში (მათ შორის **ალჟირში**) ერთდროულად იმყოფებოდნენ დედა და ქალიშვილი – ორივე, როგორც **სმოწ**-ი.

1937 წლის ოქტომბერში სარეპრესიო ცოლთა „კონტინგენტი“ მკვეთრად გაფართოვდა. ეჟოვის სპეციალური განკარგულებით № 00486 ბრძანება გავრცელდა მათ ცოლებზეც, ვინც დაპატიმრებული იყო „პოლონური ხაზით“, შემდეგ რუმინელი და გერმანელი „ჯაშუშების“ ცოლებზე და „ხარბინელების“ ცოლებზე (КВЖД – ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინიგზის – მანჯურიიდან დაბრუნებული ყოფილი თანამშრომლები, რომელთაც ბრალად ედებოდათ ჯაშუშობა იაპონიის სასარგებლოდ).

1938 წლის შემოდგომაზე მკაფიოდ გამოიკვეთა კურსი 1937 წლის ზაფხულში დაწყებული „მასობრივი ოპერაციების“ შემცირებისკენ. 1938 წლის ოქტომბერში გაუქმდა № 00486 ბრძანების 36-ე პუნქტი – ხალხის მტრების ცოლების ქმრებთან ერთდროულად დაპატიმრების აუცილებლობის შესახებ. თვით ბრძანება ძალას ინარჩუნებდა კიდევ ხუთი კვირის განმავლობაში. საბოლოოდ გაუქმდა 1938 წლის 26 ნოემბერს.

* * *

სულ რამდენი ქალი იქნა გაგზავნილი ბანაკებში 1937-38 წლებში, როგორც „სამშობლოს მოღალატის ოჯახის წევრი“? ზუსტი ციფრი ჩვენთვის უცნობია[12]. მისი აღდგენა შეიძლება მხოლოდ საგანგებო თათბირის (ОСО) ოქმების

12. „ოჯახის წევრთა“ მიმართ რეპრესიის შესაძლებლობები მარტო №00486 ბრძანებით არ იყო უზრუნველყოფილი.ასეთ შესაძლებლობებს იძლეოდა, მაგალითად, ზემოთ ნახსენები „კულაკური ბრძანება“. იგი შეიცავდა პუნქტს, რომლის თანახმადაც რეპრესირებულის ოჯახის სრულწლოვანი წევრები შეიძლება გაგზავნილიყვნენ შრომით დასახლებებში ან ბანაკებში, თუ მათ „ხელეწიფებათ აქტიური ანტისაბჭოთა ქმედებები“ ან ყოველ შემთხვევაში, უნდა გასახლებულიყვნენ რეჟიმული ქალაქებიდან და სასაზღვრო ტერიტორიებიდან.

13. უფბ-ს ცენტრალური არქივი. Ф.3, Оп.5, Д. 79, Л. 281. ვფიქრობთ, რომ რეპრესირებული ცოლების აქ დასახელებული რიცხვი არ არის შემცირებული. უფრო გვიანდელ დოკუმენტში, შინსახკომის პირველი სპეცგანყოფილების უფროსის – პეტროვის 1939 წლის ნოემბრის რაპორტში ბერიას სახელზე, რომელიც ეძღვნება კონფისკებული ქონების პრობლემებს, დასახელებულია უფრო მცირე რიცხვი – 12,5 ათასი. მაგრამ დოკუმენტის კონტექსტიდან არ ჩანს, ეს რიცხვი №00486 ბრძანებით მსჯავრდებულ ყველა ცოლს მოიცავს, თუ მხოლოდ მათ, ვისთანაც კონფისკაცია ჩატარდა (იხ. იქვე. Оп. 6, Д. 839, Л. 71-73). შეიძლება გაგვიკვირდეს, თუ მსჯავრდებული ცოლების რიცხვს შევადარებთ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის რიცხვობრივ შედეგებთან (ტრიბუნალებით მსჯავრდებულთა საერთო რიცხვი გაცილებით ნაკლები იყო), 1936 წლის 1 ოქტომბრიდან 1938 წლის 1 ნოემბრამდე **უსსკ**-მ (უზენაესი სასამართლოს სამხედრო კომისია) და მისმა გამსვლელმა სესიებმა მსჯავრი დასდეს 39 745 ადამიანს. ამ შეუსაბამობას რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველ ყოვლისა, **უსსკ** და ტრიბუნალები ასამართლებდნენ არა მხოლოდ „მემარჯვენე ტროცკისტ ჯაშუშებსა და დივერსანტებს“, არამედ

მიხედვით, რომლებიც, სამწუხაროდ, ჩვენთვის ჯერ კიდევ მიუწვდომელია. გარკვეულ ორიენტირად შეიძლება გამოგვადგეს მონაცემები ზემოთ ნახსენები ბარათისა, რომელიც 1938 წლის 5 ოქტომბრით არის დათარიღებული. შინსახკომის ხელმძღვანელობა სტალინს ატყობინებს, რომ № 00486 ბრძანების საფუძველზე სულ „არასრული მონაცემებით რეპრესირებულია დაპატიმრებულ მოღალატეთა 18 000-ზე მეტი ცოლი, მათ შორის – მოსკოვიდან 3 000-ზე მეტი და ლენინგრადიდან დაახლოებით 1 500“[13] .

„ჩამორთმეულ“ ბავშვებზე უფრო ზუსტი მონაცემები შინსახკომის ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოშია, რომელიც განაგებდა ამ ბავშვების განაწილებას საბავშვო დაწესებულებებში, მკაცრი აღრიცხვა მიმდინარეობდა. შემონახული შიდაუწყებრივი და უწყებათაშორისი მიმოწერიდან არა მარტო მათ რაოდენობას ვიგებთ, არამედ იმასაც, რომ №00486 ბრძანების მიხედვით ჩატარებული მთელი ოპერაცია, ნაწილობრივ, „გეგმიური ხასიათისა“ იყო.

ჯერ კიდევ ოპერაციის დაწყებამდე ეჟოვი დაწვრილებით ატყობინებდა სტალინს მომავალი „ჩამორთმევების“ შესახებ: „საორიენტაციო გათვლებით პირველი კატეგორიის ბავშვები იქნებიან 5 000-მდე სული“[14]. შემდეგ ის წერდა: „ბავშვების განთავსებას ისე ვაპირებთ, რომ რამდენიმე მშობლის შვილები ერთი ქალაქიდან, რომლებიც დაკავშირებული არიან საერთო ნაცნობობით ან ნათესაობით, ვერ მოხვდნენ ერთსა და იმავე საბავშვო სახლში. ამასთანავე, როგორც წესი, ერთ ოლქში მცხოვრები ბავშვები აუცილებლად იქნებიან გადაყვანილი სხვა ოლქის საბავშვო სახლებში“[15] .

მაგრამ ჩამოსართმევ ბავშვთა რაოდენობა გაცილებით მეტი აღმოჩნდა. 1937 წლის 27 ნოემბერს ეჟოვი ატყობინებს სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს მოლოტოვს: „*სკკპ(ბ) ცკ-ს გადაწყვეტილების შესრულების შესაბამისად [იგულისხმება პოლიტბიუროს 1937 წლის 5 ივლისის დადგენილება – არ.], ოპერაციის დაწყებიდან ა.წ. 20 ნოემბრამდე მოსკოვსა და მთელ კავშირში შინსახკომმა განათლების სახკომის ბავშვთა სახლებში გაგზავნა და მოაწყო 5 862 სული – რეპრესირებული მშობლების შვილები. განსათავსებელი ბავშვების ადრე ნავარაუდევი რაოდენობა (5 000) გადაჭარბებულია. ოპერაციის ბოლომდე ივარაუდება კიდევ 10 000-მდე ბავშვის ჩამორთმევა*“. ამ მიმართვის პასუხად 1937 წლის 19 დეკემბერს სახკომსაბჭომ დაადგინა, რომ რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ყაზახეთისა და ბელორუსიის განათლების სახალხო კომისარიატებს დაევალოთ საბავშვო სახლებში გამოყონ დამატებითი 10 000 ადგილი. თუმცა, ეს ადგილებიც არ აღმოჩნდა საკმარისი.

ბრალდებულთა უფრო ფართო წრეს, შესაბამისად, ამ ორგანოების მიერ მსჯავრდებულთა ყველა ცოლი არ ექვემდებარებოდა დაპატიმრებას, როგორც **სმოჲ**-ი. მეორეც: დაპატიმრებული ქმრების ბევრი ცოლი 1937-38 წკებში მსჯავრდებული იყო დამოუკიდებელი ბრალდებებით – ზუსტი სტატისტიკა, სამწუხაროდ, უცნობია. დაბოლოს, მემუარისტიკის თანახმად, ცოლების არცთუ მცირე რაოდენობამ მოახერხა მიმალვა, „დამალვა“ ქმრის დაპატიმრების შემდეგ, ქვეყნის სხვა რაიონში გამგზავრებით, ან ნათესავებთან ან მეგობრებთან გადასვლით იმავე ქალაქში, სადაც ქმარი დააპატიმრეს.

14. იქვე; Оп. 4, Д. 79, Л. 85. პირველი კატეგორიის ხსენება, ალბათ, აფიქსირებს ბრძანების მომზადების შუალედურ სტადიას – იდეას – დაპატიმრდნენ და მსჯავრი დაედოთ მხოლოდ დახვრეტილთა ცოლებს. შესაბამისად, იგეგმებოდა ბავშვთა სახლებში მხოლოდ იმ ბავშვების გაგზავნა, რომლებიც გასამართლებული იყვნენ „პირველი კატეგორიით“. 15 წლამდე ასაკის ასეთი ბავშვები 1937 წლის ივნისში კავშირის მასშტაბით აღირიცხა დაახლოებით 3 800 სული (იხ. იქვე: Д. 2166, Л. 249). შეგახსენებთ, რომ აქ იმათი შვილებიც შედიოდნენ, ვინც 1934 წლის პირველი დეკემბრის შემდეგ დაიხვრიტა.

15. ეს დებულება შევიდა №00486 ბრძანებაში, რომლის 27-ე პუნქტში ნათქვამია, რომ ერთსა და იმავე ბავშვთა სახლში არ უნდა მოხვდნენ ბავშვები, რომლებიც „დაკავშირებული არიან ერთმანეთთან ნათესაურად ან ნაცნობობით“. 1937 წლის 20 სექტემბერს ეს დებულება შერბილდა: ეჟოვმა ნება დართო... გაიგზავნონ ერთსა და იმავე ბავშვთა სახლში ბავშვები, დაკავშირებულნი ნათესაურად, თუ მათ ამის პირადი სურვილი აქვთ“ (იხ. იქვე: Д. 10, Л. 12 ).

1938 წლის 4 აგვისტოს შინსახკომის თავმჯდომარის მოადგილე ჟუკოვსკი (თანამდებობრივად კურირებდა შინსახკომის ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს – АХУ НКВД) სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველს პეტრუნიჩევს წერდა: „სკკპ(ბ) ცკ-ს გადაწყვეტილების შესრულების მიზნით სსრკ შინსახკომმა ა.წ. 10 ივლისისათვის მოკავშირე რესპუბლიკათა განათლების სახკომატების ბავშვთა სახლებში მოაწყო რეპრესირებულ მშობელთა 17 355 ბავშვი“. სსრკ შინსახკომის ვარაუდით, საჭირო იქნება ჩამორთმეული და განთავსებული იყოს კიდევ 5 000-მდე ბავშვი„. თხოვნა რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის ბავშვთა სახლებში დამატებითი 5 000 ადგილის გამოყოფის შესახებ დაკმაყოფილდა[16].

16. იხ. იქვე: Оп. 5, Д. 69, Л. 186.

1937-38 წლების შემაჯამებელი ციფრები შინსახკომის ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს ( АХУ НКВД) უფროსმა სუმბათოვმა შეატყობინა ბარათით ბერიას სახელზე:

*„შინსახკომის 1937 წლის № 00486 ბრძანებით შინსახკომის ადმინისტრაციულ- სამეურნეო სამმართველოს მიეცა განსაკუთრებული დავალება ხალხის მტრების შვილების ჩამორთმევისა და ამ ბავშვების განთავსებისა ბავშვთა დაწესებულებებში ან სამეურვეოდ ნათესავებისთვის გადაცემის შესახებ.*

*1937 წლის 15 აგვისტოდან აქამდე ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს მიერ ჩატარებულია შემდეგი სამუშაო:*

*სულ კავშირში ჩამორთმეულია ბავშვები 25 342 სული. აქედან:*

а) *განათლების სახკომისარიატის ბავშვთა სახლებში და ადგილობრივ ბაგებში 22 427 სული*
*აქედან მოსკოვისაში 1 909 სული*

b) *სამეურვეოდ გადაეცათ და დედებს დაუბრუნდათ 2 915 სული“*[17].

17. იქვე: Оп. 6, Д. 839, Л. 35.

ეს ციფრები სრულიად სანდოდ გამოიყურება, მაგრამ ნამდვილად არასრულია.

მათში არ შედიან 15 წელზე მეტი ასაკის შვილები, რომლებიც ჩაითვალნენ „სოციალურად საშიშებად“, დაპატიმრდნენ და მსჯავრი დაედოთ. ჩვენ ძალიან ცოტა სახელი ვიცით – სულ რამდენიმე ათეული. სინამდვილეში, მსჯავრდებული ბავშვები ბევრად მეტნი იყვნენ.

აქ არ არის მონაცემები არც რეპრესირებული მშობლების სხვა 15-17 წლის შვილებზე, ვისაც არ აღმოაჩნდათ ნათესავები, რომლებიც თავიანთ ოჯახებში მათ წაყვანას ისურვებდნენ. მათ საშუალო სკოლის დამთავრებამდე ბავშვთა

სახლებში გზავნიდნენ ან იძულებით აწყობდნენ სამუშაოზე. მაგრამ 15 წელზე მეტი ასაკის ბავშვების ბავშვთა სახლებში გაგზავნასაც და მათ შრომით მოწყობასაც ახორციელებდნენ შინსახკომის ადგილობრივი სამმართველოები სსრკ შინსახკომის ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს მონაწილეობის გარეშე, ამიტომ, სტატისტიკაში ეს მონაცემები არ აისახა.

არ არსებობს მონაცემები არც იმ უფროსი თუ უმცროსი ასაკის ბავშვებზე, რომლებიც ნათესავებმა მშობლების დაპატიმრებისთანავე წაიყვანეს (ზოგჯერ უკვე ბავშვთა გამანაწილებლებიდან), შინსახკომის ორგანოებში მეურვეობის ოფიციალური გაფორმების გარეშე. არ არის აღრიცხული არც მრავალი შემთხვევა, როცა თვით ბავშვებმა შეძლეს თავი აერიდებინათ „ჩამორთმევისათვის“, საკუთარი რისკის ფასად გაემგზავრნენ ნათესავებთან (ზოგჯერ შორეული მოგზაურობით, საიდუმლოდ ჩაიპარნენ სხვა ქალაქებსა და რეგიონებში) ან, უბრალოდ, უპატრონოთა რიგები შეავსეს.

შინსახკომის ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს უფროსის ბარათში არ არის ცნობები არც იმ ძუძუთა ბავშვებზე, რომლებიც დედებს თან მიჰყავდათ ბანაკებში, არც პატიმრობაში გაჩენილ ბავშვებზე (მიუხედავად ფეხმძიმეთა დაპატიმრების აკრძალვის არსებობისა № 00486 ბრძანებაში, ეს წესი მუდმივად ირღვეოდა).

მაგრამ საქმე ციფრებში კი არ არის, არამედ უცილობელ ფაქტში – №00486 ბრძანებით ოპერაცია მიმართული იყო არა მარტო „ხალხის მტრების“ ცოლების, არამედ მათი შვილების წინააღმდეგაც. და როდესაც ჩვენ ვცდილობთ ამ ბრძანების მსხვერპლთა საერთო რიცხვის გამოთვლას, აუცილებელია, რომ საბოლოო ციფრებში ისინიც ჩავრთოთ.

**ჩსირ**-ებს, რომლებსაც საბანაკო ვადები ჰქონდათ მისჯილი, უფლებები სარეაბილიტაციო პროცესის დასაწყისშივე აღუდგინეს – 1950-იან წლებში. 2003 წელს რუსეთის ფედერაციაში ბოლოს და ბოლოს საკანონმდებლო წესით ჩაითვალნენ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად შვილები, რომლებიც „ჩამოართვეს“ მშობლებს ან დიდი ხნით მოსწყვიტეს მათ, მოსწყვიტეს მშობლიურ ადგილებს; რომლებმაც გაიარეს შინსახკომის ბავშვთა გამანაწილებლები და სახლები; რომლებიც მრავალი წელი იმყოფებოდნენ უშიშროების ორგანოთა მარად ფხიზელი ზედამხედველობის ქვეშ.

* * *

**ჩსირ**-ების პირველი ეტაპები ბანაკებისკენ 1937 წლის სექტემბერში დაიძრა.

1937 წლის ივლისში გაიცა ბრძანება, რომ ქალებისთვის შექმნილიყო ორი სპეციალური ბანაკი დასავლეთ ციმბირსა და ყაზახეთში. მაგრამ ოპერაციის დასაწყისისთვის მათი მომზადება ვერ მოესწრო. ამიტომ, № 00486 ბრძანება-ში პატიმართა გასაგზავნად მითითებული იყო ტემნიკოვის შრომა-გასწორების ბანაკი, რომელიც დისლოცირებული იყო არცთუ შორს მოსკოვიდან — მორდვეთში.

1937 წლის სექტემბერში აქ ორგანიზებული იყო პირველი სპეციალური განყოფილება **ტემლაგში** ქალთათვის — „სამშობლოს მოღალატეთა“ ოჯახის წევრთათვის. თუმცა, მას არ შეეძლო მიეღო გაგზავნილი ყველა **სმოჩ**-ი.

როგორც იქნა, 1938 წლის დასაწყისში გაიხსნა სპეცგანყოფილება აკმოლინსკში, რომელიც შედიოდა ყარაგანდის შგბ-ს (ИТЛ) სტრუქტურაში. მისი შექმნის ნებართვა **გულაგმა** ჯერ კიდევ სექტემბრის დასაწყისში გასცა[18]. შემდეგი ოთხი თვე მოსამზადებელ სამუშაოებზე დაიხარჯა, თანაც, მოსკოვი მუდმივად აჩქარებდა კარლაგს[19]. 1938 წლის 10 იანვრიდან მოყოლებული, დაიწყო ეტაპების ჩამოსვლა. აკმოლინსკის სპეც-განყოფილება სწრაფად ივსებოდა[20] და ნახევარი წლის განმავლობაში ისე გადაიტენა, რომ **კარლაგის** ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, პატიმარი ცოლების მორიგი ეტაპები ჯერ დროებით გადაენაწილებინა სხვა საბანაკო განყოფილებებში, ხოლო შემოდგომისათვის შეექმნა კიდევ ერთი სპეციალური განყოფილება **სმოჩ**-ებისათვის — სპასკისა. ცნობების მიხედვით, 1939 წლის შუა რიცხვებში **ალჟირ**-ში იმყოფებოდა 4 400-ზე მეტი ქალი — **სმოჩ**-ი.

ბანაკის არსებობის პირველი წელიწადნახევარი ყველაზე ძნელი იყო პატიმართათვის. სივიწროვე, მძიმე, უჩვეულო ყოფა, აუწყობელი წარმოება, ყველაფერი ეს, „სპეცკონტინგენტისათვის“ დადგენილი მკაცრი იზოლაციის რეჟიმთან ერთად, მათ ცხოვრებას განსაკუთრებულად მტანჯველს ხდიდა. და მთელი ამ დროის განმავლობაში ალჟირ-ი განიხილებოდა არა როგორც უბრალოდ ბანაკი **სმოჩ**-ებისათვის, არამედ როგორც მათგან „ყველაზე საშიშთა“ გამომწყვდევის ადგილი[21]. მხოლოდ 1939 წლის მაისში, ნახევარი წლის შემდეგ მას მერე, რაც გარეთ დამთავრდა „სამშობლოს მოღალატეთა“ ცოლების მიმართ მიმართული ოპერაცია, გამოიცა გულაგ-ის ბრძანება, რომლის შესასრულებლადაც ზაფხულ-შემოდგომის განმავლობაში ტემლაგის, სიბლაგის და კარლაგის განყოფილებები, სადაც კონ-

18. იხ. **გულაგ**-ის უფროსის პლინერის დეპეშა ყაზახეთის სსრ შინსახკომში 9.09.37: „აკმოლინსკის №26 შრომითი დასახლების ბაზაზე საკონცენტრაციო ბანაკის ორგანიზებაზე თანახმა ვარ. <........> დააპროექტეთ ბარაკების მშენებლობა (რფ-ს უფს-ს ცენტრალური არქივი.Ф. 3, Оп. 4, Д. 2246, Л.566).

19. იხ., მაგ., **გულაგ**-ის უფროსის მოადგილის ლეონიუკის დეპეშა ალმა-ატაში 13.11.37: „გთხოვთ, შემატყობინოთ, როგორ მიდის საკონცენტრაციო ბანაკის მშენებლობა აკმოლინსკში, როდის რამდენი სათავსი იქნება მზად, როდის იქნება შესაძლებელი მსჯავრდებულთა იქ გაგზავნა; ივარაუდება, რომ საკონცენტრაციო ბანაკი გამოყენებული იქნება საგანგებო თათბირის მიერ გასამართლებული ქალების — სამშობლოს მოღალატეთა ოჯახის წევრების მოსათავსებლად“(იხ.Д. 2254, Л. 749). იხ. აგრეთვე მისი დეპეშა ყარაგანდაში 17.12.37 თარიღით: „მიდეპეშეთ მსჯავრდებულთა მიღებისა და განთავსებისათვის აკმოლინსკის სპეცგანყოფილების მომზადების მსვლელობის შესახებ, აგრეთვე, სადგურ აკმოლინსკში მიმღები პუნქტის ორგანიზების შესახებ <.......>. გაითვალისწინეთ, რომ დეკემბრის ბოლოს დაიწყება პატიმართა ჩამოყვანა (იხ. იქვე; Д. 2259, Л. 599).

20. ა.რ. კუკუშკინას მონაცემებით მხოლოდ პირველი ორი კვირის განმავლობაში ბანაკში 8 ეტაპი ჩამოვიდა მოსკოვიდან, ორენბურგიდან, ირკუტსკიდან, როსტოვიდან, კალუგიდან, ორშიდან ( Кукушкина А.Р. Акмолинский лагерь жен «изменников родины» : История и судьбы. Караганда, 2002. С. 73). ა.რ. კუკუშკინას — ყაზახეთის ფინანსურ-ეკონომიკური უნივერსიტეტის პედაგოგისა და ისტორიულ- საგანმანათლებლო საზოგადოება „მემორიალ-ყარაგანდას„ თავმჯდომარის ნაშრომში თავმოყრილი და გან-

ცენტრირებული იყვნენ **სმოწ**-ები, „სპეცრეჟიმიდან“, საერთო საბანაკო რეჟიმზე გადაიყვანეს. ეს მოასწავებდა რამდენიმე პრინციპულ ცვლილებას **ალჟირ**-ის პატიმართა ცხოვრებაში. მათგან მთავარი იყო, რომ ქალებს ნება დაერთოთ მანამდე აკრძალული მიმოწერისა გარე სამყაროსთან. მხოლოდ ახლა შეიტყო მრავალმა მათგანმა თავიანთი ქმრების ბედის შესახებ, ან რა მოუვიდათ მათ შვილებს. აგრეთვე დართეს ამანათების მიღების ნება, მოიხსნა აკრძალვა სპეციალისტების სპეციალობის მიხედვით გამოყენების შესახებ და ა.შ.

საერთო-საბანაკო რეჟიმზე გადასვლა, კერძოდ, იმას ნიშნავდა, რომ **სმოწ**-ები აღარ წარმოადგენენ “სპეცკონტინგენტს“, რომელიც სხვა პატიმრებისაგან მკაცრად უნდა ყოფილიყვნენ იზოლირებული. ახლა შეიძლებოდა მათი გაერთიანება სხვა საბანაკო „კონტინგენტებთან“, გადაყვანა სხვა საბანაკო პუნქტებში, წარმოების ან რეჟიმისათვის საჭიროების შემთხვევაში — სხვა ბანაკებში. ამან საკმაოდ სწრაფად გამოიწვია **სმოწ**-ების ტომსკის ბანაკის დაშლა; იქიდან ქალების უმეტესი ნაწილი გადაიყვანეს სიბლაგის №1 შრომა-გასწორების კოლონიაში სადგურ იაიაში, **სმოწ**-ების რამდენიმე ეტაპი გადატენილი ტემლაგიდან გაიგზავნა სხვა ბანაკებში, მაგალითად, კარელიაში, სეგეჟის ტყექიმქაღალდკომბინატის მშენებლობაზე (მრავალი მათგანი შემდეგ იქიდან კარლაგში იქნა გადაყვანილი. თვით კარლაგში ლიკვიდირდა ცოტა ხნით ადრე შექმნილი სპასკის განყოფილება, ხოლო **სმოწ**-ები განაწილდნენ ბანაკის სხვა განყოფილებებს შორის (მნიშვნელოვანი ნიწილი დოლინკაში მოხვდა). დაიწყო აგრეთვე **სმოწ**-ების გადაყვანა კარლაგიდან სხვა ბანაკებში — სოლიკამსკის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის მშენებლობაზე, კრასნოიარსკის შრომა-გასწორების ბანაკში და ა.შ.

აკმოლინსკის სპეცგანყოფილება 1939 წლის მიწურულს საბოლოოდ შეერწყა კარლაგს (მანამდე ის კარლაგის სტრუქტურაში ფორმალურად შედიოდა, ძირითადად კი, უშუალოდ **გულაგ**ს ექვემდებარებოდა) და დაერქვა კარლაგის მე-17 განყოფილება. თუმცა, ომის დაწყებამდე ის ჯერ კიდევ ინარჩუნებდა თავდაპირველ სპეციფიკას, რჩებოდა რა, პირველ ყოვლისა, სწორედ **სმოწ**-ების თავმოყრის ადგილად. აქ დაიწყეს იმ ქალებისა და კაცების მოთავსება, რომლებიც მსჯავრდებული იყვნენ სხვა „კონტრრევოლუციური დანაშაულებისათვის“, ზოგჯერ კი — სისხლის სამართლის მუხლების მიხედვით. თანამედროვე მკვლევრის აზრით „40-იანი წლების დასაწყისისათვის აკმოლინსკის განყოფილება გახდა შერეული და სულ უფრო ემსგავსებოდა კარლაგის სხვა განყოფილებებს“[22].

ზოგადებულია მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მასალა, კერძოდ, ყარაგანდის შრომა-გასწორების ბანაკის (ИТЛ) არქივიდან. ზოგიერთი ცნობა, რომელიც ჩვენ მოგვაქვს წინამდებარე სტატიაში, და რომელიც ეხება აკმოლინსკის სპეცგანყოფილების ფუნქციონირებას, სწორედ ამ ნაშრომიდან არის აღებული.

21. იხ. შინსახკომისრის მოადგილის ჟუკოვსკის მითითება შორეული აღმოსავლეთის მხარის შინსახკომის სამმართველოსადმი (УНКВД) 23.07.38 თარიღით: „ხალხის მტრების ცოლები, რომლებიც ექვემდებარებიან საგანგებო თათბირზე განხილვას, გაგზავნეთ კარლაგში. გარდა განსაკუთრებულად საშიშებისა, რომლებიც გაგზავნეთ ცალკე აკმოლინსკის სპეცგანყოფილებაში„ (რფ-ს უფს-ს ცენტრალური არქივი . Ф.3, Оп. 4, Д. 87, Л. 181).

22. ა.რ. კუკუშკინა. ციტ. ნაშრომი.გვ. 90. იხ. აგრეთვე გვ. 83-85 და სხვა.

აკმოლინსკის ბანაკის პატიმარ-ქალთა ცხოვრებას ეძღვნება ბევრი, უკვე გამოქვეყნებული და თავისი გამომცემლის მომლოდინე, მემუარული ტექსტი[23]. მათში დაწვრილებით არის აღწერილი ბარაკებიც, მწირი ულუფაც, შრომაც — ლერწმის ჭრა, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, სამკერვალო წარმოება. იქვეა აღწერილი ბანაკში ჩამოყვანილი ან იქ გაჩენილი ბავშვების ბედი, აღწერილია საბანაკო „ჩვილთა სახლები". ბანაკის ქალთა მოგონებების თითქმის გამჭოლი თემაა — ბავშვებთან განშორებული დედების ტანჯვა, წარმატებული ან წარუმატებელი ცდები მიმოწერის საშუალებით იმ ˜ბავშვების ძებნისა, რომლებიც ბავშვთა სახლებში იყვნენ მოთავსებული ან — რაც არც თუ იშვიათად ხდებოდა — სულაც სადღაც გაქრნენ, დაიკარგნენ ტერორის ორომტრიალში. კიდევ ერთი თემაა — განთავისუფლების შემდეგ შვილებთან ნანატრი შეხვედრები, რომლებიც არცთუ იშვიათად ტრაგედიად იქცეოდა ხოლმე. და ბოლოს, ცხოვრება თავისუფლებაში „ხალხის მტრის" დამღით. ყველა ამ თემას ჩვენ ახლა არ შევეხებით. ისინი თითო-ოროლა გვერდს კი არა, ცალკე წიგნებს იმსახურებს.

№00486 ბრძანებით მსჯავრდებულ ქალებს ვადები უნდა დამთავრებოდათ 1942-43 ან 1945-46 წლებში. თუმცა, დროულად არც ერთი მათგანი არ გაუთავისუფლებიათ[24]. ომის პირველსავე დღეს, 1941 წლის 22 ივნისს გამოიცა სპეციალური დირექტივა, რომელიც კრძალავდა ბანაკებიდან „კონტრრევოლუციონერების, ბანდიტების, რეციდივისტების და სხვა საშიში დამნაშავეების" გათავისუფლებას. შემდეგ წელს გამოიცა ახალი დირექტივები, რომლებიც იმ სმოწების განთავისუფლების ნებას იძლეოდა, ვისაც პატიმრობის ვადა დაუმთავრდათ. მაგრამ თავისუფლება, რომელსაც ისინი იღებდნენ, მეტად პირობითი იყო, რადგან დირექტივა იუწყებოდა: „სასჯელის ვადამოხდილი გათავისუფლებულები დატოვებულ უნდა იქნან სამუშაოდ შინსახკომის ბანაკებში, როგორც თავისუფლად დაქირავებულნი, გამგზავრების უფლების გარეშე, ომის დამთავრებამდე ბანაკ-მშენებლობების სამუშაოთა რაიონებთან მიმაგრებით". ასეთ „გათავისუფლებულებს", როგორც წესი, პასპორტებს არ აძლევდნენ, საკმარისად თვლიდნენ მხოლოდ ბანაკის ცნობას. გარდა ამისა, ნაბრძანები იყო მათი მოთავსება „ცალკეულ საბანაკო პუნქტებში, სადაც ზონის მავთულხლართები უნდა მოხსნილიყო, ვაგონის ტიპის ნარებით გაწყობილ ბარაკებში". თუმცა, თუ ამგვარად გათავისუფლებული ინვალიდების, მოხუცების, ბავშვიანი ქალების ბანაკებში სამუშაოდ გამოყენება შეუძლებელი იყო, ბანაკის უფროსს უფლება ჰქონდა, თავი-

23. იხ.,მაგ., Мамаева Е.А. Жизнь прожить.... М.: КОПИ-ЦЕНТР, 1998; Поль И.Л. Оглянись со скорбью: История одной семьи. _-- Иркутск: Вост.-Сиб. кн. изд-во 1991. Степанова-Ключникова Г. Казахстанский АЛЖИР \ Подгот.: Ассоц. жертв незаконных полит. репрессий. _ с. Малшновка, г. Астана, 2003. Страницы трагических судеб: Сборник воспоминаний жертв политических репрессий в СССР в 1920-1950-е гг. \ Казахстан. ист.-просветит. о-во «Адилет» (Справедливость) _ Алматы:Жети жаргы, 2002. (на каз. и рус. яз.). რაც შეეხება მემუარული ხასიათის გამოუქვეყნებელ ტექსტებს, მხოლოდ საზოგადოება „მემორიალის„ (მოსკოვი) არქივში ინახება რამდენიმე მოგონება, მიძღვნილი **ალჟირ**-ისადმი: მ.ლ. ანცისისა, ა.ფ. ბარინა-შილოვასი, ი.ი.ვერჟენსკაიასი, რ.ლ. ვოლინსკაიასი, მ.მ. გოლდბერგისა, ო.მ. კუჩუმოვასი, გ.ა. სემიონნოვასი და სხვათა. იხ., აგრეთვე ა.დ. სახაროვის სახელობის ცენტრის და მუზეუმის (მოსკოვი) და ისტორიულ-ლიტერატურული საზოგადოება „დაბრუნების„ (მოსკოვი) საარქივო კოლექციები.

24. გარდა იმათი, ვისაც საგანგებო თათბირმა რატომღაც 3-წლიანი ვადა განუსაზღვრა. თუ ეს ვადა ომის დაწყებამდე მთავრდებოდა, მაშინ მათ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, დროულად უშვებდნენ. გარდა ამისა, ქალთა ძალიან მცირე ნაწილი გათავისუფლდა ბანაკიდან საქმის გადასინჯვის შედეგად 1939-1940 წლებში. ამასთან, ზოგიერთ მათგანს ბანაკის ვადა შეეცვალა გადასახლებით.სულ 1939-41 წლებში კარლაგიდან გათავისუფლდა იქ მყოფ ქალთა — სმოწ-თა დაახლოებით 5%.

სი შეხედულებისამებრ გაეთავისუფლებინა ისინი „საერთო საფუძველზე“. ამასთანავე, მასვე ჰქონდა უფლება, სულაც არ გაეთავისუფლებინა პატიმარი და დაეყოვნებინა ბანაკში ომის დამთავრებამდე, თუ ის „უარყოფითად ხასიათდებოდა“. ამგვარად, ბევრი ქალისათვის, რომელსაც ვადა ომის წლებში უმთავრდებოდა, გათავისუფლება მხოლოდ ფორმალური იყო, ფაქტობრივად, ეს სხვას არაფერს ნიშნავდა, გარდა ზონის გარეთ გადაბარგებისა. ისინი საბოლოოდ, მხოლოდ 1946 წლის მაისის შემდეგ გაათავისუფლეს. ამასთანავე, ყველა გათავისუფლებულის პასპორტში მითითებული იყო ჩაწერის შეზღუდვა „რეჟიმულ ადგილებში“[25]. ეს იმას ნიშნავდა, რომ განთავისუფლებული ქალი-**სმოღ**-ების უმეტესობას არ შეეძლო მშობლიურ ქალაქებში დაბრუნება.

სულ 1938-46 წლებში კარლაგში სასჯელი მოიხადა დაახლოებით 6 500 ქალმა-**სმოღ**-მა. მათგან 4 500-ზე მეტმა გამოიარა **ალჟირი** – ერთ-ერთი უმსხვილესი (თუ ყველაზე მსხვილი არა) საბჭოთა ქალთა ბანაკი.

* * *

ამჟამად ყაზახეთის რესპუბლიკის მრავალ ქალაქსა და დასახლებაში აღმართულია საბჭოთა ეპოქის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა მემორიალური კომპლექსები, მონუმენტები, სამახსოვრო ნიშნები. ახალ დედაქალაქში – ასტანაში (ყოფილი აკმოლინსკი) – მსხვერპლთა ძეგლთან მიაქვთ ყვავილები, მახლობლად რგავენ ხეებს.

მალინოვკაში – ასე ეწოდება ახლა ყოფილ შრომით დასახლებას № 26 – დგას **ალჟირ**-ის პატიმართა ძეგლი. ოდესღაც, მათი ხელით დარგული ალვის ხეების ხეივანში განთავსებულია სტენდები სახელებით და მოგონებათა ფრაგმენტებით; კულტურის სახლში შექმნილია **ალჟირ**-ის მუზეუმი. იმ ადგილას, სადაც გარდაცვლილ პატიმრებს მარხავდნენ, აღმართულია სიმბოლური საფლავის ქვები – ქრისტიანული და მუსლიმანური[26]. ყოველ წელს ხსოვნისა და მწუხარების დღეს აქ ჩამოდიან იმ ქალთა ნათესავები, რომლებიც პატიმრობას ოდესღაც აკმოლინსკის ბანაკში იხდიდნენ.

ჩამოდიან თვითონ ყოფილი პატიმრებიც. ისინი უკვე სულ ცოტანიღა არიან დარჩენილნი.

25. იხ. დირექტივები, მითითებები და ბრძანებები ბანაკებიდან განთავისუფლების შეწყვეტისა და განახლების შესახებ 22.06.1941, 29.04.1942, 7.05.1942, 24.06.1946 დათარიღებით, საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების კრებულში პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა რეპრესირებისა და რეაბილიტაციის შესახებ. შეადგინა ე.ა. ზაიცევმა. მოსკოვი, 1993, გვ. 158-166.

26. შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ ეს ყველაფერი – ძეგლიც, სტენდებიც, მუზეუმიც, მემორიალური საფლავის ქვებიც – შეიქმნა და მოქმედებს ადგილობრივი საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ი.ი. შარფის მუდმივი თანადგომით. ძეგლი დაიდგა ჯერ კიდევ 1989 წელს, როცა სსრკ-ს ბევრ რეგიონში ამაზე სერიოზულად არც კი ლაპარაკობდნენ.

# „საქართველო — „ალჟირი“ — საქართველო: ერთი ეპიზოდი 1936-38 წლების სტალინური რეპრესიებიდან

**ლევან გიგინეიშვილი**

## შესავალი

წიგნში თავმოყრილი ინტერვიუები 1936-38 წლების სტალინური რეპრესიების, „დიდი ტერორის“, მცირე, მაგრამ ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ ეპიზოდს ასახავს — „სამშობლოს მოღალატეების“ ცოლების დაპატიმრებას და გადასახლებას ყაზახეთში, საგანგებოდ მათთვის მოწყობილ აკმოლინსკის ბანაკში, რომელსაც შემოკლებით „ალჟირს“ უწოდებდნენ. რეპრესირებული ქალები გადასახლებაში დაახლოებით რვა წელი, მეორე მსოფლიო ომის ბოლომდე დატოვეს. მათი ქმრების უმეტესობა დახვრიტეს, შვილები კი ნათესავებთან, ან საბავშვო სახლებში იზრდებოდნენ, ზოგჯერ ისე, რომ მათი ბედის შესახებ დედებმა არაფერი იცოდნენ.

ინტერვიუებში საქართველოდან გადასახლებული „ალჟირის“ ქალების შვილები იხსენებენ მშობლებს; მათი დაპატიმრების დეტალებს; მსჯელობენ უსამართლო დაპატიმრებების მიზეზებზე; იხსენებენ მშობლების დამოკიდებულებას სტალინისა და სისტემისადმი; გვიყვებიან გადასახლებიდან დაბრუნებული დედების მდგომარეობაზე და მათ ბედზე; გვაწვდიან საინტერესო ინფორმაციას მაშინდელ საზოგადოებაზე და ამ საზოგადოების დამოკიდებულებაზე „ტროცკისტების“ შვილების მიმართ. მასალა სტალინური რეპრესიების მკვლევარებისა და ამ პერიოდით დაინტერესებული მკითხველებისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანია. თანაც, რესპონდენტების მონათხრობები მოყვანილია ცოცხალი, შეულამაზებელი ენით, ემოციების მოთოკვის გარეშე, რაც თითოეულ ინტერვიუს მკვეთრად პიროვნულს ხდის.

სტალინის რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო ორგანიზაცია „მემორიალმა“ უდიდესი სამუშაო გაწია „ალჟირის“ ქალების სახელების მოძიების საქმეში.[27] 2003 წელს „მემორიალმა“, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის მხარდაჭერით გამოსცა წიგნი — „ალჟირის“ ტყვე ქალები“.[28] წიგნს თან ერთვის გამოკვლევა იმ სამართლებრივი აქტების შესახებ, რომლებსაც „სამშობლოს მოღალატეების“ ცოლებ-

27. აქვე უნდა აღინიშნოს ქართული „მემორიალის“ (სრული სახელი: „საქართველოში საბჭოური პერიოდის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნისა და თანადგომის საზოგადოება „მემორიალი“) გაწეული შრომა საქართველოში სტალინური რეპრესიების და ამ რეპრესიების მსხვერპლთა მოძიება-შესწავლაში დაარსების 1992 წლიდან დღემდე. ქართული „მემორიალის“ ღონისძიებები და პუბლიკაციები სპეციალურად შეეხო რეპრესირებულ ქალებსაც (მაგალითად, დამანა მდივნიშვილის მოხსენება „რეპრესირებული ქალები“, 2004 წ. 16 ივნისს. იხ. ილამაზ მიწიშვილი, *საზოგადოება „მემორიალი“*. „ინტელექტი“: თბილისი, 2005, გვ. 66).

28. *Узницы «АЛЖИРа»: Список Женщин – заключенных Акмолинского и других отделении Карлага*. Москва: «Звеня», 2003.

ის განურჩეველად დაპატიმრება ეფუძნებოდა. წიგნში 5380 ქალის სახელი შევიდა. მათ შორის არიან აქ მოყვანილი ინტერვიუების რესპონდენტების დედებიც.

ეს წიგნი, რომელიც ასევე ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის მხარდაჭერით გამოდის, „მემორიალის" მიერ დაწყებული საქმის გაგრძელებაა – ტყვე ქალების შვილების მოგონებებში რეპრესირებულთა სახეები ცოცხლდება. ისტორია არა მხოლოდ მშრალი სტატისტიკა, არამედ რეალური ხალხის ცხოვრებაა, მათი განცდები, დამსხვრეული თუ განხორციელებული იმედები. თითოეული ეპოქა მილიონობით მიკროეპოქას იტევს, მსგავსი ინტერვიუები კი მათ აღმოჩენაში გვეხმარება. მხოლოდ მშრალმა ციფრებმა, რაც არ უნდა შთამბეჭდავი და მეტყველი იყოს, შეიძლება, პიროვნების ფასეულობის და ცალკეული ადამიანის თუ ოჯახის ტრაგედიის აღქმა მოგვიდუნოს.

ეს კონკრეტული ისტორიები სამოქალაქო შეგნებას უნდა აფხიზლებდეს, განსაკუთრებით ახლა, როდესაც პოსტსაბჭოთა სივრცის ადამიანები ჯერ კიდევ მყიფე დემოკრატიის პირობებში ვცხოვრობთ და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებამდე ბევრი გვაკლია. უკვე გაცვეთილი გამოთქმაა – „ვინც არ იცის ისტორია, განწირულია შეცდომები გაიმეოროს". ალბათ, შეცდომებისაგან მარტო ცოდნა არ აზღვევს, მაგრამ ამ „დაზღვევის" აუცილებელი კომპონენტი კი ნამდვილად არის.

* * *

საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის რეპრესიებს სიღრმისეული, რელიგიურ-მსოფლმხედველობითი ძირები ჰქონდა. შეიძლება, არაადამიანობის გამოვლენის ფაქტი აფექტის ან სიძულვილის დროებითი შემოტევის შედეგიც იყოს, მაგრამ სხვაა, როდესაც სიძულვილი და ადამიანის ღირსების, მისი უფლებების, თავად სიცოცხლის ხელყოფა გარკვეულ მსოფლმხედველობას ეფუძნება და პირადი ვნებების გენერაცია სწორედ თეორიის საფუძველზე ხდება. ამგვარი რამ მსოფლიო ისტორიაში სხვადასხვა კონტექსტში მომხდარა – გავიხსენოთ შუა საუკუნეების ინკვიზიცია; ბიბლიური წინასწარმეტყველების – „მოვა დრო და იფიქრებენ, თქვენი მკვლელობით ღმერთს წირავენ მსხვერპლს" (იოანე 16:2) – პარადიგმა კაცობრიობის ისტორიაში, და ამის მოწმე თანამედროვეობაცაა, ბევრჯერ აღსრულებულა; აღსრულებულა ლოკალურ დონეზე, ცალკეულ რელიგიურ ან პოლიტიკურ სექტაში და გლობალურადაც, როცა ათასობით ადამიანი

რელიგიური შეხედულების გამო ილუპებოდა (ევროპის რელიგიური ომები); მომხდარა მაშინაც, როდესაც ღმერთის ადგილზე დგებოდა „ხალხი“ ან რომელიმე თეორია, როგორც კომუნისტურ და ნაცისტურ ტოტალიტარიზმში მოხდა.

როცა სტალინურ რეპრესიებზე საუბრობენ, ძირითადად, ყურადღებას კონკრეტიკაზე ამახვილებენ, რაც ემოციურად ნამდვილად უფრო მომგებიანია. ძალადობა სხვადასხვა კონკრეტულ გამოვლინებაში, შეიძლება, ტყუპისცალივით ჰგავდეს ერთმანეთს, ძალადობის მიზეზები კი — უსასრულოდ განსხვავდებოდეს: ერთია, როდესაც პლანტატორი მონას სიხარბის გამო დღედაღამ ამუშავებს და სასტიკად ეპყრობა. თანაც, ამავე დროს, სწამს სახარება, რომლის მიხედვითაც იესო ჯვარს ერთნაირად ეცვა როგორც მისთვის, პლანტატორისთვის, ისევე — მონისთვისაც. ასეთ შემთხვევაში, ადრე თუ გვიან, ფუნდამენტური პრობლემა გაჩნდება რწმენასა და ქცევას შორის. მაგრამ სხვაა, როდესაც ადამიანს აწამებენ და კლავენ და ამ დროს, რწმენასა და სასტიკ ქცევას შორის კონფლიქტი არ არსებობს; პირიქით, ძალადობისკენ სწორედ რწმენა უბიძგებს.

კომუნისტური რეპრესიების საფუძვლებში *მენტალურ კონსტრუქციები*, ერთგვარი *თეორიულ ვირუსები* იდო, რომლებსაც რუსეთში მარქსისტი რევოლუციონერები ატარებდნენ — ნეჩაევიდან დაწყებული, ლენინით, ტროცკით და სტალინით დამთავრებული. ვფიქრობთ, სწორედ ეს მენტალური კონსტრუქციები იყო კონკრეტული ადამიანის სიცოცხლის გაუფასურების ძირითადი მიზეზი. იდეოლოგიის დონეზე სიცოცხლის გაუფასურება (რაც ზოგადკაცობრიული მორალის უარყოფას და „კლასის“ ფასეულობის პიროვნულ ფასეულობაზე მაღლა დაყენებას მოჰყვა) პირდაპირ და მიზეზობრივ კავშირშია 1917 წლის რევოლუციის შემდეგ ჩატარებულ ყველა საბჭოურ ტერორთან, მათ შორის 1936-38 წ. სტალინურ რეპრესიებთანაც.

სწორედ სტალინმა და არა რომელიმე სხვა, არანაკლებ შეუბრალებელმა ბოლშევიკმა ლიდერმა შეძლო ძალაუფლების უზურპაცია. ჩანს, სხვა მიზეზებთან ერთად, ეს სტალინის უფრო „თანმიმდევრულმა მაკიაველიზმმა“ განაპირობა. სტალინი თავისუფლად მანიპულირებდა მარქსიზმის და კომუნიზმის თეორიული პრინციპებით — ცვლიდა, ასხვაფერებდა მათ და ცდილობდა მოერგო საკუთარი ძალაუფლებისკენ სწრაფვისთვის. მარქსისტულ თეორიაში უფრო გაწაფულ ბოლშევიკებს კი შედარებით ნაკლები ელასტიურობა ჰქონდათ. არა იმიტომ, რომ სტალინზე ნაკლებად სურდათ ძალაუფლება, ან სტალინზე ნაკლები ავანტიურისტები იყვნენ,

არამედ იმიტომ, რომ მარქსისტულ თეორიებს უფრო „მეცნიერულად" უყურებდნენ, როგორც თავისთავადი ფასეულობის მქონეთ და, ამდენად, უფრო შეუვალს პოლიტიკური კონიუნქტურის მხრიდან.

სტალინური რეპრესიების ხელშემწყობი უმნიშვნელოვანესი მიზეზი ქრისტიანული რელიგიის *ჩანაცვლებაა* მარქსისტული ფსევდო-რელიგიით, როცა აბსოლუტური ინსტანციის ადგილს ღმერთის მაგივრად კომუნისტური პარტია იკავებს, ხოლო თვითონ პარტია სულ მეტად და მეტად იგივდება ერთ პიროვნებასთან – სტალინთან. რუსეთში ამ *ჩანაცვლებამ* წარმატებით იმუშავა სწორედ სტალინის შემოთავაზებული მოდელით: სტალინი მსოფლიო რევოლუციის ტროცკისეულ კოსმოპოლიტურ პროექტს დაუპირისპირდა და მესიანისტური მისიის მატარებელი რუსული სახელმწიფოებრიობა თავისი მონარქიული წყობით შეინარჩუნა, ოღონდ, მესიანიზმის საფუძველი მარქსიზმ-ლენინიზმი გახლდათ და არა „ქრისტიანული მესამე რომის" იდეოლოგია. ამით, სტალინის პროექტი უფრო მისაღები გახდა და უფრო პასუხობდა რუს ხალხში საუკუნეების განმავლობაში ფესვგამდგარ პოლიტიკურ ჩვევებსა და მოლოდინებს.

სოციალისტურ შრომასთან კომპარტიის იდეოლოგიის დამოკიდებულება ასეთი გახლდათ: შრომამ უნდა დაამარცხოს, დაიმორჩილოს, გარდაქმნას ბუნება, ამის პარალელურად კი მშრომელიც არსებითად შეცვალოს, გარდაქმნას „ახალ ადამიანად" – ბოლშევიკებმა ეს ტერმინიც ქრისტიანობისგან ისესხეს. სოციალისტური შრომა ადამიანს რაღაც „საკრალურ" სივრცეში აქცევს და არ აქვს მნიშვნელობა, ეს ადამიანი სისხლის სამართლის დანაშაულზეა დაჭერილი, პოლიტიკური პატიმარია თუ ციხის გარეთაა: შრომა ყველას თანასწორს ხდის. ასეთი დამოკიდებულება, რიტორიკის დონეზე, სტალინის პირველი ხუთწლიანი გეგმის დროსაც იყო, 1928-33 წლებში, მაგრამ 1936-38 წლების ტერორის დროს „ხალხის მტრების" უფრო თანმიმდევრული „დემონიზაცია" მოხდა, ისე, რომ მათი გარდაქმნა უკვე სოციალისტური შრომასაც არ შეეძლო.

რეპრესიების სათავეში მძიმე ინდუსტრიის აშენების სტალინის მიერ შემუშავებული ხუთწლიანი გეგმა იდო, რომლის განხორციელებისთვის სტალინმა დაუნდობელი ბრძოლა გაუმართა გლეხობას ძალდატანებითი კოლექტივიზაციის მიზნით. ინდუსტრიის ნახტომისებრ მშენებლობა მასიური იძულებით შრომას მოითხოვდა, სწორედ ამისთვის სჭირდებოდათ კოლექტივიზაციის დროს დაპატიმრებული გლეხები და კულაკები. ამდენად, პირველი სტალინური

რეპრესიები (1928-33 წწ.) შეიძლება პარტიის ეკონომიკურ პროექტად ჩავთვალოთ. (კოლექტივიზაციის წარმატების ერთ-ერთ გვერდით მიზეზად ჯერ კიდევ ცარიზმიდან შემორჩენილ „ობშჩინის“ ტრადიციას ვთვლით, რომელიც გლეხურ მეურნეობებში პირად ინიციატივას მთლიანად სპობდა). ამ პროექტის გარშემო შიდაპარტიული დაპირისპირება, განსაკუთრებით, 1930 წელს გამწვავდა, რიუტინის ცნობილი პროტესტის დროს. პარტიაში ერთსულოვნების მოპოვების, პარტიის სრული დამორჩილების მიზნით, სტალინმა შეიმუშავა და მოქმედებაში მოიყვანა რეპრესიული აპარატი, რომელმაც პარტიის ძველი ელიტა, ე.წ. „ლენინური გვარდია“ და არმიის გავლენიანი მაღალჩინოსნები თანმიმდევრულად გაანადგურა და შემდეგ უკვე მთელ საზოგადოებაზე გავრცელდა.

დაპატიმრებულთა და, ზოგადად, საზოგადოების პასიურობის მთავარი მიზეზი, რა თქმა უნდა, ტერორი იყო, მაგრამ მოქმედებდა სხვა იდეოლოგიურ-ფსიქოლოგიური ფაქტორებიც, რაც ქრისტიანული რელიგიის კომუნისტური ფსევდო-რელიგიით ჩანაცვლებას უკავშირდებოდა.

საქართველოში რეპრესიების პერიოდში, არანაირ შერბილებას არ ჰქონია ადგილი, უფრო პირიქით იყო. სხვა რეგიონებთან შედარებით საქართველო, ჩანს, უფრო დიდი წნეხის ქვეშ მოყვა. ამის შესაძლო მიზეზები ერთი მხრივ, სტალინის (და ბერიას) ეთნიკური წარმომავლობაა, მეორე მხრივ კი, ქართველების მძლავრი ეროვნული თვითშეგნება, რომელმაც პოლიტიკური გამოხატულება საქართველოს ხანმოკლე დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჰპოვა და რომლისადმი ნოსტალგიაც მეთოდურმა კომუნისტურმა რეპრესიებმა ბოლომდე ვერ ამოძირკვა.

* * *

მაკიაველის „მთავარი“, ჩანს, სტალინის სამაგიდო წიგნი იყო[29]. ფლორენციელი ინატრებდა მსგავს მოწაფეს. თვით მაკიაველის ცოცხალმა იდეალმა, ჩეზარე ბორჯიამ დაუშვა საბედისწერო შეცდომები, რასაც მისი დაცემა მოჰყვა. სტალინმა გაცილებით დიდი წინდახედულება გამოიჩინა და ძალაუფლება სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა, თანაც იმხელა ძალაუფლება, რომლის მსგავსსაც ბორჯია ვერც ინატრებდა — მსოფლიოს ერთ მეექვსედზე, და თუ პოლიტიკურ რეალობას გავითვალისწინებთ, ფაქტობრივად — ნახევარ მსოფლიოზე.

29. «Произведения Макиавелли «Государь» и «Рассуждения на первую декаду Тита Ливия» внимательно изучал Сталин, сделавший ряд многозначительных пометок и подчеркиваний по тексту первого русского издания этих произведений.» О.Э. Лейст, *История политических и правовых учений*. Зерцало, 2006, (стр. 216).

**მორალის დისკვალიფიკაცია**

ის, რომ იდეის ან დიდი მიზნის გამო ბოროტებაზე წასვლა შეიძლება, „ტყეს ჭრიან, ნაფოტები ცვივას“ პრინციპით, არც სტალინის და არც მაკიაველის მოგონილი არაა. ისტორია, ანტიკურობიდან დღემდე, სავსეა მაგალითებით, როცა იდეის ან პოლიტიკური მიზანშეწონილობის მოტივით „ძლიერნი (და სუსტნიც) ამა ქვეყნისა“ საშინელ დანაშაულზე მიდიოდნენ. ხშირად მომხდარა, რომ ზოგად იდეას, სოციო-პოლიტიკურ ხედვას კონკრეტული ადამიანის ინტერესები, კეთილდღეობა და სიცოცხლე შესწირვია. გილიოტინის შემომტანების აზრით, ასიათასების უსასტიკესი სიკვდილი მომავლის ბედნიერებით იყო გამართლებული. რუსი სოციალისტ-რევოლუციონერები საფრანგეთის რევოლუციის პირდაპირი მემკვიდრეები იყვნენ. „ნაროდნოვოლცებისთვის“, ტერორი არა მარტო დასაშვები, არამედ, აუცილებელიც იყო ახალი, სამართლიანი სოციალური სისტემის დასამყარებლად. მარქსისტულ ესქატოლოგიაში სამართლიანი სოციალური სისტემა, ისტორიული აუცილებლობა გახლდათ და რევოლუციის გზით უნდა დამდგარიყო. ისტორიული, „ობიექტური“ აუცილებლობა კი ღვთიურად და აბსოლუტურად აღიქმებოდა არარელიგიური და ათეისტი ადამიანების მიერაც კი. თუ რევოლუცია და ძალადობაც ამ აუცილებლობის ნაწილია, მაშინ პირადი პასუხისმგებლობა ძალადობაზე უქმდება. ძალადობა აღარ აღიქმება ბოროტებად, არამედ თვით კატეგორია „ბოროტება“ ორთქლდება ისტორიული აუცილებლობის შუქზე. და მეტიც, ძალადობა იქცევა სიკეთედ, თუ ის თანხვდება და ხელს უწყობს „ობიექტურ“ პროცესს. „მე მოვკლავ დედას, დავახრჩობ მამას, თუ რევოლუცია მიბრძანებს ამას“[30] — ამგვარი მიდგომის უკიდურესი გამოვლინებაა და თუ ყველა სოციალისტ-რევოლუციონერი ქართველი ენთუზიასტის სიტყვებზე ხელს არ მოაწერდა, მხოლოდ იმიტომ, რომ, მართლაც, „ადამიანი ხშირად უკეთესია, ვიდრე მისი იდეები“. რაკი ქართველი სოციალისტ-რევოლუციონერები ვახსენეთ, გავიხსენოთ, რამდენ ტყუილზე და პროვოკაციაზე წავიდნენ ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ, რათა პოლიტიკური იდეების ბაზარზე თერგდალეულების ასე პოპულარული ეროვნული პროექტი ჩაეძირათ. საკმაო საფუძველი აქვს ეჭვს, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობა სწორედ სოციალისტური მოძრაობის რადიკალური ფრთის ორგანიზებულია. პეტერბურგში ქართველი მარქსისტი სტუდენტების აღტაცებული რეაქციაც ილიას მკვლელობაზე ამის დასტურია: თუ ილია მარქ-

30. შდრ. რ. ჩხარტიშვილი. *ლიტერატურულ-კრიტიკული ბრძოლების ახლო წარსულიდან.* თბილისი, 1992, გვ. 43.

სისტული კლასობრივი ბრძოლის აუცილებლობას უარყოფს და ზეკლასობრივი, ეროვნული ერთიანობის იდეით ხელს უშლის „ტყის ჭრას“, მაშინ მისი მკვლელობა პროგრესული ქმედებაა ისტორიული გადასახედიდან. „ესენი (სოციალისტი რევოლუციონერები) დუელში არ გამოგიწვევენ“ — სიკვდილამდე მცირე ხნით ადრე წერდა ილია ჭავჭავაძე, რომელიც თვითონ რამდენჯერმე იყო გასული დუელზე — „არამედ ზურგში გესვრიან“. მართლაც, დუელი, რაც არ უნდა ცუდი რამ იყოს, მაინც გულისხმობს გარკვეულ ზნეობრივ პრინციპებს, ღირსების კოდექსს, რომელსაც დუელიანტები უნდა იცავდნენ; საპირისპიროდ, როდესაც „დიადი“ იდეა იპყრობს ადამიანს და ამ იდეას ხელი ეშლება, ნებისმიერი ზნეობრივი პრინციპის დარღვევა დასაშვები და სავალდებულოც კი ხდება.

სტალინმა, რომელმაც საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლა ილიას დაარსებულ „ივერიაში“ დაიწყო ლექსით „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“, სულ მალე, ჯერ კიდევ სასულიერო აკადემიის სტუდენტობის პერიოდში, მარქსიზმის გავლენით სრული ტრანსფორმაცია განიცადა. შემდეგ კი მარქსისტული იდეოლოგიის ყველაზე რადიკალური ფრთის მეთაურს, ვლადიმერ ლენინს დაუახლოვდა, რომლის სისასტიკე, უხეშობა და უკომპრომისობაც, როგორც ჩანს, სტალინის განწყობილებებს და ტემპერამენტს კარგად პასუხობდა.

სტალინს, ტაქტიკურ დეტალებს თუ არ ჩავთვლით, სტრატეგიულ, თეორიულ დონეზე ძალადობის და ტერორის გამართლების თვალსაზრისით, არაფერი არ მოუგონია ისეთი, რაც ლენინს უკვე არ ჰქონდა შემუშავებული, და, არა მხოლოდ ლენინს. ამ უკანასკნელს „ღირსეული“ წინაპრებიც ჰყავდა: ვალოდია ჯერ ათი წლისაც არ იქნებოდა, როცა 1870-იან წლებში რევოლუციონერი სერგეი ნეჩაევი წერდა: „*რევოლუციონერმა უნდა გაამწვავოს უბრალო ხალხის უბედურება, იმგვარად, რომ ამოწუროს მათი მოთმინება და წააქეზოს ისინი აჯანყებისაკენ... დაბოლოს, ის სასტიკი კრიმინალის ველურ სამყაროს უნდა დაუკავშირდეს, ერთადერთ ნამდვილ რევოლუციონერს რუსეთში*“[31]. მთავარი, რაც მწვანე შუქს აძლევდა რევოლუციურ ტერორს, ზოგადკაცობრიული ზნეობრივი პრინციპების უარყოფა იყო. ნეჩაევი ამასაც ამბობდა: „*რევოლუციონერს გაწყვეტილი აქვს კავშირი სოციალურ წესრიგთან და მთელს ცივილიზებულ სამყაროსთან, ამ სამყაროს კანონებთან, კარგ მანერებთან, შეთანხმებებთან და ზნეობასთან*“[32]. მარქსმა და ენგელსმა ზნეობა კლასობრივ ფენომენად გამოაცხადეს[33], ეს იდეა მათმა სულიერმა მემკვიდრეებმა ნეჩაევმა და ლენინმა

31. С. Г. Нечаев. Катехизис революционера. Революционный радикализм в России: век девятнадцатый. Документальная публикация. Ред. Е.Л.Рудницкая. Москва: Археографический центр, 1997.

32. Ibid.

33. ნაშრომში „მორალი კლასის მორალია“ ფრიდრიხ ენგელსი წერდა: „ჩვენ, უარვყოფთ ყოველგვარ მცდელობას, რომ თავს მოგვახვიონ რაიმე მორალური დოგმა როგორც მარადიული და საბოლოო, სამარადისოდ უცვლელი მორალური კანონი იმ პრეტექსტით, რომ მორალურ სამყაროს აქვს საკუთარი მუდმივი პრინციპები, რომლებიც განყენებულნი არიან ისტორიისაგან და ერებს შორის განსხვავებისაგან“.

აიტაცეს. მათ ხედვაში აბსოლუტური ადამიანური მორალი არ არსებობს, მორალიც კლასობრივი წარმონაქმნია და ეკონომიკური ურთიერთობებით აიხსნება. ჰიტლერის სიტყვებია: „კაცობრიობა უნდა გათავისუფლდეს სინდისისა და მორალის ბინძური და დამამდაბლებელი ქიმერისაგან“[34]. ამ საქმეში მას ღირსეული კოლეგები ჰყავდა მარქსისტ-ლენინისტების სახით. ახალგაზრდების რუსული კომუნისტური კავშირის სრულიად რუსეთის მესამე კონგრესზე 1920 წელს ლენინი ამბობდა: „ჩვენ უარვყოფთ ნებისმიერ მორალს, რომელიც დაფუძნებულია ადამიანის გარეთ არსებულ და კლასის გარეთ არსებულ კონცეპტებზე. ვამბობთ, რომ ეს არის მუშებისა და გლეხების მოტყუება, გაბითურება და გასულელება მიწისმფლობელებისა და კაპიტალისტების ინტერესების სასარგებლოდ. ვამბობთ, რომ ჩვენი მორალი მთლიანად ემორჩილება პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას“[35]. ცნობილია, რომ კერძო საუბარში ლენინს უთქვამს, – *„ნებისმიერი რამ, რაც პროლეტარიატის საქმისთვის კეთდება, კეთილსინდისიერია“.*

მაგრამ იქ, სადაც უარყოფილია ზოგადკაცობრიული მორალი, სადავე ძალადობას „დიადი იდეის“ სახელით ეშვება. სიძულვილი კლასობრივი ან პოლიტიკური მტრის მიმართ დასაშვები, ანუ, „ნაკურთხი ხდება“. იდეოლოგია „აკურთხებს“ ისეთ დამოკიდებულებას და ქმედებას, რომელიც ზოგადკაცობრიული მორალის თვალსაზრისით ცოდვა და ბოროტებაა. გავიხსენოთ, დოსტოევსკისეული „Если Бога нет, то все дозволено“. დოსტოევსკი თავდაპირველად თვითონ იყო გატაცებული მარქსისტული იდეებით, მაგრამ შემდეგ რადიკალურად გაემიჯნა ამ იდეოლოგიას, როგორც საფუძველშივე მცდარს: მარქსისტებმა კონკრეტული ზოგადით ჩაანაცვლეს, ქრისტიანული პრინციპი „შეიყვარე მოყვასი/ახლობელი[36]“ (возлюби ближнего), რაც გულისხმობს კონკრეტული ადამიანის მიმართ გქონდეს აბსოლუტური მოვალეობა, შეცვალეს „შორებლის სიყვარულით“ (возлюби дальнего)[37]. ეს „შორებელი“ ჯერ არ არსებობდა, იგი იცხოვრებდა წარმოსახვით, მომავლის ესქატოლოგიურ სოციალურ სისტემაში, რომლის მოსვლის დაჩქარებისათვის კონკრეტული ადამიანების გაწირვა, როგორც რევოლუციის მტრების, ისე თავად რევოლუციონერების, არა მხოლოდ დასაშვები, არამედ ღირსების საქმე იყო.[38] მომავლის ამგვარი გაკერპების საწინააღმდეგოდ ვაცლავ ჰაველი წერს:

*„იმ მიდგომას, რომელიც არა აბსტრაქტულ სამომავლო პოლიტიკურ ხედვებზე, არამედ კონკრეტულ ადამიანებზეა*

34. ეს სიტყვები ჰიტლერმა ჰერმან რაუშნინგთან საუბრისას თქვა. რაუშნინგი თავიდან ნაცისტური პარტიის წევრი და ჰიტლერის მთავრობაში სენატის პრეზიდენტი იყო. შემდგომში იგი გაიქცა გერმანიიდან და დაუპირისპირდა ნაცისტებს. მან 1939 წელს გამოაქვეყნა წიგნი, „საუბრები ჰიტლერთან“ საიდანაც არის ეს ციტატაც. Hermann Rauschning. *Hitler Speaks,* Thorton Butterworth: London, 1939.

35. Ленин В.И. Задачи союзов молодежи. _ Полн. собр. соч., т. 41, с. 309-313.

36. ბერძნული ლდნის `plēsion»-თან („ახლობელი“) უფრო ახლოს დგას რუსული „ближний“.

37. შდრ. Н. А. Бердяев, Истоки и смысл русского коммунизма. Москва: «Наука», 1990, стр. 53.

38. ამ მიდგომას დოსტოევსკი უპირისპირებდა ქრისტიანული რწმენიდან გამომდინარე პოზიციას, რომ, შეუძლებელია, გიყვარდეს მთელი კაცობრიობა, თუ არ გიყვარს კონკრეტული ადამიანი; როგორც მისი ერთი გმირი ამბობს: «В отвлечённой любви к человечеству любишь почти всегда одного себя.» (Идиот). დოსტოევსკის მსგავსად, ვაჟა-ფშაველაც ამ ძირითად ცდომილებას ხედავს მარქსისტულ კოსმოპოლიტიზმში, რომელიც ეროვნულ ფასეულობას უარყოფს – აბსტრაქციის სიყვარული თავისთავად აბსტრაქტული რამაა და არა ნამდვილი სიყვარული: „ვინც უარყოფს თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ და კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნევლად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს“ („კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“).

*ორიენტირებული და რომელიც ეძებს გზებს, რათა ეფექტურად დაიცვას ისინი აქ და ახლა, ბუნებრივად თან ახლავს ანტიპათია ნებისმიერი ფორმის ძალადობისადმი, რომელიც სრულდება უმჯობესი მომავლის სახელით, და ის ღრმა რწმენა, რომ ძალადობით მოპოვებული მომავალი შეიძლება სინამდვილეში უარესი იყოს, ვიდრე ის, რაც დღეს არის; სხვა სიტყვებით, მომავალი ფატალურად სტიგმატიზირებული იქნება იმ [ძალადობრივი] საშუალებებით, რომლებსაც მის მოსაპოვებლად მიმართავენ.“*

სისასტიკე და ძალადობა არ არის აგებული პიროვნულ წყენაზე ან პიროვნულ შურისძიებაზე, არამედ თეორიას ეფუძნება («Мы цинизма не любим и просто так не убиваем. Нам теорию подавай»[39]). ადამიანი რაღაც იდეით ბრმავდება; ინფიცირდება თეორიული ბაცილით და უკვე ვალდებული ხდება იძალადოს მათზეც, ვის მიმართაც შეიძლება ამ თეორიის გარეშე მხოლოდ სიმპათია და ჰუმანური გრძნობები ჰქონოდა.

*ძალა უძალოთა*
*თ. XVII*

39. В.С. жуковский, *Любянская Империя НКВД,* 1937-1939. Москва, «Вече», 2001, стр. 37.

**ძალაუფლება და თეორია**

როდესაც ძალადობის გზით ხელისუფლებაში მოვიდნენ, ბოლშევიკებმა თეორიული პრინციპები უკვე თავისუფლად, ფართოდ დანერგეს პრაქტიკაში. ლენინი, ტროცკი, სვერდლოვი, სტალინი და სხვები – ყველანი, განსხვავებული ინტენსიობით, რევოლუციის წლებში „წითელი ტერორის“ არქიტექტორები იყვნენ. არც ერთ ბოლშევიკს ტერორის და მხეცობების წინააღმდეგ ხმა არ ამოუღია. ჩუმად ჩაიარა 13 წლის ბავშვის, მეფის ძის ალექსეის და მთელი სამეფო ოჯახის დახვრეტამაც.

ბრიტანელი მკვლევარი, რობერტ კონკვესტი მიიჩნევს, რომ ლენინის, ტროცკის და სხვა რევოლუციონერი თეორეტიკოსებისაგან, სტალინს, მიუხედავად ძირითადი მსგავსებისა, ერთი რამ განასხვავებდა: თუ პირველებისათვის მარქსისტულ იდეებს, თეორიებს თავისთავადი მნიშვნელობა ჰქონდა და მზად იყვნენ ფანატიკური სიჯიუტით დაეცვათ ისინი, სტალინს აქცენტი ძირითადად ძალაუფლებაზე ჰქონდა გადატანილი და თუ ძალაუფლების კონსოლიდაციას სჭირდებოდა, შეეძლო თეორიული მხარე შეეცვალა ან სულაც, დაეთმო[40]. ეს მას, მოქნილობის თვალსაზრისით, დიდ

40. თუმცა, შეიძლება შევეკამათოთ კონკვესტს, რადგან ამის პრეცედენტი უკვე ლენინმა შექმნა, როდესაც წამოაყენა „შემოქმედებითი მარქსიზმის“ თეორია და საპირისპიროდ მარქსისა, რომელიც სოციალისტურ რევოლუციას შესაძლებლად ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში მიიჩნევდა შესაძლებლად, წამოაყენა „უსუსტესი რგოლის“ თეორია და რუსეთში, როგორც ასეთ „უსუსტეს რგოლში“ რევოლუციის მიზანშეწონილობა.

უპირატესობას აძლევდა თავის თეორიებით გატაცებულ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებზე. ბუხარინის სიტყვებით, *„ნებისმიერ მოცემულ მომენტში, სტალინი შეცვლის თეორიას იმისათვის, რომ ვინმე თავიდან მოიცილოს“*.[41]

ლენინი გვიან, მხოლოდ სიკვდილისწინა ავადმყოფობის დროს მიხვდა მისგან „არაჩვეულებრივ ქართველად“ («чудесный грузин») მონათლულის ნამდვილ მიზნებს და დაუპირისპირდა სტალინს. ამ დაპირისპირების განეიტრალება სტალინმა მხოლოდ დიდი ძალისხმევისა და სიფხიზლის წყალობით მოახერხა. ლენინმა ჯერ აიძულა სტალინი ბოდიში მოეხადა მეუღლის, ნადეჟდა კრუპსკაიას შეურაცხყოფისთვის, შემდეგ კი დაწერა ცნობილი „წერილი ყრილობას“, სადაც ამბობდა, რომ გენერალური მდივნის პოსტზე სტალინის ყოფნა მიზანშეწონილი არ იყო მისი უხეშობისა და არალოიალურობის გამო. ასევე, ლენინი სიკვდილის წინ, მძიმე ავადმყოფობის დროს სტალინს ქართველი კომუნისტების საკითხში დაუპირისპირდა. ქართველ კომუნისტებს, ბუდუ მდივანის მეთაურობით, ეროვნულობის შენარჩუნება სურდათ. სურდათ, დარჩენილიყო საქართველოს კომპარტია, მაშინ როცა სტალინი ყოველგვარი ეროვნულის გაუქმებას მოითხოვდა. ლენინი, რომელიც ეროვნულ საკითხს მეტისმეტად ფაქიზად («архи-сложный») უდგებოდა, საჭიროდ თვლიდა კომუნიზმის საწყის ეტაპზე[42] ეროვნული ნიშნის შენარჩუნებას და სტალინს, საკმაოდ პარადოქსულად, „ველიკორუსულ შოვინიზმში“ადანაშაულებდა. ლენინი სტალინის ცბიერებას ხვდებოდა. ამიტომ დაჟინებით მოთხოვა ტროცკის დროზე ადრე არ გაენდო წერილის შინაარსი კამენევისთვის, რადგან ეშინოდა, რომ ინფორმაცია გაჟონავდა სტალინთან, ხოლო *„სტალინი წავა დამპალ კომპრომისზე («гнилой компромисс») იმისათვის, რომ შემდეგ მოიტყუოს“*. მართლაც, სტალინი დროებითი უკანდახევის დიდი ოსტატი იყო, კომპრომისზე მიდიოდა, რომ მერე, უფრო ხელსაყრელ მომენტში, ბოლომდე გაენადგურებინა მოწინააღმდეგე. მაგრამ ლენინის ეს წერილი, რომელიც ოფიციალურ სხდომაზე ბომბივით უნდა გამსკდარიყო, ისევ სტალინის ხრიკებით და მეცადინეობით, პლენარულ სხდომაზე არ წაიკითხეს და ქართველის ჩაძირვის თუ არა, „ჩაჩოჩების“ გეგმა ჩაიშალა.[43]

ბოლშევიკებს შორის მიმდინარე თეორიულ დაპირისპირებებში სტალინი რადიკალურ პოზიციას იშვიათად იკავებდა. ამ ფაქტს კონქვესტი იმის დასტურად მიიჩნევს, რომ სტალინს უფრო ძალაუფლება აინტერესებდა, ვიდრე იდეები. ასე იყო, მაგალითად, „ახალი ეკონომიკური პოლიტიკის“, ანუ

41. Robert Conquest, The Great Terror: a reassessment. Oxford, Oxford University Press: 1991, p. 17.

42. თუმცა, საბოლოოდ ისიც ეროვნულობის გაუქმების მომხრე იყო, მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო არაძალადობრივად, როგორც კომუნისტური თვითშეგნების ზრდის ბუნებრივი შედეგი.

43. В. З. Роговин, Была ли Альтернатива? *«Троцкизм» - взгляд через годы.* Москва, 1992, гл. IX.

„НЭП"-ის შემთხვევაში, როცა სტალინი ზომიერ, ლენინურ პლატფორმაზე დადგა და ტროცკისტული შეხედულება, რომ კერძო სექტორი რევოლუციური ძალდატანებით უნდა გაუქმებულიყო, არ გაიზიარა. მაგრამ როდესაც ვითარება შეიცვალა, სტალინმა თავისი პოზიცია უკანმოუხედავად უარყო და ტროცკის ხაზი გაიზიარა.

პირველი სტალინური ტერორი 1928-32 წლებში საბჭოთა გლეხობის წინააღმდეგ იყო მიმართული.

### რელიგიის ჩანაცვლება

1928-32 წლებში გლეხობის წინააღმდეგ მიმართულ ტერორში, სტალინი თეორიის თვალსაზრისით, ნოვატორი არ ყოფილა. უბრალოდ, ცხოვრებაში ახორციელებდა იმას, რაც მისმა იდეოლოგიურმა მამამ, ლენინმა მანამდე ჩამოაყალიბა – *პარტია ყოველთვის მართალია*; პარტიას შეუძლია ის გზა დასახოს, რომელიც საბოლოოდ გააბედნიერებს საზოგადოებას, თუმცა, საზოგადოება შეიძლება ჯერაც ბეცი იყოს და ვერ ხვდებოდეს, სად არის მისი ბედნიერება. როგორც ანდრეი პლატონოვი წერს თავის პანეგირიკაში ლენინზე: *„მშრომელი კლასის ცნობიერება ხშირად ჩამორჩება ლენინის ცნობიერებას, რომელიც წინასწარ წვდება მას (ანუ მშრომელი კლასის ცნობიერებას /ლ.გ./), ხოლო სისწრაფე ჯერ კიდევ დაუმთავრებელ ომში დიდი საქმეა"*[44]. ეს მოდელი ლენინის სიკვდილის შემდეგაც დარჩა. გამოდის, რომ პარტიამ და მისმა ლიდერმა წინდაწინ იცის უფრო მეტი, ვიდრე ხალხმა, და ხალხის და პარტიის ნებათა დაპირისპირების შემთხვევაში უპირატესობა პარტიას ეძლევა, რადგან ხალხის ნების დაყოლა, თუნდაც, დროებითი დათმობის სახით, თუ მშვიდობის დროს დასაშვებია, საომარ ვითარებაში სახიფათო და საბედისწეროა. ბოლშევიკების რიტორიკით კი, საომარ ვითარებაში, „სოციალისტური სამშობლო" მუდმივად იყო.

თითქოს, პლატონური მოდელია: არიან ფილოსოფოსები, რომლებიც ობიექტურ სიკეთეს ჭვრეტენ და კანონებს აწესებენ, ცხოვრებას გეგმავენ, ადამიანთა გადაწყვეტილებებს თვით მათთვისვე საკეთილდღეოდ მართავენ. „თითქოს", იმიტომ, რომ, დარწმუნებული ვარ, ის, ვინც პლატონის მმართველი-ფილოსოფოსობისთვის აუცილებელ ნორმატივს ჩააბარებდა, ბოლშევიკებს სათოფეზე არ გაეკარებოდა. თუმცა, სტრუქტურები მსგავსია და პლატონის ფილოსოფოსების როლს ბოლშევიკების იდეოლოგიაში პარტია ას-

44. А. Платонов, Государственный Житель. Минск: «Мастацкая Літаратура», стр. 636.

რულებდა. ასე რომ, პარტიასა და ხალხის ნებას შორის დაპირისპირების შემთხვევაში კომუნისტი ვალდებული იყო მხარი დაეჭირა პარტიისთვის მისი უცდომელობის „მის-ტიური“ რწმენის საფუძველზე.

პარტიასა და ხალხს შორის ასეთი რეალური დაპირისპ-ირება რევოლუციის დასაწყისშივე გამოჩნდა: რევოლუციის შემდეგ ქვეყნის ეკონომიკა დაქცევის პირას იყო, პროლე-ტარიატის ძალები კი არ კმაროდა მდგომარეობის შესაცვ-ლელად. ამის გამო ლენინს მოუწია დათმობაზე წასვლა და საბაზრო ეკონომიკის გარკვეული დოზის დაშვება „ახალი ეკონომიკური პოლიტიკის“ გამოცხადებით. თუმცა, ლენინი მიიჩნევდა, რომ ეს მხოლოდ ტაქტიკური, აუცილებლობით გამოწვეული უკანდახევა იყო, რადგან საბოლოოდ სოციალ-იზმი კერძო კაპიტალს ვერ შეეგუებოდა.

პლატონისგან და თომას მორისგან განსხვავებით, რომლებიც საკუთრების გაუქმებაზე მხოლოდ თეორიულად საუბრობდნენ, ბოლშევიკებმა ეს პრინციპი პრაქტიკულ პოლიტიკურ პრო-გრამად აქციეს და მის განსახორციელებლად ნებისმიერ სი-სასტიკეზე წასვლა დასაშვებად მიიჩნიეს. სისასტიკის მთავარი მიზეზი კი რელიგიურის მსგავსი რწმენა იყო.

სიტყვა „რელიგიური“ ამ შემთხვევაში, ზუსტია, რადგან ბოლშევიკებისათვის კომუნიზმი მხოლოდ სოციალური მოძღვრება არ ყოფილა, ის ცხოვრების ყველა ასპექტს მოიცავდა. შეუძლებელია, კომუნისტი აგნოსტიკოსი ყო-ფილიყო, ის აუცილებლად მებრძოლი ათეისტი გახლდათ. კომუნისტს აბსოლუტური ჭეშმარიტების სჯეროდა, ამ ჭეშმარიტების მატარებელი კი პარტია იყო. „პარტიის მის-ტიკამ“ რუსულ კომუნიზმში ამ მოძღვრების მიმდევრებში რელიგიური რწმენა ***ჩაანაცვლა***. ძველ დროში ქრისტიანი მისიონერები ზუსტად იმ „წმინდა ხისგან“ ჭრიდნენ ჯვარს, რომელსაც წარმართები ეთაყვანებოდნენ, რათა ქრისტიანო-ბას გვერდითი კი არა, ცენტრალური ადგილი დაეკავებინა და სრულად ჩაენაცვლებინა ძველი კულტი (გაცილებით უფრო ნელი და არაეფექტური მეთოდი იქნებოდა იმ „წმინდა ხის“ ***გვერდით*** აღემართათ ჯვარი და, ასე ვთქვათ, „თავისუფალი კონკურენციის“ პირობები დაეწესებინათ). ასევე ხდებოდა რევოლუციურ რუსეთშიც: ბოლშევიზმმა გაითავისა ქრის-ტიანობის ელემენტები და შეეცადა ხალხის ცნობიერებაში ეფექტურად ჩაენაცვლებინა ტრადიციული ქრისტიანობა. მაგალითად, ქრისტიანი მოწამეების ტრადიცია ბოლშევიკი მოწამეების ტრადიციით ჩაანაცვლეს, ლენინის ხელოვნურად კონსერვირებული სხეულის პატივისცემით კი — რუსეთში ასე გავრცელებული წმინდანთა სხეულების თაყვანისცემა.

მეფის რუსეთში მარქსისტმა რევოლუციონერებმა შეძლეს მოწამეობის შარავანდედის შექმნა, მათ ქარიზმას რუსეთის საზოგადოების ყველა ფენა აღიარებდა. ცხადია, ამაში წვლილი იმ უსამართლობებსაც მიუძღვის, რაც მეფის რუსეთში ხდებოდა: სოციალური და ეროვნული ჩაგვრა, შავრაზმელთა ანტისემიტური დარბევები, ჟანდარმერიის სისასტიკე. რუსეთის ეკლესიაც პასიურობდა და სოციალურ პროგრამას არ აყენებდა. ზოგი გავლენიანი რელიგიური მოაზროვნე, მიტროპოლიტ ფილარეტის (1782-1867) კვალდაკვალ, ბატონყმობის ინსტიტუტს მართლმადიდებლური რწმენის ორგანულ ნაწილად მიიჩნევდა, ანუ მარადიულ, რელიგიურ სანქციას აძლევდა სოციალურ ჩაგვრას.[45] თავად-აზნაურებსა და გლეხობას შორის უფსკრული იყო. ელიტის ფუნქცია და მისიაა მთელი საზოგადოების მედროშე და განმანათლებელი იყოს, ამიტომ დაბალი ფენებისგან სრული იზოლაცია, საბოლოოდ, თვით ელიტას ხრწნის – ის თავის უპირველეს ფუნქციას ვეღარ ასრულებს; როგორც ალექსის დე ტოკვილი წერს: „ყოველი არისტოკრატია, რომელიც ისე მაღლდება ხალხზე, რომ წყვეტს მასთან კავშირს, ბერწდება.[46] რუსეთში ეს პროცესი ძალიან შორს წავიდა. თავად-აზნაურობა და დაბალი ფენები სხვადასხვა პლანეტებზე ცხოვრობდნენ. ასეთ დროს ქრისტიანობის უნივერსალური ერთობის იდეაც უკანა პლანზე ინაცვლებდა. ერთი გლეხურ ოჯახში დაბადებული მომავალი მიტროპოლიტი ასე იგონებდა რევოლუციამდელ მდგომარეობას: „მხოლოდ სააღდგომო წირვაზე თუ გვიჩნდებოდა იმის განცდა, რომ ჩვენც ისეთივე ადამიანები ვიყავით, როგორც დიდგვაროვნებიო“. „Церковь как бы в параличе“ – ჩიოდა ფიოდორ დოსტოევსკი[47], რადგან ეკლესია თავისი პასიურობით ქრისტიანობას პოპულარობას უკარგავდა და უკომპრომისო მოწამეების სისხლზე დამყარებულ რელიგიას დიდგვაროვნების ვიწროკლასობრივ ინტერესებთან კონფორმიზმის შუქში წარმოაჩენდა.

რუსეთის იმპერიის ქვეშ მყოფი საქართველო ამ მხრივ კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში იყო. ქართული ეკლესიისთვის დამოუკიდებლობის წართმევა 1811 წელს და აქედან მოყოლებული ექსპანსია (ფრესკების გადათეთრება, ქართული წირვა-ლოცვის რუსულით ჩანაცვლება) ეკლესიას ხალხის თვალში პოპულარობას უკარგავდა. ერის სულიერ წინამძღოლობას მწერლობა, ჟურნალისტიკა, ეროვნული თეატრი კისრულობდა.[48]

სწორედ ამ სულიერი ვაკუუმის ფონზე გაჩნდა „ახალი მოწამეობის“ და დევნილობის შარავანდი მარქსისტ ინტელიგენციაზე და რევოლუციონერებზე, რომლებიც პოპუ-

45. ეს წინადადება კვალიფიკაციას მოითხოვს: ბატონყმობის გამართლება არ იყო პირდაპირი მნიშვნელობით ჩაგვრის გამართლება, რადგან ეკლესია ქადაგებდა უნივერსალურ, ორმხრივ ქრისტიანულ სიყვარულს ბატონსა და ყმას შორის. მაგრამ თავად ბატონყმობის სტრუქტურა ექსპლუატაციის შესაძლებლობას ზრდიდა და ამიტომ ამ სტრუქტურისთვის რელიგიური სანქციის მიცემა ჩაგვრის ირიბი გამართლება გამოდიოდა.

46. Alexis de Tocqueville, *Democracy in America.* New York: A Mentor Book, 1984, p. 175.

47. Достоевский Ф. М. Из Записной тетради 1880-1881 гг. Днев<ник> 1881 // Полн. собр. соч.: В 30 т. Т. 27. Л. 1984. С. 49, 65.

48. ღლევანდელი სავსე ეკლესიების ფონზე შეიძლება გაგვიკვირდეს, რომ, მაგალითად, 1912 წელს, თვით ნინოობის დღესასწაულზე, თბილისის მთავარ ტაძარში, სიონში რუსები მეტნი მივიდნენ, ვიდრე ქართველები, რისი მიზეზიც, ქართველი ეპისკოპოსის აზრით, ქართული გალობის რუსულით შეცვლა იყო. (იხ. დავით ეპისკოპოსი. სიტყვანი. თბილისი: „ხელოვნება“, 1991, გვ. 6.

ლარობას და ზნეობრივ კაპიტალს მოსახლეობის ყველა ფენაში იხვეჭდნენ. ამით აიხსნება ისეთი უპრეცედენტო შემთხვევები, როგორიცაა მსაჯულების მიერ ვერა ზასულიჩის გამართლება, და ეს მაშინ, როდესაც ვერა ზასულიჩმა პოლიციის უფროსს კაბინეტში მთელი რევოლვერი დააცალა (ის მხოლოდ სასწაულით გადაურჩა სიკვდილს). მსაჯულების იდეალისტური ლოგიკა გასაგებია: პოლიციის უფროსი სასტიკად ეპყრობოდა პოლიტპატიმრებს, ვერა ზასულიჩმა კი თავისი სიცოცხლე და მომავალი მოძმეების ხვედრის შესამსუბუქებლად გასწირა. იმდენად დიდი იყო ცარიზმით უკმაყოფილება, რომ, 1905 წლის რევოლუციას (რომელსაც შემდეგ ლენინმა 1917 წლის რევოლუციის „გენერალური რეპეტიცია“ უწოდა) ბევრი არამარქსისტიც მიესალმა. გავიხსენოთ თუნდაც აკაკი წერეთელის ლექსი – *„ძირს, მთავრობავ, უსამართლო! ვეღარ ვიტანთ გასაჭირსო, ყოველი მხრით გვეძახიან, „ძირს, მთავრობავ, აწ კი ძირსო!“* (1905). რუსეთის რევოლუციაში აკაკის მსგავსი რელიგიური ადამიანებიც კი რაღაც ღვთიურს ეძებდნენ – რევოლუცია ობიექტური სასჯელი იყო იმპერიაში გაბატონებული უსამართლობებისთვის. უცნაური პოეტური სახეები იმდროინდელ რუსულ ლიტერატურაში სწორედ ამგვარი იდეური კლიმატის შედეგია: მაგალითად, ალექსანდრე ბლოკის პოემა „თორმეტში“ (მოციქულების რიცხვი) უხეში, სასტიკ რევოლუციონერებს წინ იესო ქრისტე მიუძღვის.

რუსეთში კომუნიზმის მიერ ქრისტიანობის ასე მასიურად ჩანაცვლებას, გარკვეულწილად, ელიტის და მასების გაუცხოებამ და ამ გაუცხოების დაძლევაში ეკლესიის პასიურობამ შეუწყო ხელი. თუმცა, გადამწყვეტი ფაქტორი, ცხადია, „წითელი ტერორი“ იყო – რევოლუციის პროცესში 200 000-მდე სასულიერო პირის დახვრეტა და ნახევარ მილიონამდე სასულიერო პირის სხვადასხვა სახით რეპრესირება[49]. რეპრესიები შეეხო არა მხოლოდ ოფიციალური ეკლესიის სამღვდელოებას და მორწმუნეებს, არამედ პროტესტანტ ქრისტიანებსაც. მათ, შესაძლოა, კიდევ უფრო მეტადაც, რადგან ბოლშევიკური რიტორიკისთვის ქრისტიანობის ის ფორმა, რომელიც ცარიზმით უკმაყოფილო ხალხის თვალში მჩაგვრელ ფენასათან, მართლმადიდებლურ იერარქიასთან არ იყო გაიგივებული, უფრო მოუხელთებელი, და, ამდენად, იდეოლოგიურ კამათში კიდევ უფრო სახიფათო იყო.

ქრისტიანული იდეალიზმი რუსეთში კომუნისტურმა კვაზი-იდეალიზმმა ჩაანაცვლა, რომელსაც პარტია ნერგავდა. სოციალურ ჭრილში ამ კვაზი-იდეალიზმის შედეგი კერძო

49. Андрей Кураев, Протестантам о православии. Москва, 1997, стр. 5-6.

საკუთრების გაუქმების მცდელობა გახლდათ, ანუ საზოგადოების აგება არა პრინციპით – „ყველა თავისთვის და თითოეულის კეთილდღეობა ყველას კეთილდღეობას მოიტანს“ – რაც კაპიტალიზმია, არამედ პრინციპით – „ყველა ყველასთვის, და ზოგადი კეთილდღეობა საზოგადოების თითოეულ წევრსაც მოუტანს კეთილდღეობას“ – ანუ, კომუნიზმი. ნიკოლოზ ბერდიაევის აზრით, მეორე, ***სქემატურად***, უფრო ახლოსაა პირველქრისტიანულ იდეალთან, როდესაც იერუსალიმის პირველ ეკლესიაში ქრისტიანებს საერთო საკუთრება ჰქონდათ. ეს მოდელი იყო მიღებული შუა-საუკუნეების ქრისტიანულ მონასტრებშიც. მაგრამ სქემატური მსგავსება მხოლოდ ზედაპირზეა და უფრო ფუნდამენტურ განსხვავებას ფარავს. კერძოდ კი, ქრისტიანული „სოციალიზმი“ აგებულია ნებაყოფლობითობის პრინციპზე, ხოლო ნებაყოფლობითობა დაკავშირებულია ღვთიური მოცემულობის, მადლის გაგებასთან – ანუ, ის გასცემს მეტს, ვისაც მეტი მიუღია და ვისაც გაცემის შინაგანი, თავისუფალი და არა თავსმოხვეული, სურვილი აქვს; ძალდატანება კი დაუშვებელია, ნებაყოფლობითობის „ვისაც უნდა...“ (მათე 16:24) პრინციპი ისევე აბსოლუტურია ქრისტიანობაში, როგორც თვით გაცემის და მოწყალების იმპერატივი. კომუნისტების (რომლებმაც გამორიცხეს მისტიკური იმპულსის, „მადლის“ არსებობა) მთავარი შეცდომა, ბერდიაევის აზრით, სწორედ ის იყო, რომ მიაჩნდათ, სამართლიანი (თავიანთი გაგებით) და ალტრუისტული საზოგადოებრივი სტრუქტურის ძალდატანებით დაწესების შემდეგ, ხალხი სამართლიანი და ალტრუისტი ავტომატურად გახდებოდა – მათი გულები ოქროს ძაფებით გადაებმებოდა ერთმანეთს.[50] იქამდე მიდიოდნენ, რომ ლენინის ჰიპეროპტიმისტური პროგნოზით, სოციალიზმის შემოსვლასთან ერთად კრიმინალიც გაუქმდებოდა, რადგან კრიმინალი ბურჟუაზიული ეკონომიკური ურთიერთობების პროდუქტი იყო და ამ ურთიერთობების გაუქმებასთან ერთად ისტორიას ჩაბარდებოდა.

50. Н. А. Бердяев, op.cit. стр. 138-139.

რუსი მარქსისტების ილუზორულ ხედვას ასე აფასებს სერგეი ბულგაკოვი: *„რადგან მთელი ბოროტება ადამიანთა საზოგადოების გარეგნული მოუწყობლობითაა ახსნილი, და ამიტომ არ არსებობს არც პირადი დანაშაული, არც პირადი პასუხისმგებლობა, ამიტომ საზოგადოების მოწყობის მთელი ამოცანა ამ გარეგანი უწესრიგობების გადალახვაში მდგომარეობს, რა თქმა უნდა, გარეგნულივე რეფორმებით“*[51]. ასეთი უკიდურესად ზედაპირული, მჩატედ ოპტიმისტური წარმოდგენა ადამიანის ბუნებაზე სისხლის ზღვად დაუჯდა რუსეთს და რუსეთის პოლიტიკურ სივრცეში შემავალ ერებს.

51. С. Н. Булгаков, Героизм и подвижничество. «Вехи» (Сборник статей о русской интеллигенции). Москва, 1990 (Репринтное воспроизведение издания 1909 года), стр. 36.

თუმცა, ზედაპირულ-გარეგნულად, სქემის დონეზე, კომუნიზმი უფრო იდეალისტურად და ალტრუისტულად გამოიყურება, ვიდრე კაპიტალიზმი თავისი თავისუფალი ბაზრით; მიუხედავად იმისა, რომ ფილოსოფიური გადასახედიდან ეს იდეალიზმი ლოგიკურ საფუძველს მოკლებულია, რადგან სოციალურად იდეალისტური კომუნიზმის ონტოლოგია მატერიალისტურია (აღიარებს მატერიის, გრძნობადის პირველადობას იდეაზე, ზე-გრძნობადზე).

სტალინური რეპრესიების დასაბამში საერთო საკუთრების ზემოთნახსენებ ილუზიურ იდეას გამოკიდებაა: პარტია ხალხის ნების დაუკითხავად ცდილობს წაშალოს პირადი ეკონომიკური აქტიობის სივრცე, ანუ ღიად ებრძვის საკუთარ ხალხს. პარალელურად, თვით პარტიაში დემოკრატიზმის პრინციპები თანდათანობით ითრგუნება და სრული დიქტატურა მყარდება. ამ პროცესებში დირიჟორის როლს სტალინი ასრულებს, რომელმაც გენიალური პოლიტიკური ალღოთი მიაღწია იმას, რომ თავისი სახელი პარტიის სინონიმად აქცია; საბოლოოდ, სტალინთან დაპირისპირება, თვით მისი კურსის მოწინააღმდეგეებისთვის, პარტიასთან და სოციალიზმის საქმესთან დაპირისპირებად წარმოჩინდა[52].

მანამდე, სანამ ეს მოხდებოდა, პარტიაში ორი განსხვავებული აზრი ჩამოყალიბდა ეკონომიკის განვითარებაზე: ერთი ზომიერი, რომელიც ითვალისწინებდა კერძო საკუთრების გარკვეული დოზების დაშვებას, დამოუკიდებელი გლეხური მეურნეობებისადმი ტოლერანტულ დამოკიდებულებას; და მეორე – საპირისპირო, რომელიც სახელმწიფოს მიერ დამოუკიდებელი სექტორის დამორჩილებას და კერძო ინიციატივის მოსპობას გულისხმობდა. პირველ პოზიციაზე ბუხარინი იდგა (თუმცა, თავდაპირველად ისიც კაპიტალიზმის სრული ამოძირკვის მომხრე იყო), რომელიც რეალისტურად აფასებდა რუსეთის სიტუაციას და ფიქრობდა რთულ ეკონომიკურ მოდელზე, სადაც სოციალისტური სახელმწიფო შეითავსებდა და არ დაუპირისპირდებოდა კერძო სექტორს, არამედ ეს ორივე სიმბიოზურ ერთობას შექმნიდა[53]. მეორე პოზიციაზე კი იდგა ტროცკი, რომელიც სამხედრო-პოლიციური მეთოდებით ფიქრობდა კაპიტალისტური გადმონაშთების დათრგუნვას. სტალინს, როგორც ვთქვით, თავდაპირველად ზომიერი პოზიცია ეკავა და მხარს უჭერდა „НЭП"-ს[54]. მეტიც, ლენინის სიკვდილის შემდეგ ლენინური ხაზის გატარების სახელით უპირისპირდებოდა მემარცხენეებს – ტროცკის და მის მომხრეებს (ეს დაპირისპირება, ტროცკის პარტიიდან გარიცხვით და ალმა-ატაში დეპორტირებით, საბოლოოდ კი, 1929 წ. მისი დაპატიმრებით

52. ვასილი გროსმანის რომანის, „ცხოვრება და განგება", გმირი ღრმად განიცდის ამ დილემას: „მასში პროტესტს იწვევდა სტალინის ერთმმართველობა პარტიაში, ოპოზიციის წინაამდეგ მიმართული სისხლიან პროცესები და ძველი პარტიული გვარდიისადმი არასათანადო პატივისცემა. ის მტანჯველად განიცდიდა ბუხარინის დახვრეტას, რომელსაც კარგად იცნობდა და ძალიან უყვარდა. მაგრამ იცოდა, რომ როგორც კი დაუპირისპირდებოდა პარტიას ნებისმიერ ამ საკითხში, ის, თავისდა უნებლიედ, აღმოჩნდებოდა დაპირისპირებაში ლენინის საქმესთან, რომელსაც ცხოვრება შეალია». Василий Гроссман, Жизнь и Судьба. Москва: «Книжная палата», 1990.

53. ბუხარინი 1925 წ. ასე აკრიტიკებდა ძალადობას კერძო სექტორზე: „ჩვენთან ჯერ კიდევ დარჩენილია სამხედრო კომუნიზმის ურთიერთობები, რომლებიც ხელს უშლის ჩვენს შემდგომ ზრდას... მდიდარ გლეხობასა და საშუალო გლეხობას, რომელიც ისწრაფვის გახდეს მდიდარი, დღეს დაგროვების ეშინია. გლეხს ეშინია მეტალის სახურავი გაიკეთოს, ვაითუ, კულაკად ჩამთვალონო; თუ მანქანას ყიდულობს, ისე აკეთებს ამას, რომ კომუნისტებმა არ დაინახონ. ტექნიკა კონსპირაციული ხდება. საერთოდ კი, მთელს გლეხობას, მის ყველა ფენას უნდა ვუთხრათ: გამდიდრდით, დააგროვეთ, განავითარეთ თქვენი [კერძო] მეურნეობები". Василий Селюнин, Истоки. Москва: Правда, 1990, стр. 153.

54. НЭП – «Новая Экономическая Политика», მიიღო რუსეთის ბოლშევიკების კომუნისტური პარტიის 10-ე ყრილობამ 1921 წელს. „ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას" უნდა შეეცვალა სამხედრო კომუნიზმი, რომელმაც დააქცია რუსეთის ეკონომიკა. „НЭП»-ი ითვალისწინებდა კერძო მეურნეობების და კერძო კაპიტალის, ბაზრის დაშვებას, როგორც გარდამავალ ნაბიჯს სოციალიზმის გზაზე.

და ქვეყნიდან გასახლებით დამთავრდა), მაგრამ როგორც კი 1928 წელს ტროცკის „მოუარა", თავადაც რადიკალურ მემარცხენე პოზიციაზე დადგა და უკვე მემარჯვენეებს და მათ ლიდერ ბუხარინს დაუპირისპირდა.

მშრომელი გლეხები, ვისაც საკუთარ თავზე ეკონომიკური ინიციატივის აღების შნო ჰქონდა, სტალინმა „კულაკებად" გამოაცხადა და მათი ქონების ექსპროპრიაციის დირექტივა გასცა. ამოღებული ქონების მეოთხედი კი უნდა დარიგებოდა „ღატაკებს", სინამდვილეში, დამსმენებს, ძირითადად, ზარმაცებს და უსაქმურებს, რომელთაც შინაგანად მოტივირებული შრომის არანაირი გამოცდილება არ ჰქონდათ. ზოგჯერ მთავრობა ასეთებს იარაღს ურიგებდა და ექსპროპრიაციის ადგილებზე შესრულებას ავალებდა. სტალინური ინდუსტრიალიზაცია, ფანტასტიკური ხუთწლედური გეგმებით, სწორედ მშრომელი, კერძო საკუთრებით დაინტერესებული გლეხობის ჩაწიხლვის ხარჯზე უნდა მომხდარიყო. მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობა ყაზარმულ რეჟიმზე უნდა გადასულიყო მძიმე ინდუსტრიის ასაშენებლად.

თუ კაპიტალისტურ ქვეყნებში ეკონომიკის ბუნებრივი განვითარების პირობებში მსუბუქი მრეწველობა წინ უსწრებს მძიმე მრეწველობას, სსრკ-ში სტალინის ინიციატივით პირიქით მოხდა: პარტიის ნება უფრო ფუნდამენტური იყო და არაფრად დაგიდევდა ეკონომიკის კანონებს; ამიტომ, ძალდატანებითი ყაზარმული შრომით, თითქმის არაფერზე, სასწრაფოდ უნდა აშენებულიყო მძიმე მრეწველობა. ფაშიზმთან მოსალოდნელი ომის საფრთხე ამ წარმოუდგენელი პროექტის მხარდამჭერი მძლავრი არგუმენტი იყო. იგივე საფრთხე გამოდგებოდა არგუმენტად, რომ პარტია ერთი კაცის, სტალინის ნებას დამორჩილებოდა, რადგანაც ომისთვის მზადების პირობებში პლურალიზმი და მასთან დაკავშირებული შეფერხებები გადაწყვეტილებების მიღებისას საბედისწერო შეიძლებოდა აღმოჩენილიყო (მაგალითად, რესპუბლიკურ რომში ომის პერიოდში სენატი დროებით ირჩევდა დიქტატორს, რომელსაც ყველა უპირობოდ უნდა დამორჩილებოდა).

ინდუსტრიალიზაციის გამო, 36-38 წლების დიდ რეპრესიებზე არანაკლებად მასშტაბური რეპრესიები გლეხობის წინააღმდეგ საბჭოთა სოფლებში გატარდა, განსაკუთრებით კი, უკრაინაში. ეს იყო კბილებამდე შეიარაღებული სახელმწიფოს რეალური ომი საკუთარ დაუცველ მოსახლეობასთან. პარტიამ ეს ომი 6 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლის ფასად მოიგო. შედეგი სოფლის სრული კოლექტივიზაცია, ანუ გლეხობის გეგმაზომიერი განადგურება იყო,

ის ახლაც სახეზეა – დღეს რუსეთში ტრადიციული, უწყვეტი მემკვიდრეობით გადმოსული გლეხობა თითქმის არ არსებობს.

რატომ გახდა მთელი გლეხობის შერეკვა კოლმეურნეობებში („კულაკების“ კი – ლაგერებში) შესაძლებელი რუსეთში და არა რომელიმე ევროპულ ქვეყანაში? ალბათ, ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ მეფის რუსეთშიც სოფლის, გლეხობის დონეზე კაპიტალიზმი ძალიან ცუდად იყო განივითარებული. სტოლიპინმა, მართალია, თავისი რეფორმით ამ მდგომარეობის გამოსწორება დაიწყო, მაგრამ ეს რევოლუციამდე სულ ცოტა ხნით ადრე მოხდა. აქ ტრადიციული „ობშჩინა“ ბატონობდა – კვაზი-სოციალისტური საერთო საკუთრება მიწაზე, როცა გლეხი პირად ინიციატივას ვერ იჩენს, იღწვის მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს „ობშჩინის“ ინტერესებშია. ნიკოლოზ ბერდიაევიც აღნიშნავს რუსი გლეხობის (და არა მარტო გლეხობის, არამედ, რაღაც დოზით, დიდგვაროვნებისაც) განსაკუთრებულ დამოკიდებულებას მიწისადმი, რომელიც მათთვის კერძო საკუთრებად კი არა, რაღაც მისტიურ, ღვთიურ რეალობად აღიქმება; არ შეიძლება იყოს ვინმეს პირად მფლობელობაში, რომაული სამართლის საკუთრების უფლების წესით, არამედ მისით ყველა საერთოდ უნდა სარგებლობდეს.[55] რუსეთში, ჯერ კიდევ მეფის დროს, ეს მდგომარეობა გლეხურ მეურნეობებს პასიურობის დიდ დაღს ასვამდა. მერაბ მამარდაშვილი აქ ფუნდამენტურ პრობლემას ხედავდა და რუსული „ფსიქეს“ ამ თვისებას, კერძოდ კი, უინიციატივობას ორგანულად აკავშირებდა მომავალ კომუნისტურ-ტოტალიტარულ საზოგადოებასთან (მამარდაშვილი აქ რეფლექსირებს რუსი ფილოსოფოსის, როზანოვის ტექსტზე,): *„როზანოვი ეუბნება გლეხებს: თქვენ ამბობთ მიწა ღმერთისაა; კი, ბატონო, მაგრამ ეს ხომ იმასაც გულისხმობს, რომ ამ მიწაზე ადამიანიც ღმერთისა უნდა იყოს, ე.ი. ადამიანმა შრომით, მიწის სიყვარულით თავის თავში უნდა აღმოაცენოს ის მარცვალი, რომელსაც „ღმერთის ხატი“ ჰქვია, და ამით საკუთარი თავის პატივისცემა მოიპოვოს. მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია სხვებსაც სცეს პატივი, რადგან სხვებს ვერ სცემს პატივს ის, ვინც თავის თავს არ სცემს პატივს. თქვენ იცით, რამდენად გავრცელებული იყო ეს უპატივცემულობა 10-იან 20-იან წლებში, შემდეგ ის განმტკიცდა, როგორც საბჭოთა მენტალიტეტის, საბჭოთა წყობის უმთავრესი თვისება და ამდენად ჩვენშიც, ქართველებშიც მოიკიდა ფეხი.“*[56] ლოგიკა ცხადია: პიროვნება არ იკვეთება იქ, სადაც არ სრულდება პიროვნული ძალისხმევა და არ ჩანს ამ ძალისხმევის

55. Н. Бердяев, op.cit. стр. 14-15.

56. მერაბ მამარდაშვილი, საუბრები ფილოსოფიაზე. თბილისი: „მეცნიერება“, გვ. 48-49.

პროდუქტი; ამიტომ, პიროვნული ღირსების გრძნობა მყიფე, უფრო ეფემერული და ნაკლებმნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე უმოქმედო ჯგუფის, სიმრავლის კოლექტიური ღირსების გრძნობა; გამოდის, რომ პირველი შეიძლება ადვილად დაითმოს მეორესთვის. უნებლიედ ლევ ტოლსტოის კომიკური ისტორია გაგახსენდება: როდესაც ნახა, რომ ვერანაირად ვერ დააინტერესა თავისი გლეხები შოპენის მისთვის ასე საყვარელი მუსიკით, თვითონაც შეწყვიტა შოპენის მოსმენა; გამოდის, ,,რუსი გლეხის“ იდეალიზებულ კოლექტიურ ღირსებას/ფასეულობას შესწირა თავისი პირადი გემოვნება და დახვეწილობა, რომელიც ამ კოლექტიურ ღირსებაში არ ეწერებოდა.[57]

ამ ფაქტორების გათვალისწინებით, სტალინის წარმატება, და ის, რომ მისმა გლეხობის წინააღმდეგ მიმართულმა წარმოუდგენელი მასშტაბის რეპრესიამ მაინც იმუშავა, შეიძლება მემკვიდრეობით მიღებული პასიურობითაც იყო გამოწვეული: კოლმეურნეობა ხომ ისევ ,,ობშჩინის“ მსგავსი დაწესებულება იყო, სადაც ეფექტურობის გაზრდის ან შენარჩუნების პირადი მოტივაცია *უკიდურესად* შეზღუდული იყო.

ბუნებრივია, იყვნენ ისინიც, ვინც გულწრფელი ენთუზიაზმით ერთვებოდა კოლმეურნეობების მშენებლობაში, მაგრამ ამგვარ ენთუზიაზმს, პირადი დაინტერესების გარეშე, ხანგრძლივი სიცოცხლე არ უწერია. ასეც მოხდა: როცა სოციალისტური მშენებლობის ეიფორიამ გადაიარა, ენთუზიაზმი აპათიამ და ფუყე რიტორიკამ შეცვალა – ,,გეგმის გადამჭარბებელი“ ერთეული კოლმეურნეების რეკლამირებამ და ,,სოციალისტური შეჯიბრებების“ ფარსმა.

30-იან წლების დასაწყისი საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკების განვითარების მესამე ეტაპია, როცა მილიონობით კულაკი დააპატიმრეს და იძულებით სამუშაობზე გაუშვეს.[58] ამ ეტაპზე გადასვლასთან დაკავშირებულმა ახალმა ვითარებამ მოითხოვა საკონცენტრაციო ბანაკების სისტემის რეორგანიზაცია. ზუსტად ამ დროს ,,ОГПУ“-მ (,,НКВД“-ს უშუალო წინაპარმა)[59] გადაარქვა სახელი ,,ბანაკების საგანგებო დეპარტამენტს“ და ,,შრომა-გასწორებითი ბანაკების და შრომითი განსახლებების მთავარი სამმართველო“ უწოდა – შემოკლების შემდეგ, ,,ბანაკების მთავარი სამმართველო“ - Главное Управление Лагерей - ანუ, ,,ГУЛАГ“-ი. გლეხობის ახალი მასიური გადასახლებები საგანგებოდ იყო ორგანიზებული, რადგან მილიონების ძალდატანებითი შრომის გარეშე ინდუსტრიალიზაციის პროცესის წარმართვა და სტალინის ხუთწლიანი გეგმის შესრულება შეუძლებელი იყო.

57. ალბათ, ამ შემთხვევის გამო ამბობდა ხოსე ორტეგა ი გასეტი ხუმრობით თავის ცნობილ ,,მასების ამბოხში“: ,,ლუციფერი რუსი რომ ყოფილიყო, ტოლსტოის მსგავსად, ღმერთობას კი არა, მეორე გზას (ანუ, უფრო დაბალი რანგის ანგელოზად გახდომას) აირჩევდაო“. (Хосе Ортега-и-Гассет. Восстание Масс. Москва: «Ермак», 2003, стр. 106).

58. პირველი ეტაპია ლენინის დაარსებული საკონცენტრაციო ბანაკები, რომლებშიც განთავსდნენ პოლიტპატიმრები – ყოფილი რეჟიმის მომხრეები, კონტრევოლუციონერები, მაგრამ ასევე, 20-იანი წლების დასაწყისიდან, სხვადასხვა ყაიდის სოციალისტებიც, რომლებიც არ იზიარებდნენ ბოლშევიკების კურსს. შემდეგი ეტაპია 20-იანი წლების ბოლო, როდესაც ძირითადად აპატიმრებდნენ ,,საბოტაჟნიკებს“. ამდენად, კულაკების მასიური დეპორტაციები მესამე ეტაპზე მოდის. († ჰპლებაუმ, ოპ.ციტ. 93).

59. Объединенное государственное политическое управление _ (ОГПУ); Народный Комиссариат внутренних дел СССР (НКВД).

**„ახალი ადამიანი“**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომუნიზმი ერთი ყოვლისმომცველი ხედვის (რუსეთის შემთხვევაში ქრისტიანული მონარქიის) მეორეთი ჩანაცვლება იყო. 30-იანი წლების საბჭოთა რიტორიკა ადამიანის ბუნების გარდაქმნისას იღებს და ასხვაფერებს ქრისტიანულ იდეას (შდრ. ეფეს. 4:24). ამ რიტორიკის მიხედვით, სოციალისტური შრომა, ასე ვთქვათ, ონტოლოგიურ ცვლილებას იწვევს და ახალ ადამიანს ქმნის, რაც არა მარტო ციხის და გულაგის გარეთ მყოფ საბჭოთა მოქალაქეებზე ვრცელდება, არამედ – დაპატიმრებულებზეც: სოციალისტურ შრომაში ჩაბმა მათაც აქცევს ახალ, „გადადნობილ“ ადამიანებად. ასე რომ, პატიმრებიც იღებდნენ „სტახანოველის“ ან „დამკვრელის“ წოდებას, მათ სურათებსაც აკრავდნენ საპატიო დაფებზე.[60] ასეთ დროს ლამის იშლებოდა ზღვარი დაპატიმრებულებსა და ბანაკებს გარეთ მყოფებს შორის. სახელმწიფო ქმნიდა დაინტერესების ფორმებსაც და საჭმლის ულუფებს უზრდიდა დაპატიმრებულ დამკვრელებს ან სასჯელის ვადას უმცირებდა. 36-38 წლებში მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა, როცა პოლიტიკური პატიმრები „ხალხის მტრებად“ შეირაცხა და მათი სრული დემონიზაცია მოხდა. იმ დროს გულაგი უკვე აღარ აღიქმებოდა ადამიანის გარდამქმნელ დაწესებულებად, სადაც ქვეყნისათვის სასარგებლო შრომით ყველას შეეძლო გაკეთილშობილებულიყო (თუმცა, იშვიათად, ამ პერიოდშიც ხდებოდა, რომ განსაკუთრებით გულმოდგინე შრომის საზღაურად პოლიტიკურზე გასამართლებულების პატიმრობის ვადას ამცირებდნენ).

„გარდაქმნის“, „ახალი ადამიანის“ შექმნის კვაზი-რელიგიური იდეოლოგია მოსახლეობის გარკვეულ ნაწილზე მართლაც მოქმედებდა. ინდუსტრიის მშენებლობაში იყო გულწრფელი ენთუზიაზმიც და არა მხოლოდ შიშველი იძულება: სამყაროს გარდაქმნის, ძველის ნგრევის და ახლის შენების იდეა, ახალი ეპოქის გარიჟრაჟი, მაიაკოვსკისეული „Солнечный край непочатый“ ბევრის გონებას და გულს იზიდავდა და თავგამოდებული შრომისათვის განაწყობდა – ახალ რელიგიას თავისი გულწრფელი ადეპტები და ენთუზიასტებიც ჰყავდა.

თავისუფლების ცნების ორ ასპექტს განიხილავენ: თავისუფლება *რაღაცისგან* და თავისუფლება *რაღაცისთვის*. პირველი პიროვნების ავტონომიურობის ღირებულებას გულისხმობს (ხელშეუხებლობას; მის პირად სივრცეში მისგან დამოუკიდებელი შეჭრის დაუშვებლობას; არჩევნის ფართო

60. 1928-32 წლებში ლაგერის შესასვლელში დაპატიმრებულებს ასეთი პლაკატი ხვდებოდა: «Труд в СССР дело чести, дело славы, дело доблести и героизма!».

დიაპაზონს); მეორე კი—უკვე გაკეთებული არჩევნის შედეგად რაღაც კურსზე დგომას, ანუ სასურველად რეალიზებულ არჩევანს. მაგალითად, დიდი რეფორმატორის, იან კალვინის თეოკრატიული ჟენევა აშკარა ტირანიად მოეჩვენებოდა ნებისმიერ ძველ ჟენეველს. სამოქალაქო თავისუფლებები კალვინმა სრულიად ამოძირკვა (იქამდე, რომ ბანქოს თამაში და უწმაწური სიტყვებიც კი ლეგალურად ისჯებოდა); მაგრამ კათოლიციზმისგან დევნილი პროტესტანტი ენთუზიასტებისთვის ჟენევა განხორციელებული თავისუფლების ნიმუში იყო. თუ ადამიანმა მიაგნო რამე რწმენას, იდეას, რომელიც მას სამყაროს ახსნილ, გამთლიანებულ სურათს აძლევს, რომელიც ცხადად დაუსახავს — რას ემსახუროს, რას ებრძოლოს ა.შ., მაშინ ასეთი ადამიანისთვის თავისუფლება ამ იდეის და რწმენის სამსახურში ყოფნაა და პირიქით — არათავისუფლებაა ის, რაც აცილებს ამ მსახურებას. თავისუფლება მისთვის მისიის შესრულების მდგომარეობაა, როცა არჩევანი უკვე გაკეთებულია, ცხოვრებასთან დამოკიდებულება გარკვეული, და არა ალტერნატული გზების წინაშე დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების ხელმწიფება[61] და მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა. ყოვლისმომცველი იდეა, რომელიც ყველაფერს ხსნის მის გარშემო და ცხოვრებას ცხადად განსაზღვრულ, გასაგებ მიმართულებას აძლევს, ადამიანს უზარმაზარ შინაგან ძალას და სიცოცხლის სისავსის განცდას ანიჭებს. აქ დიდი საფრთხეცაა: ყოველგვარი ეჭვი საკუთარი ხედვის სისწორეს ემუქრება და სიცოცხლის სისავსეს ფუშავს. ეჭვისა და მისგან მომდინარე გაურკვევლობის შეტანა ფანტავს მანამდე კონცენტრირებულ, ერთი მიმართულებით მდენ ენერგიას, ქმნის უხერხულ პაუზას.

როცა ადამიანი ღრმად შეტოპავს იდეოლოგიურ განსაზღვრულობაში, ამგვარი პაუზა ძნელი გადასატანია და მძიმე სულიერ კრიზისს მოასწავებს. ამიტომ, ურჩევნია გაექცეს ამ „დემონურ" კრიზისს, თვალი დახუჭოს მასზე, ოღონდაც არ დაერღვეს მსოფლმხედველობითი ჰარმონია და მისგან მომდინარე ცხოვრების სისავსის განცდა. ასეთ დროს მაცდური გამოსავალია შენი ეჭვები და მათი გადაჭრის პასუხისმგებლობა სხვას[62] გადააბარო — პარტიას, ქარიზმატულ ლიდერს ა.შ. — და ილუზორული დამშვიდებით გააგრძელო ძველებური ცხოვრება; 1930-იან 40-იანი წლების ფრაზა „Не нам Сталина учить" ამგვარი დამოკიდებულების კარგი ილუსტრაციაა. კომუნიზმს, ისევე როგორც ფაშიზმს[63] ეს მოტივი გასდევს: უკვე არჩეული გეზი, რომელიც ადამიანის ცხოვრებას სოციალური და პოლიტიკური აქტიურობის უკიდურესად დაძაბულ ველში აქცევს.

61. მივმართავთ, ამ საჭირო არქაიზმს, რომელიც თავის თავში აერთიანებს ორ ასპექტს: ა) თავისუფლებას და ბ) ძალას, შემძლებლობას.

62. დოსტოევსკის გმირის, ივან კარამაზოვის შეთხზული „დიდი ინკვიზიტორის" იგავი ზუსტად ამაზე ამახვილებს ყურადღებას: ადამიანებს ეშინიათ თავისუფლების და პასუხისმგებლობის, ამიტომ მათი უმრავლესობა მზადაა მოიხსნას და სხვას გადააბაროს ეს ტვირთი (კარამაზოვის მითში ეს სხვა კათოლიკური ეკლესიაა).

63. ჰერმან რაუშნინგის გადმოცემით, ჰიტლერმაც ერთხელ აღნიშნა, რომ მას ადვილად შეეძლო კომუნისტი გადაექცია ნაცისტად, მაგრამ იგივეს ვერ უკეთებდა სოციალ დემოკრატს; ცხადია, იმიტომ, რომ ორივე, ნაციზმიცა და კომუნიზმიც ტოტალიტარული, კვაზი-რელიგიური სისტემებია, როცა სოციალ-დემოკრატიას უფრო მოკრძალებული, მხოლოდ სოციალური სფეროზე მიმართული, პრეტენზიები აქვს და ადამიანის პირადი თავისუფლების სივრცეს სრულად არ „ნთქავს".

ნიკოლაი ბერდიაევს ამასთან დაკავშირებით საგულისხმო მაგალითი[64] მოჰყავს: 30-იანი წლების საბჭოთა ახალგაზრდამ, როდესაც პარიზში ჩავიდა, საფრანგეთი აღიქვა, როგორც ქვეყანა, სადაც თავისუფლება არ არსებობდა. როდესაც შეეპასუხნენ: პირიქით, საფრანგეთი თავისუფლების ქვეყანაა, სადაც ვისაც რა უნდა, იმას იფიქრებს, იტყვის და გააკეთებსო (კანონის ფარგლებში, ცხადია), ამაზე საბჭოთა ახალგაზრდამ უპასუხა, რომ საფრანგეთში არ იყო რაიმის შეცვლის, გარდაქმნის რეალური თავისუფლება; იქ ცხოვრება საინტერესო არ იყო. საპირისპიროდ, საბჭოთა კავშირში ყოველდღე ყველაფერი იცვლებოდა, შენდებოდა, გარდაიქმნებოდა; რეალობა სტატიკური კი არ იყო, არამედ ადამიანის ჰეროიკულ ძალისხმევას ნებდებოდა, უკეთესისკენ მიემართებოდა და, საბოლოოდ, კომუნიზმის, ანუ მიწიერი სამოთხის დამყარებით დაგვირგვინდებოდა. მეტიც, თვითონ ადამიანი იცვლებოდა ამ ძალისხმევით, არსებითად, ონტოლოგიურად სხვა ხდებოდა. სქემატურად თითქოს ისეა, როგორც ქრისტიანულ, რელიგიურ მენტალობაში; ოღონდ, ქრისტიანობაში ზესოციალურ დონეზეა – ადამიანი ებრძვის ცოდვას, მუშაობს თავის თავზე, გარდაქმნის თავის მიდრეკილებებს და ღვთიურ ენერგიასთან თანამშრომლობით ხდება „ახალი ქმნილება“ (გალ. 6:15). მნიშვნელოვანი განსხვავებაა იმაშია, რომ ქრისტიანობა არ სვამს მკაფიო სოციალურ პროგრამას და სამოთხეს ზესოციალურ, არამიწიერ ასპექტში განიხილავს; და კიდევ, ქრისტიანობაში ხაზგასმულია მორჩილების და გონიერების იდეა; არ შეიძლება ძალადობა ბუნებაზე და მის წესებზე, რომლებიც ღმერთის შექმნილია.[65] რუსულ კომუნიზმში კი საპირისპიროდაა: აქ არ არის გონიერების მორჩილება, არამედ გონიერებაზე მაღლა დგება ახალი სამყაროს შენების ცეცხლოვანი პათოსი. ნებამ და ენთუზიაზმმა ნებისმიერი წესი უნდა გადალახოს სოციალური, ეკონომიკური, ფიზიკური, თუ ის მიზნის მიღწევის გზაზე დაბრკოლებას ქმნის.

პარტიის ნება და სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობა სინდისის ადგილს იკავებს. კომუნისტურ მშენებლობაში ჩაბმა ყველაფერს კურნავს, ისევე, როგორც აბსოლუტთან კავშირის დამყარება. ეს ერთი აბსოლუტის მეორეთი შეცვლაა: პიროვნული, მისტიური აბსოლუტის, რომელთან თანამშრომლობაც პიროვნების თავისუფალი არჩევნის საქმეა, ***უპიროვნო, სოციალური აბსოლუტით*** (თუმცა, პიროვნების განზომილება, როგორც ამ აბსოლუტის გამტარის, ამ ახალ მოდელშიც თავისებურად შენარჩუნებულია ქარიზმატული პოლიტიკური ლიდერის სახით, რომელიც „ხალხის მამა“ ხდება). ამ იდე-

64. Бердяев, op.cit. стр. 124.

65. თუმცა, ქრისტიანობა უშვებს სასწაულსაც, რომელიც ბუნების წესების საპირისპიროდ სრულდება, მაგრამ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. ასევე, პავლეს თეოლოგიის მიხედვით, ბუნება, მოცემული სახით დაცემულ, არასრულყოფილ მდგომარეობაშია, „ელის“ რომ მასში სასიკეთო ცვლილება მოხდება (მაგ. რომ. 8: 18-20), მაგრამ ქრისტიანობის მიხედვით, ეს არ უნდა მოხდეს ბუნების ძალადობრივი დამორჩილებით, არამედ აქცენტი კეთდება „ხსნაზე“ (იოანე, 3:17), „განკურნებაზე“ ღვთიური მადლის მეშვეობით.

ოლოგიის წყნარი და უპათოსო, მაგრამ როგორი მძლავრი არმიღება ჩანს სერგეი ესენინის სტრიქონებში:

«Конечно, мне и Ленин не икона,
Я знаю мир...
Люблю мою семью...» («Возвращение на Родину», 1924)

მრავალმა ადამიანმა ალალი ნდობით მიიღო ეს ახალი ფსევდო-აბსოლუტი.

იმას, რომ მართლა იყო გულწრფელობა სოციალისტური ქვეყნის შენების პათოსში, და არა მარტო ჩვეულებრივ მოქალაქეებში, არამედ რეპრესირებულებს შორისაც, კარგად აჩვენებს გულაგის პატიმრის, ფრანგი კომინტერნელის, ჟაკ როსის მოგონება: მაშინაც, როდესაც პოლიტიკური რეპრესირებულები „ხალხის მტრებად“ გამოცხადდენ და მათთვის „ამხანაგო“-ს დაძახება აიკრძალა, როდესაც რომელიმე ზედამხედველი ამ სიტყვას გამოიყენებდა, ამას ელექტროდენის ეფექტი ჰქონდა პოლიტპატიმრებზე; მაგალითად, ერთ-ერთი ბანაკის მთავარმა ინჟინერმა მათ „ამხანაგებო“ უწოდა, და მხოლოდ ამ სიტყვისთვის უკვე არაქათგამოცლილმა პოლიტპატიმრებმა ენთუზიაზმით შეასრულეს დამატებითი სამუშაო.[66] ეს ფაქტი ავლენს ამ პოლიტპატიმრებისთვის მთავარ მსოფლმხედველობრივ ტრაგედიას: მათ უკარგავდნენ უფლებას ყოფილიყვნენ, ასე ვთქვათ, „ეპიტიმიის“ ქვეშ, იმ სისტემის მხრიდან, რომლის ნაწილადაც პატიმრობის დროსაც ალიქვამდნენ თავს.

66. Anne Applebaum, GULAG: a history. New York: Anchor Books, 2003, p. 103.

თუმცა, გულწრფელობა არ შობს სიმართლეს. საბოლოოდ, ეს გულწრფელობაც განწირული იყო სახელმწიფოს დონეზე, ვინაიდან მოკლებული იყო ნამდვილ რელიგიურ განზომილებას, იმას, რაც ქრისტიანული თვალსაზრისით ადამიანის ალტრუიზმის მისტიკური წყაროა – ღვთიურ მადლი – პირადი, ძალდაუტანებელი ინიციატივის იმპულსი.

პლატონს ტოტალიტარიზმს მიაწერენ, მაგრამ პლატონის *იდეალური სახელმწიფო* არის თეორია და არა სოციო-პოლიტიკური პროგრამა. პლატონთანაც დგას ენთუზიაზმის საკითხი; მისი აზრით, სახელმწიფოს მცველებს, მეომრებს არ უნდა ჰყავდეთ ოჯახები, არ უნდა ჰქონდეთ პირადი ცხოვრება, საკუთრება. მათი მთავარი საკუთრება და ქონება იქნება *უხილავი ოქრო*, ანუ თავისი ქვეყნის სიყვარული და მისთვის თავდადების სურვილი. მაგრამ, პლატონი მითს მიმართავს – თითქოს მსგავსი ჯარისკაცები ხეებივით ამოიზრდებიან მიწიდან და მათ ბუნებრივად ექნებათ თავისი მიწისადმი (სახელმწიფოსადმი) სიყვარული, როგორც შვილებს დედისადმი. საბჭოთა კავშირში კომუნისტურმა იდეოლოგიამ პლატონის მითის რეალობაში გადმოტანა სცადა, თან უფრო

რადიკალურად, იმიტომ, რომ პლატონთან ჯარისკაცები საზოგადოების მხოლოდ ნაწილი იყო, დანარჩენებს, მაგალითად, მწარმოებლებს და ხელოსნებს, კერძო საკუთრების უფლება ჰქონდათ. საპირისპიროდ, კომპარტია ყველა საბჭოთა მოქალაქისგან პლატონის ჯარისკაცებისმაგვარ ცხოვრებას ითხოვდა. ეს, ცხადია, უტოპიური პროექტი იყო. ასე რომ, მიუხედავად გულწრფელობის ელემენტისა კომუნიზმის მშენებლობის ამ პათოსში და რიტორიკაში, სოციალისტური შრომის პროდუქტიულობა და, მით უმეტეს, ბანაკის შრომის პროდუქტიულობა, დაბალი იყო; ზედამხედველებიც და პატიმრებიც მხოლოდ ოფიციალურ ციფრებზე და მაჩვენებლებზე ზრუნავდნენ, და არა რეალურ შედეგზე და ხარისხზე[67]. პირიქით, НЭП-მა ცხადად აჩვენა, რომ პირადი მოგების მოტივაციას, საბოლოოდ, ქვეყნის ეკონომიკისთვის უკეთესი შედეგი შეიძლება ჰქონოდა.[68] უკვე პოსტსტალინურ, მაგალითად, ბრეჟნევისდროინდელ საბჭოთა კავშირში, ადრინდელმა იდეალიზმმა და ენთუზიაზმმა, როგორც მოსალოდნელი იყო, სრული დევალვაცია განიცადა. ის, თუ რა იყო უფრო ეფექტური, ჩვეულებრივი ადამიანების პირადი მეურნეობა თუ „ახალი ადამიანების“ კოლექტიური მეურნეობა, ცხადად ჩანდა, ერთი მხრივ, სავსე სასოფლო-სამეურნეო ბაზრებისა და მეორე მხრივ — ცარიელი სახელმწიფო გასტრონომებისა თუ ხილბოსტნეულის მაღაზიების ფონზე. ეკონომიკური კანონები მაინც უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე კომპარტიის პოლიტიკური ნება.

### კომუნიზმი და რუსული სახელმწიფოებრიობა

რუსეთში სტალინური ტოტალიტარიზმის წარმატებას თავისი საფუძველი ჰქონდა რუსი ხალხის ტრადიციულ, ჰოლისტურ[69] ხედვაში: სახელმწიფოებრივი რელიგიის ბიზანტიური მოდელი აქ ეფექტურად მოქმედებდა და რუს ხალხშიც ღრმად იყო ფესვგამდგარი. ეს მოდელი გულისხმობს მიწიერი, სოციო-პოლიტიკური ცხოვრების დამუხტვას აბსოლუტით, მარადიულით. აბსოლუტის გამტარი სოციო-პოლიტიკურ სივრცეში არის ხელმწიფე-იმპერატორი, ამდენად, იმპერატორის სამსახური და სახელმწიფოს იერარქიულ წყობაში წესიერი მონაწილეობა დაკავშირებულია ადამიანის სრულყოფილ რეალიზაციასთან, ზეციურ იერარქიასთან საერო ადამიანის კავშირთან. ადამიანის საერო ცხოვრება რიტუალს ემსგავსება.[70] ეკლესია აკურთხებს სოციალურ სტრუქტურას და თვითონაც მისი ორგანული ნაწ-

67. იხ. ibid. pp. 359-360 (გულაგების არაპროდუქტიულობისთვის).

68. იხ. Селюнин, იბიდ. стр. 152.

69. ჰოლისტური, ანუ გამთლიანებული, ყოვლისმომცველი; ნაწარმოებია ბერძნული «holos»-იდან („მთელი“), საიდანაცაა ინგლისური „წჰოლე“ („მთელი“) და „holistic“ („მთლიანი“, „holisturi“). ჰოლიზმი არის სწავლება, რომლის მიხედვით სამყარო არის არა მისი შემადგენელი კომპონენტების „არითმეტიკული“ ერთობა, არამედ სისტემური, გამთლიანებული ერთობა, როდესაც თითოეული ცალკე კომპონენტის არსს და სხვა კომპონენტებთან ურთიერთობას განსაზღვრავს მთელი, სისტემა.

70. ევროპული ყაიდის, რომანტიკული პიროვნებები, რომლებსაც სურდათ გამორჩეულიყვნენ სხვებისაგან და პიროვნული აქტიობის ალტერნატიული სივრცეები შეექმნათ.

ილი ხდება. რუსეთში კიდევ უფრო მეტად იყო ასე, ვიდრე ბიზანტიაში; განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც პეტრე I-მა გააუქმა საპატრიარქო და სინოდი დაუმორჩილა საერო მოხელეს, რითაც, ფაქტობრივად, ეკლესია სახელმწიფოს ერთ-ერთ სამინისტროდ აქცია. სეკულარიზმის, ანუ სხვადასხვა სოციალური სფეროების დამოუკიდებელი არსებობის გაგება უცხო იყო რუსული მენტალობისთვის და საერო ცხოვრებაში, როგორც ვთქვი, რიტუალური მსახურების განზომილება ბუნებრივად აღიქმებოდა. რუსი შეიძლება ყოფილიყო ღარიბი, უპერსპექტივო პირად ცხოვრებაში, მაგრამ ეამაყა იმით, რომ მსოფლიო მნიშვნელობის მქონე იმპერიის ნაწილი იყო, რომელსაც მსოფლიოში ყველაზე კარგი სახელმწიფო მოდელი ჰქონდა — ერთადერთი მართლმადიდებლური მონარქია, მესამე რომი — და, აქედან გამომდინარე, საგანმანათლებლო ფუნქციაც მთელი მსოფლიოსათვის. ამდენად, ცხოვრების რელიგიური აზრი და რუსული სახელმწიფოებრიობა, მართლმადიდებლური იმპერია, მსოფლიო საგანმანათლებლო მისია, ორგანულად იყო დაკავშირებული ერთმანეთთან.

ეს ვითარება კარგად აქვს გადმოცემული და გაკრიტიკებული დოსტოევსკის რომანში „ეშმაკნი“, სადაც ერთ-ერთი გმირი, მესიანური იდეით ატაცებული შატოვი ფიქრობს, რომ მართლმადიდებელი რუსეთი, როგორც ყველაზე ახლოს მდგომი ჭეშმარიტებასთან, ქრისტიანობის შუქს მთელ მსოფლიოს მოჰფენს. რუსეთის სახელმწიოფოს მისია იმდენად ძვირფასია შატოვისთვის, რომ ღმერთის რწმენის ადგილსაც კი იკავებს როდესაც შატოვს ეკითხებიან, „კი მაგრამ შენ გწამს ღმერთი?“, შატოვი წაბორძიკდება და უპასუხებს: „მე ვირწმუნებ ღმერთს“ — გამოდის, მისთვის რუსული სახელმწიოფოს ღვთიური, მესიანური მისია უფრო ფუნდამენტური რამაა, ვიდრე მეტაფიზიკურად ღმერთის არსებობა-არარსებობის საკითხი.

შატოვი ერთეული შემთხვევა არ ყოფილა რუსეთში და სტალინმა, როგორც მაკიაველის ბეჯითმა მოწაფემ, ეს სულიერი განწყობილებები კარგად გამოიყენა. მაკიაველი წერს, რომ როდესაც ძალაუფლებას ძალადობით ჩაიგდებ ხელში, მაშინ საჭიროა გაითვალისწინო დამორჩილებული ქვეყნის, საზოგადოების ტრადიციები და შენი მმართველობით რადიკალურად არ დაუპირისპირდე ამ ტრადიციებს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, თავად შენს ძალაუფლებას შეურყევ საფუძველს. ამიტომ, ტროცკისგან განსხვავებით, რომელსაც რუსული სახელმწიფოებრიობა არ აინტერესებდა და რუსეთში დაწყებული რევოლუციის განვრცობას ევროპასა და მთელ მსოფლიოში აპირებდა, სტალინმა თავისი

ძალაუფლების გამტკიცებისთვის, გენიალური თეორია წამოაყენა: „სოციალიზმი ცალკე აღებულ ქვეყანაში“. ამით მან შეინარჩუნა რუსეთის იმპერია და მართლმადიდებლური რუსული მონარქიის იდეოლოგია ჩაანაცვლა სოციალისტური რუსული მონარქიის იდეოლოგიით, თვითონ კი ახალი „ცარი“ გახდა, რითაც ასე კარგად მოერგო რუსულ მენტალობას და, ახალი ფორმით შეინარჩუნა უწყვეტი მემკვიდრეობითობა.[71] ასე რომ, რუსულ ჰოლისტურ მსოფლხედვას, რომელთანაც რუსული მესიანისტური სახელმწიფოებრიობა ორგანულად იყო დაკავშირებული, ტროცკის მოდელი დარღვევას უქადდა, ხოლო სტალინის მოდელი მას მოდიფიცირებული სახით ინარჩუნებდა.[72]

ცნობილია, რომ ჩინეთში კომუნისტური რევოლუციის შემდეგ, ზოგიერთ პროვინციაში, სადაც ძალიან მცირე შანსი იყო უბრალო მოსახლეობას გაეგო რა იყო კომუნიზმი, გაბეზრებული ჩინელი „ლიკ-ბეზელები“[73] პირდაპირ ეუბნებოდნენ „მაო ძედუნი თქვენი ახალი იმპერატორიაო“. გარკვეულწილად, მსგავსი რამ გააკეთა სტალინმაც, როცა რუსულ მენტალურ მოდელებს კი არ დაუპირისპირდა, არამედ მოერგო, მიესადაგა მათ ძალაუფლების თავის ხელში კონსოლიდაციისათვის, მაშინ როცა ტროცკი, თავისი ზეეროვნული, სუფთად მარქსისტულ-გლობალისტური ხედვით, უნებლიედ დაუპირისპირდა რუსულ და არა მარტო რუსულ[74] სურვილებს. თანაც, მომავალ პოლიტიკურ დაპირისპირებაში სტალინმა კარგად გაათამაშა ანტისემიტიზმის მოტივიც: მეფის დროიდან მოყოლებული, რუსეთში მძლავრი იყო ანტისემიტური განწყობები, „პოგრომები“ სისტემატურ ხასიათს ატარებდა. სტალინმა საქმე ისე წარმოაჩინა, თითქოს იცავდა რუსულ ინტერესებს ფარულად მებრძოლ, ებრაელ ტროცკისაგან (რომელსაც შემდგომში მიემატნენ სხვა ბოლშევიკი ებრაელები: კამენევი, ზინოვიევი, ბუხარინი და სხვები). ჯერ კიდევ ბაქოში ყოფნისას, 1907 წელს, სტალინი ოინბაზურად წერდა თავის მიერ კონტროლირებად არალეგალურ გაზეთში, „ზოგიერთი ბოლშევიკი ხუმრობით ამბობს, რომ ვინაიდან *მენშევიკები* ებრაელების პარტიაა, ხოლო *ბოლშევიკები* ძირძველი რუსებისა, კარგი იქნება თუ „პოგრომს“ მოვაწყობთ პარტიაში“ (იგულისხმება, ბოლშევიკების პარტიაში). სტალინი, შესაძლოა, მაშინ ვერც ხვდებოდა, რომ ეს იდეა მომავალში სულ სხვა, სრულიად არაოინბაზურ კონტექსტში ამოუტივტივდებოდა.

ნიშანდობლივია, რომ სტალინი პეტრე პირველის უფრო გახსნილ და კოსმოპოლიტურ რუსეთზე კი არ აკეთებდა სწორებას, არამედ ივანე მრისხანისეულ, თავის თავ-

71. განსაკუთრებით გამოკვეთა სტალინმა სოციალისტური რუსეთის (სსრკ-ს) ორგანული, სიღრმისეული კავშირი ძველ, მონარქიულ რუსეთთან თავის რიტორიკაში დიდი სამამულო ომის დროს; მაგალითად, დრამატულ 1941 წ. 7 ნოემბრის პარადზე მოსკოვში, ჯარისკაცების საბრძოლო სულის ასამაღლებლად სტალინი ლენინის სახელის გვერდით არ ახსენებდა მარქსს და ენგელსს: «Пусть в этой войне вдохновляет вас мужественный образ наших великих предков - Александра Невского, Димитрия Донского, Кузьмы Минина, Димитрия Пожарского, Александра Суворова, Михаила Кутузова! Пусть осенит вас непобедимое знамя великого Ленина!».

72. სტალინს ამისთვის რუსეთში დღესაც ჰყავს მადლიერი პუბლიკა. მაგალითად, ერთ-ერთ რუსულ მემარჯვენე-ნაციონალისტურ საიტზე სტატიის ავტორი სტალინს გადადებულ რუსოფილად მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ `Вождь СССР был вынужден прикрываться официальной идеологией марксизма, пытаясь протащить русский национализм «контрабандой». Александр Елисеев, Сталин и русский национализм. http://www.pravaya.ru/look/12682.

73. «Лик-без»: Ликвидация безграмотности (უწიგნურობის ლიკვიდაცია) – ბოლშევიკების ინიციატივა მასიურად ესწავლებინათ ხალხისთვის წერა-კითხვა საბჭოთა წყობის პროპაგანდის მიზნით.

74. ცნობილია, რომ ეროვნული უმცირესობებს სსრკ-ში ტროცკი უფრო მეტად არ უყვარდათ ვიდრე სტალინი. თვით ისინი, ვისაც მიაჩნდა, რომ ტირანიის თვალსაზრისით სტალინის და ტროცკის მმართველობითი მოდელები დიდად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, ხედავდნენ, რომ ეროვნულ საკითხში ტროცკი სტალინზე მეტად რეაქციული იყო (R. Conquest, ibid, p. 229).

ში ჩაკეტილ მოსკოვიაზე. გარკვეულწილად, ამას 1918 წ. დედაქალაქის პეტერბურგიდან მოსკოვში გადმოტანამაც შეუწყო ხელი. სტალინს ივანე მრისხანე მოსწონდა, როგორც დიდი პოლიტიკური ხედვის მმართველი, რომელმაც შეძლო როგორც რუსეთის გაერთიანება, ისე მისი დაცვა გარეშე მოწინააღმდეგეებისაგან. თუ დასავლელებისა და სლავიანოფილების ძველ კამათს გავიხსენებთ, სტალინი უფრო სლავიანოფილების ბანაკში მოხვდება, რომლებიც რუსეთის „ევროპისგან განსხვავებულ, სრულიად უნიკალურ" გზას ქადაგებდნენ. ივანე მრისხანეს შიშისმომგვრელ „ოპრიჩნინაზე", რომელიც უწყალოდ უსწორდებოდა ურჩ ბოიარებს, სტალინს კარგი შეხედულება ჰქონდა, როგორც პროგრესულ მოვლენაზე. მხოლოდ ერთ რამეში გააკრიტიკა ივანე მრისხანე, რომ – *„მან ვერ შეძლო ხუთი დარჩენილი ფეოდალური ოჯახის ლიკვიდაცია"* და ირონიულად დაამატა: *„აქ მას ღმერთი უშლიდა ხელს, რადგან ივანე, ერთი ოჯახის ლიკვიდაციის შემდეგ მთელი წელი უნდებოდა მონანიებას, მაშინ როცა მას მეტი და მეტი გაბედულობით უნდა ემოქმედა"*[75].

75. Н. Черкасов, Записки советского актера. Москва, 1953.

### დიდი რეპრესიები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1936-38 წ. „დიდი ტერორის" დასაბამად შეიძლება მივიღოთ 1928-32 წლების ძალდატანებითი კოლექტივიზაცია. ამ დროს პარტიაში ტირანიული კურსის მოწინააღმდეგე ძალები გაჩნდა. ბევრს არ მოსწონდა სტალინის ავტოკრატიის გავრცელება, რომელსაც დამანგრეველი შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა როგორც შიდაპარტიული დემოკრატიისთვის, ისე საბჭოთა ეკონომიკისთვის.

სტალინის ხუთწლიანი გეგმა ინდუსტრიის ნახტომისებრი აშენების მიზნით ეკონომიკურად არარენტაბელური და ფანტასტიკურამდე არარეალისტური იყო. „გულაგიც" იმიტომ გაჩნდა, რომ ფანტასტიკურ ხუთწლედებს მხოლოდ მასობრივი ძალდატანებითი შრომით თუ შეასრულებდი. ბევრს მიაჩნდა, რომ სტალინმა უღალატა რევოლუციას, შიდაპარტიული დემოკრატიის ლენინურ პრინციპებს. იყვნენ ისეთი უკმაყოფილოებიც, რომელთა აზრით, სტალინი აუცილებელი ბოროტება იყო, რომელიც სახადივით უნდა გადაეტანათ, რადგან მოცემულ ეტაპზე მისი სახელი იმდენად გაიგივდა პარტიასთან, ხოლო მისი კურსი ზოგადად პარტიის კურსთან, რომ სტალინთან დაპირისპირება სახი-

ფათოდ მიაჩნდათ თვით რევოლუციის და სოციალიზმის წარმატებისთვის მსოფლიო ასპარეზზე. მათი მცდარი გათვლა ასეთი იყო: სტალინს, ამ უპერსპექტივო პროექტების შედეგად, თავად მოეცარება ხელი, ხალხის უკმაყოფილების ფონზე გაუფუჭდება იმიჯი და, შემდეგ, რომელიმე სხვა ლიდერი მოვა და ის მოაწესრიგებს ყველაფერს. მაგალითად, ზინოვიევი და კამენევი ასე ფიქრობდნენ. ისინი სტალინის ინდუსტრიალიზაციის და კოლექტივიზაციის პროგრამის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, მაგრამ შემდეგ, როდესაც სტალინმა არნახული მსხვერპლის ფასად მიაღწია თავის მიზანს (დააჩოქა გლეხობა, ააშენა მძიმე ინდუსტრია), მოუწიათ ეღიარებინათ კურსის წარმატება და პარტიის წინაშე მოინანიეს კიდეც, იმ გათვლით, რომ, მომავალში მაინც, სტალინის პოლიტიკა არაპოპულარული გახდებოდა და ხალხის სიმპათიები მათკენ გადმოიხრებოდა. თუმცა, ეს მონანიებები, პირიქით, მათ არამომგებიან ზნეობრივ პოზიციაში აყენებდა და მნიშვნელოვნად ცვეთდა მათ იმიჯს და მათდამი ნდობას მოსახლეობაში.[76]

სტალინის კურსს უფრო თამამი ოპონენტებიც ჰყავდა, განსაკუთრებით, ძველი ბოლშევიკების რიგებიდან. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა იყო მარტემიან რიუტინი, ძველი ბოლშევიკი, მოსკოვის კომპარტიის კომიტეტის მდივანი 20-იან წლებში, რომელიც ზღვრულ გაბედულებაზე და რისკზე წავიდა, როდესაც 1930 წელს კარგად დასაბუთებული, 200-გვერდიანი ნაშრომი დაწერა, სადაც აკრიტიკებდა ძალდატანებით კოლექტივიზაციას; ზომიერი ეკონომიკური პოლიტიკის მომხრე პოლიტიკოსების არაგულწრფელ უკანდახევას და მონანიებებს; მოითხოვდა გლეხების უფლებას თავისუფლად დაეტოვებინათ კოლმეურნეობა; დემოკრატიის აღდგენას პარტიაში; და რაც მთავარია, ღიად აკრიტიკებდა სტალინს, უწოდებდა რა მას *„რუსული რევოლუციის ბოროტ გენიას, რომელმაც ძალაუფლებისაკენ სწრაფვის და პირადი შურისძიების გამო რევოლუცია განადგურების პირას მიიყვანა“*. ამ წერილისთვის რიუტინი გაასამართლეს, მაგრამ, მალევე გაამართლეს (საგულისხმო ფაქტია 1930 წელს პარტიაში ჯერ კიდევ არსებული დემოკრატიის თვალსაზრისით). ამის შემდეგ, 1932 წ. რიუტინმა, თავის ზოგ მომხრესთან ერთად პარტიის დაბალ ეშელონებში, კიდევ უფრო მწვავე მიმართვა დაწერა: „მიმართვა სრულიად საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისა)“, სადაც მკაცრად ასამართლებდა ტერორს სოფლებში, არასწორ ეკონომიკურ პოლიტიკას და პირადად სტალინს. მისი მტკიცებით, თუ სტალინი და მისი

76. «[ოპოზიციის] მთელ ამ ხოტბა დიდებას ერთვოდა საკუთარი თავის დამცირება, რიტუალური აღიარება იმისა, რომ სტალინმა არა მხოლოდ მორალურად, არამედ ფიზიკურადაც დაამარცხა ისინი“; მაგალითად, 1934 წ. „გამარჯვებულთა ყრილობაზე“, „ბუხარინი სტალინს უწოდებდა „საუკეთესოთა შორის საუკეთესოს““, ხოლო კამენევი წინასწარმეტყველებდა, რომ როგორც წინამორბედი ეპოქა ისტორიაში შევიდა როგორც ლენინის ეპოქა, თანამედროვე შევიდოდა „სტალინის ეპოქის“ სახელით“. Джефри Хоскинг, История Советкого Союза. Смоленск: «Русич», 2000, стр. 173.

თანამშრახველები ნებით არ დატოვებდნენ პოსტებს, ისინი ძალით უნდა მოეშორებინათ, რაც სტალინმა (ალბათ, არც-თუ უსაფუძვლოდ) გაიგო, როგორც პირდაპირი მოწოდება მისი ფიზიკური ლიკვიდაციისაკენ.

რიუტინმა ეს ნაშრომი მაღალ ეშელონებში რამდენიმე პარტიულ მუშაკს წააკითხა (შემდგომში, სტალინმა ყველა მათგანი დახვრიტა). რიუტინი მეორედ დააპატიმრეს. მიუხ-ედავად სტალინის დიდი სურვილისა, მან ვერ მოიპოვა პარ-ტიის მხარდაჭერა რიუტინის დახვრეტისათვის. სტალინი მიხვდა, რომ პარტიაში თავისი სასარგებლო ერთსულოვნებ-ის მისაღწევად რადიკალური ზომების გატარება აუცილე-ბელი იყო. ცხადია, ყველაფერთან ერთად მასში თვითგა-დარჩენის ინსტინქტიც მოქმედებდა. მართლაც, იმის შემდეგ რაც სტალინმა გააკეთა რუსეთის სოფლებში, რა გარანტია ჰქონდა, რომ ძალაუფლების დათმობის ან დაკარგვის შემ-დეგ სიცოცხლეს შეუნარჩუნებდნენ?

ყველაზე მეტად სტალინს თავისი რეპრესიული ზომე-ბის გატარებაში ხელს უშლიდა ე.წ. „ლენინური გვარდია", ძირძველი, ლენინელი ბოლშევიკები, რომლებიც ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ. სტალინის რეპრესიე-ბი უპირველესად სწორედ მათ წინააღმდეგ იყო მიმართული. ეს ჯგუფი სტალინმა თითქმის სრულიად გაანადგურა.

განსაკუთრებით სახიფათო სტალინისთვის პოლიტბიუროს წევრი, ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, სერგეი კიროვი იყო. იგი საკმაო დამოუკიდებლობას იჩენდა პარტიაში და ღიადაც ეკამათებოდა სტალინს, მაგალითად, იმაში, რომ რიუტინი და მისი პლატფორმის გამზიარებლები არ დახვრეტილიყვნენ. კიროვი სტალინისთვის მოუხელთე-ბელი მოწინააღმდეგე იყო: უზადო ბიოგრაფიის მქონე, ქარ-იზმატული, პოპულარული, თან სტალინის კურსის სრული გამზიარებელი კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის პროექტში. ამდენად, მასზე არ ვრცელდებოდა ის ეჭვები და ბრალდებები, რაც შეეხოთ კამენევს, ზინოვიევსა და ბუხარინს. ამასთან, ტრადიციულად, ლენინგრადის ოლქი, რომლის კომპარტიის ლიდერიც გახდა კიროვი, გარკვეულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა მოსკოვისაგან. სტალინი ჩიხში აღმოჩნდა. სწორედ ამ დროს, 1934 წ. 1 დეკემბერს, კიროვი საიდუმლოებით ვითარებაში მოკლეს[77]. თუ დეტე-ქტიური ჟანრის კანონს გავითვალისწინებთ და მკვლელს იმის მიხედვით დავუწყებთ ძებნას, ვის მოუტანა მისმა სიკვდილმა ყველაზე მეტი სარგებლობა, მაშინ კვალი პირ-დაპირ სტალინთან მიგვიყვანს. თანაც, სტალინის ბიოგრა-ფიას თუ გადავხედავთ, ასეთი მკვლელობის შემაკავებელი

77. კიროვის მკვლელს არანაირი დაბრკოლება არ შეხვდა ციხეს-იმაგრესავით დაცულ სახელმ-წიფო შენობაში შესვლისას. კიროვის დაცვა, რომელიც სხვა დროს ყოველთვის ახლდა კიროვს, არ იყო თავის ადგილზე.

ფაქტორის მოძებნა გაგვიჭირდება. კიროვის მკვლელობა ერთ-ერთი მთავარი მომენტი იყო დიდი ტერორისათვის. სტალინმა ამით გლობალური ისტერია შექმნა – ახალგაზრდა სოციალისტურ სახელმწიფოს შინაგანი მტრები ჰყავს, და თუ კიროვის მკვლელობის დახვეწილ ორგანიზებას გავითვალისწინებთ, ეს მტრები პარტიის უმაღლეს ეშელონებშიც არიან. სტალინმა კიროვის მკვლელობის კოზირი ეფექტურად გაათამაშა და თანდათანობით, მაგრამ პანტა-პუნტით მოიცილა თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები ძველი, ლენინური პარტიული ელიტიდან.

მტრების გამომჟღავნების ისტერიას ხელი შეუწყო იმანაც, რომ სტალინის მიერ დადანაშაულებული ადამიანები აღიარებდნენ თავის არარსებულ დანაშაულს და ხალხის თვალში მართლა მტრები გამოდიოდნენ. მთავარი პროკურორის, ვიშინსკის სასამართლო ფარსებზე ნათქვამი ფსევდო-აღიარებები არა მარტო საბჭოთა პუბლიკას, არამედ ამ პროცესებზე დამსწრე უცხოელ ჟურნალისტებსაც უბნელებდა თვალებს და მათი უმრავლესობა პროცესებს სავსებით ლეგიტიმურად მიიჩნევდა.

ეს აღიარებები უცნაური, უპირველესად იმიტომ იყო, რომ ყველა ამღიარებელი უბრალოდ კი არ ტყდებოდა პოლიტიკურ დანაშაულში, არამედ *აღსარებას* აბარებდა პარტიასა და ხალხს. საჩვენებელ პროცესებზე პოლიტიკურად გასამართლებულები,[78] აბსოლუტურად მართალი პარტიის წინაშე მონანიე აპოსტატების პოზიციიდან წარდგებოდნენ: *„ღირსი ვარ დამხვრიტონ“; „არ ვითხოვ შეწყალებას“* და ა.შ. არავინ ამბობდა – *„ჰო, მე ეს გავაკეთე, ესა და ეს ტერორისტული ჩანაფიქრი განვახორციელე და არც ვნანობ ამას, ვინაიდან ვებრძვი სტალინის ტირანულ რეჟიმს, რომელმაც უღალატა ლენინს და სოციალიზმის საქმეს“*, ან რამე ამგვარს. რეჟიმის პირდაპირ კრიტიკას მიმართავდა უცხოეთში გადახვეწილი ტროცკი, მაგრამ ის შორს იყო.

რაც შეეხება ფაქტებს და მტკიცებულებებს, რის საფუძველზეც იყვნენ „ხალხის მტრები“ დაპატიმრებულები და გასამართლებულები, აქ საკმაო სირთულესთან გვქონდა საქმე და ზოგჯერ მათი ფაბრიკაციის დროს კურიოზებიც ხდებოდა. ეს კურიოზები დიდ უსიამოვნებებს ქმნიდა, რადგან პროცესებს უცხოური პრესაც ესწრებოდა და აშუქებდა.

სინამდვილეში, მთავარი საფუძველი გასამართლებისათვის ფაქტები კი არა, დანაშაულის აღიარება იყო. მაგრამ ეს გამოგონილი აღიარებები დროდადრო გადაუწყვეტელ შეუსაბამობებს იძლეოდა. მაგალითად, ერთ-ერთი ბრალდებული ამტკიცებდა, რომ „მტერი“ დივერსიული მიზნებით

78. თუმცა, იყვნენ ისინი, ვინც უპირისპირდებოდა და ეჭვს გამოთქვამდა დაუჯერებელ აღიარებებთან დაკავშირებით, მაგრამ ეს ხდებოდა არა ფართო პუბლიკის წინ, არამედ პირად დონეზე (მაგალითად, აღშფოთებული სერგო ორჯონიკიძის დარეკვა სტალინთან და მისი მეგობრის, დაპატიმრებული პიატაკოვის გამოსარჩლება) ან შიდაპარტიულ გარჩევებზე, (მაგალითად, როდესაც 1937 წ. თებერვილს პლენუმის სხდომაზე ლაპარაკობდნენ ხალხის მტრებზე და კონსპირაციაზე, სიტყვით გამოვიდა ბუხარინი და თქვა, რომ კონსპირაცია მართლაც არსებობდა, მაგრამ მათი მეთაურები თავად სტალინი და ეჟოვი იყვნენ, რომლებიც ამყარებდნენ „НКВД“-ს რეჟიმს და შეუზღუდავ პიროვნულ ძალაუფლებას აძლევდნენ სტალინს -/Conquest, op.cit, 174/). ასეთი გაბედულების მომავალი იყო ან თვითმკვლელობა (ორჯონიკიძის შემთხვევაში) ან დახვრეტა (ბუხარინის შემთხვევაში).

ტროცკის ოსლოში, სასტუმრო „ბრისტოლში“ შეხვდა. აღმოჩნდა, რომ „НКВД“-მ არაზუსტად გადასცა ინფორმაცია და მსგავსი სასტუმრო ოსლოში საერთოდ არ ყოფილა. შემდეგ მოსმენაზე თქვეს, რომ შეხვედრა არა სასტუმრო „ბრისტოლში“, არამედ კაფე „ბრისტოლში“ შედგა. ანდა, სხვა შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთი ბრალდებული, კერძოდ, პიატაკოვი, აღიარებდა, რომ დეკემბერში ოსლოში ჩაფრინდა და იქ შეხვდა ტროცკის. ოსლოდან მოვიდა პროტესტი, რომ დეკემბერში ოსლოში ფრენები არ იყო. ამაზე ვიშინსკიმ სასამართლოზე წაიკითხა უკიდურესად უმწეო პასუხი, რომ „НКВД“-მ მოიპოვა სარწმუნო ცნობა ოსლოს აეროპორტზე და დაადგინა, რომ ეს აეროპორტი თვითმფრინავებს მთელი წლის მანძილზე იღებს, ანუ ზამთარშიც. ოსლოს პროტესტში არ იყო ლაპარაკი იმაზე, რომ ზოგადად აეროპორტს შეეძლო თვითმფრინავების მიღება მთელი წლის მანძილზე, არამედ მხოლოდ იმ კონკრეტულ ზამთარზე, როდესაც მსგავსი ფრენები არ ყოფილა და როდესაც ბრალდებული, მისივე აღიარებით, თურმე ოსლოში ჩაფრენილა.[79]

79. Conquest, op.cit. p. 152.

### პარტია - მოლოქი

მაინც რატომ ხდებოდა ამგვარი აღიარებები, რომელთაც არცთუ იშვიათად დახვრეტა მოჰყვებოდა ხოლმე? ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ უმეტეს შემთხვევაში, დაპატიმრებული კომუნისტები თავს ისევ პარტიის ერთგულებად მიიჩნევდნენ და კვლავ ინარჩუნებდნენ მისდამი ნდობას. რამდენადაც დაუჯერებელი არ უნდა იყოს, მოქმედებდა დეფექტური ლოგიკა: მაგალითად, პარტიის სტაჟიან წევრს სთხოვდნენ არჩადენილი სახელმწიფო დანაშაულის აღიარებას, ის კი ამბობდა, რომ ერთგული პარტიელი იყო და უარს ამბობდა შეთითხნილი ბრალდების აღიარებაზე. მაშინ ეუბნებოდნენ:☹ „ხომ ხარ ერთგული პარტიელი? ჰოდა, თუ ასეა, პარტია ახლა მოითხოვს შენგან, რომ აღიარო დანაშაული“; რასაც ჩვეულებრივ ასე პასუხობდნენ – *„თუ პარტია მოითხოვს, მაშინ ვაღიარებ“*. ეს ლოგიკა შეიძლება დაიყვანო პრინციპამდე: *„კარგია თუ ცუდია, **ჩემი** პარტიაა“*, ანუ პარტიის ნება პიროვნულ ინტერესზე და თვით სიმართლეზე მაღლა იდგა.

შესაძლოა, აქ უფრო სიღრმისეული ნაკადები მოქმედებდა, რაც ბოლშევიზმით რელიგიის ზემოთნახსენებ ჩანაცვლებას უკავშირდებოდა: სრულყოფილი ღვთის წინაშე ადამიანი თავისი შეზღუდულობით, გარკვეული აზრით, ყოველთვის

დამნაშავეა (თუ ქმედების არა, ფიქრის დონეზე მაინც), და ყოველთვის შეუძლია მოინანიოს. აქაც, არარსებული დანაშაულის აღიარებელი, შესაძლოა, მიყვებოდა ფსევდორელიგიურ განცდას, რომ, რაღაც აზრით, ის მართლაც დამნაშავე იყო პარტიის წინაშე, და რომ მოსალოდნელი სასჯელი მას განწმენდდა ამ დანაშაულისგან. ამგვარი დეფექტური ლოგიკის მაგალითები იყო რევოლუციამდელ რუსეთშიც. გავიხსენოთ „დანაშაული და სასჯელის“ ერთ-ერთი მეორეხარისხოვანი გმირი, მიკოლა, რომელიც არჩადენილ მკვლელობას იბრალებდა. გამომძიებელი მიხვდება, რომ მიკოლა დამნაშავე არ არის, არამედ აქვს რაღაც რელიგიური ლტოლვა გამწმენდელი ტანჯვისაკენ, რის გამოც ტყუილ აღსარებაზეც კი მიდის: „*Знаете ли, Родион Романыч*,“ მიმართავს გამომძიებელი რეალურ მკვლელს, რასკოლნიკოვს, «*что значит у иных из них «пострадать?» Это не то чтобы за кого-нибудь, а так просто «пострадать надо»; страдание, значит, принять, а от властей - так тем паче.*»

თუ ადამიანი თავს პარტიელად მიიჩნევს და თავისივე პარტია მას დამნაშავედ სცნობს, თუნდაც უსამართლოდ, ამ უკანასკნელს ურჩევნია აიტანოს, ვიდრე გაწყვიტოს ყველა თოკი, დაივიწყოს ყველაფერი და თავზეხელაღებულმა იყვიროს ვიშინსკის პროცესზე დამსწრე ბურჟუაზიული ან ფაშისტური (გერმანია, იტალია, იაპონია) ქვეყნების ჟურნალისტების წინ: „გვიშველეთ, გვხოცავენ, ტყუილი აღიარებების საფუძველზე გვხვრეტენ, ეს ყველაფერი ფარსია!“ ურჩევნია საკუთარმა დასაჯოს, ვიდრე უცხოსგან, არაკომუნისტებისგან მიიღოს შველა. რამდენად უცნაურად არ ჟღერდეს, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ბრალდებულები პარტიის იმიჯს უფრთხილდებოდნენ და მის დიდ ტყუილს ფარავდნენ თავიანთი ცრუ აღიარებებით, ისევე, როგორც ბიბლიური ნოეს შვილები მთვრალი მამის სიშიშვლეს.

თუ პარტია ზოგადად სინდისის ადგილს იკავებს, თუ პარტიის ღირსება ინდივიდის ღირსებასთან იგივდება, ისე რომ, პარტიისგან ავტონომიურ ღირსებას ეს უკანასკნელი ვერ ხედავს, მაშინ როცა მისი სინდისი და რეალობის ობიექტური შეგრძნება კონფლიქტში მოდის პარტიის ნებასთან, არ არის ლოგიკას მოკლებული, პარტიის ნებას ყველაფერი შესწიროს მსხვერპლად. სწორედ ამიტომ, არ არის საფუძველს მოკლებული, ის, რომ – „*სტალინმა, თითქმის მიაღწია თავად სიმართლის იდეის გაუქმებას საბჭოთა მენტალობაში*“ (გვ. 256).[80]

80. (Conquest, op.cit.). იყო შემთხვევები, როდესაც ადამიანის სინდისი პოსტ ფაცტუმ ჯანყდებოდა პარტიის მორჩილების ამ ჯოჯოხეთური, კერპთაყვანისმცემლური ლოგიკის წინააღმდეგ და ადრემიცემულ, ასე ვთქვათ, „იდეურ“ცრუ ჩვენებებს გადათქვამდნენ. მაგალითად, ასე გააკეთა ლენინის სახელობის ბიბლიოთეკის დირექტორმა ი. ნევსკიმ, რომელიც ამის შემდეგ დახვრიტეს.

**პარტია - მაფია**

ცხადია, ყველა გასამართლებულს არ ჰქონდა „პარტიის მისტიკის“ განცდა. სხვანაირად, მთავრობას არ დასჭირდებოდა საშინელი ფიზიკური და ფსიქოლოგიური წამების მეთოდები, რათა ეს ცრუ აღიარებები და ცრუ დასმენები გამოეწურა ბრალდებულებისაგან. გაკერპებულებს, თუ ამის საშუალება იყო, გაუსამართლებლადაც კლავდნენ. შინსახკომის[81] მუშაკები დივიდენდებს იწერდნენ „ხალხის მტრების“ გამოვლენაში და თუ ამას ვერ მოახერხებდნენ, მაშინ მათვე დაადანაშაულებდნენ არასათანადო სიფხიზლეში ან „ხალხის მტრებთან“ თანამშრომლობაში. ამიტომ, არანაირ ხერხზე არ ამბობდნენ უარს, რომ „მტრების“ თავიანთი პირადი უსაფრთხოებისთვის საკმარისი რაოდენობა დაეგროვებინათ. ხდებოდა, რომ წამებით გაუტეხელ პარტიელებს შინსახკომელები ემუდარებოდნენ, ხელი მოეწერათ აღიარებაზე და ყოველნაირ დაპირებებს აძლევდნენ. დაპირებები, ჩვეულებრივ, არ სრულდებოდა. ან რატომ უნდა შესრულებულიყო რომელიმე რიგითი კომისრის დაპირება, როცა თვით პარტიის ლიდერი, იოსებ სტალინი არ თვლიდა საჭიროდ მათ შესრულებას? ზინოვიევის და კამენევის „აღიარებები“ კიროვის მკვლელობასთან დაკავშირებით სტალინმა მათგან იმ პირობით მოიპოვა, რომ სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა და მათი ოჯახის წევრებსაც არ შეეხებოდა; ეს მას შემდეგ, რაც მრავალი კვირის წამებამ ვერც ზინოვიევი და ვერც კამენევი ვერ გატეხა. სტალინმა თავისი პირობა დაარღვია: ორივე მოწინააღმდეგე დააზვრეტინა და ვერც მათი მეუღლეები და შვილები გაექცნენ რეპრესიებს.

განსაკუთრებით მტკიცე ადამიანებისაგან მთავრობა აღიარებებს აღწევდა არნახული ფიზიკური და ფსიქოლოგიური წამების, და თუ ესეც არ გაჭრიდა, ყველაზე საშინელი, მაფიოზურ-კრიმინალური გზით, — ემუქრებოდნენ, რომ არაღიარების შემთხვევაში შეურაცხყოფდნენ, აწამებდნენ ან მოკლავდნენ მათი ოჯახის წევრებს (ოჯახით დაშანტაჟების მეთოდს ტროცკიც იყენებდა „წითელი ტერორის“ დროს[82]); იყო შემთხვევები, როცა მუქარა სისრულეში მათ თვალწინ მოჰყავდათ.

სწორედ ამ დროს, 1935 წლის 7 აპრილს, სტალინმა ჯოჯოხეთური კანონი გამოსცა „არასრულწლოვანთა შორის დანაშაულებებთან ბრძოლის ღონისძიებებზე“[83], რომლის მიხედვით დახვრეტას შეიძლება დაქვემდებარებოდნენ 12 წელს მიღწეული ბავშვებიც (ეს კანონი ძირითადად მზრუნველობას მოკლებული, ქუჩის ბავშვების დანაშაულებებს ეხ-

81. Народный Комиссариат Внутренних Дел (НКВД)– „შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი“, შემოკლებით „შინსახკომი“.

82. «По приказу Троцкого составлялись списки родственников офицеров, ушедших к белым. Мало того, в инструкции армейским комиссарам Троцкий указывает на необходимость иметь точные сведения о семейном положении комсостава Красной армии. Во-первых, чтобы в случае гибели командарма в бою семья не осталась без помощи, а во-вторых, для немедленного ареста всех родственников в случае измены.» – «Аргументы и Факты», № 03 (15) от 6 февраля 2003 г.

83. «О мерах борьбы с преступностью среди несовершеннолетних».

ებოდა, მაგრამ კანონი კანონია და მის ბასრ პირს საითაც გინდა მიატრიალებ); დანაშაულად დადგინდა არა რაიმე ქმედება, არამედ სამშობლოს მოღალატის ოჯახის წევრობა. „ЧСИР“-ები (Члены Семьи Изменников Родины) ლეგალურად დაექვემდებარენ გადასახლებას (ან უარესს). სტალინმა ამ კანონებით მილიონობით მძევალი გაინაღდა და უცხოეთში გაქცევის ყოველგვარი სურვილი ჩანასახშივე მოუსპო მისი რეჟიმით დაშინებულ ადამიანებს: თუ დადასტურდებოდა, რომ უცხოეთში გაქცევის შესახებ ოჯახის წევრებმა იცოდნენ, მაშინ ისინი შეიძლება სიკვდილით დაესაჯათ. ხოლო თუ გაქცევა ოჯახის წევრთაგან დაფარულად მოხდებოდა, ოჯახის სრულწლოვანი წევრები „არასათანადო სიფხიზლისთვის“ შესაძლოა ხუთი-რვა წლით გადაესახლებინათ.

ოჯახის და კერძო სივრცის ფასეულობა ისედაც რელატიური რამ იყო ბოლშევიკებისთვის, მაგრამ ახლა, ამ კანონებით ბავშვები სავსებით მოწყვიტეს დედებს, ხშირად სამუდამოდ. ხდებოდა, რომ ბავშვები თვითონ იჩენდნენ ინიციატივას და ცდილობდნენ სტალინამდე მიეწვდინათ ხმა დედის უდანაშაულობაზე. ეს წერილი НКВД-ს ერთ-ერთი გამომძიებლის არქივებში აღმოაჩინეს:

*«Дядя Иосиф Виссарионович!*

*Я и моя сестра Роза учимся в 151-й школе Ленинградского района города Москвы. Я учусь в пятом классе, а Роза во втором классе. Мы решили написать Вам письмо для того, чтобы мы были спокойны и могли лучше учиться. Нашего папу Василия Тарасовича Чемоданова забрали 15 сентября 1937 года. Мама в это время была в больнице, сделали сложную операцию – кесарево сечение, вытащили сестричку, которую мы назвали Светланочкой. Уже 3,5 месяца ей. Спустя два месяца, как взяли папу, пришли за мамой. Но маму не взяли, потому что Светланочке было три недели и мама была очень плоха. Они попросили дать подписку о невыезде из Москвы. Иосиф Виссарионович, мы просим Вас, чтобы нашу маму не трогали, потому что она у нас хорошая и мы очень любим ее. Просим Вас, чтобы Вы прислали нам ответ на наше письмо. И обещаем, что будем учиться на «хорошо» и «отлично».*

Ленинградское шоссе, дом 36, квартира 191. Писал Гриша Чемоданов. Роза Чемоданова, Чемоданов Гриша за Светланочку».[84]

ბავშვები ინტუიციით გრძნობდნენ, რომ მხოლოდ ბოროტ ხალხს შეეძლო მათთვის მშობლები წაერთმია. საქართველო-

84. «новое время», No 10, апрель, 2007, стр. 26.

ში, ბერიას პირადი ბრძანებით დაატუსაღეს და გაასამართლეს ცამეტ-თოთხმეტი წლის ანდრო ბუაჩიძე, რომელმაც დედ-მამის დაპატიმრების შემდეგ სკოლაში ეჟოვის სურათის მიმართ უპატივცემულობა გამოხატა. სასამართლო პროცესზე კი მისი სკოლის მოსწავლეებიც დაასწრეს ჭკუის სასწავლებლად.[85] საქმე ექსტრემალურ რეაქციებამდეც მიდიოდა: არის ერთი ცნობა, რომ ბავშვებმა შექმნეს ორგანიზაცია რათა შური ეძიათ და მოეკლათ НКВД-ს ოფიცრები, რომლებმაც მათ მშობლები გადაუსახლეს[86].

თავდაპირველად, რეპრესიები მიმართული იყო პარტიის ელიტაზე. უპირველესად, პოლიტბიუროს იმ წევრებსა და წევრობის კანდიდატებზე, რომლებსაც შეეძლოთ დაებალანსებინათ სტალინის ერთპიროვნული ლიდერობა. ამ რეპრესიებში არავის ინდობდნენ, ყოფილ მეგობრებსაც კი. თან, მანამდე სანამ საბოლოო დარტყმას მიაყენებდა, სტალინი უმძიმეს ფსიქოლოგიურ პრესში ამყოფებდა მოწინააღმდეგეს და თავისებურ კატა-თაგვობანას ეთამაშებოდა. სულ ორი მაგალითი: როდესაც გაჩხრიკეს სერგო ორჯონიკიძის ბინა მოსკოვში და ამასთან დაკავშირებით ორჯონიკიძემ აღშფოთებით დაურეკა სტალინს, უკანასკნელმა მშვიდად უპასუხა, რომ НКВД ისეთი დაწესებულებაა, რომელსაც თვით მისი, სტალინის ბინის გაჩხრეკაც ნებისმიერ დროს შეუძლია. სერგო ორჯონიკიძე საიდუმლო ვითარებაში მოკვდა – ოფიციალური ვერსიით – გულის შეტევით, მაგრამ მაშინვე დაირხა ხმა, რომ ორჯონიკიძეს თავის მოკვლა აიძულეს, ან სულაც მოკლეს. ყოველ შემთხვევაში, ოთხი ექიმიდან, რომლებმაც ოფიციალურ ვერსიაზე ხელი მოაწერეს, სამი რეპრესიაში მოყვა (ორი მათგანი დახვრიტეს), მეოთხის შესახებ კი ამ ფაქტის შემდეგ არაფერია ცნობილი. მეორე მაგალითი – როდესაც ზინოვიევის და კამენევის დახვრეტის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ბუხარინის დღეებიც დათვლილი იყო (თანაც, მისი სახელი ანტისაბჭოთა დანაშაულებთან დაკავშირებით რამდენჯერმე ავისმომასწავებლად ირიბად გაისმა ვიშინსკის ხელმძღვანელობით გამართულ პროცესების დროს), წითელ მოედანზე გამართულ ერთ-ერთ აღლუმზე სტალინმა ტრიბუნის დაბალ საფეხურზე მდგომ ბუხარინს, რომელიც მაშინ პოლიტბიუროს კანდიდატამდე იყო ჩამოქვეითებული, მიუგზავნა სამხედრო პირი და აიყვანა მთავარ ტრიბუნაზე, ლენინის მავზოლეუმის თავზე. მეორე დღეს ბუხარინის სახლში მივიდნენ ორგანოს მუშაკები და ბინის დაცლა მოთხოვეს, რადგან იქ სხვა ოჯახი უნდა შესახლებულიყო. აღშფოთებული ბუხარინი დაუკავშირდა სტალინს, რომელმაც ყურადღებით მოუსმინა და *ძალიან გაბრაზდა*

85. გერონტი ქიქოძე. თანამედროვის ჩანაწერები. თბილისი: „არეტე“, 2003, გვ. 90-91.

86. *E. Lipper, Eleven Years in Soviet Prison Camp. London, 1951, p. 72.* მსგავსი ცნობა მოყავს ალეკო ასლანიშვილსაც, რომ ბათუმში, 12 წლის ასაკის ბავშვების ჯგუფს, „ბანდიტური ორგანიზაციის“ შექმნის ბრალდებით, ხანგრძლივი ვადით პატიმრობა მიესაჯა (იხ. ალეკო ასლანიშვილი. ათწლეულების სიგრძის საექსპერიმენტო პოლიგონი. „საქართველოს რესპუბლიკა“, 143, 26 ივლისი, 2007.

ამ გაუგებრობის გამო. რამდენიმე დღეში ბუხარინი დააპატიმრეს, შემდეგ დახვრიტეს; მისი ცოლი და ქალიშვილი გადასახლებაში მოყვნენ, პირველმა ცოლმა კი ყოფილი ქმრის ბედი გაიზიარა.

პარტიული ელიტის დამორჩილების შემდეგ სტალინი არმიას მიადგა და ასევე შეთითხნილი ბრალდებით დაახვრეტინა უნიჭიერესი გენერალი და ძირძველი ბოლშევიკი მარშალი მიხეილ ტუხაჩევსკი, მის კვალდაკვალ კი წითელი არმიის 30 000-მდე ოფიცერი.

პარტიის ელიტისა (როგორც ცენტრში, ისე პერიფერიებში) და ჯარის შემდეგ, ტერორი მთელ საზოგადოებაზე გავრცელდა, განსაკუთრებით, ინტელიგენციაზე. „მტრების გამოვლენამ“ მასობრივი ისტერიის სახე მიიღო, რასაც მთელი პროპაგანდისტული მანქანა – კინოფილმები, მხატვრული ნაწარმოებები, სპექტაკლები, საგაზეთო სტატიები შეგნებულად უწყობდა ხელს.[87] როგორც НКВД-ს, ისე პარტიის მაღალჩინოსნებს ავალებდნენ განსაკუთრებულ სიფხიზლეს – „бдительность“ – და თუ სათანადო რაოდენობის მტრებს არ გამოავლენდნენ, თავად მტრებთან თანამშრომლობაში ეჭვმიტანილნი ხდებოდნენ. მაგალითად, თუ მეზობელ ოლქში ბეჯითი დამსმენების სიყოჩაღის შედეგად გამოვლინდებოდა 5000 მტერი და მავნებელი, ხოლო მეორე ოლქში, დავუშვათ, მხოლოდ 50, მაშინ ასეთი სტატისტიკური განსხვავება ავტომატურად ოლქის ხელმძღვანელობის უნიათობაზე და მოდუნებულ ყურადღებაზე, ან კიდევ უარესზე მიუთითებდა. ამიტომ, სტალინის რეპრესიული სისტემა ქმნიდა „მტრების“ გამოვლენის და დაპატიმრების მუდმივმოქმედ, შიშზე აგებულ პირობას, როცა დაპატიმრებები სტატისტიკის შესაბამისად უნდა შესრულებულიყო, ხუთწლედის გეგმის მსგავსად. დასმენა, მათ შორის ანონიმურიც, სახელმწიფო ვალდებულებად იქცა.[88] განუვითარებელი, არაბუნებრივად სწრაფად მშენებარე ინდუსტრიის პირობებში უამრავი ავარია, უბედური შემთხვევა ხდებოდა წარმოებებზე, რკინიგზაზე, მაღაროებში; ხალხის მტრების ძებნის მასიური ისტერიის პირობებში ადვილი იყო ეს ყველაფერი ვინმეს მავნებლობისა და საბოტაჟისთვის მიეწერათ, ამიტომ, ასეთ ობიექტებზე ხელმძღვანელ პოსტებზე ყოფნის ხანგრძლივობა დიდი არ იყო. თანამდებობებზე მყოფი პირები, ცხადია, დასმენის განსაკუთრებული რისკის ქვეშ იყვნენ კიდევ ერთი მიზეზის გამოც – შესაძლოა, თანამდებობის და ბინის ხელში ჩაგდების ან უბრალო შურის გამო დაესმინათ. სახელმწიფო ხელს უწყობდა და გასაქანს აძლევდა ხალხში ყველაზე მდარე ინსტინქტებს – შურს,

87. ეჭვიანობა ყველა დონეზე აღწევდა. მაგალითად ვ. ს. ჟუკოვსკი იხსენებს სკოლაში დარხეულ ხმას, რომ პიონერების ყელსახვევის რკინის სამაგრზე გამოსახული ცეცხლის ალები, სინამდვილეში კონტრევოლუციონერების გაკეთებული მინიშნებაა ტროცკის წვერებზე. ჩანს, ამას ცუდი შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ მაშინდელი ავადმყოფური სიტუაციის გათვალისწინებით სავსებით დასაშვებია, რომ ერთი თავგადასავლების მოყვარული ბავშვის ფანტაზიაში დაბადებული აზრი კონკრეტული ადამიანის, ამ შემთხვევაში, ყელსახვევების სამაგრის გამომშვების დაპატიმრების მიზეზი გამხდარიყო. (В.С. жуковский, op. cit.)

88. თვით რომის იმპერიაში გამოდიოდა კანონები, რომლებიც იცავდა ადამიანს ანონიმური დასმენებისაგან, მაგალითად, იმპერატორი ტრაიანეს მიერ. იმპერატორი ადრიანეს კანონით კი, თუ დამტკიცდებოდა, რომ დასმენა იყო სიცრუე, მაშინ მატყუარა დაისჯებოდა იმავე სასჯელით, რითაც უნდა დასჯილიყო დასმენის ობიექტი დამსმენის ინფორმაციის დადასტურების შემთხვევაში. სტალინის რეპრესიულ სისტემაში ასეთი ბერკეტები არ იყო და დამსმენებს სრული თავისუფლება ჰქონდათ.

შიშს, ტოტალურ უნდობლობას. ასეთ დროს გმირობას შეეძლო უბრალო საქციელის ფორმა მიეღო – მაგალითად, პარტიის მაღალჩინოსანმა თავის მძღოლს მანქანა გააჩერებინა ქუჩაში მიმავალ „ხალხის მტრის“, მისი მეგობრის დედის გვერდით და სახლამდე მიაყვანინა.[89]

ისეთი მძიმე სულიერი ატმოსფერო იყო, რომ ბევრს მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ ერთგვარი შვება მოგვარა.

**ხალხის პასიურობა**

რატომ არ აპროტესტებდა ხალხი ღიად აბსურდულ მასიურ დაპატიმრებებს? ამის ერთ-ერთი მიზეზი სისტემისადმი ნდობა იყო (უჭირდათ, წარმოედგინათ, რომ მსოფლიოს მიერ აღიარებული, ინდუსტრიული სოციალისტური სახელმწიფო წინასწარი სტატისტიკის მიხედვით უსაფუძვლო დასმენების ან სხვა დაპატიმრებულების ცრუ-აღიარებებზე დაყრდნობით უსინდისოდ აპატიმრებდა). თანაც, არავის მიაჩნდა თავი დამნაშავედ. „რისთვის?“ – იყო პირველი შეკითხვა, რაც ადამიანს თავში მოსდიოდა, რომელსაც ღამით ლოგინიდან აყენებდნენ და ეტყოდნენ – „თქვენ დაპატიმრებული ხართ“. როგორც ვლ. სოლჟენიცინი წერს: *„Всеобщая невиновность порождает и всеобщее бездействие.»*[90] დაპატიმრებულები ხშირად დარწმუნებულები იყვნენ, რომ პირადად მათი დაპატიმრება იყო შეცდომა, რომ დაკითხვისთანავე სიმართლე გაირკვეოდა და გამოუშვებდნენ, ხოლო დაკითხვამდე ციხეში მოხვედრილებს მიაჩნდათ, რომ მხოლოდ თვითონ იყვნენ უდანაშაულონი, დანარჩენები კი სამართლიანად დაკავებულები. НКВД-ს თანამშრომლებიც არწმუნებდნენ ამაში, როდესაც დაკავებისას ეუბნებოდნენ, რომ ისინი მხოლოდ დაბარებულები იყვნენ განყოფილებაში და მალევე გამოუშვებდნენ, ამიტომ, არაფერი წამოეღოთ სახლიდან; წასულები კი, უკან მრავალი წლის განმავლობაში, ან საერთოდ აღარ ბრუნდებოდნენ.

სამოქალაქო საზოგადოების არარსებობა, ადამიანის პირადი სივრცის თანდათანობითი გეგმაზომიერი შევიწროვება სახელმწიფოს მხრიდან, მთელის პრიმატი ინდივიდუალურზე – ეს ყველაფერი პასიურობის და უსიტყვო მორჩილების განმსაზღვრელი ფაქტორები იყო,[91] ისევე, როგორც ილუზორული რწმენა, რომ „სტალინმა არ იცის“.

აქ ყველაზე კარგად ჩანს, თუ რა წარმატებით ატარებდა ცხოვრებაში სტალინი მაკიაველურ პრინციპებს: მიუხედავად იმისა, რომ რეპრესიული სისტემის ავტორი თვითონ იყო,

89. არანაკლებ შთამბეჭდავია მძღოლის რეაქცია: „ამხანაგო დირექტორო, მე, შესაძლოა, ერთი ვიგინდარათაგანი ვარ, რომელიც რასაც გაიგებს ან დაინახავს, ყველაფერზე განაცხადებს. მაგრამ გინდ დამიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ ჩემს საკუთარ დედას გეფიცებით, ამჯერად მე არაფერს განვაცხადებ. დედაჩემი უბრალო ქალია, არა ამ ქალბატონივით დარბაისელი, მაგრამ მე ის მიყვარს, და...რაც არ უნდა იყოს, ვიქტორ ანდრეევიჩ, როგორც ერთი რუსი კაცი მეორეს, გმადლობთ“ (Conquest, op.cit. p. 253) – აქ „რუსობა“ კომუნისტობაზე, დედაშვილობა კი პარტიის ნებაზე მაღლა დგება. ფასეულობათა იერარქიაში ასეთი აღრევა საკმარისი მიზეზი იყო ადამიანი „ხალხის მტრად“ გამოეცხადათ.

90. Александр Солженицын, Архипелаг ГУЛаг. YMCA-PRESS, Paris, 1973, (гл. I: «Арест»), стр. 12.

91. ინდივიდის ინტერესის, კეთილდღეობის და თავად სიცოცხლის ნიველირება მთელის, სახელმწიფოს ინტერესის სახელით უცხო არ იყო რუსეთისთვის გასაბჭოებამდე დიდი ხნით ადრეც. პეტერბურგი – „ევროპის სარკმელი“ – უბრალო ხალხის ძვლებზე აშენდა. პოსტსტალინურ საბჭოთა კავშირშიც სახელმწიფო ინტერესი კონკრეტულ ადამიანთა სიცოცხლეზე მაღლა იდგა. გავიხენოთ, უკვე „პერესტროიკის“ პერიოდში, ჩერნობილის ატ. ელექტროსადგურის ავარიის 24.06.1986) შემდეგ სამდღიანი დუმილი და კიევში მსოფლიო ველორბოლის და საპირველმაისო აღლუმის ჩატარება – ანუ მილიონობით ადამიანის დაუცველად მიგდება სიცოცხლისათვის სახიფათო რადიაციულ დასხივებაზე, სახელმწიფოს იმიჯის გაფრთხილების სურვილით.

ხალხის თვალში რეპრესიები ასოცირდებოდა არა ავტორთან, არამედ აღმსრულებლებთან. მაკიაველი წერს, რომ თუ მთავარი თავიდან აიცილებს ხალხის სიძულვილს, მაშინ მის წინააღმდეგ შეთქმულება ძალიან რთული ხდება, რადგან შეთქმულები ხალხის რისხვის რისკის ქვეშ დგებიან (თ. XIX). სიძულვილის თავიდან აცილების გამოცდილი მეთოდი კი, მით უმეტეს, მაშინ, როცა დიდი სისასტიკეები გაქვს ჩადენილი, მარტივია – ყველაფერი სხვებს, ბოროტ მოხელეებს უნდა გადააბრალო და მათი დასჯით, პირიქით, შენ გამოჩნდე ხალხის მეგობრად. ასე გააკეთა ჩეზარე ბორჯიამ, როცა გამძვინვარებულ და მის წინააღმდეგ განწყობილ ბრბოს წინ გამოატანინა ერთ-ერთი სასტიკი მოხელის, დ‘ორკოს შუაზე გაჩეხილი გვამი (თ. VII). ზუსტად ასეთი იყო სტალინის პოლიტიკაც: რეპრესიის ინსტრუმენტები – ჯერ იაგოდა, შემდეგ კი ეჟოვი – თავისი ფუნქციის ერთგულად შესრულების შემდეგ თავად ხდებოდნენ რეპრესიული სისტემის მსხვერპლნი. ხალხში კი რეპრესიების მთელი საშინელება მათ სახელებთან იგივდებოდა. სადამსჯელო დაწესებულებაში პერიოდულად დიდი წმენდები ტარდებოდა. „НКВД“-ს 20 000 აგენტზე მეტი თავად მოყვა რეპრესიებში. ამ მანევრებით სტალინი ახერხებდა როგორც ხალხის ზოგადი აღშფოთების სხვებზე გადატანას, ისე მათი ინტერესების დამცველის იმიჯის შექმნას.[92]

### რეპრესიები და საქართველო

კომუნისტური ტერორი საქართველოს 20-იანი წლების დასაწყისში ეწვია. თავიდან რეპრესიები შეეხო დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის მომხრეებს, სამხედრო პირებს, სხვადასხვა, ბოლშევიკებთან დაპირისპირებული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს (მენშევიკები, ფედერალისტები, ეროვნულ დემოკრატები, ესერები და სხვ.).[93] წინააღმდეგობის ნებისმიერ მცდელობას ბოლშევიკები ისე უსწორდებოდნენ, რომ მისი განმეორების მცირე სურვილიც დაკარგვოდა ნებისმიერ პოტენციურ „რევანშისტს“. მაგალითად, როდესაც გურიაში ყოფილმა გვარდიელმა მოკლა ჩეკისტი, რომელმაც მრავალი სოციალ-დემოკრატი გლეხი დახვრიტა, ბოლშევიკების პასუხი იყო ოთხმოცამდე კაცის, ძირითადად, სოფლის მასწავლებლების დახვრეტა, რომლებიც არც იმ ჩეკისტს და არც მის მკვლელ გვარდიელს არ იცნობდნენ.[94-95] როდესაც, მეფის რუსეთის დროს, ცარისტული რეპრესიების შესაჩერებლად არსენა

92. ჯერ კიდევ 1936-38 წლების დიდ რეპრესიებამდე, კოლექტივიზაციასთან დაკავშირებული ტერორის ერთი ეტაპი ფორმალურად დასრულდა 1930 წლის მარტში, როცა სტალინმა დაგმო ზედმეტად „მოშურნე“ მოხელეები“, რომელთა აჩქარება და სისასტიკე „წარმატებისგან თავბრუდახვევით“ იყო გამოწვეული (Appelbaum, op.cit. p. 51).

93. ყოფილი ჩეკისტის, შემდგომში ბერადაღკვეცილი მანუჩარ შელიას მიხედვით, სტალინმა და ბერიამ 1921-22 წლებში ანტიბოლშევიკურ გამოსვლებთან დაკავშირებით სუფრაზე ასეთი სადღეგრძელო და საუბარი გამართეს: სტალინი (თამადა): „საქართველოში სარეველამ იმძლავრა. საქართველო უნდა გადაიხნას!“; ბერია (მერიქიფე): „სარეველასაც ამოვფხვრით და საქართველოსაც გადავხნავთ“. (ალეკო ასლანიშვილი. საბედისწერო ნაფეხურები. „საქართველოს რესპუბლიკა“, 61, 15 მარტი, 2001.

94. გერონტი ქიქოძე. op. cit. გვ. 62.

95. ამგვარი სისასტიკე ქართველ ბოლშევიკების მოგონილი მეთოდი არ ყოფილა. 1918 წელს, წითელი ტერორის დროს პეტერბურგის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე ბოლშევიკ მ. ურიცკის მკვლელობისთვის საბჭოთა ხელისუფლებამ 500 მძევლად აყვანილი დახვრიტა.

ჯორჯიაშვილმა გაცილებით უფრო მაღალი რანგის პირზე, გენერალ გრიაზნოვზე განახორციელა ტერორისტული აქტი, ამასაც არ მოჰყოლია ხელისუფლების მხრიდან ბოლშევიკების სისასტიკეს რამდენადმე მიახლოვებული რეაქცია – მხოლოდ ჯორჯიაშვილი ჩამოახრჩეს.

1924 წლის ხელმოცარული აჯანყების შემდეგ ბოლშევიკებმა მასიურად დახვრიტეს ქართული თავად-აზნაურობის მნიშვნელოვანი ნაწილი. ხვრეტდნენ იმის მიუხედავად, იყვნენ თუ არა ისინი აჯანყების მონაწილეები, არამედ „უბრალოდ" კლასობრივი მიკუთვნებულობის ნიშნით, როგორც „არასაიმედო ელემენტებს". მიუხედავად იმისა, რომ შეთქმულებაში, ძირითადად, დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობა მონაწილეობდა[96], არანაკლები რეპრესიები შეეხო ქართლ-კახეთის თავადაზნაურობასაც, რომელიც თითქმის მთლიანად იქნა განადგურებული.[97] ძალდატანებითი კოლექტივიზაციის დროს ტერორი შეეხო ქართულ სოფლებსაც.[98]

რაც შეეხება 1936-38 წლების დიდ რეპრესიებს, საქართველოს მოსახლეობამ მათი მთელი სისასტიკე განიცადა. ჯერ კიდევ 1936 წელს, საქართველოს კომპარტიის პირველმა მდივანმა, ლავრენტი ბერიამ ოფიციალურად განაცხადა საქართველოში ანტისაბჭოთა ელემენტების განსაკუთრებულ სიჭარბეზე (ბერია საუბრობდა 100 ათასზე; არ ფიქრობდა, რომ ამით ქართველების ცნობიერებაში ჯალალედ-დინის სტერეოტიპში ჩაჯდებოდა) რაც მომავალ წლებში გამართული მასიური დახვრეტების წინასწარი, საპროგრამო გამართლება იყო.[99] დახვრეტილთა რაოდენობა დაახლოებით 10000 იყო[100]. რეპრესიების სამიზნედ ინტელიგენცია და პარტიული ელიტა იქცა. ეთნიკური შემადგენლობით რეპრესირებულები, აბსოლუტური უმრავლესობით, ქართველები იყვნენ. საქართველოც არ ჩამორჩა სხვა რესპუბლიკებს და რეგიონებს „შემხვედრ გეგმებში", – რეგიონები ცენტრიდან მოთხოვნილ რეპრესიების გეგმას, ერთგულების მტკიცების თუ სხვა მიზეზით, „შემხვედრი გეგმით" ეგებებოდნენ, რეპრესიების მასშტაბების გაზრდას ითხოვდნენ.[101] ბერია და შინსახკომის (НКВД) მაღალჩინოსნები (სერგო გოგლიძე, მისი მოადგილე ბაღჩო ქობულოვი), პირადად მონაწილეობდნენ ხალხის წამებაში. ბრალდებები შეეხებოდა ძირითადად ნაციონალიზმს, ბურჟუაზიულ ინტელიგენტობას, ტროცკისტობას ა.შ. რეჟიმი სასტიკად გაუსწორდა სტალინისთვის და ბერიასთვის არასასურველ კომუნისტ ლიდერებსაც (ბუდუ მდივანი, მამია ორახელაშვილი, მალაქია ტოროშელიძე და სხვები).

ახალი სამყარო უნდა აშენებულიყო ძველის ნანგრევებზე ამ სიტყვის როგორც გადატანითი, ისე პირდაპირი მნიშ-

96. თუმცა, აჯანყებაში არა მარტო თავად-აზნაურობა, არამედ საზოგადოების ყველა ფენა მონაწილეობდა (იხ. ილამაზ მიწიშვილი. საზოგადოება „მემორიალი". თბილისი: „ინტელექტი", 2005.

97. გერონტი ქიქოძე. op.cit. 67.

98. „სუკის ისტორია ცხადყოფს, რომ იყო ფართო ანტისაკოლმეურნეო მოძრაობა. სუკის არქივის ერთი დოკუმენტი ადასტურებს: 1930 წელს, მასობრივი კოლექტივიზაციის დროს, სიღნაღის რაიონის სოფლების ბოდბეს და მაღაროს ანტისახელმწიფოებრივი განწყობილების გლეხობის შეკრების (3, 5 ათასი კაცი) წინააღმდეგ გაიყვანეს ჯავშნიანი ავტომობილები, რამაც შეკრებილთა შორის „უზომო აღშფოთება გამოიწვია"." გიორგი ციციშვილი. სისხლიანი 1937. „საქართველოს რესპუბლიკა", 139, 18 ივნისი, 1997.

99. გიორგი ციციშვილი. სისხლიანი 1937. „საქართველოს რესპუბლიკა", 141, 20.06.1997.

100. იხ. ალეკო ასლანიშვილი. თბილისიდან მე-18 კილომეტრზე, სოღანლუღთან. „ხმა ღვთისა ხმა ერისა". 19 ივნისი, 1991 წ.

101. იხ. Наталия Геворкян. Встречные планы по уничтожению собственного народа. «Московские Новости» № 25, 21 июня 1992 г.

ვნელობით. მაგალითად, 1937 წელს ბერიას ჰქონდა გეგმა დაენგრია მეტეხის ტაძარი და მის ადგილას აეგო სამხატვრო გალერეა. ბერიას დიმიტრი შევარდნაძე, თბილისის პირველი სამხატვრო გალერეის ფუძემდებელი დაუპირისპირდა, რომელმაც მის შემოთავაზებაზე – *„მეტეხის დანგრევა პირადად თქვენ იკისრეთ და მის დირექტორად დაგნიშნავთო“*, უარი თქვა. ამგვარი რამ, პარტიულ დავალებაზე მაღლა პირადი სინდისის დაყენება, საკუთარი თავისთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანას უდრიდა, რისი მაგალითებიც ამ წიგნში მოყვანილ მოგონებებშიც მრავლად შეგხვდებათ. ხდებოდა მასიური კომუნისტური ზომბირება, კლასობრივი მენტალობით ზოგადქართული და ზოგადკაცობრიული მენტალობის ჩანაცვლება[102].

ეს ცხადად ჩანს მაშინდელ მწერლობაში. ქართული პატრიოტიზმი გამოცხადდა „ნაციონალისტურ-რეაქციონერულად“, სატრფიალო თემატიკა – „არისტოკრატიის ეროტიკად“, ისტორიული წარსული – „ფეოდალიზმის იდეალიზაციად“.[103] ოფიციოზის მიერ ხელდასხმული ლიტერატურა ცდილობდა ადამიანში ჩაენერგა აზრი, რომ პარტიის ერთგულებაზე მაღლა არც ტრადიციული, ოჯახური ფასეულობები და ოჯახის წევრების ურთიერთსოლიდარობა არ იდგა.[104] თუმცა, ისეთი მწერლები, როგორებიც მიხეილ ჯავახიშვილი, ლეო ქიაჩელი, კონსტანტინე გამსახურდია, გალაკტიონი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ნიკოლო მიწიშვილი და სხვები იყვნენ, იჩენდნენ გასაოცარ პიროვნულ და სამოქალაქო გამბედაობას, თავის ნაწარმოებებში თავისუფალი, მიუკერძოებელი მსჯელობის სივრცეს ქმნიდნენ, იქამდეც, რომ ზოგჯერ არ ერიდებოდნენ ახალი რეჟიმის სიყალბის მხილებასაც (თუნდაც, მიხეილ ჯავახიშვილის „დამპატიჟე“ ან ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვა“). ჯერ კიდევ 20-იან წლებში, როცა რეპრესიული მანქანა სრული ბრუნვებით არ იყო ჩართული, მწერლობაში სინდისის მსახურება საშინელი წინათგრძნობის ფონზე ხდებოდა: *„ამხანაგებო, თუ ღრმა ღელეში ჩვენი თავებიც სადმე გაგორდეს, ყველამ იცოდეს, სხვა ძმებთან ერთად ესენინ ჰყავდა ძმად ცისფერ ორდენს“* (ტიციან ტაბიძე)...

მწერლებს უბიძგებდნენ ნამდვილი შიზოფრენიისკენ (რაც პირდაპირი თარგმნით „ცნობიერების გახლეჩას“ ნიშნავს): ყველას უნდა დაეწერა ახალი ეპოქის, პირადად სტალინის და ბერიას დითირამბები, თუ უნდოდა, რომ რამე გულწრფელი, რეალურად შემოქმედებითი რამ გამოექვეყნებინა. როგორც გერონტი ქიქოძე იხსენებს, *„სტალინის პატივმოყვარეობის დემონს შეეწირა მრავალი ქართველი მწერლის, მეცნიერის*

102. ილია, აკაკი და ვაჟასგან მომავალი ტრადიციით, ქართულ მენტალობაში, ეროვნული და ზოგადკაცობრიული ორგანულად დაუკავშირდა ერთმანეთს, ისე, რომ ნარჩუნდებოდა „ოქროს ბალანსი“ შოვინიზმსა და უსახო კოსმოპოლიტიზმს შორის.

103. ავთანდილ სონღულაშვილი, „ნარკვევები საქართველოს უახლესი ისტორიიდან“. თბილისი, „მეცნიერება“, 2001, გვ. 83.

104. შდრ. აკაკი ბაქრაძე. მწერლობის მოთვინიერება. თბილისი, „სარანგი“, 1990, გვ. 168-169.

*და ხელოვანის ადამიანური ღირსების გრძნობა. ეს ბერიას ინიციატივით მოხდა, რომ მლიქვნელობის სულმა თითქმის მთელი ქართული მწერლობა, პლასტიკური ხელოვნება, და, ნაწილობრივ მუსიკა გაჟღინთა."*[105]

მწერლებს მხოლოდ ჩუმად, მალულად შეეძლოთ თავისუფალი აზრების გამოხატვა, გამოქვეყნების ან გამოაშკარავების შემთხვევაში კი – გარდაუვალი რეპრესია ელოდათ. ვფიქრობ, იმ უკიდურესად მძიმე იდეოლოგიური ფონის და შიშის სინდრომის გათვალისწინებით, ესეც კი გმირობა იყო, სინდისის კუნთების გავარჯიშება, რომ მათი ატროფია არ მომხდარიყო, როგორც ამას ჯორჯ ორუელის ცნობილი „1984"-ის გმირი აკეთებს. *„ასეც არ შეიძლება, ამხანაგო სტალინო"*[106] – ჩაწერა თავის უბის წიგნაკში გალაკტიონმა, მას შემდეგ, რაც მისი მეუღლე, ოლია ოკუჯავა, გადაასახლეს.

რეპრესიებში მოყვნენ არა მარტო ჰუმანიტარები, არამედ ტექნიკური ინტელიგენციის თვალსაჩინო, მსოფლიო მნიშვნელობის წარმომადგენლები.[107] ბოლშევიკი ლიდერები არა მარტო საზოგადოებას ამყოფებდნენ ტერორის ქვეშ, არამედ, პირველ რიგში, თავად იყვნენ დაშინებულები ერთმანეთისგან – მათ წინაშე „ვინ ვის" საკითხი იდგა. ბერია გადაემტერა სერგო ორჯონიკიძეს, ბუდუ მდივანს, ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, მამია ორახელაშვილს. ამ გადამტერებებს შედეგად სერგო ორჯონიკიძის ძმის, პაპუნიას დახვრეტა მოყვა; ბუდუ მდივანი ჯერ თავად აწამეს და დახვრიტეს, შემდეგ კი – მთელი მისი ოჯახი მცირეწლოვანი შვილიშვილის გარდა; ხოლო უკვე რეპრესირებული მამია ორახელაშვილის სიძეობაც საკმარისი აღმოჩნდა კომპოზიტორ ევგენი მიქელაძის დახვრეტისათვის.

ჰქონდა თუ არა საქართველოში ჩატარებულ რეპრესიებს რაიმე განმასხვავებელი ნიშანი? შეიძლება ეს კითხვა იმიტომაც დაისვას, რომ სტალინი და ბერია ქართველები იყვნენ, მაგრამ ეს მხოლოდ ამძიმებდა მათი თანამემამულეების ხვედრს. ცხადია, გარკვეულწილად, ისინიც იყვნენ საბჭოთა იდეოლოგიის და საკუთარი რეპრესიული აპარატის მსხვერპლნი. სავარაუდოა, რომ საქართველოში რეპრესიების კიდევ უფრო გამკაცრების ერთ-ერთი მიზეზი სტალინისა და ბერიას ქართველობა იყო. მართლაც, საქართველოში ტროიკების (დაჩქარებული სასამართლო პროცესი მასიური რეპერესიების პირობებში) მუშაობა, „დამკვრელურად" მიმდინარეობდა – გადასახლებული ქართველების რაოდენობა პროცენტულად თუ არ აღემატებოდა, არც ჩამორჩებოდა სხვა რეგიონებს[108]; თუ დროდადრო ჰქონდა ადგილი

105. გერონტი ქიქოძე. op.cit. გვ. 85.

106. იხ. ვახტანგ ჯავახაძე. უცნობი. თბილისი: „ნაკადული", 1988, გვ. 163.

107. იხ. ილამაზ მიწიშვილი. ღია წერილი...ვის? „ხმა ღვთისა, ხმა ერისა". 10 აპრილი, 1991 წ. ავტორს მაგალითად მოჰყავს ორი გამორჩეული პიროვნება, შალვა ცინცაძე, მსოფლიოში ცნობილი ქიმიკოსი, რომელსაც ამ დარგის საერთაშორისო ავტორიტეტის წარმომადგენლები „მეორე მენდელეევობას" უქადებდნენ; და ნიკოლოზ ბეჟანიშვილი, გეოლოგი, საქართველოში ბარიტის საბადოების სისტემატური კვლევის წამომწყები.

108. მაგალითად, 1938 წლის ერთ-ერთ მორიგ სიაში დასახვრეტთა რაოდენობა არის საქართველოდან – 1500 კაცი, სომხეთიდან – 1000, უკრაინიდან 6000. Наталия Геворкян, op. cit.

„ჩამორჩენას“, მხოლოდ იმიტომ, რომ დაპატიმრებულებს ადგილზე ხვრეტდნენ, როგორც დახვრიტეს ამ წიგნში მოყვანილი „ალჟირის“ ქალების ქმრები. მასიური დახვრეტების ერთ-ერთი ადგილი იყო ლერწმოვანი ფონიჭალაში, რომელსაც იქ მცხოვრებმა აზერბაიჯანულმა მოსახლეობამ „ადამ გირლან“, ანუ „ადამიანთა სასაკლაო“ დაარქვა. დახვრეტებს წინ უძღოდა წამება. ისევე, როგორც სხვაგან საბჭოთა კავშირში, საქართველოშიც, წამების მეთოდების შერჩევაში შინაგან საქმეთა მუშაკები საკმაო შემოქმედებითობას იჩენდნენ. იყენებდნენ „ცხელ ოთახს“ და „ცივ ოთახს“, სადაც არაადამიანურ პირობებში ამყოფებდნენ პატიმრებს. „ცხელი ოთახის“ 50-60 გრადუს სიცხეს ბევრი ვერ უძლებდა და საკნიდან დაფუფქული ცხედარიღა გაჰქონდათ. ისევე როგორც სხვაგან სსრკ-ში, ეწეოდნენ ოჯახის წევრებით დაშანტაჟებას.[109]

თუ რაიმე განსხვავებაზე შეიძლება ვილაპარაკოთ, ეს, ალბათ, ეროვნული საკითხია. შეუძლებელია, რეჟიმს არ სცოდნოდა ის საყოველთაო ეიფორია, რაც ახლდა საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას. მხოლოდ ორჯერ მოესწრო 26 მაისს დამოუკიდებლობის დღის აღნიშნვა, მაგრამ ეს იყო საყოველთაო ეროვნული დღესასწაული, როგორც თვითმხილველი აღნიშნავს, მთელი ხალხის „ძალდაუტანებელი მხიარულება“ – მკაფიო კონტრასტი შემდგომი, კომუნისტური აღლუმებისაგან. მარტო ჩეკას და შინსახკომის მოგონილი ფიქცია არ იყო ის, რომ საქართველოში არსებობდა მძლავრი ეროვნული ძალები. 1927 წლამდე მოქმედებდა არალეგალური ანტისაბჭოთა პრესა[110]. საქართველოში კომუნიზმმაც ეროვნული ფორმა მიიღო, როგორც ზემოთ ვახსენე, რაც „ნაციონალ-უკლონისტობად“ მონათლა სტალინმა და ამ ხაზის მიმდევარ პარტიის მაღალჩინოსნებს ორჯონიკიძის და ბერიას მეშვეობით შემდგომში სასტიკად გაუსწორდა.

რა თქმა უნდა, ნაციონალიზმის მიზეზით 1936-38 წლებში მასიური დაპატიმრებები, ძირითადად, ყალბ და საშინელი ზეწოლით გამოწვეულ აღიარებებზე იყო დამყარებული, მაგრამ პარტიის ალღო სწორი იყო – ამ დაპატიმრებებით, ჩანს, ხდებოდა წინასწარი პროფილაქტიკა, ანუ რეალური პოტენციური იდეოლოგიური ძალის განეიტრალება. განსაკუთრებული მუშაობა ამ მხრივ ახალგაზრდობაში, საზოგადოების ყველაზე ადვილადაალებად ნაწილში მიდიოდა. მაგალითად, შინსახკომმა გამოავლინა „საქართველოს დემოკრატიული ახალგაზრდობის კავშირის“ შექმნის გეგმა. ამ კავშირს უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები უნდა გადაებირებინა. კავ-

109. „პატიმრები ძალზე წუხდნენ ცოლ-შვილზე, რომლებიც ხშირად იმავე ციხეში იხსდნენ. მაგალითად, მალაქია ტოროშელიძის მეზობელ საკანში იმყოფებოდა მისი შვილი. სპეციალურად მიჩენილი პატიმარი (ე.წ. „ნასედკა“) უჩვენებს, რომ მამა უაღრესად შეშფოთებული და აღგზნებული იყო მისი ბედით“. ალეკო ასლანიშვილი, op. cit.

110. «1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ ბოლშევიკებს ხელში ჩაუვარდათ არალეგალური სტამბები: თბილისის (ასოთამწყობი ათაბეგოვი, თარგამაძე – 1924 წელს, ქუთაისის (ასოთამწყობები კვანტალიანი, ბუღაძე) – 1925 წელს. ასევე 1925-1926 წლებში თბილისის (ასოთამწყობის ჩოჩია, ასლამაზაშვილი), 1927 წელს (ასოთამწყობი ვ. კაკუტაშვილი. ასეთი ბედი ეწია ზუგდიდის არალეგალურ სტამბასაც იმავე 1927 წელს». ავთანდილ სონღულაშვილი. ოპ.ციტ. გვ. 82. ავტორს ეს ცნობა მოჰყავს შემდეგი წყაროდან: გ. ცხოვრებაძე, „ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი 1921-1925 წლებში. თბილისი, 1996, გვ. 104-105.

შირის პლატფორმით „ყოველი ახალგაზრდა ქართველი უნდა გახდეს თავისი ქვეყნის პატრიოტი და იბრძოლოს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებელი და თვითმყოფადი არსებობისათვიიის დემოკრატიული წყობით“.[111] ერთ-ერთი წევრის „აღიარების“ მიხედვით, კავშირი ამავე დროს მიზნად ისახავდა კონტრრევოლუციური ტროცკიზმის პროპაგანდას. ესეც აჩვენებს, რომ მთელი საქმე შეთითხნილი იყო, რადგან ტროცკიზმი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ეროვნულ საკითხში სტალინზე მეტადაც რეაქციული იყო; მაშინ როგორ იქნებოდა ერთი და იგივე ორგანიზაცია ტროცკისტულიც და ნაციონალისტურიც? უდანაშაულო ახალგაზრდობის რეალური რეპრესიებით გამყარებული ამ იდეოლოგიური „ანტივირუსების“ მიუხედავად, ეროვნული თვითშეგნება მაინც ძლიერი დარჩა საქართველოში. ეს განსაკუთრებული სიმძაფრით გამოვლინდა ახალგაზრდების, ძირითადად ყოფილი უნივერსიტეტელების 1941 წლის ანტისაბჭოთა შეთქმულებაში, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას ისახავდა მიზნად (17 მათგანი დახვრიტეს).[112] თვით 1956 წლის მარტის გამოსვლებში, რომლის მთავარი მიზეზი თითქოს სტალინის ხსოვნის გაფრთხილება იყო, დემონსტრანტების ლოზუნგებს შორის ასეთიც გამოჩნდა – „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს“.

ცალკე კვლევის საგანია და ამ წიგნში წარმოდგენილი ინტერვიუებიც საინტერესო წყაროა იმისათვის, რომ განვსაზღვროთ, რამდენად მასიურად მოხდა კომუნისტური იდეოლოგიით ეროვნულის ან რელიგიურის ჩანაცვლება ქართულ საზოგადოებაში და განსხვავდებოდა თუ არა ამ მხრივ საქართველო საბჭოთა კავშირის სხვა რეგიონებისაგან. ცხადია, ანალიზს ართულებს ისიც, რომ, ზოგჯერ, თვით პარტიულ მუშაკებში ახლისა და ძირძველის, უფრო არქეტიპული ფასეულობების პარადოქსული სინთეზი იყო: მაგალითად, მწერალმა პავლე საყვარელიძემ, ძველმა ბოლშევიკმა, როდესაც გაიგო, რომ აპატიმრებდნენ, ქაშვეთის ეკლესიისკენ გაიხედა, პირჯვარი გამოისახა და თქვა: „*წმინდა გიორგის მადლს ვფიცავ, წარმოდგენა არა მაქვს, რა ბრალი მიმიძღვის პარტიისა და ხელისუფლების წინააღმდეგო*“.[113] პარტიული წნეხის მიუხედავად, ქართველი მწერლები, ისტორიკოსები, კინორეჟისორები სახეცვლილი ან შენიღბული ფორმით ინარჩუნებდნენ ილია ჭავჭავაძის მიერ ჩამოყალიბებულ ეროვნულ ტრადიციას, მით უმეტეს, რომ ე.წ. „ტიტულარულ ერებს“ საბჭოთა კავშირში ეროვნული სახის შენარჩუნების მეტი საშუალება ჰქონდათ. მაგალითად, 1937 წელს პარტიის ხელდასხმით საქართველოში აღინიშნა ილიას 100

11. ალეკო ასლანიშვილი, ეს იყო, იყო.... „საქართველოს რესპუბლიკა“, 140, 21 ივლისი, 2007.

112. იხ. ილამაზ მიწიშვილი. საზოგადოება „მემორიალი“, გვ. 14.

113. გერონტი ქიქოძე. op.cit. გვ. 97.

წლის იუბილე და რუსთაველის 750 წლის იუბილე. 1934 წელს მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობაზე მოსკოვში, სტალინმა თავად მისცა სანქცია ქართულ ლიტერატურაზე საუბრისას მომხსენებელს, მალაქია ტოროშელიძეს, ელაპარაკა არა მხოლოდ სოციალისტურ ლიტერატურაზე, არამედ მოეყვანა მაგალითებად ძველი მწერლობაც, რუსთაველი, ბართაშვილი, აკაკი, ილია, ვაჟა.[114] წაქეზებულმა მომხსენებელმა იმდენი გაბედა, რომ რუსთაველი პუშკინზე დიდ პოეტად გამოაცხადა, რითაც რუსი მწერლების უკმაყოფილება გამოიწვია, რომლის ღიად გამოხატვაც მათ ვერ შეძლეს, რადგან მიხვდნენ, რომ მომხსენებელს სტალინი მფარველობდა. რუსთაველი რაკი ვახსენეთ, სტალინი აღფრთოვანებული იყო „ვეფხისტყაოსნის" შალვა ნუცუბიძის მიერ შესრულებული ახალი რუსული თარგმანით, მისთვის კომენტარები გაუკეთებია და ქაჯეთის ციხის აღების ეპიზოდის საკუთარი რუსული თარგმნის ვერსიაც შეუსრულებია. რატომ აირჩია ეს ეპიზოდი, ან აქვს თუ არა ამ არჩევანს რაიმე კავშირი ამავე წლებში მის პირად ხელმოწერებთან ათიათასობით ადამიანის, მათ შორის ათასობით ქართველის დახვრეტაზე, გამოცანად დარჩება; ფაქტია, რუსთაველის მთარგმნელმა პირადად მოაწერა ხელი ტიციან ტაბიძის და მიხეილ ჯავახიშვილის დახვრეტას.[115]

### დასკვნის სახით

თუ არსებობდა თავისებური უანგარობის და გულწრფელობის სივრცე სტალინის მენტალობაში, მაშინ ეს საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ძლიერება იყო, წარმატებები, რასაც ქვეყანამ მიაღწია — შეიქმნა ინდუსტრია და შეიარაღება, რომელმაც ქვეყანა, მსოფლიო ასპარეზზე, ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ ძალად აქცია.

ინდუსტრიალიზაციის პროგრამის დაწყების წინ 1928 წლის პლენუმზე სტალინი ქებით იხსენებდა პეტრე პირველს: *„როდესაც პეტრე დიდმა, რომელსაც უწევდა საქმე ეწარმოებინა დასავლეთის უფრო განვითარებულ ქვეყნებთან, ფაცხა-ფუცხით, ციებ-ცხელებით დაიწყო ქარხნებისა და საწარმოების აშენება რათა მოემარაგებინა არმია და გაეძლიერებინა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, მან მიმართა საგანგებო ძალისხმევას, რომ თავი დაეღწია და გადაელახა თავისი ჩამორჩენის შეზღუდულობა."*[116]

შეიძლება, აქ ერთგვარი პოლიტიკური რომანტიზმია; სტალინი ზედმიწევნით იცნობდა ქართულ ლიტერატურას

114. საერთოდ, ბოლშევიკებს ხელისუფლებაში რევოლუციურ-ძალადობრივი მოსვლის შემდეგ, გაუჩნდათ „გაკულტურების" სურვილი, რაც გამოიხატებოდა რუსი კლასიკოსების (საქართველოში ქართველი კლასიკოსების) გათავისებაში, სოციალიზმისთვის სასარგებლო ავტორებად გამოცხადებაში. ამით, ჩანს, ერთი მხრივ — თავისი ძალაუფლების ლეგიტიმაცია სურდათ, იმ გაგებით, რომ არ უპირისპირდებიან საუკეთესოს, რასაც ხალხში ასე პოპულარული და ფესვგამდგარი ტრადიცია გულისხმობდა; მეორე მხრივ კი — ანეიტრალებდნენ იმ იდეოლოგიურ საშიშროებას და გამოწვევას, რაც კლასიკოსების შემოქმედებიდან შეიძლება წამოსულიყო. მოხდა, ასე ვთქვათ, კლასიკოსების კომუნისტური „გადანათვლა". ერთი ანეგდოტური შემთხვევა ამასთან დაკავშირებით: როდესაც განათლების ნარკომ ლუნაჩარსკის ბოლშევიკებმა ჰკითხეს, „დოსტოევსკის ბიუსტის დადგმა გვინდა და რა წარწერა გავუკეთოთ ქვეშო", ანატოლი ლუნაჩარსკიმ თავს ირონიის უფლება მისცა და ურჩია დაეწერათ: „Дорогому Федору Михайловичу от благодарных бесов" (რომანში «Бесы» - «ეშმაკნი» - დოსტოევსკი სწორედ მარქსისტულ-რევოლუციური მოძრაობის, კერძოდ ნეჩაევის წრის მანკიერებებს აღწერს); იხ. Юрий Безелянский. Достоевский без границ и без края. «Московская правда», 10.11.2006.

115. იხ. ილამაზ მიწიშვილი. ჯალათი და მსხვერპლი. „საქართველოს რესპუბლიკა", 15 თებერვალი, 2005.

116. Appelbaum, op. cit. p. 52.

და, ვინ იცის, იქნებ ბარათაშვილის „გარდამატარე ბედის სამძღვარი“ უტრიალებდა გონებაში, და მზად იყო თავის და სხვების დაუზოგავად, ყველა მეთოდით ებრძოლა საბჭოთა ქვეყნის წარმატებისთვის. სტალინმა ასევე კარგად იცოდა, რომ რუსეთმა მოინელა ის სისასტიკე, რასაც პეტრემ მიმართა რუსეთის „გამოთრევისთვის“ ჩამორჩენილობისაგან და ალბათ, ფიქრობდა, რომ სტალინისასაც მოინელებდა, თუ შედეგს – რუსული (აქ, საბჭოთა) სახელმწიფოს მსოფლიო ასპარეზზე გაძლიერებას მიაღწევდა.

ერთი საგულისხმო ეპიზოდი: როდესაც სტალინს შინსახკომის მაღალჩინოსანმა მოახსენა, რომ კამენევი უარს ამბობდა ცრუ ჩვენების მიცემაზე, სტალინმა მას თვალები მიაშტერა და ჰკითხა: – „რამდენს იწონის ჩვენი სახელმწიფო მთელი თავის ქარხნებით, მანქანებით, არმიით, შეიარაღებით, ფლოტით?“ შინსახკომელს ჯერ ხუმრობა ეგონა, მაგრამ შეკითხვის გამეორების შემდეგ მოუწია ეპასუხა, რომ ეს დაუთვლელი, ასტრონომიული ციფრი გამოვიდოდა; სტალინმა გააგრძელა: – *„კეთილი. შეუძლია ერთ ადამიანს გაუძლოს ამ ასტრონომიული სიმძიმის დაწოლას?“ პასუხი იყო – „არა“; – „ჰოდა, მეტს ნუღარ მეტყვი, რომ კამენევს, ან ნებისმიერ პატიმარს, შეუძლია გაუძლოს ამ ზეწოლას“*[117]. ამ ეპიზოდის მიხედვით, სტალინისთვის სახელმწიფო უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კონკრეტული ადამიანები, ვიდრე ობიექტური სიმართლე; თითქოს ის მოჯადოვებულია სახელმწიფოს სიდიდით, ძალით, მონუმენტურობით, განცდით, რომ მსოფლიო ძალთა ჭიდილში საბჭოთა კავშირს შეხედავენ პატივისცემით, სიძულვილით, ზიზღით, შიშით, მაგრამ არასდროს – ალმაცერად, როგორც ხელწამოსაკრავ რამეს. იყო თუ არა სტალინი გულწრფელი და უანგარო, თუ, უბრალოდ, აქაც რუსი ხალხის გრძნობებით მანიპულირებდა? ერთი კი ცხადია, რომ ის, რაზეც სტალინმა ითამაშა, დღესაც არსებობს. ბევრმა მოისმინა რუსეთში ალექსანდრე სოლჟენიცინის შეგონება: *„Нет у нас сил на империю! – И не надо, и свались она с наших плеч она размозжает нас, и высасывает, и ускоряет нашу гибель»*[118]? ყოველ შემთხვევაში, ის, რომ ელცინისდროინდელი რუსეთის ჰიმნი მიხეილ გლინკას მელოდიიდან სულ ახლახან, 2000 წელს პრეზიდენტ პუტინის ინიციატივით და სახელმწიფო დუმის დეპუტატების ხმების 83,8 პროცენტით, ისევ სსრკ-ს ჰიმნის მელოდიაზე შეცვალეს, ამ შეკითხვაზე უარყოფით პასუხს გაგვაცემინებს.[119] რუსეთის ახლანდელი პრემიერ მინისტრი, ვლადიმირ პუტინი, კარგად გამოხატავს გონების და გულის დიალექტიკას ახლანდელ რუს ობივატელში: *„У нас говорят: те, кто не жалеет о крушении Советского Союза, у того*

117. Conquest, op.cit.. p. 85

118. Александр Солженицын. Как нам обустроить Россию. советский писатель, 1990, стр. 8.

119. საზოგადოება „მემორიალმა“ და მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფმა ამ ჰიმნის მიღებაზე პროტესტი განაცხადეს.

*нет сердца, а кто жалеют - у того нет головы.»*[120] გამოდის, რომ პოლიტიკოსის დანაშაულები არა მარტო პოლიტიკოსის პასუხისმგებლობაა, არამედ *გარკვეულწილად* იმ საზოგადოებისაც, რომელიც ითმენს ამ დანაშაულებს, ან უარესიც, თანაუგრძნობს მათ; რა თქმა უნდა, ტირანზე განუზომლად მეტი პასუხისმგებლობაა, ვიდრე ლულამიშვერილ საზოგადოებაზე; მაგრამ, ოპტიმისტური იქნება იმის მტკიცებაც, რომ ტირანები მხოლოდ და მხოლოდ შიშზე აფუძნებენ თავის ძალაუფლებას და არა საზოგადოების პოპულარულ გრძნობებსა და სურვილებზე.

ბიბლიური პარადიგმა რომ მოვიყვანოთ, იესოს მოკვლის მიზეზად სინედრიონი შემდეგ მიზეზს ასახელებდა: *„ყველა მას მიყვება, თუ ასე გაგრძელდება, მოვლენ რომაელები და წაგვართმევენ სამშობლოს. სჯობს, ერთი კაცი მოკვდეს ერისთვის, ვიდრე მთელი ერი დაიღუპოს“*. იესოს ზოგადკაცობრიული ხსნის, ყოვლისმომცველი პატიების, შურისძიების (როგორც პიროვნული, ისე პოლიტიკური) უარყოფის იდეები, იმიტომ კი არ მიიღეს, რომ ჭეშმარიტი არ იყო (მათი ჭეშმარიტების საკითხი არც იდგა), არამედ იმიტომ, რომ დამღუპველი იყო ისრაელის ოფიციალური იდეოლოგიისთვის, რომლის მიხედვითაც მესიის მოსვლა ისრაელის მტრებზე, ამ შემთხვევაში, რომზე შურისძიებას უკავშირდებოდა. შურისძიების იდეოლოგია ეროვნული თვითშეგნების განუყოფელი ნაწილი გახლდათ და იესო მათი თვალთახედვით სწორედ ისრაელის იდენტურობას უქმნიდა საფრთხეს. სინედრიონმა პოლიტიკური მიზანშეწონილობა არჩია იესოს სიტყვების ჭეშმარიტება-სიმცდარის საკითხის განხილვას. მაგრამ პრობლემა იმაშია, რომ მარტო სინედრიონის წევრები არ ყვიროდნენ – *„ჯვარს აცვი, ჯვარს აცვი!“*

სტალინმა გააკეთა არჩევანი ყოფილიყო წარმატებული, მაკიაველის მოსაწონი პოლიტიკოსი და შეენარჩუნებინა რუსეთისთვის მსოფლიო იმპერიის სტატუსი, გაიმარჯვა და ნახევარი მსოფლიო თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია; მთელ მსოფლიოს ვერ გაწვდა, მაგრამ ბიბლიური შეგონება მაინც ზედგამოჭრილია მისი ბიოგრაფიისთვის და ნებისმიერ ჩვენგანს დააფიქრებს ამ მარადიულ საკითხზე: „რა სარგებლობაა კაცისთვის მთელი მსოფლიო შეიძინოს, და თავის სულს ავნოს, ან რა აქვს კაცს, გარდა თავის სულისა?“.

ამ წიგნში, 1936-38 წ. რეპრესირებულთა შვილების ინტერვიუების კრებულში, ასახულია სტალინის გამარჯვების მსხვერპლების, მისი ქვეყნის უდანაშაულოდ დაპატიმრებული, გადასახლებული და მოკლული მოქალაქეების ისტორიები.

120. news.bbc.co.uk/low/russian/russia/newsid_4521000/4521713.stm

**ინტერვიუების შესახებ:**

აქ წარმოდგენილია საქართველოში „სამშობლოს მოღალატეთა ოჯახის წევრობის“ („ЧСИР“) ბრალდებით რეპრესირებულ ქალთა შვილების 18 ინტერვიუ. „ოჯახის წევრებში“, სპეციფიკურად იგულისხმებოდა ცოლები, თუმცა, გაცილებით იშვიათად, აპატიმრებდნენ ოჯახის სხვა წევრებსაც. სულ, კავშირის მასშტაბით, დაახლოებით 18 000 ქალი დააპატიმრეს. ეჟოვის 1937 წ. 15 აგვისტოს „უკაზით“ (№00486), არ იყო აუცილებელი ქალს ჰქონოდა რამე კონკრეტული, ინდივიდუალური დანაშაული, „ტროცკისტის“ ცოლობა უკვე საკმარისი მიზეზი იყო დაჭერისათვის – ან იცოდნენ თავიანთი ქმრების ძირგამომთხრელი საქმიანობის შესახებ, ანდა არ იჩენდნენ საჭირო სიფხიზლეს.[121] დაპატიმრებას არ ექვემდებარებოდნენ მხოლოდ ის ცოლები, რომლებიც ინფორმაციას მიაწვდიდნენ (დაასმენდნენ) НКВД-ს ქმრების საეჭვო საქმიანობაზე და ამ ინფორმაციით დაეხმარებოდნენ НКВД-ს მტრის გამოვლენა-აყვანაში. მნიშვნელოვანია, რომ ფორმულირება, თუ რა კატეგორიის მტრების ცოლები უნდა დაეპატიმრებინათ, მაღალი პარტიული ეშელონების წარმომადგენლებს გულისხმობდა. ამას ვნახავთ ინტერვიუებშიც, სადაც, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ მაღალი რანგის პარტიული მუშაკების ოჯახების ისტორიებია მოთხრობილი.

წიგნში წარმოდგენილ მთხრობელთა დედები ყაზახეთში, აკმოლინსკში, მათთვის საგანგებოდ გაშენებულ ბანაკში გადაასახლეს. ბანაკს რეპრესირებულმა ქალებმა იუმორით „ალჟირი“ უწოდეს. თავდაპირველად, „ალჟირში“ მხოლოდ პოლიტპატიმარი ქალები იყვნენ, მაგრამ შემდეგ „ალჟირის“ ტყვე ქალების კონტინგენტი უფრო ნარევი გახდა და იქ კრიმინალურ დანაშაულზე გასამართლებული ქალებიც ხვდებოდნენ. (ერთი ცნობით, ზედამხედველები, მას შემდეგ, რაც დარწმუნდნენ ამ ორ ჯგუფს შორის შრომისადმი განსხვავებულ დამოკიდებულებაში, პოლიტიკურებს „ჩვენებს“ უწოდებდნენ, რითაც მათ კრიმინალებისგან ასხვავებდნენ).

ბანაკის დაარსების პირველი ორი წელი განსაკუთრებით მძიმე იყო: დაპატიმრებული ქალები სრულ იზოლაციაში იყვნენ, არ იცოდნენ, რა ბედი ეწიათ მათ გასამართლებულ ქმრებს და ობლად დარჩენილ შვილებს; შვილები, თუ მათ ნათესავები არ აიყვანდნენ – ამას კი კანონი არ კრძალავდა – სახელმწიფოს მიერ საბავშვო სახლებში ნაწილდებოდნენ, თან იმ პრინციპით, რომ ბავშვები, რომელთა მშობლებიც ერთი ქალაქიდან იყვნენ და ერთმანეთთან მეგობრული ან

121. შემდგომში, 1938 წ. ოქტომბერში ეჟოვმა და მისმა ახალმა თანაშემწემ, ლავრენტი ბერიამ, მიმართეს სტალინს ოფიციალური წერილით, რომ შესწორება შეეტანათ 00486 ბრძანებაში და დაეპატიმრებინათ მხოლოდ ის ქალები, რომლებმაც იცოდნენ ქმრების კონტრევოლუციური საქმიანობის შესახებ და ქალები, რომლებზეც НКВД-ს ექნებოდა სარწმუნო ინფორმაცია, რომ ისინი „პოლიტიკურად საეჭვოები“ და „სოციალურად სახიფათონი“ იყვნენ.

ნათესაური კავშირი ჰქონდათ, სხვადასხვა ოლქების ბავშთა სახლებში უნდა გადაგზავნილიყვნენ.

მხოლოდ 1939 წელს, რეპრესიების ტალღის შესუსტებასთან ერთად, „ალჟირის“ ქალებმა მიიღეს მიმოწერის, ასევე ამანათების მიღება-გაგზავნის უფლება. სასჯელის მოხდის ვადა იყო 5 ან 8 წელი. მაგრამ ქალები მთელი ომის განმავლობაში დატოვეს, მათი სასჯელის ვადის გასვლის შემდეგაც. გათავისუფლება ნიშნავდა მხოლოდ იმას, რომ ქალებს უშვებდნენ „ზონის“ გარეთ და ომის დამთავრებამდე ამუშავებდნენ „თავისუფლად დაქირავებულთა“ (вольнонаемный) უფლებით. რეალურად, ისინი 1946 წელს გაათავისუფლეს. თუმცა, პასპორტებში აღნიშნული იყო, რომ სარეჟიმო ქალაქებში ცხოვრების უფლება არ ჰქონდათ. გამოდის, რომ მრავალი მათგანი კანონის დარღვევის გარეშე ვერ დაბრუნდებოდა მშობლიურ ქალაქში. ისევე, როგორც მოსკოვი, მინსკი, კიევი, თბილისიც სარეჟიმო ქალაქი იყო.

ეს 18 ინტერვიუ, სტალინური რეპრესიების მსხვერპლთა უკვე გამოქვეყნებული მემუარული მასალის მსგავსად, ნამდვილი ფანჯარაა მკითხველისთვის, სადაც ამ არცთუ შორეული ეპოქის ცოცხალ სურათებს ვხედავთ, თან მათი ნაამბობიდან, ვის ცხოვრებაშიც რეპრესიებმა საბედისწერო როლი ითამაშა. შვილები ამ ინტერვიუებში არა მხოლოდ იხსენებენ მშობლების დაპატიმრების, მათთან განშორების ან მრავალი წლის შემდეგ შეხვედრის დრამატულ მომენტებს, არამედ, ცდილობენ სტალინის ეპოქა შეაფასონ, ტერორის ნამდვილი მიზეზები აღმოაჩინონ. ეს შეფასებები რესპონდენტიდან რესპონდენტამდე ვრცელ და საინტერესო სპექტრს იძლევა. ორი პლასტია წარმოდგენილი – ერთი მხრივ, მშობლების, მეორე მხრივ კი – საკუთარი შეფასებები და დამოკიდებულებები; ზოგჯერ მშობლის ქცევას, სიტყვებს, შვილი აძლევს ინტერპრეტაციას, მაგრამ მკითხველი თავისუფალია არ დაეთანხმოს და თავისი დასკვნა გამოიტანოს; მაგალითად, ერთი რესპონდენტის მამა, პარტიის მაღალჩინოსანი, უარს ამბობდა ბოლშევიკების მიერ ძალით დაკავებულ ბინებში შესახლებაზე და უბრალო ბინაში ცხოვრობდა; როდესაც 1937 წელს მაღალჩინოსნების დაპატიმრებები დაიწყო, მან ეს ახსნა მისტიკური მიზეზით: *„მათი ბრალი ისაა, რომ სხვის ლოგინში დაწვნენო“*; რესპონდენტი ამ ნათქვამს კომენტირებს: მამას არ ჯეროდა, რომ ისინი პარტიის წინაშე დამნაშავეები იყვნენ, მაგრამ ფიქრობდა, რომ ღმერთი სჯიდა მათ იმის გამო, რომ სხვის ბინებში შევიდნენო. ძალიან უცნაურია: გამოდის, რომ ძირძველ ბოლშევიკს, რელიგიური რწმენა ჰქონდა, ან უბრალოდ, ზნეობრივი

განცდა, რომელსაც უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევდა, ვიდრე პარტიის წევრობას; მეტიც, რაც უფრო დამაინტრიგებელია, პარტიის უსამართლო სასჯელი მისთვის „ბრმა იარაღი" იყო უფრო მაღალი, არაპარტიული სამართლის აღსრულებისთვის. სამწუხაროდ, ამ მეორე სამართლის ერთგულებამ თავად რესპონდენტის მამა ვერ დაიცვა, და იქნებ პირიქითაც, სწორედ ასეთი გამორჩეული ზნეობრივი პრინციპულობა გახდა მისი დახვრეტის მიზეზი. ამგვარი საინტერესო მოტივები მრავლად გვხვდება ინტერვიუებში და იმდროინდელი მენტალობის გასაგებად იშვიათი წყაროა.

სტალინის და საბჭოთა წყობის შეფასებები იმდენად განსხვავებულია, რომ იფიქრებ, ზოგი რესპონდენტი ერთმანეთის პირისპირ რომ დასვა, ნამდვილი სიტყვიერი „მუშტი-კრივი" შეიძლება გაიმართოს. ჩანს, რომ ინტერვიუები ჩატარებულია სრულიად შეუზღუდავ, არაკონიუნქტურულ ვითარებაში, რაც ზრდის მათ ღირებულებას.

შეფასებები განსხვავდება ერთამანეთისგან — ზოგი სტალინისადმი ნდობას ინარჩუნებს და მიაჩნია, რომ შეცდომა და ბოროტება უფრო დაბალ, სასჯელაღსრულების დონეზე ხდებოდა — „სტალინი კარგია, НКВД და მისი მოხელეები — ცუდი"; ზოგი, პირიქით, სტალინს მიიჩნევს დამნაშავედ, მაგრამ მხოლოდ პიროვნულ და არა მსოფლმხედველობრივ დონეზე. „კომუნიზმი/ლენინი კარგი, სტალინი — ცუდი"; იშვიათია, როცა იგმობა ორივე — სტალინიც და საბჭოთა სისტემაც; ამის მიზეზი ისაა, რომ რეპრესირებულები, ძირითადად, თავად იყვნენ პარტიელები და სოციალიზმის მომხრეები, ყოველ შემთხვევაში, მარქსისტული სოციალიზმის საპირისპირო სოციალური მოდელები — კაპიტალიზმი, ან სოციალიზმის ნაცისტური ნაირსახეობა — მათი ნატვრის საგანი არ იყო; თუმცა, მოყვანილია ერთი შემთხვევა, როცა რეპრესირებულის შვილი ისეა გამწარებული და იმედგაცრუებული, რომ მზადაა ომში წავიდეს მხოლოდ იმ ფარული მიზნით, რომ ჰიტლერის არმიას შეუერთდეს და საბჭოთა ტირანიაზე ჯავრი იყაროს. სტალინიზმის შეფასებები ინტერვიუებში ძირითადად გაფანტული, სპორადული ხასიათისაა, თუმცა, არის სისტემური ანალიზის მცდელობებიც.

ინტერვიუები რეპრესიების საინტერესო დეტალებს აცოცხლებს: რეპრესიული სისტემა სტალინის „შედევრი" იყო, მაგრამ აწყობილად ვერც ის იმუშავებდა, რომ არა ადამიანური ვნებების — შურის, სიხარბის, შიშის, ეჭვიანობის — ნაყოფიერი თანამშრომლობა. ამგვარი თანამშრომლობის მრავალი მაგალითია მოყვანილი ინტერვიუებში. ზოგჯერ დაპატიმრების მიზეზი პირადი შურისძიება იყო — რეპრე-

სიულმა სისტემამ ყველაზე მდარე, გარყვნილი ადამიანური ინსტინქტები გააღვიძა; ამანაც შეუწყო ხელი სისტემის კონტროლიდან გამოსვლას და დაპატიმრებების აბსურდულამდე გაზრდას, იქამდე, რომ უკვე თვით პარტიას მოუწია საგანგებო ზომების მიღება რეპრესიების შემცირებისათვის. სწორედ ამ უღირსობის ზეობაში, კაშკაშად ჩანს ზნეობრივი საქციელის მაგალითები, რითაც ასევე მდიდარია ეს ინტერვიუები. ერთ-ერთი სატკივარი, რაც უკვე სასიკვდილოდ განწირულ დაპატიმრებულებს ჰქონდათ, იყო ის, რომ ოჯახის წევრებს დამნაშავეებად არ ჩაეთვალათ, ბოლო სიტყვებში დაპატიმრებულები ირწმუნებოდნენ, რომ მართლები იყვნენ და შეცდომით დააპატირეს, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება განწირულად გრძნობდნენ თავს. ზოგჯერ, როგორც ერთი ინტერვიუდან ჩანს, ოჯახის წევრებს ამგვარი ეჭვი რჩებოდათ, რაც მძიმე იდეოლოგიური წნეხის შედეგი იყო. მაგალითად, ერთ შემთხვევაში შვილი აყვედრის გადასახლებიდან დაბრუნებულ დედას, რომ ისევ რეპრესირებულ ქმარზე ფიქრობს – „მისი ბრალის გამო ამდენი გადაიტანე და კიდევ განიცდიო“.

ამას გარდა, აქ ბევრ საგულისხმო რამეს ვიგებთ 30-იან 40-იანი წლების თბილისზე, საქართველოზე. როგორი იყო „ხალხის მტრების“ შვილებისადმი დამოკიდებულება მეზობლებში, სკოლაში, უნივერსიტეტში; ეშლებოდა თუ არა ხელი მათ კარიერას; როგორი საქციელისკენ განაწყობდა მათ ეს სტატუსი (მაგალითად, ინტერვიუებიდან ვიგებთ, რომ ლამის ყველა „ტროცკისტის“ შვილი ძალიან კარგად სწავლობდა სკოლაში და უნივერსიტეტში). როგორ იღებდა საზოგადოება „ალჟირიდან“ დაბრუნებულ ქალს.

მნიშვნელოვანი ინფორმაცია გვაქვს მძლავრ ნათესაურ კავშირებზე საქართველოში. ჩანს, რომ საქართველოში ბოლშევიკურმა რიტორიკამ ვერ ამოძირკვა ძირძველი ტრადიციები; (აქ ისეთ პარადოქსებსაც წავიკითხავთ, როცა ოგანოს მუშაკი მტრადგამოცხადებულის და დაპატიმრებულის ცოლს ტრადიციულ სუფრაზე ქმრის მალე დაბრუნებას უსურვებს); საქართველოში „მტრების“ შვილებს არ მოკლებიათ ოჯახური სითბო, უიშვიათეს შემთხვევებს თუ არ ჩავთვლით, ყველა ობლად დარჩენილ ბავშვს დედობას და მამობას უწევდნენ დეიდები, ბიძები, ბებიები, ბაბუები. ზოგჯერ კი მეგობრების და მეზობლების ოჯახები იფარებდნენ მათ. ეს, რა თქმა უნდა, რისკთან იყო დაკავშირებული.

აკმოლინსკის ბანაკის ისტორიის დეტალები შესანიშნავი წყაროა იმდროინდელი რეალობის რეკონსტრუქციისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ დაბრუნებული დედები ხშირად დუმილს არჩევდნენ გადატანილზე, მათი მწირი მონაყოლიდან ვიგებთ როგორც საზარელი ძალადობის და აუტანელი მოპყრობის, ისე გადასახლებულებს შორის თავგამოდებული სიკეთის, სოლიდარობის შესახებ: როცა გულისხმიერება გაქვს, საკმარისია, შენმა ერთმა რჩევამ ადამიანს თვითმკვლელობაზეც აალებინოს ხელი და ოპტიმალური გამოსავალიც აპოვნინოს, რისი მაგალითიც ამ ინტერვიუებშია მოყვანილი.

ინტერვიუებში გადმოცემულია დედების დაბრუნების დრამატული მომენტები: ბავშვებს, რომლებსაც, სხვები (დეიდები, ბებიები...) შვილებივით ზრდიდნენ, უწევდათ „დედა" დაეძახათ უკვე სრულიად გაუცხოვებული ადამიანისთვის. ერთ შემთხვევაში იმდენად იყო ბავშვი მიჩვეული დეიდას და იმდენად უცხო იყო მისთვის დედა, რომ გარკვეული შვებაც მოუტანა ამ უკანასკნელის სიკვდილმა. აქ მოყვანილი ნარატივების მიხედვით, გოგონებს უფრო უჭირდათ დაბრუნებულ დედებთან ადაპტაცია, ვიდრე ბიჭებს. რა თქმა უნდა, 18 ინტერვიუ არ იძლევა განზოგადების უფლებას, მაგრამ თუ მრავალი სხვა მსგავსი ინტერვიუს შეჯერებით უფრო ზოგადი სურათი გამოვლინდა, ეს საინტერესო მასალა იქნება ფსიქოლოგებისა და სოციოლოგებისთვის, ასევე მწერლებისთვის, რომლებსაც მოუნდებათ ამ ეპოქაზე ლიტერატურული ნაწარმოებების შექმნა.

ინტერვიუების ერთი გამჭოლი ხაზია რესპონდენტების მონათხრობი პროფესიულ საქმიანობაზე, მიღწევებზე, შვილებზე, შვილიშვილებზე და მათ მიღწევებზე, როგორც ირიბი, შეიძლება, გაუცნობიერებელი მინიშნება, რომ ისინი რეპრესიულმა რეჟიმმა ვერ გატეხა და ცხოვრება მაინც შედგა.

БАРАТАШВИЛИ-ХРУЩОВА Варвара Евгеньевна, род.в 1897 г., г. Гори Грузинской ССР, грузинка. Приговорена 24.06.1938 ОСО[1] при НКВД[2] СССР как ЧСИР[3] к 8 годам ИТЛ[4].

Прибыла в Акмолинское ЛО 28.09.1938 из тюрмы г. Тбилиси.

Освобождена 24.12.1945.

## ლადო ბარათაშვილი

დედა ვარვარა ხრუშჩოვა-ბარათაშვილისა

მამა იოსებ (ოსიკო) ბარათაშვილი

და ცისანა ბარათაშვილი

გვარი ბარათაშვილი

სახელი ვლადიმერი (ლადო)

მამის სახელი იოსები (ოსიკო)

დაბადების წელი ადგილი 1920წ. 9 სექტემბერი

ინფორმანტის ასაკი მშობლების დაპატიმრების მომენტში:

მამა 17 წლის

დედა 17 წლის

ძმის/დის ცისანა იოსების ას. ბარათაშვილი 1933 წლის 16 ივნისი

გვარი სახელი მამის სახელი

მშობლების დაპატიმრების შემდეგ ინფორმანტი ცხოვრობდა:

ცხოვრობდა ნათესავებთან დეიდის ბინაში

დედის დაპატიმრების შემდეგ ჩავიდა დედასთან აკმოლენსკის ბანაკში

განათლება უმაღლესი თსუ, იურიდიული ფაკულტეტი

პროფესია იურისტი, ადვოკატი

ოჯახური მდგომარეობა (ინფორმანტი)

შვილები 2 შვილი, 2 შვილიშვილი, 1 შვილთაშვილი

დავიბადე 1920 წლის 9 სექტემბერს. ოთხწლედი დავამთავრე მე-18 სკოლაში, რადგანაც ამ სკოლაში მეხუთე კლასი არ იყო, გადავედი მე-14 შრომით სკოლაში, მახარაძის[122] ქუჩაზე. მე-8 კლასიდან მოვხვდი მე-8 საშუალო სკოლაში მთაწმინდაზე. ბოლოს წარჩინებით დავამთავრე 25-ე შრომითი სკოლა, ათწლედი ბარნოვის[123] ქუჩაზე.

ვინაიდან მამაჩემი **იოსები (ოსიკო) ალექსანდრეს ძე ბარათაშვილი**, ერთ-ერთი წარჩინებული ადვოკატი იყო, ეს პროფესია მომწონდა და საბუთები სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე შევიტანე. კანონი იყო, თუ მოწაფე სკოლას წარჩინებით ამთავრებდა, გამოცდებს არ აბარებდა. ასე, რომ გამოცდების გარეშე მოვეწყვე იურიდიულ ფაკულტეტზე.

ჩემი და, **ცისანა იოსების ასული ბარათაშვილი** – დაბადებულია 1933 წელს, 16 ივნისს. მახსოვს, 1937 წელს, მის დაბადების დღეზე ჩვენთან სტუმრები იყვნენ. ისინი დაიშალენ ღამის 2 საათზე, დავწექი... ნახევარ საათში გამეღვიძა... საწოლი ოთახის კარი ღია იყო, თვალი მოვკარი შინაგან საქმეთა სამინისტროს ფორმაში ჩაცმულ კაცს. იურიდიული ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი ვიყავი, მივხვდი, რომ ჩემს ოჯახში რაღაც უბედურება ხდებოდა. ამ ორგანოს თანამშრომლებმა მამაჩემი დააპატიმრეს.

მამა იყო ძალზე განათლებული, ერუდირებული პიროვნება, ორატორული ნიჭი ჰქონდა. უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ 1900 წლიდან ადვოკატობას ეწეოდა. როგორც მახსოვს, მისი თანაშემწეები მომავალში უკვე ცნობილი ადვოკატები იყვნენ: შალვა ალექსი-მესხიშვილი (ჩემი ნათლია), ვანო ჯაფარიძე, ჟორა ჩაჩავა და სხვები. 1906 წელს მამა არჩეული იქნა პირველ სახელმწიფო სათათბიროში დეპუტატად. სათათბიროში მამას ჰქონდა გამოსვლები, რომელიც ეხებოდა პრესისა და სიტყვის თავისუფლებას, გლეხებისათვის მიწის დარიგებას, სიკვდილით დასჯის გაუქმებას, მოსახლეობის მიმართ რუსეთის ჯარის მკაცრად და დაუნდობლად მოპყრობას. არსებულ ფაქტებთან დაკავშირებით მაგალითებიც კი მოჰყავდა. ამ სიტყვების მოსმენისას ილია ჭავჭავაძეს უთქვამს, *„მე აქ რაღა მინდა, ბარათაშვილი საქართველოს ინტერესებს კარგად დაიცავსო“*.

მამაჩემი არაჩვეულებრივად უკრავდა თარზე. ალექსანდრე ბარნოვს, წიგნში *„ძველი თბილისის მუსიკოსები“* თარზე კარგ დამკვრელებს შორის მამაც ყავს ნახსენები. *„თავის დროზე თარის კარგი დამკვრელები ყოფილან: მეფე ერეკლეს კარის აშუღი საიათნოვა, ცნობილი მგოსანი ბესიკი,*

122. მახარაძის ქ. – ახლანდელი გერონტი ქიქოძის ქ. სხვადასხვა დროს ატარებდა ინსტიტუტის, ძველი ინსტიტუტის (Староинститутская), ი. პასკევიჩის სახელებს.

123. ბარნოვის ქ. – ზემო ვერაზე და ვაკეში; ყოფილი ლუნიბის ქუჩის ვაკის მონაკვეთს მოგვიანებით ირ. აბაშიძის ქ. ეწოდა.

*ნიკოლოზ ბარათაშვილი, ფრიდონ, ბიჭიკო, ამირიდონ წერეთლები, ოსიკო ბარათაშვილი და სხვ.*" მამას ჰქონდა შესანიშნავი, ლირიკული ტენორი, შესანიშნავი ხმა, მიუხედავად იმისა, რომ კონსერვატორიაში ერთი დღეც არ უსწავლია, ამხანაგების ძალის დატანებით თბილისის ოპერის თეატრში კომპოზიტორი ლეონკავალოს ოპერა „ჯამბაზებში" მეტად კარგად შეასრულა კადიოს არია.

მინდა, ერთი უცნაური ისტორია გავიხსენო: 1906 წელს I სახელმწიფო სათათბიროს წევრად მამას ირჩევდნენ. ერთ-ერთი ჯგუფს სხვა დეპუტატის არჩევასთან დაკავშირებით, ადვოკატ დოლუხანოვს მამაჩემის გამოწვევა და გაბრაზება უნდოდა, როდესაც მამაჩემის სადღეგრძელოს სვამდნენ, დოლუხანოვი ახლოს მივიდა მამასთან სასმისით ხელში და „მწარედ" იხუმრა, *„როდესაც იკითხავენ ვინ არის ეს დეპუტატი, იტყვიან, რომ ის არის „ბარანტაევ!" სხვების აღშფოთების მიუხედავად, მამას, თურმე, თავი ძალზედ შეუკავებია. როდესაც დოლუხანოვს ადღეგრძელებდნენ, მამას უთქვამს: „თავადებს მასხრები ჰყავდათ დაქირავებული, რომლებიც სხვადასხვა ოინბაზობითართობდნენ ხალხს, როდესაც დოლუხანოვზე იკითხავენ ვინ არის ეს მასხარაო, პასუხი იქნება – „კლოუნხანოვიო"* ". მამას დოლუხანოვისთვის შეუხედავს და უთქვამს, თუ გინდა გვერდზე ოთახში გამომყევიო.

მამის დაპატიმრების შემდეგ ერთ-ორ თვეში (1937 წელს) დააპატიმრეს დედაჩემი **ბარბარე – ვარია ევგენის ასული ხრუშჩოვა-ბარათაშვილისა.** ძალიან გვიან გავიგე, რომ, დედა, დაპატიმრებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, *„სამეულის"*[124] მიერ გასამართლებული იქნა, როგორც ხალხის მტრის მეუღლე, გადასახლებული იქნა კაზახისტანში და სასჯელს, აკმოლენსკის ქალთა კოლონიაში იხდიდა.

ახლანდელი კოსტავას[125] ქუჩაზე, 6 ნომერში ვცხოვრობდით. ოთხი ოთახი გვქონდა. დედის და მამის დაჭერის შემდეგ წაგვართვეს და შემოგვისახლეს 2 ოჯახი. ერთ ოთახში დავრჩი.

ჩემი და, ცისანა ბარათაშვილი, დეიდაჩემმა, დედაჩემის დამ, ლამარა ევგენის ასულმა გაჩეჩილაძემ საცხოვრებლად ჭიათურაში წაიყვანა.

ათეული წლების გასვლის შემდეგ, ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ მამაჩემი გასამართლებული იქნა რუსეთის სამხედრო ტრიბუნალის გამსვლელი სესიის მიერ. სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლის 10 და 11 პუნქტების სასჯელი მიესაჯა. 1937 წლის 13 სექტემბერს სასჯელის

124. ე.წ. სამეული – Тройка - **Особая тройка НКВД** –დიდი ტერორის პერიოდში (1937-1938) სასამართლო სისტემის გარეთ არსებული ორგანო, რომელსაც გამოჰქონდა განაჩენი. იგი ჩვეულებრივ შედგებოდა 3 წევრისაგან: თავმჯდომარის – შინსახკომის ადგილობრივი ხელმძღვანელი, ადგილობრივი პროკურორის და ოლქის, მხარის ან რესპუბლიკურის პარტიის კომიტეტის პირველი მდივნისაგან.

125. მერაბ კოსტავას ქ. – ყოფილი ვ. ლენინის ქ.; გასაბჭოებამდე – ოლღას ქ. (Ольгинская); უფრო ადრე მის მონაკვეთებს ეწოდებოდა „დილმის გზა", ჯვრის დაღმართი.

ზომად დახვრეტა გამოუტანეს. განაჩენი სისრულეში იმავე დღეს მოიყვანეს.

1937 წლის სექტემბერში მეორე კურსზე სწავლების დაწყებისთანავე უნივერსიტეტიდან გამრიცხეს, 1938 წლის 14 მაისს კი – დამაპატიმრეს. დაპატიმრების მიზეზი პოლიტიკური ბრალდება იყო. გამოძიებას შინაგან საქმეთა სამინისტრო აწარმოებდა.

1939 წლის 14 მაისს გამათავისუფლეს.

ერთი დეტალი მინდა მოგახსენოთ, რომელიც ჩემი თავისთვის დღესაც არ მიპატიებია. ყოფილი „ოლღას“ ქუჩის 20 ნომერში ვცხოვრობდით, მეორე სართულზე, შემდეგ ამ ქუჩას ლენინის ქუჩა დაარქვეს. შინსახკომის თანამშრომლებს მამა რომ მიჰყავდათ, კიბეებზე ვაცილებდი, ყოვლად დაუფიქრებლად ვკითხე, *„რა ვუყო ფრანგულ ენას?“* მამამ გამხვია ხელი, მაკოცა ორჯერ და მითხრა *„ცხოვრება თვითონ გიკარნახებს, როგორ მოიქცე, ერთ რამეს გთხოვ, სირცხვილი არ მაჭამო და თავი არ მომჭრაო“* – ეს სიტყვები დევიზად მქონდა მთელი ჩემი სიცოცხლე. უნივერსიტეტში ჩემი აღდგენა არ უნდოდათ, მაგრამ შინაგან საქმეთა მინისტრთან მოვახერხე შეხვედრა, მინისტრი ჩემი თანდასწრებით დაელაპარაკა მაშინელ რექტორს[126], რის შემდეგაც მეორე კურსზე აღმადგინეს. დავიწყე ლექციებზე სიარული. იმ დროს იურიდიული ფაკულტეტის დეკანი იყო *დავით მირიანაშვილი*, რომელმაც მომცა უფლება, ლექციებზე მევლო და ექსტერნად ჩამებარებინა საგნები. ჩემი ამხანაგები უკვე IV კურსზე იყვნენ. ამ დროისათვის საცხოვრებელი ბინა ჩამორთმეული გვქონდა, ავეჯი წაღებული იყო. გული მწყდება მამის არაჩვეულებრივ ბიბლიოთეკაზე და ვერცხლით გაწყობილ უნაგირზე... თავს ვიკლავდი, მშიერ-მწყურვალი ვმეცადინეობდი და საგნებს ვაბარებდი.

ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც ერთ-ერთი საგნის ჩასაბარებლად მივედი და დავით მირიანაშვილს საგამოცდო ფურცელი ვთხოვე, შეწუხებულმა მითხრა, ვერ მოგცემო. მიზეზი შემდეგი აღმოჩნდა, – ზოგიერთ კურსანტს განცხადება ჰქონდა შეტანილი, რომ პროფესორები და ლექტორები ხალხის მტრის შვილს პროტექციით ნიშნებს უწერდნენ. მე ბატონ დავით მირიანაშვილს ვუთხარი: „არის ერთი გამოსავალი, გამოცდებს, ეს უსინდისო თანაკურსელები დაესწრონ“. მართლაც, დაესწრნენ... როდესაც დარწმუნდნენ, რომ საგნებს კეთილსინდისიერად ვაბარებდი, დაანებეს თავი ჩემს დასმენას. 1940 წლის 17 ივლისს უკანასკნელი სახელმწიფო გამოცდა ჩავაბარე და დიპლომი მივიღე. იმავე კვირაში განცხადება შევიტანე ადვოკატთა კოლეგიაში,

126. 1938-1942 წწ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი იყო დავით ყიფშიძე (1902-1957).

თავმჯდომარე ნატაშა ლომთათიძე იყო, რომელმაც პრეზიდიუმის დადგენილებით, პირდაპირ ადვოკატურაში მიმიღო სტაჟიორობის გავლის გარეშე. 1940 წლის 25 ივლისს იმდროინდელი ორჯონიკიძის რაიონის[127] იურიდიულ კონსულტაციაში მიმიღეს.

შტატის შემცირების გამო, ადვოკატურიდან გამომიშვეს... აღდგენის შემდეგ სვანეთში, მესტიაში გამგზავნეს. საბოლოოდ, სტალინის გარდაცვალების შემდეგ 1953 წელს ადვოკატურაში აღმადგინეს, იმის შემდეგ სახელმწიფო დაწესებულებაში არასდროს მიმუშავია.

კონსულტაციაში მრავალჯერ ვიყავი სარევიზიო კომისიის წევრი. საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ბატონ ჯამბაკურ ბაქრაძის გარდაცვალების შემდეგ, 1992 წელს საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ამირჩიეს, 10 წლის განმავლობაში მეჭირა ეს პოსტი. ერთ-ერთი არჩევნების დროს ვითხოვე, რომ ჩემი კანდიდატურა აღარ დაესახელებინათ, რაც მოხდა კიდეც.

2002 წლის 23 ოქტომბრის, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, სამ სხვა ადვოკატთან ერთად, ღირსების ორდენით დამაჯილდოვეს.

ჩემი თავმჯდომარეობის პერიოდში შავი ზღვის აუზის ქვეყნების ადვოკატთა ასოციაციის 9 ქვეყნის პრეზიდენტების კონგრესზე ვიყავი მიწვეული.

როგორც საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის თავმჯდომარემ, 1994 წლის 5 აპრილს, ასოციაციის ცხრა პრეზიდენტს შორის, საზეიმო სხდომაზე დეკლარაცია მე წავიკითხე.

1991 წლის 30 აგვისტოს, პრეზიდენტის დადგენილებით, ადვოკატთა კოლეგიის საპატიო წევრად ამირჩიეს. ამჟამად არჩეული ვარ საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის საპატიო თავჯდომარედ.

* * *

დედის სამყოფელი ადგილი ჩემთვის ცნობილი არ იყო, ვინაიდან მიწერ-მოწერა აკრძალული ჰქონდა. 1945 წელს მივიღე დეპეშა, რომ დედა სასჯელს იხდის ყაზახეთში, აკმოლენსკის ქალთა ბანაკში, რომელსაც „ალჟირი“ (Акмоленский Лагерь Жен Изменников Родины) ერქვა. დავიწყე მცდელობა, რომ წავსულიყავი და ავადმყოფი დედა მენახა. უზენაეს საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის, ვასილ ეგნატაშვილის წყალობით მივიღე საშვი მოსკოვში წასასვლელად. მოსკოვში ГУЛАГ[128] -ში საშვების მიღებისთანავე დედის სანახავად წავედი.

127. ორჯონიკიძის რ-ნი – საბჭოთა პერიოდში ქ. თბილისის ადმინისტრაციული რაიონი; მოიცავდა საბურთალოს ნაწილისა და ვაკის ტერიტორიას.

128. ГУЛАГ - Главное управление исправительно-трудовых лагерей.

მაისის პირველი რიცხვები იყო, რომ ჩავედი... მეძინა ლაგერის ახლოს, ცალკე სახლში. ეს სახლი იყო ლაგერის თანამშრომლებისათვის. დედა ლაგერის სამკერვალო საამქროში მუშაობდა. დღეში რამდენიმე საათს მაძლევდნენ მისი ნახვის უფლებას. ეს იყო ჩემი უაღრესად გაჭირვების წუთები, როდესაც პირველად დედა ვნახე... მე უკვე რამდენიმე წლის ადვოკატი ვიყავი...

მახსოვს, დედას პირველად როგორ შევხვდი: დედა მოდიოდა დიდ ბუშლატში, ვიფიქრე, რომ დამინახავს, ცუდად არ გახდეს და დავუყვირე: *„დედა ცუდად არ გახდე“* მან მითხრა: *„აბა, ვნახოთ, შვილო, ვინ უფრო ცუდად გახდება“*.

შევატყვე, რომ ცუდად ვიყავი და შევვარდი ოთახში, დედაც შემოვიდა.

ძნელად წარმოსადგენია, რაც მე განვიცადე, როდესაც დედას მოვეხვიე და დავიწყე მისი მოფერება.

დედაჩემის პირველი სიტყვები იყო – *„მამაშენის რა იცი?“* ვუპასუხე, – *„მამაჩემის გულისათვის უდანაშაულო პატიმრობაში ხარ და კიდევ იმას კითხულობ?“* მან მითხრა – *„ოღონდ ის იყოს კარგად და მე სულ პატიმრობაში ვიქნები“*.

9 მაისს მოსკოვში ჩამოვედი მატარებლით, გამოაცხადეს, რომ ომი დამთავრდა, რაღაც სასწაული იყო, მთელი მოსკოვის მოსახლეობა, დიდი და პატარა, მოხუცი და ბავშვი, ქუჩაში იყვნენ გამოსულები. ცეკვავდნენ, მღეროდნენ, საოცარი სანახაობა იყო.

მოსკოვიდან მაისის ბოლოს ჩამოვედი, თბილისში შემხვდნენ უფროსი თაობის წარმომადგენლები ტუპია იაშვილი და ბონდო დადიანი. იცოდნენ რა, რომ დედა ვნახე, სასტუმრო „თბილისში“ II სართულზე, ბუფეტში სასაუზმოდ დამპატიჟეს, ვინაიდან რესტორანი დილის საათებში არ მუშაობდა. ცოტა ხანში პირდაპირ ოთახიდან ყვირილი გავიგეთ. ვიცოდი, რომ ის კაბინეტი ჩემი მეგობრის, ლეო დარჩიასი იყო, ფეხი გამიხმა და შევედი. გავარკვიეთ, რომ ჩემთვის უცნობ ახალგაზრდებს რაღაც დანაშაული ჩაუდენიათ. ჩვენ გამოვედით და გავაგრძელეთ პურის ჭამა.

ივნისის ბოლო რიცხვები იქნებოდა, უზენაეს სასამართლოში მივდიოდი. ზემელზე[129] შინსახკომის წარმომადგენლებმა გამაკავეს და წამიყვანეს შინაგან საქმეთა სამინისტროში, რუსთაველის გამზირზე, ყოფილი ფოსტის უკან მდებარე შენობაში. სრულიად უდანაშაულოს წამიყენეს ბრალდება, რესტორანში მომხდარი ამბავი გაიხსენეს და ცდილობდნენ

129. ზემელი – მიკროუბანი შოთა რუსთაველის სახელობის მოედანთან. სახელწოდება უკავშირდება გერმანული წარმოშობის პროვიზორის გვარს; მისი აფთიაქი მდებარეობდა ახლანდელ მ. კოსტავასა და მიხ. ჯავახიშვილის ქუჩაზე ჩასასვლელის კუთხეში; აფთიაქის შენობა შეეწირა „ვარდების რევოლუციის“, ადრე – „რესპუბლიკის“ მოედნის მშენებლობას.

როგორმე დავესაჯე. სასამართლომ გამართლებული განაჩენი გამომიტანა, თუმცა, სრულიად უდანაშაულოდ ციხეში 5 დღე გავატარე, მკვლელი ვეგონე.

პროცესი მიდიოდა 22, 23, 24 აგვისტოს, ყოფილი ბერიას[130] რაიონის სახალხო სასამართლოში, უზენაესი სასამართლოს მე-5 სართულზე. იმავე დღეს განაჩენი ციხეში ჩააბარეს ჩემმა მეგობრებმა ედიტა სავიცკიმ და დათიკო გიორგაძემ. მე კანონის უხეში დარღვევით გამათავისუფლეს ხუთი დღის მერე, 28 აგვისტოს.

დედას მიწერ-მოწერის უფლება არ ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ სასჯელი მოხდილი ჰქონდა, არ ათავისუფლებდნენ. წელიწადნახევრის შემდეგ კვლავ ჩავედი აკმოლენსკის ბანაკში. იქ უკვე შინაგან საქმეთა სამმართველოს ორგანოებში, ჩემი განცხადების შედეგად სასჯელმოხდილი დედა პატიმრობიდან გავანთავისუფლებინე. იქედან ჩავედი კარაგანდაში[131], ლაგერის სამმართველოში, სადაც მივიღე დედის განთავისუფლების დოკუმენტი. დედასთან ერთად, დედის მეგობრების — კლავდია მიხეილის ასული ბაბაევი, ცუფა ხვიჩია და კიდევ ორი ქალი (გვარები არ მახსოვს) გავათავისუფლე და ჩემი ხარჯით ჩამოვიყვანე მოსკოვამდე.

ერთი ეპიზოდი მინდა გავიხსენო: დედის დღეობა იყო 17 დეკემბერს, ამ დღეს სტუმრები მოდიოდნენ ხოლმე. მახსოვს, ვიღაცას წითელღვინიანი ჭიქა წაექცა და თეთრი სუფრა მოისვარა, რითაც ძალიან შეწუხდა და უხერხულად იგრძნო თავი. დედას, შეწუხებული სტუმარი რომ ენუგეშებინა, დაავლო წითელი ღვინით სავსე ბოთლს ხელი და სუფრა თავიდან ბოლომდე მორწყო ღვინით...

ხვდებით?

*13 ოქტომბერი, 2005 წელი*

130. ლ. ბერიას რაიონი — ქ. თბილისის ცენტრალური ადმინისტრაციული რაიონი; ლ. ბერიას დაპატიმრებისა და დახვრეტის შემდეგ (1953 წ.) ეწოდა მ. კალინინის რაიონი.

131. Карлаг (Карагандинский исправительно-трудовой лагерь) — ყარაგანდის ოლქი ყაზახეთის სსრ-ში.







1. იოსებ ბარათოვი (ბარათაშვილი)

2. იოსებ (ოსიკო) ბარათაშვილი თარით

3. ლადო ბარათაშვილი

СТЕПАНЯН-БАГАТУРОВА Анаида Ивановна, род. в 1907 г., г. Батуми, армянка.

Приговорена 28.06.1938 ОСО при НКВД СССР как ЧСИР к 5 годам ИТЛ.

Прибыла в Акмолинское ЛО 20.09.1938 из тюрьмы г. Тбилиси. Период нахождения в АЛЖИРе не указан.

Освобождена из Карлага 28.01.1945.

## Велиора Багатурова

Мать Анаида Багатурова-Степанян

Отец Армен Багатуров

Фамилия Багатурова

Другие фамилии

Имя Велиора

Отчество Арменовна

Год и место рождения 1931 г. г. Тбилиси

Возраст на момент ареста

Отца 6 лет

Матери 6 лет

Ф.И.О. сестры, брата Пирцхалаишвили Майя Павловна

Образование

Высшее ГПИ 1950-1956 гг.

(название учебного заведения, время учебы)

Профессия Инженер - технолог

Место работы, должность Аналитприбор - Институт аналитического приборостроения. Ст. научный сотрудник.

Членство в молодежных организациях комсомол 1945 г. Тбилиси

(год и место вступления)

Семейное положение информанта разведена

Дети

Сколько детей Дочь Марина Иналовна Агладзе

Образование высшее. Тбилисский мединститут, врач

Семейное положение замужем, двое детей, мальчик и девочка

**МАТЬ**

**Фамилия** Степанян

**Другие фамилии** Багатурова

**Имя** Анаида

**Отчество** Ивановна

**Год и место рождения** 1907 г., г. Батум

**Образование** высшее

**Должность и место работы** до ареста ст. научный сотрудник Института животноводчества. Позже _ главный зоотехник Норильской птицефабрики.

**Дата ареста** 12.25.1937

**Приговор** ЧСИР

**Место отбытия наказания** Акмолинск

**Реабилитация** 1956 г.

**ОТЕЦ**

**Фамилия** Багатуров

**Имя** Армен

**Отчество** Леонович

**Год и место рождения** 1904 г. г. Баку

**Образование** высшее

**Должность и место работы** Зам. начальника сельхозотдела ЦК Грузии

**Дата ареста** 25.10.1937

**Реабилитация** 1956 г.

**СЕСТРА**

**Фамилия** Пирцхалаишвили

**Имя** Майя

**Отчество** Павловна

**Год и место рождения** 1936 г. г. Тбилиси

**Возраст на момент ареста**

**Отца** 1 год и 4 месяцев

**Матери** 1 год и 6 месяцев

**После ареста родителей информант** жила у родственников

**Образование**

**Высшее** Тбилисский мединститут

ჩხრეკა რომ დაიწყეს, მამას ნებართვა ჰქონდა, რომ ნებისმიერი იარაღი ჰქონოდა სახლში, და ერთ ოთახში, აი, ასე კედლებზე თავის დასადგამებში იყო ჩაწყობილი სხვადასხვა თოფები, მამაჩემი ამის ფანატი იყო. ზიდეს და ზიდეს, ზიდეს და ზიდეს. ეს სომეხი კაცი შემოვიდა თენგიზის ოთახში, თენგიზს თავისი კარადა ჰქონდა, მე ჩემი. არ მახსოვს ვინ, მაგრამ ვიღაცამ მაჩუქა „дамский браунинг, с перламутровой ручкой„ იმან რომ გამოაღო უჯრა და რომ დაინახა ესა, კი აღარ დადო უკან, ხან იქეთკენ მიტრიალდა, ხან აქეთკენ... ძალიან ადრე დავიწყე კითხვა, და, სხვათა შორის, ვკითხულობდი წიგნებს რევოლუციაზე და ობისკები, ჩხრეკები... და დავსდევ ამ კაცს კუდში, ვხედავ, რომ ეს პატარა რევოლვერი უჭირავს ხელში, მერე ვუთხარი - *Это, я говорю, мое, это не папино. - Как это твое,* მითხრა, - *мне подарили. - А кто подарил?* მე არ ვუთხარი. - *А тогда и это запишите,* წაღება უნდოდა, შემოვიდა დედაჩემი, მიტკალივით გახდა, შემოიყვანეს მოწმე, *понятой, он рядом с нами жил,* ერთადერთი, ვინც ამ სახლიდან გადასახლებული არ იყო, მერე გეტყვით იმ სახლს რა მოუვიდა – აზარანსკი, еврей. Старый еврей, რომელიც, აი, ახლა ბიზნესს რომ ეძახიან, ამას ეწეოდა, у него был сын, Витя Азаранский, такой страшный. Витька, Витька, мы его всегда мучали, этот Витька был такой благородный , он оказывается стоял все время на улице, и ждал прихода Тенгиза, моего брата, и когда Тенгиз пришел, Витя говорит – *Не иди домой... почему? Ну не иди, давай здесь посидим, поговорим, – Ну в чем дело? Почему? Тенгизу уже 16-17 лет,... За твоим отцом пришли, За моим отцом пришли*-ო და შემოვარდა თენგიზი, ჰოდა, ეს აზარანსკი არა ერთხელ მჯდარა თვითონ, მერე მოგვიყვა. წარმოგიდგენიათ, ჩეკისტები სახლში არიან და ამ აზარანსკიმ მოახერხა, რომ დაწერა: „*Как можно, меньше называйте имен,*“ და რაღაცნაირად გადასცა მამას. მამას ამის თქმა რაში სჭირდებოდა, კაცი იმისთვის მოკლეს, რომ 500 კაცზე უნდა მოეწერა ხელი

150. მიხაილ ფრუნზე (21.01.1885-31.10.1925) – რევოლუციონერი და საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე; სამოქალაქო ომის დროს წითელი არმიის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მხედართმთავარი.

და არ მოაწერა... ამისთვის მოკლეს... აღწერეს სულ ყველაფერი, კისლევსკი მივიდა, აიღო ყურმილი და ურეკავს ვიღაცას – *Ну как у тебя дела?* იმან უთხრა იქიდან, თურმე, ბიძაჩემთან რეკავს, თურმე, იმასაც ახლა აიყვანენ და იქიდან უთხრეს - *Я уже закончил.* ეს მერე მერაბმა მითხრა, ჩემმა ბიძაშვილმა, - *Я тоже заканчиваю. Оказывается, он туда позвонил. Гайоз Адамович, Гайоз Адамович, по имени- отчеству _ они же так умеют, очень вежливо,* вот «Возьмите кое-что» - დედაჩემი რა, - *Возьмите!* ზის გაჯავრებული, მე გავედი, такая у нас прихожая была და იქ გვედგა ძველებური კარადა, იმ კარადაში იყო რაღაც საჭმელები, და ეს წანაკითხი მქონდა, როცა აპატიმრებენ, უნდა გაატანო რაღაცები. მამას, როგორც მონადირეს ძალიან კარგი ტყავის ჩექმები ჰქონდა, ისე სულ ტყავის ჩექმებში იყო, მაგრამ ეს სანადირო იყო. საიდანღაც დიდი ჩანთა გამოვიღე და დავიწყე ჩაწყობა. ჰოდა, ერთმა მითხრა: *»Девочка, что ты так собираешься, мы так далеко не собираемся отправить твоего отца.»*

გაჰყავდათ იმ დიდი სადარბაზოდან, არავითარი ხელის მოკიდება, არავითარი „ნარუჩნიკები“... ეს არასოდეს დამავიწყდება, კარებში დადგა გასვლის წინ, იქით ის კისილოვსკი დგას, აქეთ – ჩვენ, თენგიზი რაღაც სისულელეებს უყვიროდა, ვნერვიულობდით, ვტიროდით... მამამ დედას უთხრა: *„ნინა და ჩემო ბავშვებო, როგორც ახალშობილი, მე ისეთი სუფთა ვარო.“* მერე მანქანაში ჩასვეს. თენგიზი გაეკიდა, მირბოდა... ეს კობის ქუჩა ხომ ცოტა აღმართიანია, მირბოდა თენგიზი ამ მანქანის უკან, დედაჩემი უყვიროდა, დაბრუნდიო. დედაჩემმა იფიქრა, ვაითუ, სტაცონ ხელი და თენგიზიც წაიყვანონო. აი, ასე დამთავრდა მამაჩემის ეპოპეა.

ცოტა ხნის შემდეგ ჩვენც, რა თქმა უნდა, გამოგვასახლეს იქედან, წაგვართვეს სუყველაფერი, რაც აღწერილი იყო, სულ წაიღეს. მერე გეტყვით, ვისთან იყო ეს ყველაფერი და ყორღანოვის (ქიაჩელი) ქუჩაზე მოგვცეს ბინა. ეს პატარა ქუჩაა ვერის ბაღის უკან. იქ ნახევარსარდაფში ერთი ოთახი იყო 14 კვმ და მეორე – 2 კვმ. იქ იყო კიდევ ერთი ოთახი, „*ბალკონი*“ იყო, უნდა ჩავსულიყავით კიბეებით, სარდაფში. იქ კიდევ ერთი პატარა ოთახი იყო და ერთი პატარა, მეორე ოთახი, ჩვენსაზე პატარა, მესამე – 8კვმ. რატომ გეუბნებით ამას. ამ ოთახში შეასახლეს ადამიძე ვაჟით, დედით. მგონი ის ადამიძეც სამხედრო იყო, იმ პატარა ოთახში შეასახლეს ლენა ანთელავა და ჯანა, მისი ქალიშვილი და ბოლოს ერთ მშვენიერ დღეს ყველანი გამოგვყარეს და შეგვასახლეს სამივე ოჯახი ამ მეორე ოთახში. ადამიძეებთან

დიმა უკვე იყო ვაჟკაცი, მე უკვე 15-16 წლისა. ჯანაც ამ ხნის, ბებია, თენგიზი... ერთ მშვენიერ დღეს მოდის ვიღაც ქალი, რვეული უჭირავს ხელში, – აბა, ახლა, მე უნდა შევამოწმო თქვენი საწოლები, თუ გაქვთ სუფთა ლოგინი, თუ გაქვთ სუფთა ზეწრები და როგორ ცხოვრობთო. ჩვენ ხმა არ ამოვიღეთ, რა უნდა გვეთქვა, საერთოდ დაშინებულები ვიყავით – თუ ვინმე ნაცნობი გვხედავდა, მეორე მხარეზე გადადიოდა, გარდა ჩემი კლასელებისა. ისინი ბოლომდე ჩემთან იყვნენ სუყველანი... ბებიამ, მეორეჯერ რა უნდა დავკარგო, რაც დავკარგეო და... – *„შენ ახლა გადი აქედანო, აი, გადაათვალიერე ლოგინებიო, ეს ციხე ხომ არ გგონია, დამპალ იმეებზე რომ უწევთ ჩვენი შვილები, ჩვენი სიძეები და ძმებიო. აი, ნახეთ ხომ ერთ ოთახში ვართ სუყველანი, ნახეთ გაკრიალებული გვაქვს, მართალია თითო-თითო დავგიტოვეთ, მაგრამ სუფთაა, ვის დასცინითო!“ – „მეო, რაო, მეო, ესაო, დამავალესო“, – დაგავალეს და ცოტა სხვანაირად ილაპარაკე, საიდან უნდა ვიყოთ ისეთ სისუფთავეში, როგორც ჩვენ გვინდა? რა, წყალი გვაქვს? აგერ ეზოში უნდა გავიდეთ!*

ბებიაჩემი მოდიოდა ხოლმე, დედაჩემის დედა, ახლა „პირიმზე“[151] რომ არის, წინათ იქ იყო დიდი სახლი და იქ ერთი საკმაოდ დიდი ოთახი ჰქონდა.

151. ამჟამად ორბელიანის, წინათ კოლმეურნეობის მოედანი.

* * *

ახლა მოგიყვებით დედის წაყვანის ამბავს. ვარ წინა ოთახში, მამა რომ წაიყვანეს, 2 ივლისიდან 5 ივლისამდე მთელი ჩვენი სახლი დაიცალა, ჩვენს თავზე ცხოვრობდა ლეო თიკანაძე, იმის თავზე ერიკ ბედია, აქეთ პროფ. კონიაშვილი, ფილოსოფოსი მოსე გოგიბერიძე, გაბაშვილი. მოკლედ 5-ივლისამდე ეს სახლი დაიცალა. მერე იქ შებრძანდა... არ მინდა ვთქვა, ვინ, რადგან მერე ჩემი ამხანაგის დედა აღმოჩნდა, ძალიან ცუდად მოიქცა. ვართ იმ პატარა ოთახში, მიყავთ ქალები... ერთადერთი მამიდაშვილი მყავდა, თეიმურაზ კიკნაძე, ვაჟკაცი ბიჭი იყო. სხვათა შორის, ჩემი ძმაც სპორტს მისდევდა, მძლეოსნობას, გაზეთშიც მაქვს სურათი. რომელიღაც სახეობაში საქართველოს ჩემპიონიც კი იყო, და ეს თეიმურაზი, სოსოს ეძახდნენ, ტანმოვარჯიშე იყო, მამაჩემის გზას გაყვა. – ნინა დეიდა, თქვენ ხომ იძახით, მეც წამიყვანენ, ქალები მიჰყავთო, თქვენი ფეხსაცმელი მომეცითო... გახსნა ქუსლი და შიგნით ჩადო ფული და მერე ისევ დააწება. გქონდეთ, ყოველი შემთხვევისთვის და იქნებ მერე გამოგადგეთო, ეს იყო 27-ოქტომბერი, მანამდე გაჩერდა მანქანა, ღამის 3 საათია, ბებიაჩემი წევს სკივრზე, ჩვენ გვქონდა ძალიან კარგი ტახტი

– Гобразный, მამაჩემმა და დედაჩემმა ლენინგრადში შეუკვეთეს, იმ ტახტზე ვწევართ მე და დედა და „რასკლადუშკაზე“ წევს თენგიზი, გაჩერდა მანქანა, ჩამოდიან კიბეზე, გაიარეს ჩვენი კარები – *Не за мной, за кем? Анна или Лена!* ჯერ წაიყვანეს ლენა, გვესმის ჯანას ბღავილი, გასვლა არ შეგვიძლია, გვეშინია... *„ნინა, ნინა,“* რომ გაიარა ლენამ ჩვენი კარები, ჯანა тебе оставляю!

გავიდა კიდევ რამდენიმე დღე. ისევ კიბეებზე ფეხის ხმა, – თქვენ იცით, ეს რა არის? გადმოცემა ხომ არ შეიძლება! წაიყვანეს ანიჩკა დეიდა, დარჩა დიმა და ბებია მარტო, 27-ოქტომბერს, რახან მოვიდნენ, უკვე ცხადი იყო, რომ დედას წასაყვანად მოვიდნენ. ძალიან კარგი კაცი შეგვხვდა, დედას კარგად ექცეოდა, ზრდილობიანად ელაპარაკებოდა. ერთი იყო კერვალიშვილი, ქართველი, დედას უთხრა, თქვენს ქმარს უთხარით მადლობაო... მე და დედა ვტიროდით. დედამ უთხრა, ჩემი ქმარი ბავშვივით სუფთააო, და იმან – ეს, თქვენ გგონიათ ასეო. დედაჩემს ეუბნებოდნენ – ეს წაიღეთო, ეს არ შეიძლებაო, ეს შეიძლებაო. ერთი რუსი იყო, უნდა აღწეროს, მიტრიალდა, მოტრიალდა და არ იცის, რა აღწეროს. დედა წაიყვანეს, ამ მანქანასაც გამოუდგა თენგიზი, დედამ სამჯერ დაუძახა, თენგიზ დაბრუნდიო, შემოვიდა თენგიზი აქვითინებული, თავი ურტყა კედელს. ეს კაცი გვაწყნარებს ჩვენ, ისეთი კარგი კაცი გამოდგა *«А что я могу здесь описать?», Тахта, на ней вы будете спать, на сундуке бабушка лежит, стол, стулья, ну там кое-какие вещи, мелочь.* მერე კარადა გააღო, დედაჩემს ჰქონდა 7 ფლაკონი დუხი – *„ლორიგან კოწიე“*[152] - იმ დროს არაჩვეულებრივი ფრანგული დუხი იყო, ახლა სად არის ეგეთები, ჰოდა, – *«Ой, какой хороший запах», возьмите один флакон, повезите вашей жене или дочке, а остальные оставьте пожалуйста»* უთხრა ბებიაჩემმა. *«Нет, я ни один не возьму, эти духи, ой, какой хороший запах».* ბებიაჩემმა ჩამოიღო და ერთი ძალით ჩაუდო. ზოგი უხმარი იყო და ზოგი ნახმარი... ისე კარგად მახსოვს. ზრდილობის გულისთვის რაღაცა აღწერა, ისეთი რამე, რაც არ შეიძლებოდა წაგეღო, მაგ; სკამი და მაგიდა, მეტი არაფერი არ იყო. ნუ გეშინიათ, ამას არ წაიღებენო. მართლაც ასე იყო.

აი, ასე წაიყვანეს დედაჩემი, ჩვენ მივდიოდით იქა, მე ირა ჯაფარიძე, დედამისი თიკო – ჭავჭავაძის ქალი, ისიც დაჭერილი იყო, კისა ჯაფარიძის დედა, ჭიჭინაძე, “კრასავიცა“, აგერ არის ბავშვთან ერთად გადაღებული, მადონა გვეგონა. დავდიოდით ციხესთან, არ გვიშვებდნენ, არავითარი გადაცემა, არავითარი საჭმელი, არაფერი...

152. L´Origan Coty – ფრანგი პარფიუმერის ფრანსუა კოტის (Francoise Coty) მიერ შექმნილი სუნამო.

დავდივარ სკოლაში. ჩემი მეგობრები, ვისთანაც საბავშვო ბაღიდან ერთად ვართ – ეთო კალანდაძე – ნოე კალანდაძის შვილი, მამამისმა ზესტაფონში ფერომარგანეცი დაარსა, ეს ნოეც დაიჭირეს, თინა და ნოე დები იყვნენ. ჩვენს კლასში სწავლობდა აპოლონ ქუთათელაძე, მხატვარი, მაგისი შვილები იყვნენ ხუტა, გურამი და ტარიელი. ხუტა ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო, გოქსაძე, გოგი სანებლიძე... ზოგი, მეათე კლასის მერე პირდაპირ ომში წავიდა. 42 წელს ხუტა იქ დაიღუპა კიბოთი... ეს ამხანაგობა შეგვრჩა ჩვენ, სხვა სკოლებში არ იყო ასე... ეშინოდათ და ამიტომ, ვერავის ვერ გაამტყუნებდი.

ერთ დღეს გიჟივით შემოვარდა ირა ჯაფარიძე, მარინა, მარინა, ჩვენს დედებს ნავთლუღის სადგურიდან ასახლებენო. საიდან იცი-მეთქი და ვიღაცამ დაინახა მანქანაში, დედაშენიც იცნეს და დედაჩემიცო. გიჟებივით გავვარდით იმ ნავთლუღში, არასოდეს არ ვყოფილვარ. არავითარი ეშელონები არ არის, ვეძებთ ისეთ ვაგონს, სადაც ადამიანები გაჰყავთ, არაფერი არ არის... საღამომდე ვიდექით. თურმე, ჩვეულებრივი ვაგზლიდან მიჰყავთ, ისინიც ჩვენ გველოდებიან, ზოგის შვილები მოვიდნენ, ზოგის არა, აგდებენ ამ წერილებს „სპიჩკის“ კოლოფებზე, გადაეცით ამას, გადაეცით იმას. ეს რომ გავიგეთ, მე თუ ცოცხალი დავრჩებოდი, არ მეგონა; ისე იმოქმედა ჩემზე ამ ამბავმა. რომ წარმოვიდინე, დედაჩემი როგორ გველოდებოდა და ჩვენ არ მივედით... ორი წელიწადი არ აძლევდნენ უფლებას, წერილი რომ მოეწერათ, სრულ იზოლაციაში იყვნენ, სადღაც დასაკარგავში და ირგვლივ სულ ‘‘კალიუჩკი‘‘ და ძაღლები, რომ ვინმეს რამე არ შეეტყობინებინა... მუშაობდნენ, მიიყვანეს ცარიელ ადგილზე და თქვენ თვითონ ააშენეთო... წარმოიდგინეთ, ეს ქალები რისი ამშენებლები იყვნენ, მართალია, ზოგი მათგანი ინჟინერიც იყო, არქიტეტორიც. თინა ჯიქია, აი, ზაჰესი რომ ააშენა, იმის ცოლი... დედაჩემი დაუმეგობრდა ტანიუშა ჯორჯაძეს, მის ქალიშვილთან მე ახლაც ვმეგობრობ. დაიწყეს თავისი ბარაკების აშენება, ცემენტი, ქვიშა, ვედროების თრევა ორი წლის განმავლობაში. ჩვენ ერთხელ გვითხრეს – *«8* лет без права переписки*»*, მამაზე თქვეს – *«10* лет без права переписки...» თურმე, სად არის მამა, 1 ოქტომბერს უკვე დაუხვრეტავთ. როგორ, აი, ახლა მე გეტყვით – ამა და ამ წელს გაიოზ ადამის ძე ბერელაშვილი დაპატიმრებულ იქნა *ენკავედეს* ორგანოების მიერ, ეს იყო 2 ივლისს 1937 წელს სამეულის გადაწყვეტით, 1 ოქტომბერს მიესაჯა უმაღლესი ზომა – დახვრეტა, დახვრეტილია 1 ოქტომბერს. არავითარი ძიება, ჩვენ მერე ვნახეთ მამას

საქმე, იქ არაფერი არ იყო. რეაბილიტაციის ხალხი ჩამოვიდა, სამხედრო ტრიბუნალი ჩამოვიდა, მამა სამხედრო იყო და, ჩვენ როცა დაგვიძახეს, დედა მარტო არ გავუშვი, მეც წავყევი, მე უკვე გათხოვილი ვიყავი. დედამ უთხრა: *«Покажите мне дело, это будет для меня то, что как будто он воскрес, я хочу посмотреть».* გადახედეს ერთმანეთს. Такая серая папка, აწერია Дело, გვარი და სახელი ზემოდან, მგონი, არ ეწერა. *«Нина Дмитриевна, зачем вам это?»* რომ გადაშალეს, მარცხენა მხარეს მამაჩემის სურათი იყო, ტუშით იყო გადასმული ჯვარი ამ სურათზე და აქეთ ქაღალდზე ერთი სიტყვა ეწერა – Убрать! ხელს ვინ აწერდა, არ ვიცი, მგონი, მოროზოვი. მოროზოვი ვნახე, როცა მის ოჯახში მივედი და ჩემი ავეჯი იქ დამხვდა, მისმა ცოლმა მითხრა: *„Я так привыкла к этим вещам!»* მოროზოვის რა გიკვირთ, როცა ჩვენი ქართველი ქალები, რომლებიც შევიდნენ ამ ბინებში, არ თმობდნენ ავეჯს. როცა თამრიკო კონიაშვილი თავისი ავეჯის წასაღებად მივიდა, ქალბატონმა ეგნატაშვილმა უთხრა: *„უიმე, როგორ უნდა გაგატანოთ, იცით, როგორ შევეჩვიეთ!“* და მოროზოვისა უნდა მიკვირდეს?

ორი წელი იყვნენ „კაზახსტანში“, „დოლინკა“ ერქვა „ლაგერს“ თუ არ ვცდები. მერე მოგვივიდა წერილი მისამართით, ეს უკვე ყარაგანდაა; დედაჩემი, რა თქმა უნდა, იწერებოდა, მე კარგად ვარ, ჩემი დარდი ნუ გექნებათ, მე თქვენზე ვდარდობო, თენგიზი სად არისო. თენგიზი კი ამ დროს უკვე დაჭერილია. თენგიზი მაშინ აიყვანეს, როცა უნივერსიტეტის სტუდენტები დაიჭირეს. რაღაც საქმე შეუქმნეს 42-ში, თენგიზს უკვე დამთავრებული ჰქონდა სკოლა, სამედიცინოზე არ მიიღეს, როგორც მე. ფიზკულტურის ინსტიტუტში მიიღეს, ჯერ არ ჰქონდა დამთავრებული, უნივერსიტეტში მისცეს საათები, იქ მუშაობდა... ეგ, მამარდაშვილი და სხვა ბიჭები, გვარები არ მინდა შემეშალოს, ერთ მშვენიერ დღეს დააპატიმრეს. თენგიზს ვერ ათქმევინებდი ვერაფერს, მხოლოდ ერთადერთი ვიცი, ვიღაცას უყვებოდა და გავიგონე – როცა შემიყვანეს, თქვესო – ოჰ, როგორ ეტყობა, რომ გაიოზის შვილიაო, მართლაც, კარგი იყო თენგიზი, როგორ ეტყობა, რომ გაიოზის ლეკვიაო; ასე ნუ ახსენებ მამაჩემსო, უთქვამს თენგიზს, ლეკვები თქვენ გყავთო თუ, რაღაც, ამის მსგავსი. იმას მათრახი გადაუჭერია, დიდხანს ჰქონდა თენგიზს ეს „შრამი.“ რომ ჩამოვიდა, მაშინაც ეტყობოდა – თურმე სახეში გაულაწუნა. თენგიზს ჰყავდა მეგობარი – თენგო ბაქრაძე, არჩილ ბაქრაძის შვილი. არჩილ ბაქრაძეც ასწავლიდა პირველ სკოლაში ფიზ-

კულტურას, თვითონ კარგი ტანმოვარჯიშე იყო, ცნობილი, თენგიზიც ძალიან კარგი მოვარჯიშე იყო და ჩემ ძმასთან ძალიან მეგობრობდა. გადაეკიდნენ თურმე, რომ გინდა თუ არა დაასახელეო. წარუდგინეს, აი, ახლა ჯგუფი გაქვთო, ყველა დაპატიმრებული მამების შვილები ხართ და, ალბათ, გიხარიათ, გერმანელები რომ შემოვლენო. რაღაც შეთხზეს, როგორც თხზავდნენ ხოლმე ყველაფერს.

* * *

მამაჩემს, როგორც მერე გვითხრეს, ვერავინ ვერ დაარტყა ხელი, მაგრამ აწამებდნენ: შეაგდებდნენ პატარა ოთახში, სადაც ცხელი „ტრუბები“ იყო და ორთქლი გაშვებული, ადამიანი დახრჩობას რომ დაიწყებდა, გამოიყვანდნენ, “გლაზოკიდან“ უყურებდნენ, მერე შეაგდებდნენ, სადაც ციოდა. და პატიმრებს ეს წამება ერჩივნათ, ვიდრე, როცა გაყავდათ, ეგონათ ხოლმე, რომ დასახვრეტად მიჰყავთ, დაჩოქილები ეხვეწებოდნენ, არ დამხვრიტოთო. ზოგს უარესად აწამებდნენ, 500 კაცის სია მისცეს სამხედროების, აი, თქვენ ორგანიზაცია გქონდათ და შპიონები ხართო, ზოგი ამერიკის, ზოგი საფრანგეთის და ა.შ. არ მოაწერა მამამ ხელი.

მერე დედაჩემი, მას ხომ დედამისის მხრიდან გერმანული სისხლი ჰქონდა. ძალიან სუფთა ქალი იყო, ჩვენი სახლი საჩვენებელი იყო ყოველმხრივ და თურმე, როდესაც დედაჩემი გამოიყვანეს განაჩენის მოსასმენად, მოროზოვმაც კი აღიარა და უთხრა, რომ თქვენ, მართლაც, საჩვენებელი ოჯახი გქონდათო. 8 წელი მიუსაჯეს. ასე აღმოჩნდა აკმოლინსკში, ყამირზე, ყამირს კი ათვისება უნდოდა... ჰოდა, ისინიც ფიზიკურად მუშაობდნენ. იქ საშინელი სიცხე იყო. ხეები, ყვავილები არ იზრდებოდა. ხალხი იწვოდა, დედაჩემი კინაღამ დაიწვა, ბუჩქს წაეკიდა ცეცხლი, ორი ქალი დაიწვა, ვერ გამოასწრეს. დედასაც წაეკიდა, მაგრამ უშველეს. „ლაგერი“ საერთო იყო, ქალები, კაცები, მკვლელებიც იყვნენ. იყო ქალთა და კაცთა ბრიგადა, ერთი კაცი ზემოდან დაეცა დედას და დაიწყო ცეცხლის ჩაქრობა. თივას აგროვებდნენ. თივის ზვინზე ერთი ადამიანი დგას და მეორე აწვდის ქვევიდან, მაგრამ ამას აკეთებენ ქალები, მშივრები, ავადმყოფები, რომლებსაც ხელის აწევა უჭირდათ. არ გააკეთებენ, ნორმას არ შეასრულებენ და „*პაიოკს*“ არ მიიღებენ. დედაჩემი ასული იყო თურმე ზევით და ის ქალი, მგონი, ხუსკივაძე, უფრო ადრე ჩამოვიდა დედაზე, ამან მომიტანა დედას წერილი... ეს ქალი დაბალი იყო და დედაჩემი გადიხარა და იმ სიმაღლიდან ჩამოვარდა.

მერე დედა დანიშნეს ბრიგადირად; „ლაგერის ნაჩალნიკი,“ როგორც დედაჩემი იძახდა, ძალიან კარგად ექცეოდა,

ხედავდა, რომ წესიერი მომუშავე, პატიოსანი ადამიანი იყო, ყველასთან გამონახა საერთო ენა. ერთი ბანდიტი ქალი იჯდა, მკვლელი, ცალფეხა, იმას რომ გაეგო, რომ ნინას ვინმემ აწყენინა, იქ კიდევ ვიღაცას მოკლავდა. დედას ჩააბარეს ერთი ურემი და ორი პატარა ხარი რაღაცეების წასაღებად და მისატანად. ერთხელ, ამ ხარებთან ერთად, თურმე, წყალში ჩავარდა, ძლივს გადაარჩინეს დედაც და ხარებიც. ჩემ თავს არ ვჩიოდი, ხარები რომ დაღუპულიყვნენ, „სროკს მომიმატებდნენო“. როგორც ბრიგადირს ჩააბარეს „*მალალეტკები*“ – ბანდიტები, ბიჭები. უფროსს გამოუძახია დედა და უთქვამს: ნინა, შენ გარდა ამათთან ვერავინ იპოვის საერთო ენას, ამათ სხვა მიდგომა სჭირდებათო. ძალიან გაუჭირდათ, სანამ ამ ბიჭებმა დედაჩემი მიიღეს, მაგრამ დაინახეს მისი ადამიანობა. სამუშაოზე თუ არ გავიდოდნენ, „*ლაგერის უფროსს*“ უფლება არ ჰქონდა, საჭმელი ეჭმია და დედას სთხოვდა, შენ გაიყვანეო, დაგიჯერებენო. სხვათა შორის, დედაჩემი რომ ჩამოვიდა, ერთი ორჯერ მივიღეთ ბაქოდან წერილი ერთი და იგივე ბიჭისგან თუ ორისგან, არ ვიცი. Мама Нина! - ასე წერდა.

ბრმა ნაწლავის ოპერაცია გავიკეთე და დედას მივწერე, გავიკეთე და კარგად ვარ-მეთქი. მისმა ნათესავმა, იოსელიანმა გამიკეთა, ახლა მისი შვილი პროფესორია, მერე ცოლად შეირთო თამარა გომიაშვილი. ეტყობა, დედამ არ დაიჯერა, რომ კარგად ვიყავი, მოეჩვენა, რომ სხვისი ხელით იყო წერილი დაწერილი და გადაწყვიტა, თავი მოეკლა. როდესაც მინდორში იყვნენ, ვიღაცას უთქვამს, თუ ამ ბალახს შეჭამ, მოკვდებიო. დედამაც შეჭამა, მაგრამ, ეტყობა, ცოტა ჭამა. არ მოკვდა, მაგრამ გონება კი აერია. დააწვინეს ცალკე ბარაკში, სადაც ბალახის შეჭმის გარეშეც იწვნენ ჭკუაარეულები, ვიღაცა რაღაცას შემოუგდებდა სამადლოდ. ტანია ჯორჯაძე დედასთან ერთად მოხვდა ამ ბანაკში, არაჩვეულებრივი ლაბორანტი, ბევრ ექიმს სჯობდა, ულამაზესი ქალი იყო. მამამისი, მიტო ჯორჯაძე 1921 წელს წავიდა საფრანგეთში. იქიდან ესპანეთში მოხვდა, ესპანელი ქალი იპოვა, ტახტის მემკვიდრე... *სუხიშვილებმა* ჩამოუტანეს ჟურნალი, ყდაზე ხატია – დგას აქლემი, აქლემზე ზის ლამაზი ქალი, ხელს უწვდის კაცს და აწერია – პრინცი ჯორჯაძე. ამ პრინცმა ბევრი ცოლი გამოიცვალა და მერე მოკვდა საწყალი... ტანიაც ძალიან ლამაზი ქალი იყო და, რა თქმა უნდა, თავისებურიც. ძალიან შველოდა დედას, ეს ბიჭები არ ჭამდნენ და დედასთან მოჰქონდათ და აჭმევდნენ. აი, ამ ჭამამ და ტანიას მოვლამ გადაარჩინა დედაჩემი. ცოტა ხნის შემდეგ ყველაფერი დალაგდა. გამოვიდა და „ლაგერის უფროსმა“

დანიშნა ТОК-ის უფროსად. "*ტოკი*„ იყო, სადაც ხორბალს ამუშავებდნენ. თუ დაგინახავდნენ, რომ ერთი მუჭა აიღე, 10 წელს გაძლევდნენ. დედას იმიტომ ანდეს, რომ იცოდნენ, ამ ერთ მუჭასაც არ აიღებდა.

ასე გადიოდა წლები, მერე რვა წელიც გავიდა. მე უკვე გათხოვილი ვიყავი, დედამ მომწერა, ჯერ კიდევ ვერ ჩამოვალ, არ მიშვებენ, ერთი წლით კიდევ ვრჩებიო. იმ წუთში გავქანდი შინსახკომში, მიმასწავლეს, სად უნდა მივსულიყავი. ეს ჩვენ არ გვეხებაო, ჩვენი კადრი არ არის, მისწერეთ კგბ-ში და გაიგეთ, რაშია საქმეო, ალბათ, დააშავა რამეო. მერე დედაჩემმა მომწერა, აქედან არც ისე მოშორებით გადამიყვანეს, ჩამაბარეს არაჩვეულებრივი ბაღიო. ეს იმ უფროსმა გაუკეთა, გვარი არ ვიცი, იმ ბაღში იყო აუარებელი ხენდრო, მალინა, ხილი... ჭამის უფლება მაქვს და რომ ჩამოვალ, მგონი, მიცნობთ, ცოტას გამოვკეთდებიო, — გვწერდა. მერე უთქვამთ, — რა გინდა, სად მიდიხარ, ვის სჭირდები, ქალაქში არ გაცხოვრებენ, ასეთი клеймо გაქვსო, жена врага народа! სად იმუშავებ, დარჩით აქ, იმუშავეთ, ცოტა გამოკეთდით, მოგცემთ ერთ ოთახს, მოგაწყობთ სამსახურში, გამოიძახეთ თქვენი შვილები და იცხოვრეთ აქო. ბევრმა ასეც გააკეთა. დედამ არაო — და, ერთი წელი მუშაობდა იმ ბაღში.

არ ვიცი, ეს გითხარით თუ არა, საფრანგეთში რომ შევიდნენ გერმანელები, იქ ხომ რუსებიც იყვნენ. როცა გარეკეს გერმანელები, სსრკ-ში საფრანგეთის ელჩთან, რომელსაც ლამაზი ფრანგი ცოლი ანეტა ჰყავდა, პროფესიით ჟუნალისტი, მივიდნენ რუსები და უთხრეს, — წამობრძანდით, თქვენთან სალაპარაკო გვაქვსო. ელჩმა უთხრა — მე თქვენთან არაფერი არ მაქვს სალაპარაკო, თუ რამე საქმე გაქვთ, აქ მელაპარაკეთო. დედამისი გადაუდგა თურმე, მე არ გავუშვებო. როგორ თუ არ გაუშვებო, "— *даю честное слово советского офицера, нам нужно выяснить кое-что с её журналистской работой.* "ხომ ჟურნალისტი იყო, მაინც წაიყვანეს *Блузка, в домашнем виде, вот так она попала в Советский Союз?* საფრანგეთის მოქალაქე იყო, მაგრამ რა, პოლონელები არ ისხდნენ იქა? რამდენი წერილი აქვს დედას მიღებული, ორი პოლონელი გოგონა გადაარჩინა. იცით, ესტონელები და ფინელები ძალიან სუსტები იყვნენ, ვერ მუშაობდნენ, საჭმელს არ ღებულობდნენ და დილა არ იყო, რომ ბარაკებიდან მიცვალებულები არ გამოეტანათ. ბელოჩკა, ბელოჩკა, რა წერილებს წერდა დედაჩემს! დედაჩემმა გადაარჩინა ეგეც, Полька она. როგორ დავკარგე, მე ეს პოლკა! ანეტას ქმარი ეძებდა რამდენი წელიწადი,

ჰო, ქმარი ფრანგი ჰყავდა. Отказывались мол её у нас нету. დედაჩემი ერთადერთი ადამიანი იყო, რომელიც ლუკმას უყოფდა, თვითონ რა ჰქონდა, ანეტას არაფერი შეეძლო, არც მუშაობა, დედაჩემმა უთხრა თურმე იმ "ლაგერის" უფროსს – „*Вы же видите, что она погибает? Вам её не жалко? Дайте её мне в помощницы*". აი, ასე აღმოჩნდა ანეტა დედაჩემთან ბაღში. დედაჩემი ამბობდა, რომ გამახსენდება, როგორ ჭამდაო, მუხლებზე დადგებოდაო და ისე იყრიდა მუჭით პირშიო და მოსდიოდა ცრემლებიო, ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდებაო. დედაჩემი რომ წამოვიდა, ანეტა იქ დარჩა, მერე დედაჩემს მოსწერა იქაურმა პატიმარმა ქალმა, ქმარმა იპოვა და წაიყვანაო.

გავიდა წელიწადი, მაშინ ორბელიანის ქუჩაზე ვცხოვრობდით მე და ჩემი ქმარი, ერთი პატარა ოთახი გვქონდა. ერთი საწოლი აქეთ, მეორე საწოლი იქით, შუაში ტუმბოჩკა „შაფანერკა", იქით იდგა ის ჩემი დიდი ტახტი, მაგიდა, სკამები, კარგი სერვანტი მქონდა, ის სერვანტი. ერთ მშვენიერ დღეს, „ბალკონზე" მესმის რაღაც ხმა, კიბეებზე უნდა ამოსულიყავი, რვა კიბე, ძველი თბილისის სახლი იყო. გამოვედი, წინ მეზობელი ცხოვრობდა, თამარა და ამარიდა იმანაც, და მესმის ჩუმი ხმა: „მარინა, *Тихо, тихо, это мама, это мама,*" ეშინოდა, არ დამეწყო ტირილი და წივილი. დასივებულმა ერთი დღე და ღამე მატარებელზე ჩამოკიდებულმა იარა, რაღაცა ძონძებში ჩაცმულმა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გავუგზავნეთ პიჟამო და რაღაცები... კიდევ ჰქონდა შერჩენილი და ჩამოკიდებული პატარა ნაჭრის „მეშოკი". კოტე სახლში იყო და იწვა, „ნაკოლკა" ჰქონდა, დედაჩემს „ნაკოლკების" მეტი რა ჰქონდა ნანახი. ჩემს ქმარს ფეხი არ ჰქონდა, პროტეზს უცებ ვერ გაიკეთებდა და შევიყვანე დედა და გავაცანი, – ჩემი ქმარია-მეთქი. კოტე წევს და ეს „ნაკოლკა" უჩანს. დედაჩემმა არ შეიმჩნია, ისეთი თავშეკავებული ქალი იყო. მერე მითხრა, ღმერთო ჩემო, აღარ უნდა მომშორდეს ეს „ნაკოლკებიო"?! მე ვუთხარი, ეს ბავშობაში აქვს გაკეთებული-მეთქი. აი, ასე ჩამოვიდა დედაჩემი და ტრაგედია მერე დაიწყო, ვერ მოვახსნევინეთ ეს „მეშოკი" მხრიდან. შიგ ჰქონდა ჩვენი წერილები, ალბათ, ფულიც ჰქონდა, იქ ხომ უხდიდნენ. როცა პარკი მოიხსნა, ჩვენ ხომ არ ვეტყოდით, გვანახე, რა გაქვს მაგ პარკშიო, მაგრამ ეს პარკი ნაჭერზე სულ ჩამოკიდებული ჰქონდა. საშინელება იყო, ომი ახალი დამთავრებული იყო, როცა ლეიბის ქვეშ პურის ნაჭერს ვპოულობდით, სულ ეშინოდა, რომ პური არ იქნებოდა. ჩემი ქმარი ეკონომისტი, ფინანსისტი იყო, ომი ახალი დამთავრებული იყო და ცეკას სისტემაში

ტყავის საქმეში მუშაობდა. შედარებით არ გვიჭირდა, ყოველ შემთხვევაში, 1000 მანეთიანი საპნის ყიდვა მაინც შეგვეძლო. დედას საჭმლის ჭამა ბევრი არ შეეძლო, ჩვენც არ ვაძალებდით, კარადაშიც ვპოულობდით დამალულ პურს. ხომ არ ვეტყოდით რატომ ინახავ ამ პურსო? ო, საცოდავი დედა! მერე, ჩემო ბატონო, ერთ მშვენიერ დღეს მილიციიდან გვეწვია ვინმე კესოიანი, რომელიც აღმოჩნდა არაჩვეულებრივი ადამიანი, დედას უთხრა, სამწუხაროდ, თქვენ არა გაქვთ უფლება, თბილისში იცხოვროთო. მანამდე დედასთან მოვიდა ერთ-ერთი გადასახლებული ქალი და უთხრა, შენ ბეჭედი და საყურეები გქონდაო, როცა წაგიყვანესო? კიო, მეც მქონდაო და ახლა დამიბრუნესო. ვუთხარი დედაჩემს, უნდა წახვიდე შინსახკომში, იმათ ჯინაზე კარგად გამოიპრანჭე, ეს პარკი დატოვე, რათ გინდა-მეთქი.– *„я без этого не могу-ო“*. მისცეს, დაუბრუნეს.

დედაჩემის მამას, დიმიტრი საგანიშვილს და ბებიაჩემს, თეთრიწყაროს გზაზე ჰქონდათ მამული, არაჩვეულებრივი ბაღი, არაჩვეულებრივი ხეხილი, ბაღი თავდებოდა თუ არა, იწყებოდა კაკლის ტყე, მერე იყო შერეული ტყე, მერე იყო თხილის ტყე... ჩვენთან ჩამოდიოდა პეტრე გრუზინსკი, თეზიკას ვეძახით ჩვენ.. ქართველიშვილები, გრუზინსკები ჩამოდიოდნენ, თეზიკა ძალიან გამხდარი იყო და მეც, უჭმელები ვიყავით ძალიან. ბებიაჩემს გამოჰქონდა დიდი, კაკლის „ბოჩკები“, შუა ეზოში, გადასარევი ეზო იყო, липы по бокам стояли, გათბებოდა წყალი ერთ ბოჩკაში ჩააგდებდნენ თეზიკას, მეორე ბოჩკაში – მე. 30 წელს გააკულაკეს ბაბაუჩემი... არა, მანამდე მოკვდა ბაბუაჩემი, он был старый офицер, 21-22 წელს ბევრი წავიდა საზღვარგარეთ. აი, მაშინ წავიდა სწორედ მიტო ჯორჯაძეც, ბაბუაჩემმა იფიქრა, კონსტატინეპოლში წავალო, უფროს შვილთან ერთადო... გიორგი, დედაჩემის ძმა, გალაქტიონთან მეგობრობდა, ერთად სვამდნენ და ერთად ლოთობდნენ, მხატვარი იყო ბიძაჩემი, ერთი ნაპირიდან მეორეზე რომ გადადიოდნენ, წყალში, ნავში გარდაიცვალა ბაბუაჩემი, წყლული ჰქონია... წარმოგიდგენიათ, ბიძაჩემი დარჩა წყალში, ნავში მკვდარ მამასთან ერთად!

სოფელში ქვევით სართულზე იდგა сепаратная машина, ნაღებს აკეთებდნენ, ხეხილი, ხეხილი, ხეხილი... ჩემი ძმა ერთხელ ხიდან გადმოვარდა, იმდენი ხილი ჭამა. გვერდზე იყო სოფელი, ერქვა საგინელთა, საგინაშვილების, მერე დაარქვეს ჩხიკვთა, ბევრი ჩხიკვები იყვენენ იქა, იქვე იყო სოფელი მაწევანი, კოლია მუსხელიშვილის[153] სოფელი. დედაჩემის ბიძაშვილი იყო. ერთმანეთთან პატარა ცხენებით,

153. ნიკოლოზ (ნიკო) მუსხელიშვილი (16.02.1891 – 16.07.1976) – ქართველი მათემატიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი პრეზიდენტი (1941-1972). ბავშვობის წლების დიდი ნაწილი მან გაატარა თეთრიწყაროს რაიონის სოფელ მაწევანში, სადაც ცხოვრობდა მისი ბაბუა (დედის მამა) ალექსანდრე საგინაშვილი.

პონებით მივდიოდით. უიმე, როგორი კარგი ბავშვობა გვქონდა! იქ იყო დიდი ქვის სახლი, ბაბუაჩემმა დედაჩემს აუშენა სახლი მზითვად. იმ პირველ სახლში ჩვენ არ დავდიოდით, ბებიაჩემს სამოვარი ჩამოართვეს, რატომ გაქვსო, ე.ი. კულაკი ხარო და სკოლა გააკეთეს. სანამ ჩვენებს დაიჭერდნენ, ამ სახლში დავდიოდით. თურმე, ეს სახლი არ იყო ჩამორთმეული, ჩვენ ეს არ ვიცოდით და იქ ცხოვრობდნენ მასწავლებლები. მერე როცა ბეჭედი დაუბრუნეს, მაშინ უთხრეს, რომ სახლი არ იყო ჩამორთმეული. როცა დედას აუკრძალეს თბილისში ცხოვრება, დაიწყო მასწავლებლობა, ჯერ ნოდაანის სოფელში, მერე შინდისში, მერე მიიღეს თეთრიწყაროში, რუსული ენის ფილოლოგი იყო, ძალიან ეხერხებოდა მათემატიკაც, მანამდე სამხედრო შტაბთან არსებული ხაზვის კურსები დაამთავრა. 1-2 წელი ხან ინდაურს ჩამოგვიტანდა, ხან ქათმებს, ჩვენც ჩაგვქონდა სურსათი. ერთხელ ჩამოვიდა ბაიდარაშვილი ნუცა, და გვითხრა – დეიდა ნინა ძალიან ავად არის, მეშინია, დამხრჩვალი არ იყოს, ყელი აქვს გასიებულიო. ზამთარია, თოვლია... მე და კოტე პატარა ბავშვით მივდივართ წვალებით, ხან ჯაჭვებით მიგვათრევენ, ერთ მოსახვევში კინაღამ ბავშვი დამეღუპა. პენიცილინი წავიღეთ, ნემსები გავუკეთეთ. კოტემ უთხრა დედას, მე თქვენ აქ აღარ დაგტოვებთ, წამოხვალთ თბილისში, გამოკეთდებითო. მე უფლება ხომ არა მაქვსო, – დედამ. გაქვთო, მოატყუა კოტემ, მაგრამ გამოვიდა, რომ მართალს ეუბნებოდა. მოვიდა ისევ ის კესოიანი და უთხრა დედას – ოთხი წელი გავიდა და უფლება გაქვთ, აქ რომ იცხოვროთო, გადასარევი კაცი იყო. ასე ჩამოვიყვანეთ დედაჩემი აქ. ფალიაშვილის ქუჩაზე საღამოს სკოლა იყო და იქ მისცეს რუსული ენის საათები, ძალიან დიდხანს იმუშავა იქ, მერე დღის სკოლაში მუშაობდა. დამსახურებაც აქვს, „ზნაჩოკიც“. დედა 93 წლისა გარდაიცვალა.

* * *

1955 წელს მოსკოვში ვიყავი, ჩემი ბიჭი იქ რუსულ სკოლაში სწავლობდა, რომ რუსული კარგად ესწავლა, მერე 25 წელი მოსკოვში იმუშავა... ვღებულობ დეპეშას, სასწრაფოდ ჩამოდი! არადა, ორი დღის ჩასული ვარ, მეგონა, კოტეს წნევა აეწია, ტელეფონი არ გვქონდა და დავურეკე ვიღაცას. მითხრეს, ნინა დეიდა ცუდად არის და კოტეს მარტო ეშინიაო. ვხედავ, რომ სხვა გზით მივდივართ, დედა ცუდად არის, აჩიკო ერისთავმა გაუკეთა ოპერაციაო. თურმე, დაეწყო ტკივილები, მოერიდა და არ თქვა, მეორე დღეს ჩემი მაზლი მოსულა და შეუმჩნევია, რომ ცუდად იყო...

ყველა ნაცნობი ექიმი მოცვივდა, მოუყვანია გაგუა, მოუკიდებია მუცელზე ხელი და არაო, მწვავე მუცელი არა აქვსო... არადა, ტკივილებით გაგიჟებულა, კოტემ გააქანა საავადმყოფოში, აჩიკო ერისთავი კარტს თამაშობდა, ღამის 3 საათზე კოტემ ძალად წამოიყვანა. გაუკეთეს ოპერაცია, მაგრამ გვიან იყო. ამოუსუფთავეს, მაგრამ არ გაკერეს, მეორე დღეს რომ მოსულა ექიმი, არც უკითხავს, როგორ იყო, ეგონა – მოკვდა. ასე იწვა 3 თვე, გაუჩნდა გრიჟა, ბანდაჟს იცვამდა, წვალობდა 15 წელი და მასთან ერთად ჩვენც. მაინც ძველ ნინა დიმიტრევნად დარჩა, არავითარი სიბოროტე, ხასიათის შეცვლა, არავითარი აგრესია... ერთადერთი, რასაც ამბობდა, – *ეს არის უნამუსობა, რომ მე ამდენხანს ვცოცხლობ და 14 წლიდან შენც გაწვალებო.* კარგ ხასიათზე რომ გაიღვიძებდა, ვიცოდი სიზმარში გაიოზი ნახა... არ ვიცი, რანაირად გადავიტანეთ ეს ყველაფერი...

* * *

თენგიზი დააპატიმრეს. 10 წელი მიუსაჯეს, თენგიზს მანანა ქავთარაძე სიგიჟემდე უყვარდა; მანანასაგან ყავს მედეა ბერელაშვილი, მიშა კაზაკოვის ცოლი. მიუხედავად იმისა, რომ მერე ცოლი ჰყავდა და ორი შვილი, მაინც მანანა უყვარდა. მედეა დაიბადა 2 თებერვალს, თენგიზი 8 მარტს წაიყვანეს. საშინელ პირობებში მუშაობდა შახტებში. იქ შეხვდა თბილისის კოლორიტებს – ჭაჭიებს, ისინიც დაპატიმრებული იყვნენ. მშიერი იყო თითქმის. ერთხელ მივიღე ღია ბარათი თენგიზისგან, რუსულად და ამ რუსულ სტროფს შორის იკითხებოდა – *„მშია,“* კოტე კინაღამ გაგიჟდა, შევუგროვეთ ყველაფერი და გავუგზავნეთ, მერე სიჩუმე... მერე უფრო საშინელ ადგილას გადაიყვანეს, ისეთ ბარაკში იყო, *„დახადიაგების“*. ფელშერი მისულა, რომ ნახოს, რომელია სიკდილის კანდიდატი, დაუნახავს თენგიზი, რა ლამაზია, რა ახალგაზრდა, გამხდარი, ალბათ, ხვალამდე ვერ გააღწევსო. მოსულა და ექიმისთვის მოუყოლია, ექიმი ქართველი ყოფილა, „ნასილკებით“ გაუტანია საავადმყოფოში, გაუგია, ვინ იყო, ვისი შვილი. უთქვამს, ყოველდღე 50 გრამ სპირტს მოგცემ და ამით საჭმელს იშოვიო. აი, ესე გადაურჩენია იმ ექიმს თენგიზი. მანანა სერგო ქავთარაძის ძმისშვილია, მამა დაუხვრიტეს. სერგო იჯდა, სტალინის მეგობარი იყო. ერთხელ, სტალინს ბერიასთვის უკითხავს, სერგო სად არისო, რამდენი ხანია არ მინახიაო. იმან არ უთხრა, რომ დაპატიმრებული ჰყავდა, ცოლი ჰყავდა ვაჩნაძის ქალი. ავად არისო. კარგად რომ გახდება, მომიყვანეო. გამოკვება ცოტა, გამოაკეთა და მიუყვანა. სტალინი გადაეხვია, მოიკითხა,

ჩემი სოფა როგორ არისო, მაგის ცოლზე ეკითხა. კრაპოტკინსკაიაზე ბინა ჰქონდათ, მაგრამ, რასაკვირველია, იქიდან გამოასახლეს. სტალინმა გააგზავნა ელჩად. მგონი, ამ სერგოს საშუალებით მოხდა... მაშინ მერკულოვი *ემვედეს* (МВД) უფროსი იყო მოსკოვში, თენგიზი ზის. სერგოს დაუბრუნეს ბინა, მანანა ჩავიდა სერგოსთან, და დარეკა მთავრობის ტელეფონით, მე სერგოს ძმიშვილი ვარო. დაიბარეს, მივიდა განცხადებით, აქამდე სად იყავითო, თუ არაფერში არ არის დამნაშავე, გავარკვევთო. ერთ კვირაში დაურეკა მანანამ და, თვეები დაჭირდება მაგ საქმესო. თენგიზი ჩამოიყვანეს მოსკოვში, შეიყვანეს რაღაც ხალიჩებიან შენობაში, თურმე, ეს შიდა ციხეა. 4 თვე ამყოფეს იქა, ცალკე კამერაში, ასწავლეს – ამას დააჭერთ, თქვენ გჭირდებათ ტუალეტი, ამას დააჭერთ – სიგარეტი და ა.შ. უმკურნალეს, გული ჰქონდა სუსტი, გულმა შეიწირა. მანანას მისწერა, შენს გარდა არავინ დამხვდესო, პირველად ნახა თავისი 4-5 წლის გოგონა, მაგრამ თბილისში არ იცხოვრებთო. უზბეკეთი აირჩია საცხოვრებლად. კოტემ ჩააცვა და დაახურა. მეც გავატანე დედისგან დარჩენილი ოქროს ნივთები. წავიდა უზბეკეთში. თენგიზმა 25 წელი ტაშკენტში იცხოვრა და მერე მთელი საწყობების უფროსი გახდა, თავისი პატიოსნებით მიაღწია ამას, ყველა იყო კმაყოფილი მისი პატიოსნებით, გაზეთებშიც წერდნენ და მადლობას უხდიდნენ. მანანა არ გაჰყოლია. ვერ მოიქცა კარგად, ისე მოკვდა, რომ თენგიზს მისი სიყვარული გაჰყვა. თენგიზმა რუსი ქალი მოიყვანა ცოლად, გააჩინა შვილი მარინა, ჰქონდათ პატარა სახლი ეზოთი, მერე გაჩნდა ნინა. კარგი ყურძენი ჰქონდა ეზოში. დააფასეს მისი პატიოსანი შრომა, იუბილე გადაუხადეს. ნინას მოსკოვში უნდოდა ცხოვრება. თბილისში თენგიზი ჩამოდიოდა და მედეას ნახულობდა, ძალიან უყვარდა პირველი შვილი. მიშა კაზაკოვი ჩამოვიდა მედეას ამხანაგთან მაიასთან, მოეწონა მედეა, კიდევ ერთხელ ჩამოვიდა და გაჰყვა მიშას, წაიყვანა, გაუჩნდა შვილი მანანა, მაგრამ მალე გაეყარნენ.

* * *

მენშევიკებთან მამას არვითარი კავშირი არ ჰქონდა. სამხედრო კარიერაში ვინც დაეხმარა, იმ კაცის გვარი არ მახსოვს, რუსია... ყველა დღიური, რაც მქონდა, დავხიე, 10 წლიდან ვწერდი. მაშინ სახლში არავითარი ნაწერი არ უნდა ყოფილიყო. ბიძაჩემმა შემომისწრო, როცა ვწერდი და მითხრა, ახლავე გაანადგურეო. მამას ჰყავდა ძმა ზურაბი, მერე და – ბაბული, მერე ძმა – დათა, მერე და – თამარი, მერე ულამაზესი ძმა სოსო, რომელიც გიმნაზიის მოწაფე

იყო და შეტაკების დროს დაიღუპა ხმლით ხელში. 12 წლის განმავლობაში დავდიოდით იმ ადგილას. სოსოს როცა მარხავდნენ, ნახევარი თბილისი მოჰყვებოდა მის თეთრ ულაყს, მერე ეს მოშალეს... დათა დახვრიტეს, ზურა 1950 წელს მოკვდა თავისი სიკვდილით, მამიდაჩემიც მოკვდა თავისი სიკვდილით, თამარა გათხოვდა ნარგიზაშვილზე, შვილი ჰყავდა გივი. გიორგის ჩამოუვიდა საიდანღაც ძმა, თურმე, ტუბერკულოზის ღია ფორმით და გადაედო თამარს... ყველა ბერელაშვილი ჯირკივით იყო, თამარაც სპორტით იყო დაკავებული. სანამ სისხლი არ წამოუვიდა, ვერ გაიგეს, რომ ჭლექი ჰქონდა. გიორგი, მისი ქმარი ცოცხალი ბიჭი იყო, მუშაობდა შინსახკომში. თამარი ხან აბასთუმანში ჰყავდა, მერე სოხუმში, თვითონაც სოხუმში გადავიდა სამუშაოდ. არ აჩვენებდნენ ცოლს, გამოუყვანია „პულემოტი“, თუ არ მაჩვენებთ ცოლს, გესვრითო. თამარიც ჩამოასვენეს და ისიც დიდუბეში დაასაფლავეს. დედაჩემმა და მამაჩემმა ჯვარი დაიწერეს დიდუბეში. თურმე, თუ ჯვარს იწერ და სხვა წყვილი შეგხვდა, უბედურებას ნიშნავს. მათაც შეხვედრია წყვილი. არაჩვეულებრივი წყვილი იყო, თბილისში აფასებდნენ მათ და მათი ოჯახის სიწმინდეს. ძალიან დასანანია, რომ ამ არაკაცებმა ასე დაღუპეს. მამას უამრავი საჩუქრები ჰქონდა ვოროშილოვისგან, წაიღეს. მამა იყო კარგი მსროლელი, შეჯიბრებებში იღებდა მონაწილეობას. არ ვიცი, როგორ შემრჩა პატარა ვერცხლის ჭიქა, სადაც ეწერა „გაიოზ ბერელაშვილს, კარგი სროლისთვის“. მამის ჭიქა მქონდა, ბაკარა, სადილზე სვამდა ღვინოს „ფერსათი“ ამ ჭიქით, გავატანეთ პატარა თენგიზს და საზღვარზე რომ სინჯავდნენ, დაუყვირა – *„ეს პაპაჩემის ჭიქააო და თავი დაანებეთო“*. ძალიან უყვარს თავისი წინაპრები და ქართველები...

*1 ივლისი, 2005 წ.*

* * *

ომის პერიოდში ბებიასთან ვცხოვრობდით, რუსის ქუჩაზე, 3 ნომერში. მე სულ უკან ვიხევდი ყველაფერზე, როგორც ხალხის მტრის შვილი, და ერთხელ ვიჯექი ფანჯრის რაფაზე, განიერი რაფები იყო, მეათე კლასში ვიყავი, ფრიადოსანი, ამ დროს ატყდა კივილი, ტრამვაი უხვევდა, ამ ბარს უვლიდა სწორედ. კაცი მოხვდა ტრამვაის ქვეშ, მეც ჩავედი. თურმე, ჩემს მომავალ ქმარს გადაუარა ტრამვაიმ, იქვე ცხოვრობდა მისი ძმა, ნასვამი წამოვიდა ქეიფიდან და უნდოდა ძმასთან მისულიყო. ამ დროს ვიღაც ქალმა დაუძახა კოტეო, ტრამვაის აახტა, პიჯაკი გადაუვარდა, და პიჯაკის ასაღებად

რომ დაიხარა, პიჯაკმა შეითრია. ცალი ფეხი ჰქონდა მოჭრილი მუხლში, ყავარჯნით დადიოდა. პალატაში მეგობრები დადიოდნენ, აჭმევდნენ, პირველად რომ გადაიძრო საბანი, დედამისი მორიგეობდა იმ ღამეს და ჩაეძინა, კოტემ აიღო და კბილებით გადაიგლიჯა ვენები, ამ დროს ერთ-ერთი თანაკურსელი მოვიდა და ატეხეს ერთი ამბავი, მოკლედ, მოუსწრეს. ძალიან ამაყი იყო, ამ საკითხზე არ ლაპარაკობდა, მერე უთქვამს, – ეს იყო ჩემი გადარჩენის დღე და რატომ მომისპეთო. მე ბებიასთან ვცხოვრობდი, იქ რუსის ქუჩაზე. თენგიზი უკვე დაჭერილია, ბიძაჩემი სვამს. დედაჩემის ძმა გიორგი საგინაშვილი მხატვარი იყო, გალაკტიონ ტაბიძესთან ძმაკაცობდა, გალაკტიონს მეტი რა უნდოდა, რამდენი რამე აქვს დაწერილი ჩემთვის, მაგრამ აღარაფერი დარჩა... პირველად არ მიმიღეს სამედიცინოში, და მაშინ იყო, რომ უნივერსიტეტში რუსული ლიტერატურის კურსები დავამთავრე და რიყეზე "ლესოპილკაზე" ვმუშაობდი, ჩემ სახლთან ახლოს. ერთხელ მოვდივარ სახლში, ქარი იყო და ჩემს წინ დგას კაცი და მეუბნება, იმ ბოთლ ღვინოს ვენაცვალე, რომელმაც გამაბედინა თქვენთან დალაპრაკებაო. ყავარჯნით იყო, აქ ახლოს ვმუშაობო, აქ ჩემ ძმასთან ვიყავიო, გიორგი გეგეჭკორთან, თქვენ გყარაულობთო, შეიძლება თქვენი გაცნობაო, – მეუბნება. ვიცი სადაც ცხოვრობთო, ბიძა გყავთო, ბებია გყავთო, ნება მომეცით, დაგხვდეთო. ასე გავიცანით ერთმანეთი. რომ შეგეხედათ, უსამართლობის გრძნობა დაგეუფლებოდათ, ასეთი ვაჟკაცი ასე რომ იყო... ერთი- ორჯერ შემხვდა ნასვამი, ვუთხარი, მთვრალი კაცების მეშინია, მით უმეტეს, ჩემს ოჯახში ეს არ არის იშვიათობა-მეთქი. ერთ დღესაც მოვედი სახლში და ეს სამნი ერთად არ სხედან, ბებია აღარ იყო ცოცხალი, 43-ში მოკვდა, მე გავთხოვდი 44-ში, უფრო სწორედ, გამათხოვეს... ძალიან ვაჟკაცური და კეთილი იყო... ცეკაში მუშაობდა ტყავის ხაზით, არაჩვეულებრივი ეკონომისტი იყო. პირველი წლები ძალიან ძნელი იყო, სვამდა, ერთ პატარა ოთახში ვცხოვრობდით ორბელიანზე. კინტოს ეზოს ეძახდნენ, ბავშვები დაიძახებდნენ, კოტე მოდისო, ე.ი. მთვრალი იყო, საშინელი სიმთვრალე ჰქონდა. დედა არაფერში არ ერეოდა. არაჩვეულებრივი დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთში. დედა ძალიან თავშეკავებული იყო. ოჯახისთვის თავდადებული, ფალიაშვილზე „ასაბნიაკი" ჰქონდა, ბარნოვის და არაყიშვილის კუთხეში, იქ იყო გორები, მანქანა ვერ შევიდა, დედა ეკითხება, სად მივდივართო, ეს ჩვენი მომავალი სახლიაო, საძირკვლით ვერ დაადგენდი, დიდი რომ იყო, ხუთი ოთახი გვექნებაო, ეს იყო ამხანაგობის სახლი და მართლაც,

შესანიშნავი სახლი იყო... კოტე 1962 წელს გარდაიცვალა, მანამდე ოთხი ინფარქტი გადაიტანა.

სწავლას 46 წელს დავანებე თავი. მესამე კურსზე ვიყავი, დედა ჩამოვიდა და ჩემი ძმაც ჩამოვიდა, არ გამოდიოდა... კოტემაც სმას თავი დაანება, დაეწყო გულის ამბები, გოგი მხეიძე მკურნალობდა, მეუბნებოდა, აიღე აკადემიური და მიხედეო. შვილი ჩავიყვანე ჩემს ძმასთან ყაზახეთში და დაიწყო ჩემი აქეთ-იქით სიარული.

* * *

დედას სტალინის მიმართ ასეთი დამოკიდებულება ჰქონდა: როცა გარდაიცვალა, მე და დედა ვტიროდით. მაგრამ ყველაზე დიდი აქცენტი იყო ბერიაზე, ბერიათი უფრო უკმაყოფილონი იყვნენ... იმიტომ, რომ ბერიამ თინა ჯიქია უფრო ადრე გამოუშვა, ჭიჭინაძის ცოლი, ზაგესი რომ ააშენა, а он ей сказал, передай всем женщинам, что пусть они своих мужей не ждут, они гниют уже давно. მერე გამოირკვა, ქალებზე სტალინმა მოაწერა ხელი, მერე მოაწერეს კიდევ სხვებმა. დედა, საერთოდ, არაფერზე არ ლაპარაკობდა...

1934-ში, 35-ში 36-ში, განსაკუთრებით, 37-სა და 38-ში, როდესაც რაკასოვსკიც დაჭერილია და ყველა გენერალი ზის და სამხედროები აღარ არიან, სტალინს უთქვამს: *„Знаешь, Лаврентий, мы немножко переборщили-о, давай , прекратим это»*. რამდენი ბავშვი დარჩა უდედმამოდ, რამდენი „პრიუტში“, რამდენი დაიღუპა, ძუძუზე ბავშვსართმევდნენ დედას და იმას რა გადაარჩენდა. Потом были арести ещё во время войны, потом арестовывали в 52-ом году... აი, მაგალითად ჩემი ნათესავი იყო გივი ბარათაშვილი, მოკვდა ახლა საწყალი, ჟორა ლოლუა, ლოს ვეძახდით. გამოირკვა, რომ ომის შემდეგ ძალიან ბევრი დარჩა ცოცხალი სხვადასხვა ქვეყნებში, და იმათ მშობლებს იჭერდნენ 1952 წელს, აგრაფინა ერქვა ჟორას დედას, რომ მოვიდნენ დასაჭერად, თქვა: *„უიმე, ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, ესე იგი – ჩემი ჟორა ცოცხალიაო;* აი, ასე ჩემი გივიც, დედამისი, დეიდა ნატაშა, დადგა თურმე მუხლებზე და ილოცა, ღმერთმა მისმინაო : *«Почему вы меня арестовываете?» - «Поблагодарите вашего сына...»* გივის შესახებ მე სტატიაც მაქვს, გივის ხელით დაწერილი წიგნიც მაქვს, მერე გაზეთებიც მაქვს, აქ კიდევ რადიოთი გამოდიოდა გივი *«Да, он работал у немцев, но как он работал, он в Каунасе когда был в армии»*... მე ბოლოს მივიღე მისი წერილი, მარიკა, ხეზე რომ ავიდეო, გერმანიას

ვხედავო და როდესაც ომი დაიწყო, там же первые начали они бомбить, он потерял сознание, и пришел в себя от того, что ზარის ხმა მესმოდაო, თურმე, იქვე ძროხა ზარით დადიოდა. მან აქ გერმანული სკოლა დაამთავრა, ძალიან ნიჭიერი ბიჭი იყო, გერმანულად თავისუფლად ლაპარაკობდა. ჰოდა, მესმის გერმანული ლაპარაკიო, წამოვდექი და გერმანულად შევეკითხეო, – ვინ ხართ-მეთქი, აზრზე არ ვიყავი, ვინა ვართო და – წაათრიეს, ტყვეების ბანაკში იყო, მერე დაიწყეს გერმანულის მცოდნის ძებნა და მიაგნეს. იქ ძალიან დიდხანს თარჯიმნად მუშაობდა. მერე კიდევ სხვაგან, მერე კიდევ რომელიღაც ქალაქში წაიყვანეს, ითვლებოდა, რომ გერმანელებთან მუშაობდა. მერე კიდევ გივი გაბლიანის წიგნიც მაქვს მე, აი ასე...

*ოქტომბერი, 2005 წ.*

1. დედის - საგინაშვილების ოჯახი

2. როსტომ საგინაშვილი

3. საგინაშვილების ოჯახი

4. მამის - ბერელაშვილების ოჯახი

















5. გაიოზ ბერელაშვილი

6. გაიოზ ბერელაშვილი „შევარდენის“ უნიფორმით

7. ნინა საგინაშვილი, გაიოზ და მარინა ბერელაშვილები

8. დედა-შვილი ნინა და მარინა; ევპატორია 1939 წ.

9. გაიოზ ბერელაშვილი

10. ნინა საგინაშვილი სარკის წინ

11. გაიოზ და თენგიზ ბერელაშ-ვილები















12. მარინა ბერელაშვილი კლასელებთან ერთად, 1939 წ.

13. მარინა ბერელაშვილი

14. თენგიზ ბერელაშვილი





15. მარინა ბერელაშვილი ვაჟთან – გელასთან – ერთად

16. მარინა ბერელაშვილი, კოტე და გელა გეგეჭკორები

17. მარინა ბერელაშვილი და ნინა საგინაშვილი

18. ნინა საგინაშვილი

19. მარინა ბერელაშვილი, 2005 წ.





ДЕВДАРИАНИ Тамара Евгеньевна, род. в 1894 г., г. Хони, Грузия, грузинка, жила в Тбилиси, ул. Судебная, д. 35.

Приговорена 29.05.1938 ОСО при НКВД СССР как ЧСИР к 8 годам ИТЛ.

Прибыла в Карлаг 20.08.1941 из Сегежлага.

Освобождена 12.12.1945.

## კუკური დევდარიანი

დედა: თამარ ქუთათელაძე

მამა: (ოსიკო) იოსებ დევდარიანი

გვარი: დევდარიანი

სახელი: ევგენი

მამის სახელი: იოსების ძე

დაბადების წელი ადგილი: 1927 წ. თბილისი

ინფორმანტის ასაკი მშობლების დაპატიმრების მომენტში:

მამა: 9 წლის

დედა: 9 წლის

მშობლების დაპატიმრების შემდეგ ინფორმანტი ცხოვრობდა:

ცხოვრობდა ნათესავებთან: დეიდასთან

განათლება: უმაღლესი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (სამთო-გეოლოგიური)

სამუშაო ადგილი, თანამდებობა

პარტიულობა: პარტიის წევრი

გათავისუფლების შემდეგ დედა ცხოვრობდა: ვაჟის ოჯახში

ოჯახური მდგომარეობა (ინფორმანტი)

შვილები: 2 შვილი

ჩვენი ოჯახი ქუთაისში ცხოვრობდა. დედა და მამა ქუთაისელები არიან. დედა ქალთა, მამა ვაჟთა გიმნაზიაში სწავლობდა. ამავე გიმნაზიაში სწავლობდნენ შალვა ნუცუბიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალოდია ჯიქია. მამა, ვალოდია ჯიქია, შალვა გეგენავა და შალვა აფხაიძე 1912 წელს პეტერბურგში უმაღლეს სასწავლებელში შევიდნენ. ამ დროს პეტერბურგში ივანე ჯავახიშვილს სათვისტომო ჰქონდა ჩამოყალიბებული. სათვისტომოში სახელოვანი ხალხი იყო გაერთიანებული, ისინი უნივერსიტეტის სტუდენტები იყვნენ.

ქართულ სათვისტომოსთან არსებობდა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა. *(ფოტო გაზეთიდან 1915 წელსაა გადაღებული, ალბეჭდილია პეტროგრადის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს და სამეცნიერო წრის წევრთა ერთი ჯგუფი).*

*პირველ რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ): მალიკო მრევლიშვილი – სასცენო მეტყველების კათედრის ერთ-ერთი დამაარსებელი, შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში პროფესორი. ფატი ხუნდაძე – ფსიქოლოგიის დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. გიორგი დევდარიანი – რეპრესირებული, ნონა კახიანი, შალვა გეგენევა – რეპრესირებული. მეორე რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ): თინა გველესიანი, სიმონ ყაუხჩიშვილი –შემდეგში ცნობილი ელინისტი და ბიზანტისტი. ვლადიმერ ფუთურიძე – ცნობილი ირანისტი ფილოლოგი და ისტორიკოსი. თ. ბაქრაძე, ბესო ლომინაძე – განათლებით ინჟინერი, ცნობილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე. ზაალ ქიქოძე. მესამე რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ): არჩილ მიქაძე, ვლადიმერ ჯიქია – რეპრესირებული, ბაბუცა ფარცხალაძე, ივანე ყიფიანი, ოსიკო დევდარიანი (მამა) – რეპრესირებული, დოდიკა გერსამია, შალვა აფხაიძე – 1917 წლიდან „ცისფერყანწელთა“ლიტერატურული ჯგუფის წევრი, ცნობილი პოეტი და ლიტერატორი, შალვა დანელია.*

1918 წელს მამა ქუთაისში დაბრუნდა, სწორედ მაშინ შეუღლდნენ დედა და მამა, ადრე, ალბათ, რომანიც ჰქონდათ.

მამას **იოსები** ერქვა, ოსიკოს ეძახდნენ.

დედა **თამარა ქუთათელაძე,** ცნობილი იურისტის ქალიშვილი იყო.

დედას ბებია – *კინია ქუთათელაძე-ლორთქიფანიძისა* – ძალიან განათლებული, სიმპათიური ქალი იყო, პოეტობდა. ბე-

ბიაჩემს, დედაჩემის დედას, მწერლებთან ჰქონდა საქმე, მასთან თავს იყრიდნენ მწერლები – ალექსანდრე ყაზბეგი, რაფიელ ერისთავი. ბებიაჩემი რაფიელ ერისთავის მონათლულია.

დედაჩემმა ქუთაისში დაამთავრა გიმნაზია, შემდეგ ბაბუამ კიევში გააგზავნა სასწავლებლად. რევოლუციური მღელვარების გამო, კიევიდან ეს უნივერსიტეტი ევაკუირებული იყო სარატოვში. ამ უნივერსიტეტს მფარველობდა ნიკოლოზ II-ის ქალიშვილი. დედა ამბობდა, ის ქალი რომ ჩამოვიდოდა, უნივერსიტეტში დღესასწაული ეწყობოდაო. სხვათა შორის, ნიკოლოზ II ძალიან ლმობიერი მონარქი იყო. ეტყობა, კარგად გაზრდილი ქალიშვილები ჰყავდა, დედა ძალიან დიდი თაყვანისცემით მოიხსენიებდა მას.

დედა ქუთაისში რომ დაბრუნდა, მამაც იმ დროს ქუთაისის მაზრის პროკურორად დანიშნეს. ბაბუაჩემი (დედის მამა) ვექილი იყო. მამა და ბაბუა პროცესზე შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს. ბაბუა დედაჩემს მკაცრად ექცეოდა. დედა და დეიდა იგონებდნენ: *„ერთხელ სახლში ჩაფიქრებული მოვიდა ევგენი სოფრომიჩი, დაჯდა სადილად, ვიფიქრეთ გაბრაზებულიაო. შემდეგ დედაჩემს მიმართა, – „თამარა, Ты можешь выйти замуж за этого парня“.*

დედა ძალიან პრინციპული და განათლებული ქალი იყო, ბიოლოგიური ჰქონდა დამთავრებული, რუსული ძალიან კარგად იცოდა, სკოლაში რუსულს ასწავლიდა. დედის აღზრდას, საუბედუროდ, ვერ მოვესწარით, არ გვერგო. ჩვენ ოთხნი ვიყავით, 3 ძმა და ერთი და. როდესაც დედა და მამა გადაასახლეს, მე ცხრა წლის ვიყავი, ჩემი ძმები 12 და 16 წლის, და – მერი 17, ის 1936 წელს, მამის ხელში შევიდა სამედიცინო ინსტიტუტში.

დედა და მამა ქუთაისიდან თბილისში გადმოვიდნენ. მამა თბილისის უმაღლეს სასამართლოში მუშაობდა. იგი რესპუბლიკის პროკურორი იყო სასამართლოების ზედამხედველობის დარგში. კეცხოველის[154] ქუჩაზე ვცხოვრობდით, ჩვენს პირდაპირ ლადო გუდიაშვილი ცხოვრობდა.

ბებიის – კინია ლორთქიფანიძის მეუღლე, მღვდელი იყო და გორის მაზრაში მოღვაწეობდა. სტალინის ნახევარ დაძმები, ეგნატაშვილები და კინია ბებიას მეუღლე, მეგობრები იყვნენ; გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ. სოსო[155] რომ წამოიზარდა, ეგნატაშვილების მამას, გიორგის, კინია ბებიასთვის უთქვამს, რახან თბილისში მიდიხართ, სოსოს გაგაყოლებთო და სასულიერო სემინარიაში იაკობ გოგებაშვილთან მიიყვანეთო. ეს სასწავლებელი თბილისში, კეცხოველის ქუჩაზე იყო. მიუყვანიათ, გოგლიჩიძე იყო მღვდელი და მისთვის ჩაუბარებიათ.

154. კეცხოველის ქ. – ამჟამად ლადო გუდიაშვილის ქ.; მეფის დროს – ატამანის ქ., ლორის–მელიქოვის ქ.

155. იგულისხმება იოსებ სტალინი.

1933 წელს, დედის მონაყოლის მიხედვით, თბილისში შიმშილობა იყო, საკვები პროდუქტები ძნელად იშოვებოდა. კინია ბებიას თეთრი ლექსი დაუწერია და სტალინისათვის გაუგზავნია. ლექსის შინაარსი იყო — *„იაკობი შევაწუხეთ, გაგზარდეთო, განათლება მიგაღებინეთო, შენ კი რა ცხოვრება შექმენი, ლუკმა — პური ვერ მომიტეხიაო“*. გამოაგზავნა სტალინმა ბებიასთან ხალხი, დაუნიშნეს ბებიას მინისტრის პენსია.

სტალინის დედა, ქალბატონი ეკატერინე, *კეკეს* უძახდნენ, ცოცხალი იყო, პიონერთა სასახლეში ცხოვრობდა, რომ გაიგო, კინია თბილისშია და კარგად არისო, მოანახვინა, სახლში დაპატიჟა. ხშირად ერთად სეირნობდნენ.

მაშინ გაბაშვილის ქუჩაზე ვცხოვრობდით, პატარა ვიწრო ქუჩა რომ არის, „შახტოსტროის“[156] სახლის გვერდზე. იქ იკრიბებოდნენ ვერელები, თამაშობდნენ „ზარს“ მამაჩემის ეშინოდათ და ამიტომ, ჩვენ გვყრიდნენ ხოლმე ეს ჯიბგირები, — წადით აქედან, არ მოხვიდეთ, თორემ მამათქვენი ჩვენზე იყრის ჯავრსაო.

ბებიას პრივილეგია მისცეს, — დახურულ მაღაზიაში ყიდულობდა პროდუქტებს. სახალხო კომისრების მაღაზია, გრიბოედოვის თეატრთან[157] იყო მოთავსებული, ერთხელ მეც ვახლდი, ამოვირჩიე, რაც მინდოდა. მახსოვს, მაღაზიიდან ბებიაჩემი ჩიხტიკოპით როგორ მოდიოდა, მოჰქონდა ბულკები და ნამცხვრები.

ქუჩაზე ბებიას რომ დაინახავდნენ, გაქანდებოდნენ უბნის ბიჭები, გამოართმევდნენ ჩანთებს, ვითომ ეხმარებოდნენ. ბებია ვერ ცნობდა და ეკითხებოდა „კუკური ხარ, ავთო ხარ?“ ჩვენამდე ნამცხვრები არ მოსულა... უცნაური დრო იყო ეს 1933-1934 წლები.

მერე აგვიშენეს სახლი და სასამართლოს ქუჩაზე, ათარბეგოვზე[158] ვცხოვრობდით. იქედან დააპატიმრეს მამაც და დედაც.

მამა და დედა 1937 წელს დააპატიმრეს. მამა ოქტომბერში წაიყვანეს, მე 9 წლის ვიყავი. სამი ადამიანი მოვიდა დასაპატიმრებლად. მამას უთხრეს — *„იოსებ დავიდოვიჩ, ჩვენ თქვენთან ნებართვით ვართ მოსულები და მოემზადეთ შინსახკომში წასასვლელადო“*. გასაგებიაო, მამამ იცოდა, რაც ხდებოდა, იგი ცნობილი პროკურორი იყო, საჩვენებელი პროცესები მიჰყავდა, რომელიც რუსთაველის და სომხურ თეატრში[159] იმართებოდა. პროცესებს конная милиция, იცავდა. როდესაც ცნობილ იურისტებს ჩამოთვლიდნენ, ასახელებდნენ ბაბუაჩემს — ევგენი ქუთათელაძეს, ლადო ბარათაშვილის მამას — იოსებ ბარათაშვილს, მესხიშვილს და მამაჩემს მიათვლიდნენ. ესენი იყვნენ საქართველოს წამყვანი იურისტები.

156. Шахтострой.

157. გრიბოედოვის თეატრი — თბილისის ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრი. დაარსდა 1932 წ., ა. გრიბოედოვის სახელს ატარებს 1935 წლიდან. 1977 წლიდან ფუნქციონირებს ახალ კომპლექსში, რომელშიც, თეატრის გარდა, შედის სავაჭრო ცენტრი და მეტროს სადგურ „თავისუფლების მოედნის“ მიწისზედა ვესტიბიული.

158. სასამართლოს ქ. — ახლანდელი ძმები ზუბალაშვილების ქ. თავდაპირველად არსენალის ქ. ერქვა; შემდეგ — სასამართლოს, სახალხო ტრიბუნალის, გ. ათარბეგოვის ქ.

159. სომხური თეატრი — ახლა პეტროს ადამიანის სახელობის თბილისის საქალაქო (მუნიციპალური) სომხური სახელმწიფო დრამატული თეატრი. მდებარეობს ავლაბარში, ქეთევან წამებულის პრ., № 8.

...ჩაალაგა მამამ, დედამ ერთი თხელი ლეიბი შეუხვია... ჩვენ დაბნეულები ვიყავით: *„ნუ გეშინიათ, შვილებო, მე მართალი კაცი ვარო“* გვითხრა. მამა ძალიან გვიყვარდა, მახსოვს სამსახურიდან მის მოსვლას როგორ ველოდებოდით. ჩვენთან ცხოვრობდა მომვლელი ქალი – ნიურა, ის რომ დაგვიძახებდა *„папа идет“*, გავრბოდით მამას შესახვედრად.

მამა რომ მიჰყავდათ, მე ბოლომდე გავეკიდე, მანქანაში შევძვერი, მან მითხრა *„შენ აქ რა გინდა, საიდან გამოძვერი, წადი მამიკო, მე მალე მოვალო“*, – ასე დავშორდით.

მამა 18 დეკემბერს დახვრიტეს, დედა იმავე თვეში დააპატიმრეს.

1937 წლის 11 დეკემბერს იყო ჩამოვლა. დედის დეიდა, იმ დროს ბუღალტრად მუშაობდა შინსახკომის კოლონიების სამმართველოში, დედა მან გააფრთხილა, დამალულიყო, *„უმაღლესი საბჭოს საკავშირო არჩევნების წინა დღეებში, ჩამოვლა იქნება და შენც სიაში იქნებიო“*... დედამ უთხრა, – შენ ხომ არ გასულელდი, 4 შვილი მივატოვო და მერის და ბებიის (მამაჩემის მამიდა), რომელიც 90 წლის იყო, იმათ ამარა დავტოვოო?

დედა რომ წაიყვანეს, ხუთი კაცი მოვიდა, სახლში სამნი შემოვიდნენ, ორნი ზევით ავიდნენ, მეზობლად შენგელიები ცხოვრობდნენ, ახალგაზრდა ცოლ-ქმარი. კაცი რაიკომის მდივანი იყო, რომელიც უკვე დაჭერილი ჰყავდათ და ქალის წასაყვანად მოვიდნენ.

ღამე იყო, „პატიმრების მანქანით“ იყვნენ, სადაც ქალები ისხდნენ. დედა რომ დაბრუნდა, მერე მომიყვა: *„მანქანაში რომ ჩავჯექით, დახურული იყო და ვერ ვხვდებოდით, სად მივყავდით, ვიგრძენი, მოუხვია და გრიბოედოვის ქუჩაზე გაჩერდა, მეტს ვერ წავიდოდა. იქ კიდევ ვიღაც ქალი აიყვანეს“.*

ჩამოვლის დღე იყო 11 დეკემბერს, 12-ში უკვე საკავშირო არჩევნები იმართებოდა, მანამდე უნდა გაეწმინდათ ხალხი.

დავრჩით მარტო ბავშვები და 90 წლის ბებია, მამაჩემის მამიდა, სხვათა შორის, ყველას იმან დაგვირწია აკვანი.

სახლიდან გამოგვყარეს, ვინ გამოგვყარა, არ გეტყვით – ძალიან დიდ პატივს ვცემ მის ქალიშვილს. მილიცია მოვიდა, ბავშვები ვიყავით სახლში. უფროსი ძმა უკვე ვაჟკაცი ბიჭი იყო, ჭაბუა ამირეჯიბის მეგობარი იყო, პატივს სცემდნენ. მილიციამ ჰკითხა, შენ აქ რა გინდაო? – *„რა მინდა და ჩემს სახლში მოხვედითო“* – უპასუხა ჩემმა ძმამ. მე 9 წლის ვიყავი.

ეს იყო საშინელი პერიოდი. დედა დეკემბერში წაიყვანეს და იანვარში უკვე გამოგვყარეს. ჩვენთან დეიდა და ნათესავები ვერ მოდიოდნენ, ყველას ეშინოდა... კომპოზიტორი ვანო გოკიელის ცოლი შემოივლიდა, კომურჯევას ქალი, დედას

მეგობარი იყო. მან გაგვაფრთხილა, – *„ეს 4 ოთახი შეიძლება არ დავიტოვონ. ნივთები, ორ ოთახში გადმოიტანეთ და როგორმე მოთავსდით“.*

თვალწინ დამიდგა ყველაფერი, როდესაც ვიგონებ, ცრემლი მადგება თვალზე...

რომ გამოგვყარეს, მაშინ ბერია ჯერ არ იყო მოსკოვში წასული. ის მოსკოვში 1938 წელს წავიდა[160]. ჩემმა უფროსმა ძმამ, შოთამ გვითხრა, – ბიჭებო, გაიქეცით და ბერიას უთხარით, სახლიდან გვყრიანო. ჩვენთან მილიციონერებს ქურთი მუშები ჰყავდათ მოყვანილი, რომ ავეჯით დაეტვირთათ. ჩვენ ვერ გავბედეთ ბერიასთან მისვლა, მანქანაში, რომ ჩაჯდა, მერე გავეკიდეთ. ცეკამდე[161] ვირბინეთ ფეხით. ვერ ვუთხარით, ვისი შვილები ვიყავით, როგორ გვექცეოდნენ. რომ მოვედით, მანქანა უკვე დატვირთული იყო, შოთამ გვითხრა, – მე წავყვები ამ მანქანას, ხომ არ მივატოვებო, სად დაყრიან ჩვენს ნივთებს არავინ იცისო. კლარა ცეტკინის[162] ქუჩაზე მოგვცეს ოთახი, იქ მე ერთი დღე ვიყავი, მერე დეიდამ წამომიყვანა. პირველ სართულზე ქურთები ცხოვრობდნენ, ჩვენი ოთახი კი, ქურთების სახლიდან ოთხი კიბით ქვევით იყო, ერთი კარები ჰქონდა, კარებში კი ჩამტვრეული ფანჯარა იყო. ამ ოთახში არავის ეცხოვრა, იქ ცხოვრება როგორ შეიძლებოდა, წაგრძელებული კორიდორივით იყო. ქურთებმა ჩამოგვიტანეს ფეჩი, თორემ გავიყინებოდით, ზამთარი იყო. 90 წლის ბებია თავისმა დისშვილმა წაიყვანა, მე დეიდასთან წავედი, შუათანა ძმა შინსახკომის ბავშვთა სახლში წაიყვანეს, რომელიც ვაკეში, ბარნოვის ქუჩაზე მდებარეობდა. წელიწადნახევრის შემდეგ იგი მეორე დეიდამ წაიყვანა.

ჩემი და, მერი გათხოვდა, კარგი ოჯახი შექმნა, შვილიშვილები ჰყავს. შუათანა ძმა მხატვარია, ცოცხალია, 82 წლის არის, ავთანდილი ჰქვია.

დედა 1946 წლის ბოლოს ჩამოვიდა. იქ დიდი მეურნეობის დიასახლისი იყო, საწყობები ებარა. დედას ხშირად ვწერდით მე და ჩემი და მერი. ჩემი ძმები ცოტას ურევდნენ. დედასთან ერთად იყო ევგენი მიქელაძის ცოლი, ქალბატონი ქეთუსია, რომელიც დროზდოვზე გათხოვდა. დროზდოვი იყო მეცნიერი, სასჯელმოხდილი. სხვათა შორის, ქეთუსია რომ თხოვდებოდა, დედაჩემთან მივიდა და ჰკითხა, რას მირჩევთო, დედამ უთხრა – *„ქეთუსია, ევგენი რომ დახვრეტილია, ამაში ეჭვი გეპარება? შენს ორ ქალიშვილს ევგენის და ზრდის, ჩახვალ და ეს კაცი მხარში ამოგიდგებაო“.* დედა რომ ჩამოვიდა „ლაგერიდან“, პირველად ქეთუსია მოინახულა, რომელიც იქედან ადრე გამოუშვეს.

160. ლ. ბერია 1938 წელს გადაიყვანეს მოსკოვში სამუშაოდ: 22.08.1938 ბერია გახდა სსრკ-ს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ნ. ეჟოვის მოადგილე; 29.09.1938 სათავეში ჩაუდგა ნკვდ-ს სახელმწიფო უშიშროების მთავარ სამმართველოს; 25.11.1938 კი სახალხო კომისრის პოსტზე შეცვალა ეჟოვი.

161. ცეკა (ЦК) – საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი; იმ დროს მდებარეობდა შიო ჩიტაძის ქუჩაზე (ამ ქუჩის ქვედა მონაკვეთს ახლა „9 აპრილის ქუჩა“ ეწოდება); მანამდე, 1930 წელს არქ. ნ. სევეროვის პროექტით აგებული ეს შენობა ეკავა ამიერკავკასიის სახკომსაბჭოს; XIX საუკუნეში ერმოლოვის ქ. ეწოდებოდა.

162. კლარა ცეტკინის ქ. – ახლანდელი მიხეილ წინამძღვრიშვილის ქ. მდებარეობს დიდუბე-ჩუღურეთის რ-ში. XIX ს-ში ეწოდებოდა ელისაბედის ქ.

პირველ სკოლაში ვსწავლობდი, ძალიან კარგი მეგობრები და პედაგოგები მყავდა. კულტურული ხალხი იყო და ამან გადამარჩინა. ინსტიტუტში მიღებაზე პრობლემა არ მქონია.

სკოლა ფრიადებზე დავამთავრე. დედას მივწერე, რას მირჩევ-მეთქი, მან მომწერა, – *„Я хотела тебя видеть в белом халате“*, მე კი, გადავწყვიტე, გეოლოგი გავმხდარიყავი.

დედა, რომ ჩამოდიოდა, სასწაული იყო... მოიწერა დეპეშა, კარაგანდიდან მოსკოვის გავლით ჩამოვიდა. მოსკოვში ჩავიდა, სადაც ძმა და რძალი ჰყავდა. ვიცოდით, რომელ დღეს ჩამოდიოდა, დავხვდით მე და მერი... შოთა უკვე აღარ იყო, 1942 წელს გარდაიცვალა ციხეში სხვისი გულისთვის... არ მინდა ამის მოყოლა...

დავხვდით. იქედან წამოსული ქალები ერთად მოდიოდნენ. ამ დროს მოსკოვიდან ბრუნდებოდნენ ჩემი ამხანაგები – ნოდარ ჯანბერიძე და სოსო კინწურაშვილი. თურმე, დედასთან ერთად ერთ კუპეში იმგზავრეს და მთელი ორი დღის განმავლობაში დედაჩემისათვის ყველაფერი მოუყოლიათ ჩემს შესახებ. მე რომ დავხვდი მატარებელს, შევვარდი ვაგონში, ნოდარი და სოსო დავინახე, სად მიდიხარო, დამიძახეს, მე ვუთხარი, დედას ვხვდები-მეთქი, – ბიჭო, მოდიო...

დედაჩემი ვერ ვიცანი, დედას თავი ჩაღუნული ჰქონდა, ვერ შევიცანი, გასუქებული მომეჩვენა... ბიჭებმა მომაბრუნეს... დედა დეიდასთან წამოვიყვანე.

ამ დროს, მე უკვე უმაღლესი დამთავრებული მქონდა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ რაიონში წავედი, რადგან დედა ჩემთან მყოლოდა. ის რომ დაბრუნდა, თბილისში ცხოვრების უფლება არ ჰქონდა. 1957 წლამდე ბოლნისის რაიონში მუშაობდა, სკოლაში. მეორე მისი და ლაგოდეხში მუშაობდა – ლელიანში. მერე დედაც ლელიანში გადავიდა. ფაქტიურად, ისევ გადასახლებაში იყო.

მე მენავთობე გავხდი და სამუშაოდ მეჯვრისხევში, გორთან წავედი.

დედა სხვანაირი ქალი იყო, პედაგოგი, ურთიერთობა არ გამჭირვებია. მერე თბილისში გადმოვედი.

დედა რომ ჩამოვიდა, 1946 წელს, სულ მიჩიჩინებდა, პარტიაში შედი, ისე ვერ იცხოვრებო.

სტუდენტობისას მე და ჩემი მეგობარი, თამაზი, ერთად ვმეცადინეობდით. მისი დეიდა ამოდიოდა და გვიკეთებდა სამი დღის საჭმელს და ასეთი სტუდენტური ცხოვრება გვქონდა, ძმებივით ვიყავით. იგი კომიტეტის მდივანი იყო გეპეიში. მეოთხე კურსზე რომ გადავედით, თამაზმა მითხრა, მოდი,

პარტიაში შევიდეთო. კარგი-მეთქი, დეიდის მეზობელი იყო ბერიას დროს ცეკას II მდივანი – მიხეილ ბარამია, მისი და მარქსიზმ-ლენინიზმს გვასწავლიდა გეპეიში. მე თვალსაჩინო სტუდენტი ვიყავი. ლიდა დეიდას რეკომენდაცია ვთხოვე. ვხედავ, ერთ დილას დეიდა მკოცნის, ვეკითხები *„რა იყო დეიდა სიზმარში, ხომ არ ნახე რამე?“* არა, შვილო, ლიდამ ისეთი დახასიათება დაგიწერა, მე სიხარულსგან ვტიროდიო. შევიტანეთ განცხადება მე და ჩემმა მეგობარმა. პარტკომი, გვარად სახოკია მეძახის: *„კუკური, თამაზის მივიღებთ პარტიაში და შენ თავი შეიკავეო, მე-5 კურსზე ხარ, დაამთავრე და მერე წარმოებაში უფრო ადვილად მიგიღებენო“*. კულტურული უარი მითხრა. მივატოვე ინსტიტუტიც და წამოვედი სამუშაოდ ოსეთის საზღვართან. იქაც შევეცადე პარტიაში შევსულიყავი, ოსეთის *„ობკომის“*[163] მდივანთან (გელაძე) მივედით, დაგვიძახეს, სამნი ერთად წავედით, გაგვიხარდა. ადგილზე მომზადება წავიდა, რომ პურ-მარილი დაეხვედრებინათ.

163. Областной комитет КПСС – კპსს საოლქო კომიტეტი.

ერთი-ორი დღე რომ გავიდა, ჩვენს უფროს დაურეკეს, – როგორმე, იმ ახალგაზრდა ბიჭს თავი შეაკავებინეთო. მოკლედ, უარი მივიღე. ერთი უარი ინსტიტუტში მითხრეს, ერთიც, აქ. ვუთხარი, რომ იქ მუშაობას აღარ ვაპირებდი, ჩამოვედი თბილისში. მივედი საქნავთობის ტრესტის მმართველთან, კამლაძესთან, ის უპარტიო კაცი იყო, ბერიას „личный друг“, ყველაზე გავლენა ჰქონდა. სადღაც გადარეკა და უთხრა: *„რა შუაშია მამა, ასეთი ადამიანი რომ პარტიაში არ მიიღო!“*, დაუკიდა ყურმილი და მითხრა, ერთ თვეში თვითონ მოგიტანენ ანკეტასო. მართლაც, ასე მოხდა. ერთი თვის მერე რაიკომიდან გამოაგზავნეს სამი ანკეტა და მიმიღეს პარტიაში. ყველაფერს გაჭირვებით მივაღწიე. ეს იყო დედას მოთხოვნა, რადგან მივეცი სიტყვა, აუცილებლად უნდა შემესრულებინა.

იღბლიანი აღმოვჩნდი, პირველ სკოლაში ვსწავლობდი, სადაც კარგი ხალხი სწავლობდა და კარგი მასწავლებლებიც ასწავლიდნენ.

7-8 კლასში რომ ვიყავი, ქიმიას ვსწავლობდი. თუ ქიმიაში გქონდა კარგი ნიშანი, ძლიერად ითვლებოდი. მასწავლებელი ნინო ვარდიაშვილი ძალიან ობიექტური იყო.

ცუცნია ლორთქიფანიძე დაწყებითი კლასების დამრიგებელი იყო, მოალერსე ქალი, ყვირილი არ შეეძლო, ალერსითა და მოფერებით ტუქსავდა ყველას.

ასეთ ვითარებაში გავიზარდე, ამან გადამარჩინა, მაგრამ ჩემს ძმას ვერაფერმა ვერ უშველა, იმიტომ, რომ ის დიდი იყო და დედის დაჭერას სხვანაირად განიცდიდა.

ის სარდაფში ცხოვრობდა, მის მაღლა ქურთები ცხოვრობდნენ. ჩემი ძმები და და პირველ სკოლასთან მოვიდოდ-

ნენ, სამხატვრო სახლთან[164] დადგებოდნენ და მელოდებოდნენ. სკოლა რომ დამთავდებოდა, იქეთ ვიხედებოდი, რომ რომელიმე, — ავთანდილი, შოთა ან მერი დამენახა. თუ იყვნენ, ვტოვებდი ყველას და ყველაფერს და მათკენ მივბოდი.

ერთხელ ჩემს ძმასთან, სარდაფში რომ ცხოვრობდა, ბათუმიდან ამხანაგები ჩამოვიდნენ. მათ რაღაც მოიპარეს და იმ სახლში გაათენეს ღამე, სადაც მილიცია დაადგა თავზე. ჩემი ძმაც დაიჭირეს.

1942 წელს კრიტიკული მდგომარეობა იყო. მე მე-8 კლასის მოწაფე ვიყავი, სანახავად წავედი. ციხე ტერიტორიულად კოპიტნარის აეროპორტთან იყო. ორი ღამე გავათენე ებრაელების ოჯახში. თბილისიდან ნათესავებმა გამატანეს ჭადი, ყველი, შოთასთვის რომ მიმეტანა. თვალწინ მიდგას დასიებული... აიწია შარვალი, თითი დაიდო ფეხზე და რომ დააწვა, „დირკა“ გაკეთდა.

ასე, ორჯერ ვინახულე. მესამეჯერ რომ მივედი, დეიდაჩემს საქმე ჩაწყობილი ჰქონდა, რომ იმ კოლონიიდან თბილისში გადმოეყვანა. ბიბლიოთეკარმა შეწუხებულმა მითხრა, რომ კომისია ჩამოვიდა და შოთა თბილისში გადაიყვანესო. გამიხარდა, წავედი სოფელში... სინამდვილეში დიზენტერია დამართნოდა და გარდაცვლილიყო. თბილისში რომ ჩამოვედი, აქტი მივიღეთ. სასტიკად განვიცადე, მის მერე სულ ჩემს თვალწინ არის.

საზოგადოებამ გადაგვარჩინა, ყველა განწირულები ვიყავით. მოკლედ, არეული ცხოვრება იყო...

რახან გულახდილი საუბარი გვაქვს, გეტყვი, დეიდა იყო მარტოხელა ქალი, გადასარევი პიროვნება იყო, მან ამოზარდა და მიშვილა, მაგრამ მკაცრად მექცეოდა, იმიტომ, რომ შიში ჰქონდა. რადგან „აბიჟენი“ ბავშვი ვიყავი, ხშირად მწყინდა დეიდის დამოკიდებულება. რომ დავვაჟკაცდი, მერე ვიგრძენი, ვინ იყო ჩემთვის და დავაფასე.

ერთხელ, მახსოვს, დეიდამ დინამოს სტადიონზე[165] მიყიდა „*სპორცმენკებს*“ ვუმახდით, ტყავის ჩუსტები. ამით ფეხბურთი ვითამაშე და პირველივე დღეს ძირი გავაძრე. დეიდას გული გაუსკდა... მეორე დღეს ვდგები, სკოლაში მივდივარ, ძველი ფეხსაცმელები გამოვილე და გაპარვა მინდა. დეიდა მიყურებს — აბა, რას ჩაიცვამსო. მკითხა, რატომ მიდიხარ ძველითო, ვუთხარი, რაც მოხდა. მომარტყა ხელი და ცხვირიდან სისხლი წამომივიდა. ეს არ დამავიწყდება. გავვარდი სახლიდან. რომ გავრბოდი, თითქოს ვიგრძენი, რას ვშვებოდი, შევჩერდი კარებთან, მაგრამ მაინც გამოვედი და სახლში აღარ დავბრუნდი. კოტე მახარაძე, ჩემი მეგობარი, ჩემს წინ ცხოვრობდა. იქაც შემრცხვა მისვლა. კიროვის ბაღში[167], კალათბურთის „პლაშადკაზე“ ვიყავი, ძია გაბოსთან, იმან მომზანა სახე. რომ დაღამდა, წამოვედი, ვიფიქრე

164. სამხატვრო სახლი — სავარაუდოდ, ახლანდელი „სურათების ეროვნული გალერეა“ შოთა რუსთაველის პროსპექტზე.

165. „დინამოს“ სტადიონი — ამჟამად — ბორის პაიჭაძის სახ. ეროვნული სტადიონი დიღუბეში.

166. კიროვის ბაღი — ახლანდელი ვერის პარკი. ისტორიულად ეკუთვნოდა გამოჩენილ ქართველ მოგზაურსა და დიდვაჭარს რაფაელ დანიბეგაშვილს. მოგვიანებით გადაიქცა სასაფლაოდ. 1898 წლიდან, ეგზარქოსის კურთხევით, გაშენდა ბაღი.

კოტეს დავუცდი, იქნებ გამოიაროს და სახლში წავყვე-მეთქი. ამ ლოდინში დაღამდა, სადარბაზოში გადავწყვიტე ღამის გათევა. ამ სახლში *მელორ სტურუა*[167] ცხოვრობდა, რადგან მამამისი, *გიორგი სტურუა*, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იყო, მილიციონერი დადიოდა მთელი ღამე, მან შემამჩნია. მომეპარა და მტაცა ხელი, რას იმალები აქო, დამიჭირა და ამიყვანა. ვუთხარი, რომ ამ ქუჩის 7 ნომერში ჩემი ამხანაგი ცხოვრობს და მასთან მივდივარ-მეთქი. აბა, წამოდიო. წარმოიდგინეთ, გამთენიას აბრახუნებს კარებზე, გამოვიდა ბიძია ვანო, კოტეს მამა, ვინ გნებავთო?! რომ დამინახა, გაგიჟდა. მილიციონერმა ჰკითხა, – *„ეს თქვენთან არისო? აბა, ვისთან არისო!“* – ბიძია ვანო ჩამეხუტა. ასე გადამარჩინა.

ამ ყველაფერის ანალიზის გაკეთების თავი არ გვქონდა. გზიდან აცდენა ადვილი იყო, მაგრამ ამ ხალხმა გადაგვარჩინა. ვთვლი, რომ ჩემთან ყოფილა ღმერთი.

კიდევ ერთი რამ მახსენდება, უნდა გითხრა სიმართლე... როგორც გითხარით, ჩვენ სასამართლოს ქუჩაზე ვცხოვრობდით, ათარბეგოვზე, ოთხოთახიანი ბინა გვქონდა, გამოგვრეკეს 4 ბავშვი და 90 წლის ბებია. ვინც გამოგვრეკა, ის მაშინ დეპუტატი იყო. არ მინდა მისი სახელის დასახელება, იმიტომ, რომ ახლა კარგი შვილების პატრონია. გადაგვყარეს კლარა ცეტკინზე, დავიფანტეთ, დავიშალეთ...

იმ სახლში ამ ქალბატონის მერე ცხოვრობდა ლევან რამიშვილის ოჯახი. მამამისი რაიკომის მდივანი იყო, შემდეგ პროკურატურაში გადმოიყვანეს. მახსოვს, მე-8 კლასში ვართ, კლასის ამხანაგებმა გადავწყვიტეთ ახალი წლის აღნიშვნა, მაშინ „ფოქსროტი“ იყო მოდაში, „კატიუშა“ და „უ სამოვარა.“ დავდეთ ფული და ლევიკოსთან გადავწყვიტეთ წასვლა. რა გავაგრძელო და ჩემს ძველ ბინაში მოვხვდი, რემონტიც კი არ იყო გაკეთებული, მახსოვს, მამაჩემის მაგიდა, ფიგურული ფეხებით... რომ დავინახე, ცუდად გავხდი, არაფერი მითქვამს. ყველამ კი არ იცოდა, რომ ჩემი სახლი იყო. ლევანის მამა ამბროსი, ძალიან ჰუმანური პიროვნება იყო, რომ გაიგო, მე ოსიკოს შვილი ვიყავი, მითხრა – მამა ძალიან კარგი კაცი, კარგი პროკურორი იყოო. მე აღტაცებული ვუსმენდი. თურმე, ნახევარზე მეტი ამხანაგები ჩემს მდგომარეობაში იყვნენ, ერთმა ველარ მოითმინა და თქვა: *„ეს ლევიკოს კი არა, დევდოს სახლიაო“*. მაშინ მეც ამიტყდა ტირილი, ყველა ატირდა, ვინც ასეთ მდგომარეობაში იყო. ასეთი ახალი წელი გვქონდა.. .

ცუდი ბიოგრაფია მქონდა, მაგრამ ვამაყობ იმით, რომ ამხანაგების დამსახურებით კაცი გავხდი.

*8 ოქტომბერი, 2005 წ.*

167. ძმების – ივანე და გიორგი სტურუების ოჯახები ცხოვრობდნენ მეზობლად – ერთი ახლანდელი გიორგი ახვლედიანის ქუჩაზე (ყოფილი პერომვსკაიას ქ.) №2-ში, მეორე კი – ახლანდელი ლეო ქიაჩელის ქ. №5/7, ე.წ. „ბერიას სახლში“.






1. პეტროგრადის ქართველთა სათვისტომო - (ფოტო გაზეთიდან 1915 წელსაა გადაღებული, აღბეჭდილია პეტროგრადის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს და სამეცნიერომ წრის წევრთა ერთი ჯგუფი). პირველ რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ): მალიკო მრევლიშვილი – სასცენო მეტყველების კათედრის ერთ-ერთი დამაარსებელი, შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში პროფესორი. ფატი ხუნდაძე – ფსიქოლოგიის დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტეს უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. გიორგი დევდარიანი – რეპრესირებული, ნონა კახიანი, შალვა გეგენევა – რეპრესირებული. მეორე რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ): თინა გველესიანი, სიმონ ყაუხჩიშვილი – შემდეგში ცნობილი ელინისტი და ბიზანტისტი. ვლადიმერ ფუთურიძე – ცნობილი ირანისტი ფილოლოგი და ისტორიკოსი. თ. ბაქრაძე, ბესო ლომინაძე – განათლებით ინჟინერი, ცნობილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე. ზაალ ქიქოძე. მესამე რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ): არჩილ მიქაძე, ვლადიმერ ჯიქია – რეპრესირებული, ბაბუცა ფარცხალაძე, ივანე ყიფიანი, ოსიკო დევდარიანი (მამა) – რეპრესირებული, დოდიკა გერსამია, შალვა აფხაიძე – 1917 წლიდან „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ჯგუფის წევრი, ცნობილი პოეტი და ლიტერატორი, შალვა დანელია.

2. ბაბუა – ევგენი ქუთათელაძე

3. ბებია – კინია ქუთათელაძე-ლორთქიფანიძისა და დეიდა

4. ოჯახი

5. დედა – თამარა ქუთათელაძე

6. კუკური დევდარიანი









ГЕОРГОБИАНИ Тамара Исидоровна; род. в 1911 г., г. Кутаиси; грузинка.

Приговорена 24.06.1938 Приговорена 29.05.1938 ОСО при НКВД СССР как ЧСИР к 5 годам ИТЛ.

Прибыла в Акмолинское ЛО 23.09.1938 из тюрьмы г. Тбилиси.

Освобождена 08.12.1942.

## გურანდა გიორგობიანი

დედა თამარ გვეტაძე

მამა გიორგი გიორგობიანი

გვარი გიორგობიანი

სხვა გვარი

სახელი გურანდა

მამის სახელი

დაბადების წელი ადგილი 1935 წელი თბილისი

ინფორმანტის ასაკი მშობლების დაპატიმრების მომენტში:

მამა 2 წლის

დედა 2 წლის

ძმის\დის – გვარი სახელი მამის სახელი გიორგობიანი გიორგი გიორგის ძე

მშობლების დაპატიმრების შემდეგ ინფორმანტი ცხოვრობდა:

ცხოვრობდა ნათესავებთან ბებიასთან, მამიდასთან

განათლება

უმაღლესი (სახელწოდება სწავლის დრო) პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ენერგეტიკის ფაკულტეტი

პროფესია ენერგეტიკოსი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა პენსიონერი

გათავისუფლების შემდეგ დედა ცხოვრობდა ცალკე

ოჯახური მდგომარეობა (ინფორმანტი)

შვილები 1 შვილი

ოჯახური მდგომარეობა გათხოვილი

დედა

გვარი გვეტაძე

სახელი თამარი

მამის სახელი ისიდორეს ას

დაბადების წელი და ადგილი 1911 წ.

განათლება ენერგეტიკოსი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა ენერგეტიკოსი

დაპატიმრების თარიღი 1937 წ.

განაჩენი

სასჯელის მოხდის ადგილი აკმოლენსკი

ბანაკიდან გათავისუფლება 1945 წ.

რეაბილიტაცია

გარდაცვალების თარიღი 1989 წ.

მამა

გვარი გიორგობიანი

სახელი გიორგი

მამის სახელი ივანე

დაბადების წელი და ადგილი 1908 წ

განათლება პარტმუშაკი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა

დაპატიმრების თარიღი 1937 წ

განაჩენი სამშობლოს მოღალატე

დახვრეტის თარიღი 1937 წ

დავიბადე 1935 წელს, მყავდა ჩემზე ორი წლით უფროსი ძმა - გიორგი გიორგობიანი.

**დედა - თამარ ისიდორეს ასული გვეტაძე**

**მამა - გიორგი ივანეს ძე გიორგობიანი.**

დედა ქუთაისში ცხოვრობდა, 18 წლის არ იყო, როდესაც მამამ ცოლად მოიყვანა.

მამა მაშინ ტყიბულის რაიკომის მდივნად მუშაობდა. ქუთაისში ხშირად უხდებოდა ჩასვლა, დედა ლამაზი ქალი ყოფილა და მოსწონებია... პირდაპირ ქუთაისიდან წამოუყვანია.

დედა სწავლობდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ენერგეტიკის ფაკულტეტზე, რომელიც 1937 წელს დაამთავრა.

მამა 1937 წელს, როცა დააპატიმრეს, 29 წლის იყო. ამიერკავკასიის კომკავშირის ცეკას მდივნად მუშაობდა. დედა ამ დროს 26 წლის იყო, ჩემი ძმა – ოთხის, მე კი – ორი წლის... არაფერი არ მახსოვს. მამას საერთოდ ვერ ვიხსენებ. ისე კი, როგორც მეუბნებიან, ღამე ვიღვიძებდი და ვყვიროდი, "მამა"...

დედაც 1937 წელს დააპატიმრეს...

1937 წლის ნოემბერში, თამაში იყო სტადიონზე. ბორია პაიჭაძე ჩემი დეიდის ქმარი იყო. ამ დროს მამა 26 კომისრების რაიონის[168] რაიკომის მდივნად მუშაობდა. თამაშზე მამა დედასთან ერთად სტადიონზე მანქანით შედიოდა... მანქანა არ შეუშვეს... მამა ადვილი გასაჩერებელი კაცი არ იყო და ძალით შევიდა. ლოჟაში ბერიასთან ერთად უნდა მჯდარიყო, ერთად უნდა ენახათ თამაში (ბერიას ხსენებაც არ მინდა). ლოჟაში მხოლოდ ბერიას მეუღლე დახვდა... არ ვიცი, იყო და წავიდა... მამამ უყურა თამაშს, თუმცა, უკვე მიხვდა, მანქანას რატომ არ უშვებდნენ სტადიონზე. სტადიონიდან ბერიასთან თავისი ფეხით წავიდა, რათა ეკითხა, რა მოხდა. რასაკვირველია, იქიდან აღარ გამოუშვეს... ეს იყო ნოემბრის 30 რიცხვი, 1937 წელი... დედა დაახლოებით დეკემბრის შუა რიცხვებში, ახალწლამდე წაიყვანეს...

დედა და მამა კიროვის ბაღთან ცხოვრობდნენ, ახლა ნიკოლაძის ქუჩა[169] ჰქვია, მაშინ 8 მარტის ქუჩა იყო. ჩვენ, ბავშვები, ნახალოვკაში (ნაძალადევი) ბებიასთან ერთად ვცხოვრობდით საკუთარ სახლში. დროის უმეტეს ნაწილს ბებიასთან, მამის დედასთან ვატარებდით.

დედა როგორ წაიყვანეს, არ მახსოვს, მაგრამ სახლიდან რომ ყველაფერი წაიღეს, კარგად მახსოვს. რასაკვირველია, სახლიც ჩამოგვართვეს. გადმოცემით ვიცი, ვიღაც ქალბატონი შემოსულა და უკითხავს: *„აქ კარგი ფარდები ეკიდა და რატომ დაგიმალიათ?"*

168. 26 კომისრის რაიონი – ქ. თბილისის ადმინისტრაციული რაიონი; მოიცავდა ისანს, ვარკეთილს, ვაზისუბანს.

169. ნიკოლაძის ქ. – იგულისხმევა ნიკო ნიკოლაძის ქ. ვერაზე (მეზობლად, ფიქრის გორაზე არის იაკობ ნიკოლაძის ქ.). ადრე ერქვა ანდრე მარტის ქუჩა (და არა „8 მარტისა", როგორც ამას რესპონდენტი აღნიშნავს). ანდრე მარტი იყო ფრანგული და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მოღვაწე (არ შეგვეშალოს ხოსე მარტიში და აუგუსტო მარტიში – შესაბამისად, კუბისა და სან-სალვადორის რევოლუციონერებში).

დედას თბილისში არ ყოფნის პერიოდში, ბებიასთან ვცხოვრობდით. გვყავდა მამიდა, რომელიც მუშაობდა აბასთუმნის ობსერვატორიაში, ხარაძის მოადგილე იყო. მთელი ზაფხული, აბასთუმანში, მამიდასთან ვისვენებდით, ზამთარში კი ბებიასთან ჩამოვდიოდით. ასე ვიზრდებოდით...

ნახეთ, როგორი ბავშვი ვიყავი?! *(მაჩვენებს სურათს)*. ლურჯი თვალებით, დიდი ლოყებით. სანამ მამა მუშაობდა, ბერიას ამხანაგი იყო... როგორც ბებია მიყვებოდა, ბერია ხშირად მაწვალებდა, მაძლევდა შოკოლადს და მერე მართმევდა, მე ვტიროდი. ეტყობა, სიამოვნებდა ჩემი წვალება...

სკოლაში კომკავშირში რომ გვიღებდნენ, როდესაც მამის თანამდებობა გაიგეს, „ტროცკისტის შვილებიო“, ასე მოგვმართეს. პიონერი ისე გავხდი, ასეთი დამოკიდებულება არ მიგრძვნია, ალბათ, არ იყო, თორემ დავიმახსოვრებდი.

ნაძალადევში ვსწავლობდი, მე-19 ქალთა მუსიკალურ სკოლაში. მეგობრები ძალიან კარგი მყავდა.

მშობლების შესახებ არ მახსოვს, რას მიყვებოდნენ. ძალიან კარგი ბებია, მამიდა და მამიდას მეუღლე მყავდა... ჩვენ არაფერი არ გვაკლდა მშობლების გარდა... არც სიყვარული, არც სითბო, არც ეკონომიური მდგომარეობა... მშობლების ფოტოებს ვათვალიერებდით, მაგრამ არანაირი ემოცია არ მქონია... უბრალოდ, ვიცოდი, რომ ეს მამა იყო, ეს დედა იყო, არანაირი განსაკუთრებული ემოცია... მშობლების არყოლას, ალბათ, სკოლაში განვიცდიდი, მაგრამ განსაკუთრებულად, არა... ძალიან თბილ ოჯახში ვიყავი, არაფერი არ გვაკლდა...

1945 წელს, როდესაც დედა დაბრუნდა, 10 წლის ვიყავი.

მამიდა გვამზადებდა, დედა უნდა ჩამოვიდესო. 1945 წელს, მახსოვს, რომ მატარებელზე გავედით... მე, ჩემი ძმა და ორი დეიდა.

მოკლედ, მატარებელი ჩამოვიდა... ჩამოდის ქალი, დედა...

იგი 1911 წელს იყო დაბადებული, 34 წლის იყო, გადასახლებიდან რომ დაბრუნდა. ჩემთვის ძალიან ძნელი იყო... თვითონ მოვიდა და გადაგვკოცნა, მაგრამ, რომ გითხრათ, ეს განსაკუთრებულად განვიცადე, ასეთი რამ არ მქონდა...

დედა დაბრუნდა ჩვენს ოჯახში, ვცხოვრობდით ერთად, ნაძალადევში. დაიწყო მუშაობა. 1937 წელს, სანამ გადაასახლებდნენ, ფეხსაცმელების ფაბრიკაში მუშაობდა, იქვე აღადგინეს.

დედა დილით ძალიან ადრე მიდიოდა, ჩვენ გვეძინა. სახლში გვიან მოდიოდა, ხან დედასთან გაივლიდა, ხან

დასთან... ჩვენ ისევ ხშირად გვეძინა. მე 10 წლის ვიყავი. რომ გითხრათ, რომ დედაშვილური ურთიერთობა აღსდგა, მოგატყუებთ.

დედა, დაბრუნების შემდეგ, ჩვენთან სახლში 2-3 წელი ცხოვრობდა... ზუსტად ვერ გეტყვით წლებს... მერე გათხოვდა. ცოლად გაჰყვა თავის ძველ ნაცნობს, რომელსაც ახალგაზრდობაში მოსწონდა, მან ცოლი მიატოვა. საერთო შვილი არ ჰყოლიათ. იმ კაცს ჰყავდა თავისი ერთი შვილი, რომლის მეუღლე არის რეზო ამაშუკელი და ჩვენ აქეთ ორნი ვიყავით.

ფეხსაცმლის ფაბრიკის შემდეგ, მუშაობდა კიროვის ქარხანაში[170], მთავარ ენერგეტიკოსად.

სკოლა რომ დავამთავრე, პირველ წელს ვერ მოვეწყვე ინსტიტუტში. დედამ შემომთავაზა, რომ კიროვის ქარხანაში დამეწყო მუშაობა. 1955 წელს დავიწყე მუშაობა ქვესადგურში მორიგედ. შემდეგ ჩავაბარე საღამოს დასწრებულზე, მერე გადავედი დღის განყოფილებაზე. ქვესადგურში მორიგეობისას, დედა რომ დამირეკავდა, მიჭირდა „დედას" დაძახება, მერე თანდათან შევეჩვიე. სამსახურში რომ დამირეკავდა, ხომ უნდა მიმემართა. მიჭირდა სიტყვის თქმა, თანდათან მივეჩვიე *(ატირდა)*.

ჩემი ძმა, 1937 წელს ოთხწლინახევრის იყო, მას უფრო ახსოვდა დედაც და მამაც... ბიჭები კიდევ უფრო მარტივად ეგუებიან ყველაფერს... მოკლედ, ის უფრო ადვილად ეძახდა „დედას"... მე ამ სიტყვის თქმაც მიჭიდა, ქარხანაში იძულებული ვიყავი, „დედა" დამეძახა... ერთხელ, ორჯერ, სამჯერ და მერე მივეჩვიე ამ სიტყვას.

დედა, გათხოვების შემდეგ, ვაკეში ცხოვრობდა კავსაძის ქუჩაზე. წლების გასვლის მერე, ხშირად დავდიოდით მასთან სტუმრად. ჩემი ძმისშვილი, გოგონა, ჩემთან ცხოვრობდა, უნივერსიტეტში სწავლობდა, ლექციების დამთავრების შემდეგ დედასთან სადილობდა. მე ამ დროს, საპროექტოში ვმუშაობდი, ინსტიტუტის შემდეგ იქ გამანაწილეს. დედასთან მეც ხშირად მივდიოდი. იქედან, მე და ჩემი ძმისშვილი, ერთად ვბრუნდებოდით. წლების გასვლის შემდეგ დედას უფრო დავუახლოვდი.

საერთოდ ჯანმრთელი ქალი იყო, მაგრამ ეტყობა „იქ" მაინც შეერყა ჯანმრთელობა და ინფარქტი გადაიტანა.

ჰყვებოდა, რომ *„სხვები ძალიან ცუდ დღეში იყვნენ, მე მაინც სპეციალობა მქონდა და ვმუშაობდიო"*. სხვა დიდი კაცის ცოლებს არ ჰქონდათ განათლება და უფრო დაბალი სამსახურის შესრულება უხდებოდათ, მათ უფრო უჭირდათ.

170. კიროვისს ქარხანა – ს. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა.

რამდენიმე ქალი ერთად ცხოვრობდა, გაჭირვების შესახებ არასოდეს არ მოუყოლია, შეიძლება არ უყვარდა ლაპარაკი. მაშინ, როდესაც დაბრუნდა, არ ვიყავი დედასთან ისე ახლოს, რომ დაწვრილებით რაიმე მეკითხა.

მე მხოლოდ სურათიდან მახსოვდა დედა და მამა... დედა რომ ჩამოვიდა სხვანაირი იყო...

1989 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა...

იმ დღეს საპროექტოში დამირეკა, მოდი, კარგი სადილი მაქვსო. მისვლა ვერ შევძელი, მიტინგებზე დავდიოდი და მეორე დღეზე შევუთანხმდი. სახლში, რომ მივედი, ჩემი ძმისშვილი გოგონა ტიროდა, ბებია გარდაიცვალაო...

*29 ივნისი. 2005 წელი*

1. დედა – თამარ გვეტაძე

2. თამარ გვეტაძე გადასახლებაში

3. გურანდა გიორგობიანი









**ТАКТАКИШВИЛИ-НАСКИДОВА Мария Степановна, род. В 1902 г., г. Тбилиси, армянка.**

**Приговорена 24.06.1938 ОСО при НКВД СССР как ЧСИР к 8 годам ИТЛ.**

**Прибыла в Акмолинское ЛО 22.09.1938 из тюрьмы г. Тбилиси. Период нахождения в АЛЖИРе не указан.**

**Освобождена из Карлага 01.03.1946.**

სპარტაკ თაქთაქიშვილი

დედა მარიამ ნასყიდაშვილი

მამა დიმიტრი თაქთაქიშვილი

და მირცა თაქთაქიშვილი-დოლიძე

მშობლების დაჭერის დროს 14 წლის ვიყავი (1920 წელს დავიბადე, ქალაქ თბილისში), ჩემი და მირცა დიმიტრის ასული თაქთაქიშვილი-დოლიძე იყო 13 წლისა.

დედას დაჭერის შემდეგ ბაბო ცხოვრობდა ჩვენთან, დედის დედა, ჩვენ ჩამორთმეული გვქონდა ორი ოთახი უკვე სამოთახიანი ბინიდან, დედაჩემი ელოდა უკვე დაპატიმრებას, ყველას იჭერდნენ. 4 დეკემბერს დაიჭირეს მამაჩემი და 5 დეკემბერს დედაჩემი მოსკოვში წავიდა, და საკავშირო პროკურორს დაუწერა იქ, გვარი აღარ მახსოვს: „*В Грузии творятся безобразия, арестовывают всех старых большевиков, в том числе арестован и мой муж, член партии с 1907 года.*“ ვილა გააჩერებდა გარეთ?

დავამთავრე მე-3 საცდელი სკოლა, კამოს[171] ქუჩაზე, ახლა 23-ე სკოლა, შედეგ სამედიცინო ინსტიტუტი დავამთავრე, 3 წელი მოვიხადე ვალი ქვეყნის წინაშე, გამანაწილეს და ვმუშაობდი რუსეთში, მერე ჩამოვედი და აქ ვმუშაობდი სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში. რუსეთში ვმუშაობდი 1946-დან 1949 წლამდე, გროზნოს ოლქში, საავადმყოფოს გამგედ. სამკურნალო მაქვს დამთავრებული და აქ ვერ მოვეწყვე მკურნალად და სანიტარულ დარგში გადავედი.

კომკავშირელი ვიყავი, პარტიაში რუსეთში მინდოდა შესვლა და არ მიმიღეს. აღარ დავუწყე ხვეწნა.

დედა რომ ჩამოვიდა, ჩემთან არ ცხოვრობდა, ჩემ დასთან ერთად ცხოვრობდა, მერე ჩემმა დამ ბინა მიიღო და, ჩვენს დარჩენილ ერთ ოთახში ცხოვრობდა. ჯერ დასთან ცხოვრობდა, მერე მარტო და მერე გათხოვდა.

მე ორი შვილი მყავს, ბიჭები. უფროსი-დიმიტრი, მამაჩემის სახელი დავარქვით, პროფესიით ინჟინერ-მშენებელია, მეცნიერებათა კანდიდატი, მეორე მიხეილი, ჩემი სიმამრის სახელი ჰქვია, პროფესიით ფიზიკოსია, მეცნიერებათა კანდიდატი. უფროსი ლოგინად არის ჩავარდნილი, უმცროსი პოლიტექნიკურში, ფიზიკის კათედრის გამგის მოადგილეა.

დედა — **მარიამ სტეფანეს ასული ნასყიდაშვილი-თაქთაქიშვილი**, ჩემი ბიძა, დედაჩემის ძმა ხუციშვილი იყო, ორი გვარი ჰქონდათ და რომელსაც რომელი მოსწონდა, ის გვარი აიღო. რატომ ჰქონდათ ორი გვარი, არ ვიცი. დედა 1902 წელს გორში დაიბადა. განათლება საშუალო, გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული თბილისში, მერე მუშაობდა — საბავშვო ბაღების განყოფილების გამგე იყო ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროში. დაიჭირეს 1938 წლის 28 თებერვალს, განაჩენი *«как член семьи изменника*

171. კამოს ქ. - ახლანდელი დიმიტრი უზნაძის ქ. მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, XIX საუკუნეში ეწოდებოდა სანაპიროს ქ., ვორომნცოვის სანაპირომ, დიდი მთავრის (ნიკოლოზ მიხეილის ძე რომანოვის) ქუჩა.

*родины».* რომ ჩამოვიდა, კახეთში გაასახლეს. გადასახლებაში შეისწავლა რძის მრეწველობის საქმე, კარაქის, ყველის დამზადების და იმ ხაზით, ახლა აღარ მახსოვს რომელ სოფელში, რაიცენტრი იყო, იქ მუშაობდა კარაქის ქარხნის დირექტორის მოადგილედ. 1946 წლის მარტში გაათავისუფლეს. რეაბილიტაცია დედაჩემს ოფიციალურად არ მიუღია, მამაჩემმა მიიღო და ამით დედაჩემიც რეაბილიტირებული იყო. დედაჩემი გარდაიცვალა, *ей было 74 года*, ახლავე გეტყვით, 1978 წელს.

მამა - **დიმიტრი გიორგის ძე თაქთაქიშვილი,** 1890 წ. თბილისში დაიბადა, რა ინსტიტუტი დაამთავრა, აღარ მახსოვს, მშენებელი იყო. დაპატიმრების დროს საქართველოს კომუნალური მეურნეობის სახკომის მოადგილე იყო. 1937 წლის 4 დეკემბერს დააპატიმრეს. 4 დეკემბერს არის დაბადებული ჩემი შვილთაშვილი, ყველაზე პატარა, ანგელოზი, იმან შემაყვარა ეს დღე, თორემ მეჯავრებოდა. დახვრეტა მიუსაჯეს. 1938 წელს, იანვარში დახვრიტეს. რეაბილიტაცია მიიღო 1956 წელს.

დედა გათხოვდა, მამინაცვლის გვარი და სახელი არ მახსენდება, რუსი იყო, ჩემ დას ვკითხავ, დაიბადა რუსეთში 1888 წელს. არ მუშაობდა, პენსიონერი იყო.

მამა თბილისშია დაბადებული, პაპაჩემი ვერაზე ცხოვრობდა. პაპას გიორგი ერქვა, გარდაიცვალა 104 წლისა, მამა ინჟინერ – მშენებელი იყო, სკოლა და უმაღლესი თბილისში ჰქონდა დამთავრებული. თავიდან მუშაობდა რკინიგზის მთავარი სახელოსნოების უფროსად, მერე ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის საერთო განყოფილებიოს გამგე იყო. აქ სპეციალობით არ მუშაობდა, პარტიული ხაზით იყო, ექვემდებარებოდა გპუ[172], მილიცია და ყველა ესენი. დაჭერამდე კომუნალური მეურნეობის სახკომის მოადგილე იყო. ამხანაგები, ნათესავები, ნაცნობები მოდიოდნენ, მამაჩემი ძალიან კარგად უკრავდა გიტარაზე, მე ვერ ვისწავლე გიტარაზე, პიანინოზე ვუკრავდი. სერიოზული კაცი იყო, კომუნისტებზე ცუდს ხუმრობითაც ვერ ათქმევინებდი; არ აპატიებდა, ვინმეს რომ ეთქვა, ძალიან შთაგონებული ჰქონდა ეგ ამბავი.

სკოლაში არაჩვეულებრივი კლასი გვქონდა. საერთოდ, არაჩვეულებრივი სკოლა იყო. მეგობრები ბევრი მყავდა, ძალიან კარგი ხალხი, ცხოვრება ჩემმა მეგობრებმა და მათმა მშობლებმა გამატანინეს, ყოველმხრივ ხელს მიწყობდნენ, მატერიალურადაც მეხმარებოდნენ, თუ რამე გაჭირვება მქონდა. შალვა ზედელაშვილი, უნვერსიტეტში კათედრის გამგე იყო, ფიზიკოსი, რუსეთში დაამთავრა, იქ მოიყვანა რუსის ქალი, შესანიშნავი

172. ГПУ _ Государственное Политическое Управление. შეიქმნა 1922 წ. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტმა გააუქმა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია (ВЧК) და შექმნა სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო (ГРУ) რომგორც შინსახკომის (НКВД) ორგანო.

ქალი, წესიერი და თბილი, გოგორიშვილი ალექსანდრე ილიჩი, რომელიც კგბ-ში მუშაობდა, და მხოლოდ ჩემთან შეეძლო ამ მთავრობის გინება, კვაჭაძე, ალექსანდრ ფომიჩ, *ტეკაში*[173] იყო; ვინც ჩაგვისახლეს, ის სულ გვავიწროვებდა, მესამე ოთახის წაღებაც უნდოდა და კვაჭაძე გვიცავდა სულ.

კლასში არ მიგვრძვნია, რომ ტროცკისტის შვილი ვიყავი. მეექვსე კლასში რომ გადავედი, დედაჩემი და მამაჩემი სახლში იყვნენ მაშინ, ძალიან და ცელქი ვიყავი, ალგებრა-გეომეტრიის სწავლა რომ შემოიღეს, გეოგრაფია მიყვარდა, ატლასი იყო კედელზე, ორი სფერო, ჰოდა, სულ იმას ვუყურებდი და ალგებრას არ ვუსმენდი და ორიანები გამომყვა. მაშინვე მიმიყვანეს მასწავლებელთან, სკოლას რომ ვამთავრებდი, ხუთები მყავდა მათემატიკაში. რუსულში, ქიმიაში, ფიზიკაში მოვიკოჭლებდი ცოტა, ნიკო ჩიგოგიძე გვყავდა, რომელიც 1937-ში დააპატიმრეს. კარგი მასწავლებელი იყო. მეათე კლასში ფრიადოსნად დამამთევრებინეს სკოლა, მთელი კოლექტივი გვერდით მედგა. დათიკო პარკაძე გვასწავლიდა მათემატიკას, პეტრიაშვილზე ცხოვრობდა, მახსოვს, რომ შევედი მედინსტიტუტში, პლეხანოვზე[174] შემხვდა და შემეკითხა, სად შეხვედიო, რომ ვუთხარი, სამედიცინო ინსტიტუტში-მეთქი, ეჰ, დაკარგული ამაგი ხარო.

ჩემს თანაკლასელებს არ ჰყავდათ რეპრესირებული მშობლები, პარალელურ კლასში ერთი-ორს ჰყავდა დაპატიმრებული. რომ გავიგებდი, მეცოდებოდნენ. პოლიტიკურად საკმაოდ განვითარებული ვიყავი, მამაჩემი პოლიტიკოსი იყო. ვიცოდი, ამათ იმიტომ აპატიმრებდნენ, რომ სახელი გაეთქვათ. რა გააკეთა ლენინმა? გადამდგარი მეფე მთელი ოჯახით დახვრიტა. ახლა ლაპარაკია იმაზე, რომ გადავიყვანოთო პეტერბურგშიო... მიწაში არ უნდა ჩადო! ან სტალინმა რა გააკეთა, მთელი ქვეყანა დახვრიტა.

კომკავშირში სკოლაში შევედი, სკოლა ყველაფერში ხელს მიწყობდა.

და მყავს, მირცა. გლადიატორ სპარტაკს ყავდა და, იმას ერქვა მირცა, იმიტომ დაარქვეს მაგასაც. ის ჩემზე ერთი წლითაა უმცროსი, და ორი წელი კიდევ მოპარული აქვს. მირცა იყო ვალიკო დოლიძის, მსახიობის ცოლი, ბოლო ცოლი იყო. ერთი შვილი ჰყავს, ბიჭი – ნუგზარი, 1963 წელს არის დაბადებული, 6-7 წელია ლოგინად არის ჩავარდნილი. *გეპეი* აქვს დამთავრებული, გუშინ მაგისი უფროსი გოგოს დაბადების დღე იყო, წელს შევიდა უნივერსიტეტში, რძალი ინახავს ოჯახს, ჩემი და პენსიონერია, მართალია, ჩვენ შედარებით დიდი პენსია გვაქვს, მაგრამ 45 ლარი მაინც რა არის, რძალს თამრიკო ჰქვია, იმასაც *გეპეი* აქვს დამთავრებული.

173. ТК – Тбилисский комитет КП.

174. პლეხანოვი – ახლანდელი დავით აღმაშენებლის პრ. XIX საუკუნეში მიხეილის ქუჩა ეწოდებოდა.

სანამ მამას დაიჭერდნენ, არავითარი წინათგრძნობა არ გვქონდა. ჩვენ ისე ვიყავით მოწამლულები, მამას დასაჭერად რომ მოვიდნენ, მიჰყავდათ და, მამა დედაჩემს ვერ გამოემშვიდობა კოცნით, ჩემი და მირცა გადაკოცნა, მეც გადამკოცნა და მე არ ვაკოცე, შენც ტროცკისტი ყოფილხარ-მეთქი, გუნებაში გავივლე... მეორე სართულზე ვცხოვრობდით და ლოგინი მე ჩავიტანე, მამაჩემის ლოგინი, იქ, ციხეში წასაღები... ჰოდა, კიდევ კარგი, თითქოს გულმა მიგრძნო, მამაჩემს ვეღარ ვნახავ-მეთქი და უკვე ქუჩაში ვაკოცე. დასაჭერად სამი კაცი მოვიდა. ღამით დააბრახუნეს, ამოვიდნენ, ბავშვებს გვეძინა, დედამ გაგვაღვიძა, ვხედავ, დაპატიმრების ოქმს წერდა ერთ-ერთი, უხეშად არ იქცეოდნენ, გაგვჩხრიკეს. მე მქონდა იარაღი, 5 ნომერი, ჩემი სახელი ერქვა, თორემ მამასი იყო. მამაჩემს ჰქონდა ორი თოფი, ერთი გადაჭრილი „ვინტოვკა“ – „ტურეცკი კარაბინ“, თურმე, ვიღაც ყაჩაღს წაართვა და მეორე – სანადირო თოფი, ორლულიანი. ორი რევოლვერი ჰქონდა, პარაბელუმი – დიდი რევოლვერი, 12 ტყვია ჩადიოდა და 6 ტყვია რომ ჩადიოდა, „დამსკი ბრაუნინგი“. ბავშვი ვიყავი და მომწონდა, მამაჩემი რომ ამოიღებდა, მე ვათამაშებდი. ესენი წაიღეს, სხვა არაფერი წაუღიათ. ოქმი შეადგინეს. მამას ბევრი ამხანაგი იყო დაპატიმრებული და, ალბათ, მამაჩემს არ გაკვირვებია მაინცდამაინც... ლოდინით რა მოგახსენოთ, შეიძლება, არ ელოდა... სადღაც, გულის კუნჭულში ალბათ, ეგონა, რომ ისინი დამნაშავეები არან, დამნაშავე იყო თუ არა, თვითონ უკეთ იცოდა. აი, ეგრე წაიყვანეს, იმის შემდეგ აღარ გვინახავს. ბარგი აღწერეს. დაპატიმრებას მეზობელიც ესწრებოდა. 4 ბინიანი სახლი იყო კოპერატივის, და ამას რაღაც თანამდებობა ჰქონდა, სახლმმართველივით, გაგუა იყო დავით სტეპანიჩ, მაგათ გაგვიწიეს ძალიან დახმარება. ბებიაჩემი რომ წავიდოდა და რომ მოგვშივდებოდა, იქ შევდიოდით, როგორც ჩვენს ოჯახში და ვჭამდით ხოლმე. ეგ დაესწრო მამაჩემის დაპატიმრებას. ჩვენს ქვევით, ოთხდან ორი დააპატიმრეს, კალანდია ცხოვრობდა ზოსიმ გუდილეევიჩი, იმის დაპატიმრებასაც ის დაესწრო და დედაჩემის დაპატიმრებასაც. Он был возмущён, он был беспартийный, კომუნისტი არ იყო, სულ აგინებდა, ამისთანა რამეს აკეთებენო, ხალხს აპატიმრებენო, შვილებს უპატრონოდ ტოვებენო.

მამას ერთი იარაღი ჰქონდა სანადირო, იშვიათად დადიოდა სანადიროდ. სხვა საბრძოლო იარაღი იყო და სულ თან ატარებდა, სადმე რომ წავიდოდით ნათესავებში, სოფელში ან ბორჯომში, რევოლვერს იდებდა ხოლმე.

დაპატიმრებამდე ვცხოვრობდით ბორჯომის ქუჩაზე, 7ა ნომერში, სამოთახიანი ბინა იყო, ორი ოთახი წაიღეს, მერე

ამ ერთ ოთახზეც რამდენი გვებრძოლეს. მერე დედაც დააპატიმრეს და სულ წართმევა უნდოდათ და, აი, ის კვაჭაძე რომ გითხარით, ალექსანდრ ფომიჩ, *ტეკას* პირველი მდივანი, ის გვიცავდა ხოლმე და ბინა შევინარჩუნეთ. დედაჩემი რომ გათხოვდა, იმ კაცს, მამინაცვალს, ნახალოვკაში ჰქონდა ოროთახიანი თუ სამოთახიანი კერძო სახლი, ბაღით. უკვე რომ დაბერდა, მამაჩემზე უფროსი იყო ორი თუ სამი წლით, რომ აღარ შეეძლო მოვლა, გაყიდა ის და იქ ხომ არ შემოვიდოდა, უხერხული იყო და სულ გაგდება უნდოდა ჩვენი. მერე დედაჩემს მისცეს ბინა წერეთლის გამზირზე და იქ გადავიდნენ. ჩვენს ბინაში შევიდა რკინიგზაში პოლიტგანყოფილების გამგე ჩაგუნავა, გათახსირებული პიროვნება იყო. სამი შვილი ჰყავდა, ერთი ავადმყოფი. ის რომ გარდაიცვალა, შეეშინდათ ცოდვების და ქელეხში შეგვიყვანეს და ეს გადაიღე, ის გადაიღეო, გვეუბნებოდნენ. მერე გაუარათ ამ შიშმა. ქალიშვილი, ციალა, მუსიკის მასწავლებელი იყო, გასათხოვარი დარჩა. ბიჭი ჰყავდათ კიდევ, არაჩვეულებრივი ბიჭი იყო. ჩემი ბიჭი უკვე დიდი რომ იყო, კიდევ მანდ ვცხოვრობდით, ხანდახან, რომ მოვიდოდა ხოლმე ნასვამი ჩემი ბიჭი, ეს ადგებოდა, შეყვებოდა საჭირო ოთახში, პირს დააბანინებდა. ვახტანგი ერქვა, უფროსი იყო ჩემს ბიჭზე... იმდენი ვიტირე, ის რომ გარდაიცვალა. ჩვენს ბინაში ცხოვრობდნენ, მაგრამ ურთიერთობა ასეთი გვქონდა.

* * *

მამის დაჭერის შემდეგ დედა სამსახურიდან არ მოხსნეს, მაგრამ დააქვეითეს. მამასთან ციხეში ვერ დადიოდნენ, ეშინოდათ. ბებიაჩემი დედაჩემის დედა მგონი, ერთხელ იყო და უთხრეს, – გადასახლებულია შორეულ "ლაგერებშიო". ვიღაც გამოვიდა და მოყვა, აწამებდნენო და წამებაში მოკლესო, ფეხის თითებს აჭრიდნენო თუ რაღაც...

დედა რომ დაიჭირეს, იმ ერთ ოთახში ვიყავით, შუშაბანდში გამოდიოდა, აქ „შკაფი" გვედგა, კარადით გვქონდა გადატიხრული და ამასაც ოთახად ვხმარობდით. ზამთარში ფეჩი გვედგა. რომ დააბრახუნეს და რომ გავიგეთ ბიძია დათიკოს ხმა, მივხვდით, დედას დასაჭერად მოვიდნენ... ერთხელ კალანდიას დასაჭერად მოვიდნენ და ჯერ მამაჩემი დაიჭირეს, მერე მოვიდნენ და მაშინ გვეგონა, რომ დედაჩემის დასაჭერად იყვნენ და წაიყვანეს ზოსიმე კალანდია. ბებიაჩემი ჩვენთან ცხოვრობდა, ფიქრობდა, ბავშვები მარტო არ დარჩნენ, რომ დაიჭირონო. აი, ეგრე შემოვიდნენ. მახსოვს, დიდი სარკე გვქონდა, ყვითელი არაჩვეულებრივი ხისგან იყო გაკეთებული და ორი *„ტუმბოჩკა"* ჰქონდა აქეთ-იქეთ,

შუაში პატარა ფიცარი. დაშლილი გვქონდა, იმის ადგილი სად იყო, წიგნები შევტენეთ შიგ, ეს *„ტუმბოჩკები"* საწოლის ქვეშ გვქონდა შეტენილი და გამოგვატანინეს, წიგნები გაჩხრიკეს — ნახეს, რა წიგნები გვქონდა. დედა ჭკუას გვარიგებდა, ბაბოს დაუჯერეთ, მე მალე გამოვალო. აბა, რა იცოდა, როდის გამოვიდოდა. დედაჩემი რომ გამოვიდა, მე ინსტიტუტს ვამთავრებდი, ის მარტში გამოვიდა და მე ივლისში დავამთავრე, 8 წელი ჰქონდა მისჯილი.

სანამ პატარები ვიყავით, ბებია გვზრდიდა, მერე ჩვენ ვუვლიდით ჩვენ თავს. პაპაჩემი ძველი „მაშინისტი" იყო და პატარა პენსია ჰქონდა, ბებიაჩემს საერთოდ არ ჰქონდა პენსია, არ ჰქონდა ნამუშევარი. გორის თეატრში მსახიობობდა, გალუსტოვა იყო, მამა სომეხი ჰყავდა, დედა კი ქართველი. ბებიაჩემის დეიდა მახსოვს, ჩიხტიკოპიანი ქალი იყო, ძალო მაშო. ამ პენსიაზე ვცხოვრობდით და ვყიდდით ქონებას, რაც მშობლებისგან დაგვრჩა. პიანინო გავყიდეთ. არც პაპა და არც ბაბო არ მუშაობდნენ. მამის დედა მამასაც არ ახსოვდა, მამაჩემს აქვს რძლის ძუძუ ნაწოვი, მისი ძმა, კოლა, 18-19 წლით უფროსი იყო. ხუთი ძმანი იყვნენ და ერთი და. მე მოვესწარი ორ ბიძას. ერთი ბიძა კახეთში მოკლეს პოლიტიკურზე. სახლიდან დაასაფლავეს, ძია ილიკოს ვეძახდით, ძალიან მიყვარდა, ძალიან ტკბილი და გემრიელი კაცი იყო. მეორე ბიძა — ძია კოლა, მერე იმერეთში ცხოვრობდა. მამის დაჭერის შემდეგ კოლა ბიძია არ მოდიოდა. ბებიას ერქვა ვარია, ვარინკა, გარდაიცვალა 1952 წელს, მე უკვე დიდი ვიყავი, 1946 წელში დავამთავრე. პაპას სტეფანე ერქვა, პაპას ჰქონდა ორი გვარი — ნასყიდაშვილი და ხუციშვილი. დედაჩემის ძმა ალექსანდრ სტეპანიჩ ხუციშვილი იყო, და დედაჩემი — ნასყიდაშვილი.

მეზობელს უნდოდა ჩვენი ჩაბარება ბავშვთა სახლში, მაგრამ ბებია გვადგა თავზე და ისევ ის კვაჭაძე, ჯერ რაიკომის მდივანი იყო, მერე გახდა ქალაქკომის მდივანი, იმანაც რომ ნახა, სწორ გზაზე ვიდექი... თანაც, და-ძმას ერთ ოჯახში არ იყვანდნენ, ერთმანეთს აშორებდნენ, ეს არის სტალინის და ბერიას დამსახურება.

ბორჯომის ქუჩიდან ოთხი ოჯახიდან ორი დაიჭირეს და სადგურის[175] ქუჩის სახლის 4 ოჯახიდანაც ორი დაიჭირეს. დათიკო ფანცულაია, გორის რაიკომის მდივანი იყო, მან დაიწყო სტალინის სახლის მშენებლობა და მეორე — პარმენ საბაშვილი. წესიერი ხალხი იყო, მაშინ კომუნისტები წესიერები იყვნენ, მერე გამამაძაღლდნენ. ფეხბურთელი ჯეჯელავები — გაიოზი, სპარტაკი და პიტუნი, მათი მამაც მამაჩემის მეგობარი იყო; ჩხენკელი, ბორჯომის 7-ში ცხოვ-

175. სადგურის ქ. — ამჟამად — თამარ მეფის პროსპექტი. სადგურის ქ. სახელწოდებას ატარებდა 1935 წლამდე; შემდეგ — ჩელიუსკინელების ქუჩად იწოდებოდა.

რობდნენ; უსტიაშვილები, მამა რომ დაუჭირეს, დედინაცვ-ლის ხელში დარჩნენ, წესიერი ბავშვები იყვნენ, მაგრამ დედინაცვალმა აღარ მიაქცია ყურადღება და ბიჭი ქურდი გახდა, გოგო კი მეძავი. ჰოდა, შევხედე და, ყველა თუ ტროცკისტები იყვნენ, მაშინ რითი არსებობდა ეს კომუნის-ტური პარტია, სტალინის ამბავი იყო ძირითადად, ბერია გამოიყენა.

მე სახლი მაქვს კავთისხევში, ყიდვა რომ დავაპირე, ჩემი მეუღლე იძახდა, რად გინდაო, ვუთხარი: რა გინდა, ამ ქალაქში, 152 მანეთს მე ვიღებდი პენსიას, 264 მანეთს – ჩემი მეუღლე, ხილი გვექნება, ჰაერზე ვიქნები, ორი ოთახი გვქონდა, აი ესეთი სახლი იყო. გვერდით ამოშენებული მარნით. მე უკეთესად გადავაკეთე და ორად გავყავი სახლი, სამზარეულო, აბაზანა და ორივე შვილს მივეცი, გავიყვანე ცენტრალური გათბობა და ყოველ წელს ჩადიან და იყენებენ სოფელს.

დედა რომ დაიჭირეს, გვითხრეს, გადაასახლეს აკმოლინ-სკშიო... ჩვენი მეზობლის გაგუას ცოლი საბავშვო ბაღის გამგე იყო და დედაჩემმა მისწერა ოფიციალური წერილი, *„Любовь Димитровне Гагуа, прошу сообщить судьбу моих детей,“* შენობით იყვნენ, მაგრამ თქვენობით წერდა, რომ ოფიციალური სახე ჰქონოდა. შეგვატყობინა, რომ ცოცხალია, წერილის მოწერის უფლება ჯერ კიდევ არ ჰქონდა და ეს წერილი მისწერა დეიდა ლუბას და დეიდა ლუბამ გაგვაფრთხილა, არავის არ უთხრათო. მიწერ-მოწერა 2 წლის შემდეგ დავიწყეთ, ჭკვიანად იყავით, ბაბოს დაუ-ჯერეთო, გვწერდა. დედამ იქ ისწავლა რძის პროდუქტების დამზადების ტექნოლოგია და იქ მუშაობდა, რომ ჩამოვიდა მერე აქ მუშაობდა ამ სპეციალობით. ჩვენს ამბებს ვწერდით, იმდენი ჭკუაც არ გვქონდა, რომ დაწვრილებით გვეკითხა მისი ამბები.

ომის დროს, 42 წელს მოვეწყე ინსტიტუტში, *„ფე-ვრალსკი ნაბორ“* ერქვა, სამედიცინო კადრების ნაკლებობა აღმოჩნდა, გამოაცხადეს მიღება და მაშინ მოვხვდი ინსტი-ტუტში. ომის დროს ყველას უჭირდა. მერე ბაბო და პაპა წავიდნენ თავის სახლში და მე და ჩემი და ვცხოვრობდით მარტო და მოწაფეებით ვირჩენდით თავს, ქიმიაში, ფიზიკაში ვამეცადინებდით.

დედამ მოგვწერა წერილი, მე ჩამოვალ 1946 წლის გაზაფხულზეო, ერთი წლით ადრე მოგვწერა. დიდი ხანია მიწერ-მოწერა აღარ გვქონდა და დედაჩემმა არ იცოდა, ისევ იმ სახლში ვცხოვრობდით თუ არა. ის იცოდა, რომ

ჩაგუნავა სულ გაგდებას გვიპირებდა. მე სახლში არ ვიყავი, დედა რომ ჩამოვიდა, მივიდა ძველ სახლში, არა, გამოგზავნა ვიღაც ქალი, ამ ქალმა ვერ დაადგინა ვერაფერი, მაგრამ ჩვენ გავიგეთ, იმ ქალს უთქვამს, რომ სადგურში, კახეთისკენ რომ მიდიოდა მატარებლები, იმ მხარეს არიანო. მე და ჩემი და წასვლას ვაპირებდით და ამ დროს მოვიდა დედა. შეხვედრა იყო ტირილით და ხვევნებით, დედა ძალიან შეცვლილი არ იყო. რომ ჩამოვიდა, მე უკვე ცოლთან ვიყავი გადასული, ბავშვიც მყავდა და მალე მეორეც მეყოლა, ჩემი და გვიან გათხოვდა ვალიკო დოლიძეზე. დედა მალე წავიდა კახეთში სამუშაოდ და საცხოვრებლად, კახეთში იყო სანამ გათხოვდებოდა, და რომ გათხოვდა, უფლება მისცეს ჩამოსულიყო. ცხოვრობდნენ ნახალოვკაში იმ კაცთან.

დედა რომ ჩამოვიდა და დავინახეთ, შეგრძნების უნარი დავკარგეთ, 14 წლის ვიყავი რომ წაიყვანეს და რომ ჩამოვიდა – 22-ს, 8 წელიწადი არ გვენახა. ყვებოდა, რომ იქ მუშაობდა რომელიღაც ქარხანაში, შეისწავლა სპეციალობა და კმაყოფილი იყო, რომ გამოადგა.

სტალინს მე კი ვლანძღავდი, მაგრამ დედისგან არ გამიგია. რეაბილიტაციზე სიარული ჩვენ არ მოგვიწია, თვითონ გაუკეთეს რეაბილიტაცია. ჯერ მივიღეთ კგბ-დან და მერე მივიღეთ უზენაესი სასამართლოდან, რომ რეაბილიტირებული იყო მამა. მესამე მივიღეთ რაიონის სასამართლოდან, სადაც რეაბილიტაცია არ არის ნახსენები, იმიტომ, რომ ჩვენი უფლებები არ გამოგვეყენებინა. ის, ვინც ცხოვრობდა სახელმწიფო ნაქირავებ ბინებში, იმას სახელმწიფო მისცემდა ჩვეულებრივ, როგორც უბინაოს, მაგრამ ჩვენგან წაიღეს კოპერატიული, კერძო ბინები და უნდა დაებრუნებინათ. გარდა ამისა, წაიღეს მამაჩვენების შეტანილი ფული 9 თუ 12 ათასი მანეთი იმ დროინდელი ფულის, იქ წერია, რომ უნდა მოგვცენ ეს ფულიც და ბინაც. ბინა გვაქვს, მაგრამ რაც მეკუთვნის, მომცენ, ის ფული, რომელიც წაიღეს, როგორ უნდა დააბრუნონ? იმედი დავკარგეთ და ბინაზე შეტანილიც დავკარგეთ, ამის უფლება არა ჰქონდათ.

სანამ დავამთავრებდი ინსტიტუტს, გავიგე, რომ სამედიცინო ინსტიტუტის მე-3 კურსის სტუდენტს უფლება აქვს ფერდშლად იმუშაოს და 1945 წელს მოვეწყე რკინიგზის საავადმყოფოში, პროფესორ ანდღულაძის კლინიკაში, ვმუშაობდი 1946 წლამდე. მერე დავამთავრე ინსტიტუტი, გამაგზავნეს რუსეთში, რაიონული საავადმყოფოს მთავარ ექიმად ვმუშაობდი, გროზნოს ოლქში. რუსეთს დაუძვრები კლანჭებიდან? ჩვენ როგორ გამოვძვერით, მიკვირს... ახლა ამერიკა გვიდგას მხარში და ევროკავშირი, ველარ გაბედავს.

იქიდან სამ წელიწადში ჩამოვედი, გინეკოლოგად ვმუშაობდი. აქ თერაპიულში ვმუშაობდი, ვიცოდი, რომ უნდა წავსულიყავი სამუშაოდ და ყველაზე მეტად გინეკოლოგიის მეშინოდა. წამლებს რომ დავურიგებდი ავადმყოფებს, სიცხეს გავუზომავდი, ავდიოდი გინეკოლოგიური კლინიკის განყოფილების გამგესთან და იქ ვმუშაობდი. ჩემი ალალი ბიძაშვილი, ბიძია ილიკოს შვილი მუშაობდა ქალების განყოფილებაში, მე კაცების განყოფილებაში და დავუბარებდი ხოლმე, მაროს უთხარით, მივდივარ გინეკოლოგიაში-მეთქი. აბორტს მაკეთებიებდა, მშობიარობას ვესწრებოდი. არ დამავიწყდება, გროზნოში მოვიდა ჩემთან ავადმყოფი, რომ გავსინჯე, დავასკვენი, საშოს გარე ორსულობა ჰქონდა, გროზნოში რომ ჩავიდა, იქაც იგივე დიაგნოზი დაუსვეს. მეორე შემთხვევის შემდეგ, ჩამოვიდნენ გასაცნობად, მოსკოვცკაია იყო გვარად.

ფეხბურთის გუნდის კაპიტანიც ვიყავი. სომხების გუნდს ვეთამაშებოდით და ძალიან უხეშობდნენ, მეც არ დავაკელი, მერე უკითხავთ, ვინ არისო და საავადმყოფოს მთავარი ექიმიაო, მეორე შეხვედრაზე სულ ბოდიშობით მეთამაშებოდნენ.

აქ დავიწყე მუშაობა სანიტარია-ჰიგიენის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, ჩემი მეზობელი იყო პროფესორი კაციტაძე ვასილ ფედორომვიჩი, პირველ სართულზე ცხოვრობდნენ იმ ძველ სახლში. ცოლი რომ გარდაეცვალა, მივედი მისასამძიმრებლად და მეორე დღეს რომ მივედი, მითხრა, გმირი ყოფილხარ, რომ ამდენ გაჭირვებას როგორ გაუძელიო. გინეკოლოგიაში ვერ მოეწყობოდი, ფული უნდოდა და მუშაობდა სანიტარიისა და ჰიგიენის კვების განყოფილების გამგედ, იქ დავიწყე მუშაობა. ორ წელიწადში რაღაც უსიამოვნება მოხდა და გამათავსუფლეს და გადამიყვანეს რესპუბლიკურ სანეპბით სადგურში. იქ დირექტორის მოადგილე იყო პროფესორი ხმალაძე, რუსული კარგად ვიცოდი, ხმალაძემ ჩამავლო ხელი და დახელოვნების ინსტიტუტის კათედრაზე დავიწყე ასისტენტად მუშაობა, კონკურსში გავედი, ოთხი წელი იქ ვიმუშავე, მერე ხმალაძემ გადამიყვანა ისევ სანიტარიისა და ჰიგიენის ინსტიტუტში უფრ. მეცნ. მუშაკად. მერე იქ გავაკეთე დისერტაცია, დავიცავი, შეთავსებით დავიწყე მუშაობა პასტერის კუთხეში სასადილოში დიეტოლოგად. მოსკოვის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტიდან ექიმები ჩამოვიდნენ და აქ ჩაატარეს სამთვიანი კურსები. შევედი ამ კურსებზე და დავამთავრე, მერე გადავედი რესპუბლიკურში. შეთავსებით ვმუშაობდი პროფესორ გურამ კაციტაძესთან და პროფესორ რეზო ხაზარაძესთან.

შიშის გრძნობა, რომ დამიჭერდნენ, რუსეთში მქონდა, აქ არ მქონია.

**მეუღლე — ქავჟარაძე-თაქთაქიშვილი კლარა მიხეილის ასული.** მამა ინჟინერი ჰყავდა, დედა — საბავშვო ბაღის მასწავლებელი, მამა დაუჭირეს 1936 წელს და 1938-ში დახვრიტეს, ის, რატომღაც ცოტა დიდხანს აცოცხლეს, მამა-ჩემი ერთი თვეც არ აცოცხლეს, ატს-ის დირექტორი იყო. გაგუას ცოლთან ერთად მუშაობდა დედა საბავშვო ბაღში.

შვილები: უფროსი – დიმიტრი სპარტაკის ძე თაქთაქიშვილი 1943 წელს დაიბადა, მშენებელი, *გპი* აქვს დამთავრებული, ინსტიტუტში მუშაობდა, დისერტაცია დაიცვა, ცოლ – შვილი ჰყავს. ერთი შვილი მოუკლეს. ზვიადი[176] გადაგდებული იყო, მისი მომხრე იყო და იმ მიტინგზე ესროლეს[177] და მოკლეს. მეორე ბიჭიც ჰყავს, 30 წლის, 1975-შია დაბადებული, გიორგი ჰქვია, ამან იურიდიული დაამთავრა, მაგას მეორე პაპა იურისტი ყავდა და იმის კვალზე წავიდა. ჩემი მეორე შვილი, მიხეილი აქ ცხოვრობს, ფიზიკოსია, ორი გოგო ჰყავს, ქეთი და ნანა, ნანას ჰყავს ქალიშვილი. შვილებს ხშირად ვუყვებოდი ჩემს მშობლებზე. „პერესტროიკის“ დროს იმედი მქონდა, რომ დემოკრატიზაციისკენ მიდიოდა საქმე, მაგრამ რუსეთის დემოკრატიის არ მჯერა.

დედის ჩამოსვლის შედეგ გავიგეთ, მამა რომ დახვრიტეს. დედამ თქვა – ეგენი ყველა დახვრეტილები არიანო, იქ გაიგო. კგბ-ს რეაბილიტაციაში წერია *«Он реабилитирован после расстрела»*.

176. ზვიად გამსახურდია (1939-1994) – საქართველოს პირველი პრეზიდენტი (14.09.1991-6.01.1992).

177. სავარაუდოდ იგულისხმება 2.2.1992.



1.რეაბილიტაციის ცნობა

КАРСАНИДЗЕ Александра Гавриловна, род. в 1910 г., г. Кисловодск, грузинка.

Приговорена 24.06.1938 ОСО при НКВД СССР как ЧСИР к 8 годам ИТЛ.

Прибыла в Акмолинское ЛО 22.09.1938 из тюрьмы г. Тбилиси. В АЛЖИРе находилась до 05.07.1939.

Освобождена из Карлага 07.04.1946.

## გენრიხ კარსანიძე

დედა ალექსანდრა (შურა) ბატიაშვილი-კარსანიძე

მამა სერგო კარსანიძე

გვარი კარსანიძე

სხვა გვარები

სახელი გენრიხ

მამის სახელი სერგო

დაბადების წელი და ადგილი ბათუმი, 1929წ.

ინფორმანტის ასაკი მშობლების დაპატიმრების მომენტში:

მამა 8 წლის

დედა 8 წლის

მშობლების დაპატიმრების შემდეგ ინფორმანტი ცხოვრობდა

ცხოვრობდა ნათესავებთან ბებიასთან თელავში

განათლება

უმაღლესი სპი არქიტექტურის ფაკულტეტი

(სახელწოდება სწავლის დრო)

პროფესია არქიტექტორი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა საქ.ქალქ.მშენი, საქ.პროექტი, თბილ. ზნიეპი (ზონალური საპროექტო ინსტიტუტი), კეთილმოწყობის სამმართველო. დღეს – არქიტექტურული ფირმა "კარსანი"

გაერთიანება ახალგაზრდულ ორგანიზაციებში კომკავშირელი

(წელი და ადგილი)

გათავისუფლების შემდეგ დედა ცხოვრობდა

ქალიშვილის, ვაჟის ოჯახში შვილთან ერთად

ოჯახური მდგომარეობა მეუღლე მაგდა ჩხუბიანიშვილი 1931წ, ს.პ.ი. ქიმიკოსი, კანდიდატი

შვილები რაოდენობა 2 ვაჟი. სერგი გარდაიცვალა 2002წ. , გიორგი უკრაინაში მუშაობს.

განათლება უმაღლესი

ოჯახური მდგომარეობა სერგის 3 შვილი–2 ბიჭი და 1 გოგო, მეუღლე მაია აბესაძე ცხოვრობენ მოსკოვში. იორგის ერთი გოგო, მეუღლე ნონა ზარამიშვილი.

დედა

გვარი კარსანიძე

სხვა გვარები ბატიაშვილი

სახელი ალექსანდრა (შურა)

მამის სახელი გაბრიელი

დაბადების წელი და ადგილი 1909 ქ. კისლოვოდსკი

განათლება არასრული უმაღლესი, სუბტროპიკული აკადემია მოსკოვში

სამუშაო ადგილი, თანამდებობა საქ. სოფ.ენერგო მდივანი

დაპატიმრების თარიღი

განაჩენი Приговорена 24.06.1938 ОСО при НКВД СССР как ЧСИР к 8 годам ИТЛ. Прибыла в Акмолинское ЛО 22.09.1938 из тюрьмы г.Тбилиси. В АЛЖИРе находилась до 05.07 1939. Освобождена из Карлага 07.04.1946

რეაბილიტაცია 1956

გარდაცვალების თარიღი 1999 წელს, 90 წლის

მამა

გვარი კარსანიძე

სახელი სერგო

მამის სახელი დიმიტრი

დაბადების წელი და. ადგილი 1905 სოფ. მათხოჯი ხონის რაიონი

განათლება საშუალო წითელი პროფესორი, მოსკოვის პარტიული აკადემია

სამუშაო ადგილი, თანამდებობა კომკავშირის ინსტრუქტორი დუშეთში, აჭარაში რაიოლქის კომიტეტის მდივანი, თელავის რაიკომის მდი- ვანი 1932 წ დან.

დაპატიმრების თარიღი 1937წ 7 დეკემბერი

განაჩენი სამშობლოს მოღალატე

დახვრეტის თარიღი 1937წ 11 დეკემბერი

რეაბილიტაცია 1956წ.

ბებია იყო კონდორიდან, პაპაჩემი კიდევ წიანიდან, შეირთეს ერთმანეთი. პაპა ღვინის მწარმოებელი იყო და კისლავოდსკში ცხოვრობდნენ. დედაჩემი იქ კისლავოდსკში დაიბადა, დედაჩემს კიდევ ძმა ჰყავდა. პაპაჩემი, საკმაოდ განათლებული კაცი იყო, ურთიერთობა ჰქონდა ღვინის მწარმოებლებთან, თვითონ ამზადებდა ღვინოს და აგზავნიდა და პარიზის გამოფენაზე მიიღო „გრანპრი." არის „გრან პრი" და არის „გრანპრი ოქროთი", ამას აღებული აქვს ეს დიდი პრიზი, სარაჯიშვილსაც კი არ ჰქონდა, იმას აღებული ჰქონდა „გრან პრი" ოქროს გარეშე. შემდეგ 1914 წლის ომი რომ დაიწყო, ვეღარ მოახერხა ამ ჯილდოს მიღება, ასი ოქროს მანეთი უნდა მიეღო. (ცოლი ყვება) სხვათა შორის, აქ წავედი იმასთან, მეღვინე რომ არის პარლამენტარი – ტყემალაძესთან, გაგიჟდა რომ ნახა ე. ი. საქართველოში არავის არა აქვს მიღებული „გრანპრი" ოქროს მედლითო. ასლი ვერ იპოვა. ეტყობა, არაფერი არ არის, კატალოგშიც შესულა, მსოფლიო კატალოგში. ჩვენ თანხა არ გვინდა, ამაზე ვექილი უნდა იქირავო, წაგყვესწამოგყვეს და ჩვენ მაგის თავი არა გვაქვს.

პაპაჩემი ომის დროს, 1914 წელს გარდაიცვალა და ბებიაჩემი ორი შვილით დარჩა. ძალიან მდიდარი ქალი იყო, ბრილიანტებით ასხმული. იქიდან რომ მოდიოდნენ, კისლავოდსკიდან, მატარებელში გაძარცვეს. 17 წელს რევოლუცია რომ მოხდა, შევიდნენ მძარცველები, გადასვეს და რაც ტანზე ჰქონდა ასხმული, იმით ჩამოვიდნენ და იმით ცხოვრობდნენ დიდხანს. მატარებელში ვიღაც ნათესავმა მოპარა დიდი თანხა ძალიან და გაიქცა, მერე მოკლეს ეს კაცი. ჩამოვიდნენ ესენი და თელავში დაიწყეს ცხოვრება, ნათესაობა მანდ ჰყავდა ბებიაჩემს. მერე დედაჩემი 19 წლისა გათხოვდა. მამაჩემი წარმოშობით იმერეთიდან იყო, სოფელ მათხოჯიდან, გლეხის შვილი იყო, დაახლოებით ცხრა სული იყვნენ, სიღარიბეში და სიღატაკეში იზრდებოდნენ, მაგრამ მამაჩემზე ამბობდა დედა, ძალიან ნიჭიერი კაცი იყოო. პარტიულ ცხოვრებაში ჩაებნენ მამაჩემიც და დედაჩემიც, კომუნისტურ მოძრაობაში, აქტივისტები იყვნენ, ძალიან სწამდათ ეს ამბავი. მამაჩემი დააწინაურეს, კარგი ორატორი ყოფილა, კარგი გამოსვლები ჰქონია. ჯერ დუშეთში კომკავშირის წარმომადგენელი იყო, მერე იქიდან გააგზავნეს აჭარაში, კომკავშირის მდივანი იყო, კარგად იცნობდა ბერიას. არსებობდა ასეთი მოსაზრება, რომ აჭარაში ქალებს გაეხადათ ჩადრი, ამ საკითხის ირგვლივ რამდენიმე მოსაზრება არსებობდა და მამაჩემმაც დაწერა თავისი მოსაზრება, როგორ უნდა მომხდარიყო ეს უმტ-

კივნეულლოდ და ყოველგვარი წინააღმდეგობისა და სისხლისღვრის გარეშე, ბერიას წაუკითხავს და მოსწონებია. ბათუმში ცხოვრობდნენ მაშინ, მეც ბათუმში დავიბადე 1929 წელს, დედაჩემი ყვებოდა ხოლმე, — პატიოსნები, ნაღდი კომუნისტები იყვნენო, სიღარიბეში ცხოვრობდნენ, არ შეეძლოთ დიდი ფული ჰქონოდათ. მერე მამაჩემი გააგზავნეს, როგორც წამყვანი პარტიული მუშაკი, წითელ პროფესურაში, მოსკოვში. იქ ორი-სამი წელი უნდა ყოფილიყვნენ, კადრები არ ჰყავდათ. მამაჩემი ბოლო კურსზე იყო, რომ დაემთავრებინა, მერე უცხოეთში გააგზავნიდნენ კარგ თანამდებობაზე, მაგრამ ბერიამ აღარ გააჩერა, ჩამოიყვანა აქ და დანიშნა თელავის რაიკომის მდივნად. 27 წლის კაცი იყო თელავის რაიკომის მდივანი. დედაჩემი სწავლობდა მოსკოვში რომელიღაც სასწავლებელში თუ ინსტიტუტში, დედაჩემი ორსულად იყო და წამოვიდა მაშინ თელავის რაიონში სამი რაიონი შედიოდა, მამაჩემი დადიოდა მთათუშეთში ცხენით, ყველას უყვარდა. პატიოსანი კაცი იყო და ემსახურებოდა ამ წყობას, სულ ცხენით დადიოდა. მის პატიოსნებაზე ერთ დეტალს მოგიყვებით: თელავში არ გვქონდა ბინა და მამაჩემი ცხოვრობდა რომელიღაც ნაქირავებ ბინაში, ეზოც ჰქონდა. დედაჩემმა ბატი იყიდა ბაზარში და ამ ბატს უვლიდა და ერთობოდა, აჭმევდა. ჰოდა, მამაჩემს უთქვამს, — ეს კერძო საკუთრებააო და არ შეიძლებაო, დაკალი ან ვინმეს აჩუქეო. როცა მამა დაიჭირეს, შემოვიდა *ენკავედეს* ხალხი და არაფერი არ ჰქონდათ საკუთარი, ფანჯარაში ეკიდა ტანსაცმელი, დედაჩემს ჰქონდა ერთი კაბა და მამაჩემს — ერთი კოსტუმი, რომელიც ეცვა და ერთი სახლის, გაუკვირდათ, არაფერი არა აქვთო, ერთი ვინჩესტერის თოფი ჰქონდა, ვიღაცამ აჩუქა. აი, ასეთი პატიოსანი კაცი იყო, დღე და ღამე გადაკლული ამ კომუნისტურ წყობის იდეალებზე, სტადიონი ააგო, ფიზიკურად მუშაობდა, დააჯილდოვეს ცხენით, პირადად ცეკამ აჩუქა, მამამ ეს ცხენიც არ დაიტოვა და თელავთან ერთ-ერთი სოფლის კოლმეურნეობის თავჯდომარეს აჩუქა. მარტო წიგნები ჰქონდათ. თუ რამე ნივთი მედგა მე, ისიც ბებიაჩემის გამოყოლილი იყო, კაკლის მაგიდა გვქონდა და სხვა ასეთი. მოსკოვში რომ იყო მამა, იქ ახალგაზრდა კომუნისტების წრე იყო, სადაც ლიდერი იყო გობეჩია, მერე ეს წრე გადაუდგა ბერიას ხაზს, და ამიტომ წავიდა ამ ხალხის დაჭერა 37-ში, მამა გამოიძახეს თელავიდან თბილისში პარტიულ კრებაზე და იქვე დაიჭირეს, იქიდან არ დაბრუნებულა და ერთ კვირაში დახვრიტეს. დედაჩემი დადიოდა და პერედაჩებს უგზავნიდა, თუ პერედაჩებს ღე-

ბულობდნენ ე. ი. ცოცხალი იყო, და ასე გრძელდებოდა კაი ხანი, ცოცხალი გვეგონა, მამაჩემი დაიჭირეს 7 დეკემბერს და 11-ში დახვრიტეს.

დედაჩემი რვა თვეში დაიჭირეს. მომღერალი რომ არის კვაშალი, მაგისი პაპა კვაშალი *ენკავედეს* უფროსი იყო, მამაჩემმა დააყენა გზაზე. კვაშალი გურიიდან იყო თელავში ჩამოსული და მილიციაში ცხენების მომვლელად მუშაობდა, პოლიციელიც კი არ იყო, ჰყავდა ცოლი და შვილი, მერე დააწინაურეს, გახდა მილიციელი და ხალხს ხვრეტდა, აქედან დააწინაურეს და წინ წავიდა. ჰოდა, ამ კვაშალმა იცოდა, რომ ჩემი ოჯახი პატიოსანი იყო. დედაჩემი ქუჩაში ვიღაც ქალს ელაპარაკებოდა, ახლოს ჩაუვლია ამ კვაშალს და უთქვამს დედაჩემისთვის: შურა წადი აქედან, თელავიდანო. იცოდა, რომ დაიჭერდნენ. დედაჩემმა ეს ვერ გაიგო და დაიჭირეს, მიუყენეს მოღალატის, ტროცკისტის ცოლის მუხლი და მიუსაჯეს 8 წლიანი ციხე. დედაჩემს უთქვამს, მე ქმარი ცოცხალი მყავს, დახვრეტილი რომ იყოს, მეტს მომცემდნენო. საკანში იყვნენ 18 თუ 20 ქალი, აქ თბილისში, მეც წამიყვანა ერთხელ ბებიაჩემმა, საშინელი რიგები იყო, 400-500 კაცი იყო რიგში და ღამის თევებით ხდებოდა ეს ყველაფერი. მიგვქონდა საჭმელი, რაც გვქონდა, ტანისამოსს არ ითხოვდა. მერე, როცა დედა გადაასახლეს, აღარ მიიღეს საჭმელი. დედაჩემი ყვებოდა, რომ "ტავარნი" ვაგონში შეყარეს და ისე წაიყვანეს, სამკუთხა წერილებს წერდნენ და ყრიდნენ. დიდი გაჭირვებით ჩავიდნენ ეს ქალები შუა აზიაში, აკმოლინსკში. იქ კოლონიის უფროსი, შედარებით გონებაგახსნილი კაცი იყო და ეს ცოლები სიხარულით და პატივით მიიღო, იცოდა, რომ წესიერი ხალხი იყო. იქ იყვნენ ქალები – "უგოლოვშჩინა", ყველა რჯულის ხალხი. იქ დასახლდნენ. მერე მივიღეთ წერილი, რომ გადასახლებულია აქა და აქ და მისჯილი აქვს ამდენი. ეს იყო 47 წელს. დედაჩემი ნოემბერში დაიჭირეს და დაჭერა მაისში გაუფორმეს იურიდიულად. დაახლოებით 8 წელიწადნახევარი გამოუვიდა, თბილისში 8-9 თვე იყო, და სულ ყოველთვის იმედი ჰქონდა, რომ მამაჩემი ცოცხალი იყო. მამაჩემი რომ გაამართლეს, მე გამომიძახეს და მაჩვენეს მამაჩემის დაკითხვის ოქმი. არავის არ დაადო ხელი, არავინ არ დაასახელა და დახვრიტეს.

მარტო რომ დავრჩი, ბებია მზრდიდა, ბებიას ჰქონდა 12 მანეთი. ომი იყო. საკმაოდ გონებაგახსნილი ბავშვი ვიყავი და ვიცოდი, ვისი შვილიც ვიყავი. ფეხბურთს ვთამაშობდი და კარგად ვსწავლობდი, პაპიროსსაც არ ვეწეოდი. მაშინ თელავში იყო საშინელი ბანდიტობა, ქურდობა და

საშინელება. ამ წრეში მოვხვდი, მაშინ 12 წლის ვიყავი, ერთხელ თელავის ბაღში ვიყავით და პოლიციამ აგვიყვანა, მე თვითონ არაფერი არ ჩამიდენია, რომ წაგვიყვანეს პოლიციაში, ერთი შოფერი კაცი იყო და მითხრა, – გენიკო, არა გრცხვენია, ამათთან რა გინდა, შენ კარსანიძის შვილი ხარო. იმის შემდეგ დავანებე მაგათ თავი და კარგად ვისწავლე, დავამთავრე სკოლა მედალზე. მიღებული ვიყავი თელავში. ცუდ წრეში ცოტა ხანი ვიყავი 5-6 თვე. თელავში ყველა მიცნობდა და ყველას უნდოდა ჩემთან ძმაკაცობა.

გაჭირვება გადამატანინეს ჩემმა მეგობრებმა, რომლებიც გვერდში მედგნენ. ახლა როგორი სიტუაციაა, ომის წლებია, თელავში ძალიან გაჭირვებაა, რითი უნდა იარსებო? ჩვენ რაც გვქონდა სახლში, დავიწყეთ გაყიდვა. თელავის ბაზარში გაჰქონდა ბებიას, მეც ვეხმარებოდი – ტანისამოსი, საკერავი მანქანა, რაც გვქონდა ნივთები, თანდათან ვყიდდით. ვფიქრობდი, ეს გვეყოფა 5-6 თვე, მერე რა უნდა ვქნათ-მეთქი... ბებიაჩემი რომ გადიოდა და ჰყიდდა, სხვებსა საქონელი მიჰქონდა, ჰყიდდა და იქიდანაც გვრჩებოდა კაპიკები, ასე გადავრჩით შიმშილს. შავ პურზე საშინელი რიგები იყო, ღამე უნდა გაგეთენებინა, რომ პური აგეღო, მე მეხუთე კლასში ვიყავი, საშინელი ზედახორა იყო ხოლმე, ისე, 240 მანეთი ღირდა. ეს ღამეები ხშირად მაქვს გათენებული, მაგრამ ეს ხელს არ მიშლიდა, კარგი სპორტსმენი გავმხდარიყავი და კარგად მესწავლა. თუ რამე იყო თელავში, მე მეძახდნენ, მაგრამ, სადღაც, გამოხედვაში ვგრძნობდი, ზეწოლას, რომ ტროცკისტის შვილი ვიყავი... ჩემი შრომით და ჩემი ნიჭით გავიტანე ცხოვრება. თელავის „დინამოში“ ვთამაშობდი და ყველა ხელის გულზე მატარებდა, წამყვანი ფეხბურთელი ვიყავი, დინამო ეკუთვნოდა *ენკავედეს*, *ემვედეს* და იმათთან ვიყავი. ერთხელ, ხუთი წლის წინ თელავში მივდივარ, და ვისთანაც ერთად ვთამაშობდი ფეხბურთს, წიკლაური იყო, ვძმაკაცობდით, მამამისი პოლიციაში მუშაობდა, რომ დამინახა მკითხა, – გენიკო როგორ ხარო, მაშინ დაჭერას გადაგარჩინეო, როგორ-მეთქი და იყო ლაპარაკი შენს დაჭერაზე, მე ისე გავაკეთე, რომ არ დაგიჭირესო. ისეთი ტენდენცია იყო მაშინ, რამე რომ მეთქვა ამ მთავრობის საწინააღმდეგო, დამიჭერდნენ. აი, მაგალითად, მიდიხარ და ჩვენი არმია უტევს კურსკს და ვიღაცამ გკითხა, ბიჭო აიღებენ თუ არა ჩვენები კურსკს, შენ რომ გეთქვა, არ ვიცი აიღებენ თუ არაო, ნამდვილად დაგიჭერდნენ, 9-10 წლიან მუხლს წაგიყენებდნენ ლაყბობისთვის, ე. ი. შენ

არ გვჯეროდა ამ მთავრობის. კიდევ რასაც ყვებიან, ის არ არის ისე საშინელი, სინამდვილეში უფრო საშინელება იყო. გენებში გვქონდა ჩადებული შიში. ვიცოდი, რომ მამაჩემის მეგობრების შვილები, მეექვსე-მეშვიდე კლასელი ბიჭები, დაჭერილები იყვნენ... მაინც მწამდა, რომ ეს წყობა კარგი იყო, სტალინიც მიყვარდა და ყველაფერი... დაენახათ,"ანტი" ვარ, გამაქრობდნენ, მაგრამ ეს არ იყო ასე. ზეწოლას ვგრძნობდი, რა მხრივ? მაგალითად, ერიდებოდნენ ოჯახები ჩემს დაპატიჟებას, სიტყვაზე, იყო ოჯახები, სადაც მიღებული ვიყავი და უხაროდათ ჩემი დანახვა. ერთხელ, ჩვენ ფეხბურთელები, მე-9 მე-10 კლასში ვართ, ძალიან მაგარი თამაშები გვაქვს მოგებული ქუთაისში და ხელის გულზე გვატარებენ, ჩემი მეგობარი იყო ერთი სუხიტაშვილი, ერთად ვთამაშობდით, რომელიც ახლოს იყო პოლიციასთან, ერთად სვამდნენ და ქეიფობდნენ. ერთხელ მეუბნება, 10-15 წლის შემდეგ, რომ იცი, ჩვენთან ჩამშვები იყოო, განსაკუთრებით შენზეო. ერთხელ, ეს სუხიტაშვილი ერთ-ერთ პოლიციელთან ოთახში ყოფილა, ამ დროს უთხრეს, რომ ვიღაცა მოვიდაო, პოლიციელმა უთხრა სუხიტაშვილს, – გადი მეორე ოთახში, ჩვენი აგენტი მოვიდა, არ მინდაო, რომ განახოსო. გავიდა და კარები დატოვა, რომ დაენახა, ვინ შემოდისო. მაშინ მე-8- მე-9 კლასში ვიყავით. ჩვენი სკოლელი ცოტნე მჭედლიშვილი შესულა და რაღაცას ელაპარაკებოდა – „დანოსი" გააკეთა. აი, ბავშვსაც კი აიძულებდნენ, რომ ეშპიონა. მე სხვა მეგობრები მყავდა და ამ ცოტნეს არ ვემეგობრებოდი, სულ მპატიჟებდა და რაღაცეებზე მესაუბრებოდა. ალალი ბიჭი ვიყავი, რომ წამომცდენოდა რამე ამ მთავრობაზე, ეგრევე გამაქრობდნენ. ეს ცოტნე ცუდად სწავლობდა, მაგრამ უმაღლესში მოხვდა, მერე გარიცხეს, მერე მიიღეს და ა. შ. აი ასეთი ხალხი ჰყავდათ გვერდში.

ბავშვობაში იმ წყობის მომხრე ვიყავი, მაგრამ მერე, ცოტა რომ გადავხედე გონების თვალით, ჩემში გაიღვიძა ქართულმა პატრიოტულმა სულმა და ვეღარ ვიტანდი ამათ, როცა იცი, ადამიანი განათლებულია და დესპოტია, იმას აპატიებ. მაგრამ როცა ადამიანი არის ბნელი განუვითარებელი, აი, მაგალითად ეს კვაშალი, განათლება არა ჰქონდა. ასეთი ხალხი იყო რაიკომის მდივნები და *ცეკას* მდივანი.

გაჭირვება გადამატანინა ბებიაჩემმა, ტანსაცმელს ვყიდდით და ამით გავძელით, *პაიოკი* იყო 400 გრამი, ჩემი მეგობრები, მამიდაჩემი, ბიძაჩემი, ნათესავები მეხმარებოდნენ, მამიდაჩემი და ბიძაჩემი თელავში არ იყვნენ,

მამაჩემის ძმა კათედრაზე მუშაობდა, კანდიდატი იყო, მამიდაჩემი კი მასწავლებელი იყო იმერეთში. ეგენი კი მეხმარებოდნენ, მაგრამ თელავში ვიზრდებოდი, ყოველდღიური ჭამა ხომ გვინდოდა? ბებიაჩემს ყველა პატივისცემით ეპყრობოდა, მაგრამ ამას ვერ გამოხატავდნენ, ეშინოდათ. დედაჩემი რომ ჩამოვიდა გადასახლებიდან, სანახავად ღამე, 11-12 საათზე მოდიოდნენ, ეშინოდათ. რომ გამოდიან ახლა და ლაპარაკობენ, ის წყობა ჯობდაო, საშინელი წყობა იყო, საშინელი. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მე იმ წყობამ არ შემიშალა ხელი დამემთავრებინა მედალზე, მოვწყობილიყავი უმაღლესში, სამსახურშიც სტალინი რომ დაიჭირეს, ისე აღარ ვგრძნობდი ზეწოლას. მე „ზნიეპში“[178] ვმუშაობდი, წამყვანი თანამშრომელი ვიყავი და იქ არიგებდნენ ლენინის ას წლისთავზე მედლებს. პირველი ჩემთვის უნდა მოეცათ, მე არ მომცეს, ალბათ, *კაგებედან* იყო ბრძანება.

დედაჩემი რომ დაბრუნდა, თელავში ელექტროფიკაციის კანტორაში მუშაობდა, იქ 55 მანეთი ჰქონდა, ბებიაჩემს ჰქონდა 12 მანეთი. თითქმის ვშიმშილობდი თბილისში, მამიდაჩემი და ბიძაჩემი კი მეხმარებოდნენ, მაგრამ ყოველდღიური ჭამა ძნელი იყო, მეგობრებსაც უჭირდათ, მაგრამ იუმორის გრძნობა მქონდა და ამან გადამარჩინა. ინსტიტუტი კარგად დავამთავრე 53 წელს, *გპი* დავამთავრე, არქიტექტურის ფაკულტეტი და გამანაწილეს სახ. პროექტში. ყოველ წელს იყო შემცირება და რომ შევემცირებინე, სად წავიდოდი. 1956 წელს მოგვივიდა მშობლების რეაბილიტაციის ქაღალდი. თელავში იყო რაიკომის მდივანი ვარდოშვილი, იმან დაგვიბარა და მითხრა, რა გინდა თბილისში რომ ხარ, საჭმელი არა გაქვს და სასმელიო, დედაშენი აქ არისო. იმან იცოდა ჩვენი ოჯახი და რამდენი გაქვსო ხელფასიო, მე მქონდა 65 თუ 68 მანეთი ჯამაგარი, ჩამოდი თელავში, პარტიაში შეგიყვანო, მაგრამ უარი ვუთხარი, არ მინდოდა პარტიული მუშაობა. მერე ბიჭებმა მითხრეს, ჩვენ ვნატრობთ, რომ კომკავშირის ინსტრუქტორებად აგვიყვანოსო და შენ უარს იძახიო. კომკავშირში შევედი, როცა მომიწია მაშინ, გაქანებული ომია, თელავში ელექტროენერგია იყო, სულ არ ითიშებოდა, გვიბარებენ კომკავშირის გასაუბრებაზე, რაიკომის წარმომადგენლები სხედან, გვაინტერესებს, რას ეკითხებიან, მე ვფიქრობ, როგორ უნდა ვუთხრა, რომ ტროცკისტის შვილი ვარ, ღმერთო, ჩაქრეს სინათლე მეთქი, არ დამინახონ სახეზე-მეთქი და, ჩაქრა სინათლე, შევედი იქა. „– ვინა ხარ კარსანიძე, მამაშენი

178. ТбилЗНИИЭП – Тбилисский Зональный Научно-Исследовательский и Проектный Институт Типового и экспериментального проектирования жилых и общественных Зданий.

ვინ არის? ყოფილი რაიკომის მდივანი. აა, ტროცკისტის შვილი ხარ? დედაშენი ვინ არის? – ესა და ეს. – სად არის? აკმოლინსკში.“ მოკლედ, მიმიღეს. მაშინ მივხვდი, რომ ღმერთი არსებობს. ვინატრე და ჩაქრა სინათლე, გამოვედი და აინთო.

თელავიდან 12 კილომეტრით მოშორებით არის ცივი მთა და იქ დავდიოდით თხილამურებზე, ფეხბურთით მთელ საქართველოში დავდიოდით. გაჭირვებისგან ფილტვები დამისუსტდა, წავედი, გამაშუქეს და აღმომაჩნდა კავერნის ნიშნები, უნდა დაწვეო, სირბილი არ შეიძლებაო, ოფლი არ შეიძლებაო. არადა, სპორტსმენი კაცი ვარ. ხელში ჩამივარდა იოგების წიგნი და დავიწყე იოგების ვარჯიში და ძალიან მიშველა, დღეში რამდენჯერმე ვვარჯიშობდი, მაისის თვეში წავედით შეჯიბრზე, მეორე კაცი ვიყავი ჯანმრთელობით, ხანდახან შემოდგომაზე მაძლევდა სიცხეს. მერე იმანაც გამიარა. მხოლოდ უნდა გწამდეს, როცა ვარჯიშობ, რომ განიკურნები.

ჩემი ცოლი ბავშვობიდან მიყვარდა, თელავში მოედანზე ხალხი დადიოდა, იქ ვნახე ჩემი მეუღლე, შევათვალიერე და მომეწონა, მართალია, ცოტა გვიან შევირთე, 32 წლის ვიყავი.

დედაჩემი რომ ჩამოვიდა, ამდენი რამე გადაიტანა და კიდევ ამ წყობას ქადაგებდა. ამ წყობას ჩემთვის არ შეუშლია ხელი. სამსახურში დავწინაურდი. სამმა კაცმა გავიყავით ორი პრემია, ეს დიდი წარმატება და გახარება იყო. მერე ვმუშაობდი „*თბილზნიეპში*“, წამყვანი სპეციალისტი ვიყავი, მაშინ შენდებოდა პანელური სახლები, მე მთხოვეს და გავაკეთე პროექტი, საცხოვრებელი სახლების სერია და ეს [ოთარ] თუხარელს მოეწონა, მოსკოვში დავიცავი და წარმატება ჰქონდა, ხარისხი მომცეს, წარადგინეს „ვდნხ“[179] გამოფენაზე, ვერცხლის მედალიც მომცეს. მოსკოვმა მოითხოვა საქართველოს დაჯილდოვება ვერცხლის მედლით და მეც მივიღე ვერცხლის მედალი. აეროპორტთან იყო ამ პანელების ქარხანა. ამ სერიაში იყო 1000 პროექტი, ძალიან დიდი, კოლოსალური სამუშაო იყო. აქაც შემთავაზეს პარტიაში შესვლა, მაგრამ არ მინდოდა, რაში სჭირდებოდა არქიტექტორს პარტია? ვინც კი მყავდა მეგობარი, ყველა პარტიული ხაზით მუშაობდა, შემოქმედებითი სამუშაო როცა გაქვს, ნაკლებად ცვდები, დღევანდლამდე სიამოვნებით ვმუშაობ, ჩემი ცოლი მეხმარება, შვილები, შვილიშვილები, ერთი შვილი გარდაგვეცვალა, პატარა ბიჭი ცოტას გვირევს, მაგრამ მაინც ჩვენი შვილია. შვილიშვილები გვყავს ბრწყინვალე და კარგები.

179. Выставка Достижений Народного Хозяйства СССР.

ძალიან ბევრი ობიექტი მაქვს აშენებული. მოლდავ-ეთიდან ვლადივასტოკამდე ერთი ზოლია სეისმომედეგო-ბის და ობიექტები იქ გვქონდა. ვმუშაობ კეთილმოწყობის სამართველოში, მეუბნებიან, ეს პროექტი უნდა გააკეთო, მერე მოვიდა მეორე, ესეც უნდა გააკეთოო, ბევრი უნდა იმუშავო, მაგრამ ფულს შენს გვარზე ვერ გამოვწერთ, შენ იმუშავეო, მაგრამ ფულს სხვაზე გამოვწერთო, ასე ვაკეთებდი 10 წელი. ციხეს გადავრჩი, ასეთი წყობა იყო, სახელმწიფოს კი არ ვპარავდი, ჩემი შრომის ანაზღაურე-ბის მიღება მიხდებოდა ასეთი სახლაფორთო გზით. როცა *„ზნიეპში“* ვმუშაობდი, ჩემთან მუშაობდა... მყავდა 6 კაციანი ჯგუფი, ამ ჯგუფში იყო გოგონა ვერა ზვიადაძე, ჰქონდა 120 მანეთი ჯამაგირი, არაჩვეულებრივად მშრომელი ქალი იყო, ღარიბი, ერთ კაბაში დადიოდა მთელი წელიწადი. მე მინდოდა ამას დავხმარებოდი. გვერდით გვყავდა ერთი კაცი, რომელიც პარტიული მუშაკი იყო და იღებდა 160 მანეთს და აკეთებდა ტიპიური პროექტების ყდებს. ერთხ-ელ მომცეს ფული და შენს ჯგუფს მოუმატეო ჯამაგირი, ყველას მოვუმატე და იმ ვალიკოს არ მოვუმატე, ის ათი მანეთი ვერას მოვუმატე. დამიბარეს და მითხრეს, ყველას თანაბრად უნდა მოუმატოო. ისე აშენებული მაქვს ბევრი, მახაჩკალაში მაქვს აშენებული ტურისტული ბაზა 400 ადგილზე, ერთი კიდევ გავაკეთე სოჩაში პანსიონატი 180 ადგილიანი, ეს მოსკოვში დავიცავი. როგორც უნიკალური კარგი შენობა, შეტანილია სოჩის ღირსეშანიშნაობებში, როცა დედაჩემს აჩვენეს ეს შენობა, იკითხა, ვინ არის არქიტექტორიო, და არ ვიცითო, მაშინ უთხრა — ეს ჩემი შვილის არისო.

ძალიან გვიჭირდა და დედაჩემი გათხოვდა ძალიან კარგ პიროვნებაზე, დედას აინტერესებდა ბუნებაში სიარული.. შატილშიც იყო ნამყოფი, ძალიან ინტერესი ჰქონდა ცხ-ოვრების. დედაჩემი ყვებოდა, რომ ზამთრობით მუშაობდა ტრაქტორებზე, ზაფხულობით კი პურს თესავდნენ და პური მოჰყავდათ, მადლობაც კი გადაუხადეს და შესთავაზეს დარჩენა, მაგრამ დედა არ დარჩა. ასევე, არც კეკელიას[180] დედა.

დედა და მამა ერთად სწავლობდნენ, მაგრამ ვერ დაამთა-ვრეს, როგორც ახლა არის „მიმო“[181], ასევე იყო სავაჭრო აკადემია, რომელსაც რომ დაამთავრებდი, უშვებედნენ ან ატაშედ, ან რამედ. მამაჩემს ჰქონდა შეხვედრა სტალ-ინთან. მამაჩემი რომ სწავლობდა იქ, მისცეს ასეთი ნა-ციონალური საკითხი. მოხდა ისე, რომ მამაჩემი წამოვიდა და ისვენებს ლიკანში, მამაჩემი გასულია ტყეში სადღაც

180. იგულისხმება ქეთევან ბერიძე-კეკელია — რევაზ და მიხეილ კეკელიების დედა.

181. МГИМО - Московский Государственный Институт Международных Отношений.

და თურმე გამოუცხადებიათ, რომ ჩამოდის სტალინიო და ყველა გაასახლეს. სტალინისთვის უთქვათ, ერთი კაცი დარჩაო და იმასაც გავასახლებთო, იყოს, იყოსო... ერთი 2-3 დღის განმავლობაში, მამა ერიდებოდა რომ არ შეხვედროდა, ერთხელაც ბაღის კუთხეში იყო გასული, თავის თემაზე მუშაობდა და ამ დრო გამოსულა სტალინი, უკითხავს, რას აკეთებო და ერთი ნახევარი საათი მელაპარაკაო. მერე მამამ სტალინის შენიშვნები გაითვალისწინა და როცა გაიტანა ეს თემა, მოწონება დაიმსახურა. მამაჩემი ნიჭიერი კაცი იყო, მაგრამ რახან გობეჩავას ჯგუფში იყო, ამიტომ დაისაჯა.

მყავდა ბიძაშვილები, გიორგი კარსანიძე და ოთარ კარსანიძეები, მამის ძმიშვილები. ოთარ კარსანიძე იყო უნიჭიერესი, ფილოსოფიურ საკითხებზე უკვე მერვე მეცხრე კლასში მსჯელობდა, ძალიან მაგარი იყო... გოგი კარსანიძე, მათემატიკოს-ფიზიკოსი, მუსხელიშვილი[182] აღმერთებდა. ჭლექით გარდაიცვალა ომის წლებში. არ უჭირდათ, მაგრამ დაჭლექდა და მოკვდა. უნიჭიერესი, იცოდა ფრანგული, ინგლისური, რუსული ბრწყინვალედ და კიდევ სწავლობდა პორტუგალიურს, ესპანურს და იტალიურს. 13 ენა იცოდა. ნათარგმნი აქვს შექსპირი, ინგლისურიდან, რომ აჩვენეს სპეციალისტს, გაგიჟდა, ჰქონდა ბრონი და გამოგონებები ჰქონდა ბევრი, ნებისმიერ საკითხში ყველაფერი იცოდა.

თელავში ვცხოვრობდი, მაგრამ ზაფხულს ვატარებდი იმერეთში, მათხოჯში და იქ ვხვდებოდი ბიძაშვილებს. მიხარია, რომ ჩვენს გვარში ასეთი ნიჭიერი ხალხი იყო. ჩვენი გვარი მოდის სოფელ კარსანიდან. თამაზ ჩხენკელი, მელორ სტურუა მაგათი მეგობრები იყვნენ. ოთარ კარსანიძის შვილიშვილი ჩემპიონია ჭადრაკში, 10 წლის ბიჭი.

ჩემს შვილიშვილსაც ანალიზის უნარი აქვს. *Ты – говорит - крокодил, и Гена крокодил, и ты тоже Гена – говорит.* ორწლინახევრისაა.

მრგვალ ბაღთან[183] რომ ბაგა-ბაღი იყო, სადაც ახლა გაეროა, ისიც ჩემი პროექტია.

182. ნიკოლოზ მუსხელიშვილი, მათემატიკოსი, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

183. მრგვალი ბაღი – წრიული კონფიგურაციის სკვერი ვაკეში, ვ. ბარნოვის, ირ. აბაშიძისა და რ. ერისთავის ქუჩების შესაყარზე.

* * *

დედა რომ ჩამოვიდა, მეათე კლასში ვიყავი. ვიცოდით, რომ მოდიოდა, ძალიან განვიცდიდი და ვღელავდი უცხო ადამიანთან როგორი შეხვედრა მექნებოდა, დედაც ღელავდა თურმე. მაგრამ შევხვდით კარგად, სახლიდან არ გავდიოდი, ვიყავით სახლში. თელავი პატარა ქალაქია და შეყვარებული რომ ვიყავი, გავდიოდი და ბიჭები ვიყავით და 11-12 საათზე მოვდიოდით სახლში. დედაჩემმა მითხრა,

ვნერვიულობო და ადრე მოდი სახლში და იმის შემდეგ, 10 საათზე სახლში ვიყავი. ისე, მე ძალიან ვუყვარდი. *ენკავედედან* არავინ აკითხავდა, თბილისში ცხოვრების უფლება არ ჰქონდა. საქართველოში 80 პროცენტი კგბეშნიკი იყო, ალბად, ვიღაც უთვალთვალებდა, მაგრამ ჩვენ არ შეგვიმჩნევია.

მართალია, სტალინმა ასეთი დანაშაული ჩაიდინა ხალხის წინაშე, მაგრამ გენიალური პიროვნება იყო.

მართალია შევარდნაძე ნიჭიერი კაცი იყო, მაგრამ განათლება აკლდა. ახლა სააკაშვილი ძალიან საყვარელი პიროვნებაა, შეიძლება, მე ვცდები, შეცდომები აქვს, მაგრამ უნდა რომ რაღაც გააკეთოს. მე მაგის გვერდში დავდგები ყოველთვის, ჩემი ერის გვერდით დავდგები.

მამინაცვალი იყო სოფლის მეურნეობის დოქტორი, ლომკაცი. ის ჩემი კლასის მეგობრის გურამ ლომკაცის მამა იყო, დედა რომ დაიჭირეს, მე მუსიკაზე დავდიოდი და მაგათ ჰქონდათ პიანინო და იქ ვმეცადინეობდი. მერე დავანებე თავი, ნიჭი არ მქონდა. მერე გურამს მოუკვდა დედა, დეიდა ელიკო და დამირეკა გურამმა, თუ შეიძლება დედაშენი და მამაჩემი შეუღლდნენო, მე წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ, მაინც გათხოვდა – შვილო, ასე ჯობიაო. კარგი კაცი იყო. არ მინდოდა კარსანიძე სხვაზე გათხოვილიყო. ძალიან დაძაბული ცხოვრება გვქონდა, ორი ბიჭი გვყავდა, ორივე ვმუშაობდით და რიგ-რიგობით ვიყავით შვილებთან, დედაჩემი რომ არ გათხოვილიყო, გაზრდიდა ჩვენს შვილებს, ჩამოაყალიბებდა. თბილისში გადმოვედი 47 წელს, ცოლი აქ შევირთე, ბიძაჩემმა მიყიდა ბინა, მერე აქ ავაშენეთ სახლი ვაჟა-ფშაველაზე მეორე კვარტალში, მერე გადმოვედით არქიტექტორების სახლში[184]. დედა ცხოვრობდა თავის ქმართან ერთად ვაკეში. ცოლშვილიანი არ ვიყავი, როცა დედა გათხოვდა, ურთიერთობა კარგი გვქონდა, მისვლა-მოსვლა, დედაჩემს ცხოვრება ხომ არ უნახავს, ლამაზი ქალი იყო და მან ცხოვრება აჩვენა და ხალხში გამოიყვანა. საინტერესო წრე იყო მაღალაშვილები და სხვა.

სტუდენტი ვარ, გაჭირვებული, ვცხოვრობ მთაწმინდაზე, ბიძაჩემმა სახლი მიყიდა და ამ დროს თბილისში მუშაობდნენ გერმანელი ტყვეები. მორიგეობით ადიოდნენ უბნებში და ხალხი აძლევდა, რაც ჰქონდათ. მე რა მქონდა, მარტო პური მქონდა ხოლმე და ყველი თუ მექნებოდა ხანდახან... ერთი გერმანელი ამოვიდა, სათვალეებიანი და გადახედა, ღარიბულად ვცხოვრობდი და არაფერი ისეთი არ მქონდა და რამე გაქვსო, გავაღე კარადა და ერთი პური

184. არქიტექტორების სახლი – იგულისხმება არქიტექტორთა კავშირის კოოპერატიული საცხოვრებელი სახლი საბურთალოზე ჩიქოვანის (ყოფილი ხილიანის ქ. №24ა).

მქონდა და ის პური მივეცი და ეს შეცბუნდა, არ ეგონა რომ მივცემდი.

ბავშვობიდან არ მჯეროდა, რომ მშობლები დამნაშავენი იყვნენ. მამაჩემს არაფერი არ ჰქონდა, ფანჯარაში ეკიდა ტანსაცმელი. არა, მაშინვე ვიცოდი, რომ მამაჩემი არ იყო დამნაშავე, გამორიცხული ამბავია, და არც დედაჩემი.

დედაჩემის წაყვანა ბუნდოვნად მახსოვს, მამაჩემის წაყვანა უფრო მახსოვს, მაშინ ბავშვი ვიყავი, რომ შემოვიდნენ, ღამე იყო, ტყავის კურტკიანები, ააქოთეს ყველაფერი, რაღაცას ეძებდნენ.

მამაჩემის დედმამიშვილები ოთხნი თუ ხუთნი იყვნენ, მე მოვესწარი მარტო ოთარ კარსანიძის მამას, დანარჩენები უკვე გარდაცვლილები იყვნენ. სამ მამიდას მოვესწარი — ფაცო, ლუბა და ნინუცა მამიდას. მამიდა ლუბა არ გათხოვდა და სულ ჩემზე ზრუნავდა. ცხოვრობდა თბილისში და ომი რომ დაიწყო, ძალიან უჭირდათ და გადავიდა მათხოჯში და იქ მასწავლებლობდა, ლამაზი და პირდაპირი ქალი იყო. მამაჩემის დედა და მამა სოფელში გლეხები იყვნენ, მაგრამ აზრს ეკითხებოდნენ. ბებიაჩემს ერქვა პარასკევა, ამდენი შვილები გაზარდეს. მათხოჯში მელაძეები ცხოვრობენ, ბარაბაძეები ცხოვრობენ და კარსანიძეები. ჩვენი გვარის ხალხია წასული ბათუმში. მამიდაშვილი ცხოვრობს ახლა სოფელში, მაგრამ ვერ ჩავსულვართ სამი წელია. ოთარ კარსანიძის სახლი ხისგან არის, ულურსმნოდ, ბუხრით, მაგრამ ახლა დაძველდა, ისეთი სახლია, რომ ტურისტები აჩერებენ ხოლმე სანახავად.













1. პარიზის ღვინის გამოფენის დიპლომი

2. დედა - ალექსანდრა კარსანიძე

3. ნაქარგი ხელსახოცი

4. ალექსანდრა კარსანიძის რეაბილიტაციის ცნობა

5. სერგო კარსანიძის რეაბილიტაციის ცნობა

6. გენრიხ კარსანიძე და მაგდა ჩხუბიანიშვილი, 2005

КЕКЕЛИЯ Кетеван Антоновна, род. в 1909 г., г. Самтреди Грузинской ССР, грузинка.

Приговорена 24.06.1938 ОСО при НКВД СССР как ЧСИР к 8 годам ИТЛ.

Прибыла в Акмолинское ЛО 24.09.1938 из тюрьмы г. Тбилиси. В АЛЖИРе находилась до 05.07.1939.

Освобождена из Карлага 22.12.1944.

რევაზ და მიხეილ კეკელიები

დედა ქეთევან ბერიძე-კეკელია

მამა ალექსანდრე (საშა) კეკელია

**რევაზ:**

მამა წარმოშობით იყო სამტრედიის რაიონიდან, პროფესიით ბუღალტერი. აბრეშუმის კომბინატის მთავარი ბუღალტერი იყო, მერე ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის დირექტორი, მერე რამდენიმე ხანი, для пользы дела, ასე წერდნენ საბუთში, გააგზავნეს სამტრედიაში, რაიკომში, აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგედ. შემდეგ დაბრუნდა თბილისში, იყო აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის დირექტორად და დანიშნეს შემდეგ აბრეშუმის ტრესტის მმართველად, მაგრამ ამ დროს, 1937 წლის 29 სექტემბერს მისი ძმა ამბერკი დააპატიმრეს, რომელიც ერთ დრო *ცეკას* მდივანი იყო და იქედან გადაიყვანეს სოფლის მეურნეობის სახალხო კომისრის მოადგილედ, ამის დანიშვნაც აღარ მოხდა და დარჩა ასე.

მამა რომ დააპატიმრეს, მე სახლში არ ვიყავი. სკოლიდან რომ ამოვდიოდი, ის მაშინ ჩაიყვანეს და რომ შევედი სახლში, მაშინ მითხრეს, რაც მოხდა. ჩხრეკის დროს, ერთადერთი, რაც წაიღეს, ხონში ბიძაჩემი ცხოვრობდა და იმან ფოტოაპარატი მაჩუქა. უხმარი იყო, ბავშვი ვიყავი, მაგის არაფერი არ მესმოდა და, აი, ეგ იყო რაც წაიღეს.

ვხვდებოდი, მამაჩემი იმიტომ დააპატიმრეს, რომ ბიძაჩემის ძმა იყო. ბიძაჩემს კარგი თანამდებობა ჰქონდა, მამაჩემი შემდგომი იყო, მერე მოდიოდა უფროსი ძმა. სულ ექვსნი იყვნენ, დახვრეტილია სამი ძმა, სამი ისე გარდაიცვალა. ერთი მე არ მახსოვს, არც მინახავს, 1914 წლის ომის მონაწილე იყო, ორი მახსოვს.

უცნაურობა იყო, რომ სამი ძმა დახვრეტილი გყავს და შენ 38 წელს, მეოთხე ძმას პარტიაში გიღებენ. დაიწყო ომი და გაიწვიეს ჯარში, შინაგან საქმეთა ჯარებში იყო. ტყვეების კანვოირება ევალებოდა. როსტოვში დატვირთავდნენ გერმანელ ტყვეებს და გადაყავდათ შუა აზიაში. აი, ასეთი ალოგიკური ამბებიც ხდებოდა.

ბიძაჩემი *ამბერკი*, *ცეკას*[185] მდივნობიდან გაანთავისუფლეს და გადაიყვანეს სოფლის მეურნეობის კომისარიატში, მინისტრის მოადგილედ. *„ნარკომი“*[186] დაპატიმრებული იყო და ბიძაჩემი განაგებდა საქმეებს, გამოიძახეს *ცეკაში* და დააპატიმრეს. მოვიდნენ ჩხრეკაზე აქ. ბიცოლაჩემი ბავშვებს ასეირნებდა და ჯერ არ შემოუშვეს, ზის და ტირის. ბერიას ცოლს დაუნახავს, ჩამოსულა, დაუწყნარებია და უთქვას, შენ ნურსად ნუ გამოჩნდები და ხელს არავინ არ გახლებსო. ბიცოლაჩემმა თვითონ მოუყვა დედაჩემს დაჭერის წინ. ზემელზე მოსკოვის[187] ქუჩაზე ერთი ორსართულიანი პატარა სახლი იყო და იქ ერთი 30 კვადრატული ოთახი

185. ცკ – კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

186. Народный комиссар – სახალხო კომისარი.

187. მოსკოვის ქ. – ქუჩა ზემელზე (იხ.); ამჟამად ძმები კაკაბაძეების ქუჩა; მანამდე გ. ლეონიძის ქ. ეწოდებოდა.

მისცეს. ბიცოლაჩემს ჰყავდა მშობლები, კობის[188] ქუჩაზე ცხოვრობდნენ და იქ ცხოვრობდა, არც არსად არ გამოჩენილა, მივიდნენ მასთან და თბილი ტანსაცმელი გამოართვეს ქმრისთვის, ეს იყო ოქტომბერ-ნოემბერში. იქ განაჩენს რომ გამოუტანდნენ, მაშინვე უნდა შეესრულებინათ. ძალიან იშვიათობა იყო ლენინის ორდენით დაჯილდოება, მაშინ რამდენიმე კაცს მისცეს საქართველოში და ბიძაჩემსაც.

**მიხეილი:**

ბიძაჩემი ერთი პერიოდი სიღნაღის რაიკომის მდივანი იყო. ამ პერიოდში გააგზავნეს მოსკოვში სასოფლო სამეურნეო აკადემიაში სასწავლებლად. მე-3 კურსის სტუდენტი იყო, აკადემიაში, რაღაცა აქტივის კრება ჩატარადა და სტალინიც ესწრებოდა, ბიძაჩემი გამოსულა მოხსენებით, რომ დამთავრდა თურმე ეს შეხვედრა, სტალინმა გამოიძახა რექტორი და გამოიძახებინა კეკელია, სტალინმა უთხრა, უნდა წახვიდე საქართველოში და მიხედო საქმესო, მე ვსწავლობო, და პრობლემა არ არისო, კაბინეტში შეუვსეს დიპლომი და გამოუშვეს. აუთვისებელი იყო ციმბირი და მუშახელი, სპეციალისტები სჭირდებოდათ. ამდენი ინჟინერი, ამდენი ზოოტექნიკოსი და ა.შ. განაწილებული იყო ყველა. შეიძლება, სპეციალობას გაეწირე. დედა ყვებოდა, ისეთი მოსავალი მოდიოდა, რომ ბეღლებში არ ეტეოდაო. გატანით ვერ გაჰქონდათ, მთებად ეყარა. პატიმრები მუშაობდნენ. დედაჩემი აკეთებდა ტრაქტორს, რომ არ მოსცდენოდა. დედაჩემი კიდევ იძახდა, ეს არის შეცდომაო, ეს მარტო საქართველოში კი არ მოხდაო. თუ ვინმე განათლებული იყო, იქ იყო გადასახლებაში.

მერე რომ დაგვჭირდა სასამართლოში რეაბილიტაციის ამბებთან დაკავშირებით, ცნობა მოიტანეთ, რომ გარდაცვლილიაო. მე ვიკლავ თავს, საიდან უნდა მოვიტანო ცნობა, სადღაც იქ მოკვდა-თქო, კგბ-ს არქივიდან მოვიტანეთ მერე ცნობა და რომ წავიკითხეთ, თითქოს მეხმა დაგვარტყა თავიდან ბოლომდე... ვიცოდით, რომ გარდაცვლილი იყო სადღაც და, თურმე, გაუყვანიათ აგერ, ფონიჭალაში და იქ დაუხვრეტიათ.

დედა სამტრედიიდან იყო. სკოლა დაამთავრა საშუალო, მერე გათხოვდა და არსად არ უსწავლია. თბილისში რომ ჩამოვიდნენ ჩემი მშობლები, ამ სახლში ცხოვრობდა ბიძაჩემი, *ცეკას* ყოფილი მდივანი ამბერკი, ერთი ოთახი ჰქონდა დიდი 48 კვადრატული, დაუთმო მათ და თვითონ წავიდა სასტუმრომში, იქ ცხოვრობდა. მერე თვითონ რომ ოჯახი შექმნა, ჯაფარიძის ქუჩაზე ბინა მისცეს და იქ გადავიდა.

188. კობის ქ. – 1948 წელს დაერქვა ივ. თარხნიშვილის ქ. (ვერაზე, ვარდისუბანში).

მერე ბერიამ იქ სახლი ააშენა, ზედა სართული ბერიას ჰქონდა, ქვედა სართული ნახევარი ბიძაჩემს და ნახევარი არუთინოვი იყო ასეთი გრიშა და იმას ეკავა. 29 სექტემბერს დააპატიმრეს ბიძაჩემი და 25 ოქომბერს დააპატიმრეს მამა. მამა ამ დროს აღარ მუშაობდა, ახალ სამსახურში აღარ დანიშნეს, იმიტომ, რომ ძმა დაპატიმრებული ჰყავდა. 26 ნოემბერს დააპატიმრეს მათი უფროსი ძმა, რომელიც რკინიგზის სამმართველოში მუშაობდა, თუ არ ვცდები, იყო პოლიტ განყოფილების უფროსი. 22 დეკემბერს დააპატიმრეს დედა, გადაასახლეს 38 წელში, მარტი იყო.

იმის გამო, რომ ასეთი ამბები იყო, ეტყობა, ბებიაჩემმა თვითონ გადაწყვიტა ან, შეიძლება, დედაჩემმა შესთავაზა, რომ ჩამოსულიყო და ყოფილიყო აქ, იმიტომ, რომ თუ დედას დააპატიმრებდნენ და პატრონი არავინ იქნებოდა, ბავშვები მიდიოდნენ ბავშვთა სახლში, და-ძმა ერთად არა, ერთი ერთში წავიდოდა და მეორე — მეორეში. მოხდა ისე, დედა რომ დააპატიმრეს ღამე იყო, მე არ გამიგია და დილით რომ გავიღვიძე, დამხვდა ეგეთი ამბავი. ბებიამ მიშა (ძმა) წაიყვანა სოფელში და მე დეიდაჩემთან წამიყვანა. დეიდას ჩვენ ვეძახდით დეიდას, თორემ ნათესაური კავშირი არ გვქონდა. დედაჩემის მამა სამტრედიაში ცხოვრობდა და ვაჭარი იყო. დეიდას მამა გუგუნავაც ვაჭარი იყო და ერთი საქმე ჰქონდათ, ერთი სახლი ჰქონდათ. მერე კი ააშენეს ცალკე სახლი, მაგრამ ბავშვები ერთად იზრდებოდნენ. ეს რომ მოხდა, ულაპარაკოდ წამიყვანა დეიდამ. იმას შვილი არ ყავდა და მადლობის მეტი რა მეთქმის.

მიშიკო ხან ერთ ბიძასთან იყო და ხან მეორესთან.

ზემელზე აფთიაქია და იმ აფთიაქის ეზოში ცხოვრობდა დეიდაჩემი და მიხაილოვის[189] საავადმყოფოში რენტგენის განყოფილებაში ექთნად მუშაობდა. გათხოვდა. ომი რომ დაიწყო, ქმარი ჯარში წაიყვანეს, დეიდაჩემმა გააკეთა ისე, ვითომ ბიძამ მიშვილა. დამინიშნეს პენსია, ჯარში ვინც იყო, პენსიას აძლევდნენ, მომცეს ახალი მეტრიკა, სადაც ეწერა კეკელია რევაზი ალექსანდრეს ძე — ნაშვილები. ეს იმიტომ გააკეთა, რომ დახმარება მიმელო.

ბიძაჩემი, დეიდაჩემის ქმარი გაანაწილეს შტაბში, ინვალიდი იყო, დეიდაჩემმა იჩალიჩა და მოახსნევინა ჯარიდან, კომისარიატი ცდილობდა პირობები შეექმნათ, ამასაც შესთავაზეს რას ისწავლიო, ფოტოგრაფობას ვისწავლიო, და, მართლაც, შეისწავლა. დეიდაჩემი მიხაილოვში რენტგენის განყოფილებაში მუშაობდა. იქ არამა იყო ერთი რენტგენოტექნიკი. ჯარიდან რომ დაეხსნა ვიღაცა, სხვისი რენტგენი მისცა, გაუგეს და დააპატიმრეს. ტექნიკი აღარ ჰყავდათ,

189. „მიხაილოვის“ საავადმყოფო (სწორია – „მიხეილის“) – საავადმყოფო დავით აღმაშენებლის პრომსპექტზე (იხ).

აპარატურაა, გადაღებაა საჭირო. განყოფილების გამგემ, პროფესორმა კვალიაშვილმა შესთავაზა დეიდაჩემს, მოვიდესო კირილეო და ისწავლოს ეს საქმეო. რენტგენის ძველი აპარატი ჰქონდა, გაუკეთებია. მერე პირველი სპეციალისტი გახდა თბილისში. ექვს თუ შვიდ ადგილას მუშაობდა ოფიციალურად, 4-5 ხელფასს იღებდა. რომანოვების გვარის იყო, კოშკინი. ენციკლოპედიაში იყო მაგათი გვარი. მანამდე, სანამ ფოტოგრაფობას ისწავლიდა, შეუთავაზებიათ ვერაზე პურის მაღაზიის დირექტორის მოადგილეობა. გაქანებული ომია, ჰოდა მთელი ბუღალტერია, ტალონები მაგის ხელშია, იმის საშუალებაც ჰქონდა, რომ პური ჰქონოდა, სასტუმრო საქართველოსთან[190] იყო თეთრი პურის მაღაზია კუჭით დაავადებულებისთვის და გადაიყვანეს იქ დირექტორად, მეც ვეხმარებოდი იქ, ცალფეხა კაცი იყო.

დეიდაჩემი ყველას იცნობდა და იმდენი იყოჩაღა, რომ 1937 წელს, როგორც კი ესენი დააპატიმრეს, მაშინვე ჩვენი სახლი მოახვედრა პირველ კატეგორიაში. მერე მწერალი იყო ერთი, მოიყვანა თავის ნათესავი ქალი, სამხედრო იყო მისი ქმარი, პატარა ოთახი ჩამოგვართვეს და იმ ქალს მისცეს, რომელსაც სულ არ ეკუთვნოდა. როცა დედა არ იყო, დეიდაჩემთან ვიყავი ხოლმე და ვიღაცამ დაგვასმინა, რომ ცარიელი აქვთ ოთახი. რადგან დეიდაჩემის ქმარი სამხედრო, ომის ინვალიდი იყო, ომის დრო მოინდომეს ოთახის ჩამორთმევა, სამხედრო და ინვალიდი რომ არ ყოფილიყო, ამასაც წაიღებდნენ.

ერთხელ ვიღაცა ყმაწვილი მოვიდა და მოიტანა საპნის ქაღალდი, რაშიც იყო გახვეული საპონი, ზედ ეწერა დედას მისამართი. ეტყობა, იქ დადიოდა და დედამისს ელოდებოდა, რომ გამოიყვანეს, მანქანიდან გადმოაგდეს ქალებმა და ამ ბავშვმა მოიტანა დეიდაჩემთან. დედა დეკემბერში დააპატიმრეს და მარტში გაასახლეს. როცა დააპატიმრეს, დაკითხვებზე არ გამოუძახიათ, მერე დაიბარეს სუყველა ერთად, წაუკითხეს სია და გამოუცხადეს, რომ 8-8 წელი გაქვთ მისჯილი, როგორც ხალხის მტრის ოჯახის წევრებს, მუხლი არ ჰქონდა.

დედა გადაასახლეს ყარაგანდაში. შესთავაზეს ვისაც რა პროფესია გაქვთ, იმაზე იმუშავეთო. დედას არაფერი პროფესია არ ჰქონდა, კერავდა და ეს იქ არავის სჭირდებოდა, შესთავაზეს ტრაქტორისტის კურსები გაევლო. ისწავლა და ტრაქტორისტად მუშაობდა. ეტყობა, იქ ცოტა დალაგებული ხალხი იყო, ნახეს წესიერი ადამიანი და დანიშნეს ბრიგადირად. მერე ვიღაცის ტრაქტორს არემონტებდა და ხელი წაჰკრა, ტრაქტორი დაიძრა და ფეხზე დააჭირა, მოასწრო

190. სასტუმრო „საქართველო“ – სასტუმრო პ. მელიქიშვილის ქუჩაზე, № 12; ახლა ეს შენობა მრავალფუნქციური დანიშნულებისაა.

გაჩერება, თორემ ფეხზე გადაუვლიდა. მერე საავადმყოფოში იწვა. მერე დანიშნეს საწყობის გამგედ. კილომეტრ ნახევარი ჰქონდა სიგრძე ამ საწყობს, ყველაფერი იყო შიგ.

რვა წელი გავიდა 1945 წელში, უნდა წამოვიდეს, რამხელა საწყობი აქვს აკიდებული, მილიონობით საქონელი აქვს გადასაბარებელი, გაიჭიმა ეს ამბავი და 1946 წელში, აგვისტოში დაბრუნდა. რამდენიმე ხანი იყო სამტრედიაში და მერე ჩამოვიდა. მისცეს დროებითი პასპორტი, მოვიდნენ უთხრეს, არ შეიძლება შენი აქ ცხოვრება, თბილისიდან 35 კილომეტრის დაშორებით უნდა წახვიდეო. ჰოდა, ადგა და წავიდა ხონში ძმასთან. ალბათ, წელიწადნახევარში, ორ წელიწადში დაბრუნდა. ხონში კერავდა და ფულს გვიგზავნიდა. აქ მუშაობდა მარქსის მოედანზე[191] მოდელების სახლში გამომჭრელად, მერე იქამდე მივიდა საქმე, რომ თბილისში დიდი თანამდებობის არც კაცი და არც ქალი, არ იკერავდა არსად, მის გარდა.

1950 თუ 1951 წელია, გასახლებები რომ დაიწყეს და ღამით ბიძაჩემი მოვიდა, დედის ბიძაშვილი, მძღოლი, სატვირთო მანქანაზე მუშაობდა. ამეღამ ხალხი უნდა გაასახლონ, ჩემი მანქანა ლერმონტოვზე დგასო, მანქანით მოვიდა, რომ მოვიდოდნენ, მზად ვყოფილიყავით.

მოვედი გვიან და რომ შემოვუყევი კიროვის[192] ქუჩას, მთელი ეს ქუჩები გავსებული იყო მანქანებით, სატვირთო მანქანებით და შუა აზიიდან შეიარაღებული პოლიცია ჰყავდათ ჩამოყვანილი, კაზაკებს ეძახდნენ. წამოვედი, წამოვედი და ყველგან მანქანები აყენია, მივხვდი, რომ რაღაც ხდებოდა, რომ შემოვედი ეზოში, ჩვენთან შუქი ენთო, რეზო და დედაჩემი ისხდნენ, ჰოდა, ვუთხარი — ასეთი ამბავია, რაღაცა ხდება და წავიდეთ მეთქი. არაო, აბა კარგად იყავით მეთქი და წავედი ბიძაჩემთან. რა დამაძინებდა იმ ღამეს, დილით ადრე გამოვედი და ეს მანქანები მიყავთ ეშელონებად სადგურისკენ. ამოვედი სახლში, ეზოდან შემოვიხედე შუქი ანთია, როგორც დავტოვე ისევე, არ წაიყვანეს.

**რევაზ:**

დედაჩემი არ მუშაობდა, მაგრამ აქტიური ქალი იყო, რაღაცებს აკეთებდა. ეკონომიკური სამსახურის უფროსი აბრეშუმის ქარხანაში იყო მიტო სალარიძე, მეუღლე მხატვარი ჰყავდა. არ ვიცი დაავალეს, თუ თავისი ინიციატივა იყო, 37 წელია, ასე ივნისია, კოჯორში ვისვენებდით. იმ სალარიძის ცოლმა პლანშეტი მოიტანა, ზედ დახატული იყო სტალინის სახლი გორში და ის ამოქარგა დედაჩემმა. იმის მერე კაი

191. მარქსის მოედანი — ახლანდელი ზაარბრიუკენის მოედანი დავით აღმაშენებლის პროსპექტის დასაწყისში. გასაბჭოებამდე ატარებდა მიხეილ ვორონცოვის სახელს.

192. კიროვის ქ. — ახლანდელი გ. ლეონიძის ქ. გამოიცვალა რამდენიმე სახელი — მთის (Нагорная), სოლოლაკის, ალმასკომის.

დრო გავიდა, ინსტიტუტები დავამთავრეთ, სამსახურები მოვიარეთ და ერთხელ, წავედით გორში, მეგობარი მყავდა, შევედით მუზეუმში და ვხედავ, ის სურათი იქ არ არის? იმ ქალის სახელით.

დედა რომ ბრუნდებოდა, მე მამიდაჩემთან ვიყავი, სოფელში. დედაჩემს ორი ძმა ჰყავდა, სამტრედიაში და ხონში, მე კი აბაშასთან ვიყავი სოფელში. მეც წამოვედი და ისიც წამოვიდა ჩემს წამოსაყვანად. გზაში ავცდით. შემოვედი ეზოში, ჭიშკარში ვიღაც ქერათმიანი ქალი იდგა, და რომ წამოვიდა ჩემსკენ... უფრო იმას განვიცდიდით, რომ ავიწროვებდნენ, გეტყვიან, — წადი, არ შეიძლება აქ ცხოვრება, მერე გეტყვიან — ჩამოდი, მერე — წადი. მოკლედ, ვინც ეს გამოსცადა, ყველა წესიერი ადამიანია. ჩემი ამხანაგებიდან ოთხი აკადემიკოსია, ერთი წევრ კორესპონდენტი, ვაჟა ოკუჯავა იყო მათ შორის.

**მიხეილი:**

დედა ყვებოდა: შემოიყვანეს ქალი კამერაში, საკანი პატარა იყო, შემოაგდეს ნაცემი ქალი, ნაბეგვი, რომელიღაცა რაიონის რაიკომის მდივანი. ჯერ იფიქრეს — ნასედკააო, მერე დაუწყეს დამშვიდება." მოსაკლავი ვარ, მოსაკლავი ვარ", იძახის თურმე ეს ქალი. გორის რაიკომის მდივანი ყოფილა, არასაიმედო ხალხის სია მოსთხოვეს, ჩამოვიდა ეს ქალი რაიონში და დაუძახა თავის განყოფილებების უფროსებს და დაავალა აქტივისტებს, მოეძიათ ეს ხალხი. დაიწყო ჩაშვება, ვისაც ვისი ინტერესი ჰქონდა. ამ ქალმა მოაგროვა 500 ადამიანის სია და ჩამოიტანა *ცეკაში. ცეკაში* დაუძახეს განყოფილებების გამგეებს და ეკითხებიან, რომელი რაიონის რაიკომის მდივნები არ არიან საიმედონიო. სოფლის მეურნეობის განყოფილებამ არასაიმედოებში ჩაწერა ეს რაიკომის მდივანი. რომ დაიჭირეს და დაბეგვეს, მერე მიხვდა, რომ ეს ხუთასი კაცი უდანაშაულო იყო, ფეხმძიმედ იყო და ცემისგან ნაყოფი ჩაუკლეს და ამისგან გარდაიცვალა.

**რევაზ:**

დედაჩემი რომ დაბრუნდა, ყვებოდა, დიდი იმედი მქონდა, მამაშენი ცოცხალი იყოო. ციხის ტუალეტში უნახავს წარწერა — „ქეთო აქა ვარ." რეაბილიტაციის ამბები რომ წავიდა, მაშინ გაირკვა, 18 დეკემბერს დაუხვრეტიათ. ე. ი. ტუალეტში დაწერილი რომ ნახა, უკვე ცოცხალი აღარ იყო.

აქ ჩამოსვლის შემდეგ დედა და სხვა ჩამოსულები ძალიან მეგობრობდნენ. კამარაული ლენა, ასანიძე, ყანდარელი. ყანდარელს ქალ-ვაჟი ჰყავდა. აქ დადიოდნენ.

სტალინი რომ გარდაიცვალა, ყველაზე მეტად დედაჩემს ეწყინა, ჩვენ ძალიან არ განგვიცდია, რაც მოხდა, ხომ არ შეიძლება, რომ მას არ სცოდნოდა? მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და ვინმე ცუდად რომ ახსენებდა, მწყინდა...

დედა რომ ჩამოვიდა, ცოტა ხანი ვიყავით დეიდაჩემთან, ზემელზე, არ უნდოდა აქ ბინაში, აკითხავდნენ. მერე გადმოვედით აქ. ეტყობა, იყო რაღაცნაირი განაწილება. ეს ცნობილია, რომ ამდენი რეპრესირებული უნდა ყოფილიყო, ამდენი უნდა დახვრეტილიყო. ვისაც გამოუტანდნენ განაჩენს, 10 წლით გადასახლება, მიმოწერის გარეშე, ისენიც იხვრიტებოდნენ. რეაბილიტაცია რომ გამოცხადდა, მაშინ დედაჩემი და ბიცოლაჩემი – ცკ-ს ყოფილი მდივნის ცოლი წავიდნენ მაგ ამბებთან დაკავშირებით, მოსკოვიდან იყო ჩამოსული პოლკოვნიკი და იმას მიყავდა ეს საქმეები. ბიცოლაჩემი გამოუშვეს და დედაჩემს უთხრეს, ბიძაჩემი ისე ცემეს, რომ გონება დაკარგა და მერე დახვრიტესო. სხვა არცერთი ბიძის ცოლი არ დაუპატიმრებიათ.

**მიხეილი:**

დედაჩემი რომ დააპატიმრეს, მიუხედავად იმისა, რომ ოქმი სახლში შეადგინეს, მიიყვანეს განყოფილებაში, გვარი და სახელი და მამის სახელი ჰკითხეს. ეტყობა გვარი დაემთხვა, მაგრამ სახელი და მამის სახელი არ დაემთხვა; ничего сойдёт-ო. რანგით ბიცოლაჩემს ერგებოდა დაპატიმრება და შეცდომით დააპატმრეს დედაჩემი.

**რეზო:**

დედამ თვითონ მოიწერა, ზემელზე აგზავნიდა, ჩვენც ვწერდით. როგორა ხარ, როგორ სწავლობ და ასე, სურათები არ გამოუგზავნია, წერილები არ შეგვინახია, მაგდენი ჭკუა არ გვქონდა. ამანათებს არ ვუგზავნიდით. ბიძაჩემი, ხობში რომ მუშაობდა, გამოგონებები რომ ჰქონდა და ამაზე პრემიებს აძლევდნენ, ჩამოვიდა ერთხელ და მისცა დეიდაჩემს 2000 მან. ქეთოს გაუგზავნეო, მაგრამ ქეთოს არ მიუღია. ვიღაცამ გზაში ისარგებლა. თვითონ დედაჩემსაც ისეთი საწყობი ებარა, რომ საჭმელი ჰქონდა და ხელფასსაც აძლევდნენ, ვადამდე ადრე გაათავისუფლეს, მაგრამ ომი იყო და არ გამოუშვეს.

ძალიან სხვანაირი ხალხი იყო, მე ისეთ თანამდებობაზე ვიყავი, თვითონ მიხაროდა, რომ დავეხმარებოდი ვინმეს. ინსტიტუტში ვთამაშობდი კალათბურთს, ჩემთან ჯგუფში იყო ერთი, რომლის ნათესავიც იყო რადიო ქარხნის დირექტორი. ძალიან ინტერესიანი კაცი იყო და უნდოდა, კარგი

გუნდები ჰყოლოდათ, ამისთვის უკითხავს, ხომ არ არისო კარგი მოთამაშეებიო და ამას ჩემზე უთქვამს. რუსეთში განაწილებით წასვლაზე უარი ვუთხარი, რადიო ქარხანაში მინდოდა. დაგვიძახეს, ვერც უარი ვთქვით და ჩამწერეს ლუგანსკის რაიონში ლუტუგინოში. ეგეთი ადგილი არც გაგვეგო. დედაჩემის ალალი ბიძაშვილი იყო კადრების უფროსის მოადგილე, იმას შევჩივლე და, არა გრცხვენიაო, წადი და იმუშავეო — მითხრა.

დედა აბარებდა სამედიცინოზე და ვერ ჩაირიცხა, და ნათესავი იყო სამკურნალო ფაკულტეტის დეკანი. ურჩიეს — წადი, უთხარი კოლიასო. ერთი ამბავი ატეხა, რას ჰქვია წავიდე და ვთხოვოო! ბიძაშვილი ჰყავდა, გათხოვილი იყო გოგიაზე, მოვიდა და დედაჩემს ეუბნება, ამბერკისთან უნდა წახვიდეო და სთხოვოო, რომ შალვა თბილისში დატოვონო, ეკონომიკურ ფაკულტეტს ამთავრებსო. ამბერკის ძალიან არ უყვარდა, როცა სთხოვდნენ. დედამ ვერ უთხრა უარი და სთხოვა ამბერკის, იმან — ქეთო არა გრცხვენიაო, ჩვენ ისე გვიჭირს კადრები რაიონებში და შენ მეუბნები აქ დატოვეო. იყვნენ თუ არა ნორმალურები?

აზერბაიჯანის *სოვნარკომის*[193] თავმჯდომარე იყო აზერბაიჯანელი და განცხადებას დაწერა თავის თავზე — „დამეხა ჩექმა და შინელიო“ და თვითონვე დაადო რეზოლუცია, — „ჩექმის საშუალება გვაქვს და შინელის არაო“. კოჯრის ქუჩაზე საქსოვი ფაბრიკის მთავარი ბუღალტერი ცხოვრობდა, ერთხელ დედაჩემი გახარებული აჩვენებს მამას, — საშა, ნახე ტიტემ რა საკაბე მომიტანაო, მამამ, — ახლავე წაუღე, შენ რომ ერთი მოგიტანაო, თავისთვის ხუთს წაიღებსო. ორი ძმა რომ იყო, ერთი გვარს იცვლიდა, რომ ერთის ავტორიტეტი მეორეს არ გამოეყენებინა.

მეორე კლასში ვიყავი, 1938 წლის თებერვალი იყო თუ მარტი, აღარ მახსოვს, ვსწავლობდი მე-14 სკოლაში მახარაძის ქუჩაზე, ახლა მესამე ექსპერიმენტალურია. დამიძახა დირექტორმა, გამოაღო უჯრა, ჩემთვისვე ეზოში წართმეული ბურთი ამოიღო და მითხრა: წახვალ 28-ე სკოლაში, შენი საბუთები იქ არისო. 28-ე სკოლა იყო საპატრიარქო რომ არის, ახლა, იმის გვერდით. მესამე, მეოთხე, მეხუთე კლასში იქ ვისწავლე. მერე, ისეთი სიმკაცრე აღარ იყო და დავბრუნდი ძველ სკოლაში. ატესტატი ნახეს, ფრიადოსანი ვიყავი და დამაბრუნეს. დირექტორი არ დამიწყებდა ახსნას, მერე რომ გავაანალიზე, ჩემს კლასში ძალიან ბევრი იყო ჩემნაირები და ვისაც დედა დარჩა, ისინი დარჩნენ სკოლაში და ვისაც ორივე ჰყავდა დააპატიმრებული, აღარ გააჩერეს, ელიტარული სკოლა იყო.

193. СовНарКом – Совет Народных Комиссаров.

ნათესავები გაურბოდნენ მოსვლას. ღამე თუ მოვიდოდნენ, მეზობლებთან პრეტენზიები არა მაქვს, ჩვენს მეზობლად ცხოვრობდნენ ებრაელები, ერთ პატარა ოთახში ცხოვრობდა ხუთი სული, მაგრამ არ უკადრებიათ, ეთხოვათ ჩვენი ოთახი. ტელეფონზე დიდი ქაჩვა იყო, რომ წაეღოთ.

ახლა ამბობენ, ჯარშიც კი არ მივყავდითო, ტყუილია ეგ ყველაფერი. ჯარში ძალიან კარგადაც მიყავდათ, იმიტომ, რომ უკვე მოდუნებული იყო ეს ყველაფერი. პირველ ხანებში, ომამდე, ხალხი ძალიან დაშინებული იყო, სანამ სტალინმა არ დაწერა, რომ მამა შვილისთვის პასუხს არ აგებსო[194]. მერე მოეშვა დაძაბულობა. არც ინსტიტუტში მიღებაზე ყოფილა შეზღუდვა, არც სკოლაში, კომკავშირში მიმიღეს უპრობლემოდ. კარგი ცოტა იყო და ცუდი მეტი. გრცხვენოდა შენი გვარის გამხელა, ქალაქში არ არის მიღებული, რომ ბავშვი გააჩერო და ჰკითხო გვარი. აი, სოფელში რომ ჩავდიოდით ბებიასთან და ბაბუასთან, კაცი მოდის, გაგაჩერებს, გეკითხება — ბიჭო, რა გვარი ხარ შენ? არ ვპასუხობდი, მრცხვენოდა, რაღაც გვარს ვეტყოდი.

194. ეს კანონი სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა სამამულო ომის დამთავრებასთან დაკავშირებით, 1945 წელს.

**მიხეილი:**

ბიძასთან ვცხოვრობდი ფოთში და მთხოვა — არ თქვა მშობლების ამბავიო და რომ მკითხავდნენ, ვეუბნებოდი — მაიკო შუბლაძის შვილი ვარ-მეთქი.

ერთი პერიოდი ხონში ვსწავლობდი და ერთ ეზოში იყო ორი სკოლა, დაწყებითი და შვიდწლედი. ქვა ესროლეს ვიღაცას. არც დამინახია და არც მინახია, მომკიდეს ხელი და წამიყვანეს დირექტორთან, ეს ქვა მოხვედრია პროკურორის შვილს, — შენ ისროლეო, გადამეკიდა დირექტორი, ვინა ხარო, ბოლოს ვუთხარი — ვახტანგ ბერიძის დისშვილი ვარ-მეთქი, ტროცკისტის შვილი ხარო? გაბოროტებული გამოვედი და შემხვდა დედას დეიდაშვილი, ექიმი იყო, შემატყო, რომ რაღაც ვერ ვარ... მოვუყევი ყველაფერი, შევიდა ის კაცი, იმ დირექტორს მიაყარა ჩემი თანდასწრებით, სად შემძვრალიყო, არ იცოდა. მერე და მერე, 47 წელს კომკავშირში მიმიღეს, ინსტიტუტში მიმიღეს უპრობლემოდ.

სკოლას რომ ვამთავრებდით, წაგვიყვანეს რაიკომში, და აგიტაციას გვიწევდა რაიკომი, სამხედრო სასწავლებელში წავსულიყავით. მე ვინ წამიყვანდა ოფიცრად სასწავლებელში, და მე და ჩემი კლასელი მათითაიშვილი არ დავრჩით აგიტაციაზე. მეორე დღეს დირექტორმა დაგვიბარა და დაგვტუქსა. ვუთხარი მე-8 კლასში მინდოდა მანდ შესვლა, მაგრამ უარი მითხრეს, როგორც ტროცკისტის შვილს და

გაწყობდა, ამდენ ხალხში რომ შევრცხვენილიყავი-მეთქი და არაო, მაშინ მათითაიშვილი შემოვიდესო, – ისიც ტროცკ-ისტის შვილია-მეთქი და წადითო.

**რევაზ:**

ომის დროს აქ ვიყავი, თბილისში. ერთი წელი ვიყავი ხონში, ბიძაჩემი იყო ჩამოსული მივლინებით და გერმანელებ-ის ორი თვითმფრინავი გამოჩენილა, რაღაც ჩამოუგდიათ ერთი ბოტანიკურ ბაღში და ერთი – ვერეს მდინარესთან. აქ სროლა ატეხილა და რომ ჩამოვიდა, – მე შენ არ გაგ-იშვებო. და დავრჩი იქ, მე-7 კლასი დავამთავრე და მერე ჩამოვედი თბილისში.

ერთადერთი, ატომურ ფიზიკაზე არ მოგცემდნენ ნებარ-თვას. 1952-ში დავამთავრე სპი და გამაგზავნეს უკრაინაში. რამდენიმე ხანი ტექნოლოგად ვმუშაობდი, დროებით გამიშვეს საამქროს უფროსად, როგორც ახლაა არეული ყველაფერი, ისე იყო არეული იქ. მოვაწესრიგე ყველაფერი. მერე ისევ ჩემს ადგილას გადმოვედი. დირექტორს უთხრეს – კეკელია დარჩესო, და დამნიშნეს სახელოსნოს უფროსად. ვიყავი იქ ერთი წელიწადი და გადამიყვანეს ქარხნის ტექნიკური განყო-ფილების უფროსად, რაც მექანიკური იყო, მე ვაგებდი პასუხს, ნახაზებსაც ვაკეთებდი. ეს იყო 1953-1954 წლები, სამი წელი ვიმუშავე და მერე, სადაც ვმუშაობდი, იმ საამქროს უფროსად გადამიყვანეს. დიდი საამქრო იყო: 400 მუშა მუშაობდა, 25 ინჟინერ ტექნიკოსი, 120 ჩარხი იდგა, ამ 29 წლის ბიჭს ჩა-მაბარეს ამხელა საქმე და ამხელა პასუხისმგებლობა. ძალიან მაფასებდნენ. გასარჩევი თუ იყო რამე, დამიძახებდა დირექ-ტორი და მაგზავნიდა პროექტების დასაცავად. კარგი ხელფასი მქონდა. პარტიაში ქარხანაში მიმიღეს 1956 წელს.

რომ დავაპირე წამოსვლა, ატყდა ერთი ამბავი, არ უნ-დოდათ გამოშვება. რუსთავის ქარხნიდან წერილი მოვიდა, გვჭირდება და, გთხოვთ, გამოგვიგზავნოთო. წადიო, მაგრამ პარტიიდან გაგრიცხავთო, გაგიფუჭებთ საქმესო, არა, უნდა წავიდე-მეთქი. დაწერეს ბრძანება და ორი კვირის შემდეგ გაგიშვებთო, უნდა მოვიხსნა პარტიის აღრიცხვიდან, პარ-ტიის სხდომაზე გაახურეს, არსადაც არ გაგიშვებთო, საყვე-დურს გამოგიცხადებთო.. რაიკომში მივედით, გადაგვეკიდნენ, რატომ მიდიხართო, კიდევ ერთი მიდიოდა, ავუხსენით, რომ მშობლებთან გვინდოდა.

ჩამოვედი აქ და ამხანაგები დამხვდნენ, ორი *ცეკა-ში* მუშაობდა, ერთი ნიკა ჩერქეზიშვილი იყო. მოდიო და სამუშაოზე მოგაწყობთო, ტეკაში მიმიყვანეს ბელტეხინთან, გამიშვა მე-7 განყოფილების უფროსად, ოპტიკაზე იმუშავებო,

ისწავლიო. არ დავრჩი. მეორე ჩემი კურსელი *გორმაშინსტროიში* მუშაობდა, იქ ამიყვანეს უფროს კონსტრუქტორად, გამომუშავება გინდა თუ ხელფასიო. მე ხელფასი ავირჩიე. მეზობელი მუშაობდა *ტნისაში*[195], ინგლისურის სპეციალისტი იყო, ულაპარაკია საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსთან, მიმიყვანეს, რამდენიმე ხანში სექტორის უფროსი გავხდი, მერე განყოფილების გამგის მოადგილე, მერე უფროსი. საინტერესო თემატიკაზე ვმუშაობდი, დაინტერესდა თავდაცვითი მრეწველობის სამინისტრო, საბურთალოს ბაზართან[196] მთავრობამ მისცა შენობა და იქ გადავედი განყოფილების უფროსად. ცოტა ხანში არ მომეწონა სიტუაცია იქ. პარალელურად შემომთავაზეს შტატგარეშე ინსტრუქტორობა *ცეკაში*, გეგეშიძე იყო მრეწველობის დარგში, იქაც აბურდულ დაბურდული საქმეებს ვასწორებდი. გამიშვეს ერთი ინსტიტუტის შესამოწმებლად. წავედით, შევამოწმეთ, ძალიან ცუდი ამბები იყო, დარღვევები იყო, მკვდარი სულები. დავწერე ყველაფერი, მივიტანე ცეკაში, იქ რა მოხდა, არ ვიცი, დამიძახეს, წახვალო იმ ინსტიტუტში მთავარ ინჟინრადო. წავედი, ნეტა არ წავსულიყავი, ისეთი საზიზღარი კოლექტივი არ მინახავს, იყო ერთმანეთზე საჩივრების წერა... დამიძახეს *ცეკაში* უფროს რეფერენტად მეცნიერების დარგში, მერე განყოფილების მოადგილე გავხდი, *მესტკომიც*[197] ვიყავი მინისტრთა საბჭოში. ხელფასი იმ პერიოდში მქონდა 300000 კუპონი. *მესტკომად* რომ ვმუშაობდი, ბინები, აგარაკები, ავეჯი, ყველაფერი ჩემს ხელში გადიოდა. ამ ხელფასით 15 კვერცხსაც ვერ იყიდიდი. ჩემი ბიძაშვილის შვილი გერმანიაში იენაში სწავლობდა და გახსნეს ბანკი, დამიძახეს მე და წამოვედი მინისტრთა საბჭოდან. წესიერად აგებული საქმე მომგებიანია. ავაწყე საქმე, მერე გაერთიანდა ბანკები, გადავიდნენ დიდუბეში, მე არ მაწყობდა. მე დამტოვეს ძველ შენობაში და ვაქირავებდი. ყველაზე კარგი გასახსენებელი ქარხანაა და მინისტრთა საბჭო. კარგი დამოკიდებულება მქონდა ელეფთერ ანდრონიკაშვილთან, წიგნი გამოუშვა და მაჩუქა წარწერით.

**მიხეილი:**

დავიბადე 1933 წლის 1 მაისს, 1951 წელს დავამთავრე მეორე საშუალო სკოლა. 1953 წლიდან 1957 წლამდე ვიყავი ჯარში. 1958 წლიდან 1965 წლამდე ვსწავლობდი სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში, 1958 წლიდან გამწვანებაში მუშად ვმუშაობდი, მერე ბრიგადირი ვიყავი, უბნის უფროსი, მშენებლობის სამმართველოს საექსპლუატაციო განყოფილების გამგე, შემდეგ სანერგე მეურნეობის მთავარი აგრომნომი. 1984 წლიდან 1994 წლამდე ქალაქის სარემონ-

195. ТНИИСА - Тбилисский Научно-Исследовательский Институт Приборостроения и Средств Автоматизации.

196. საბურთალოს ბაზარი – ყოფილი საკოლმეურნეო ბაზარი მდებარეობდა ჟიული შარტავას ქუჩაზე, № 43, ამჟამად აღებულია; მის ადგილზე მრავალსართულიანი სახლი შენდება (არ შევეშალოს სპორტის სასახლის ტერიტორიაზე ადრე არსებულ „ტალკუჩკაში“ (толкучка).

197. Местком (местный комитет профсоюзной организации) –პროფკავშირული ორგანიზაციების დაბალი ადგილობრივი რგოლები, მაგ.. საწარმოებსა და დაწესებულებებში.

ტო სამშენებლო სამმართველოს უფროსად ვიმუშავე, საიდანაც გავედი პენსიაში, ამჟამად ბოტანიკურ ბაღში ვმუშაობ. ჩემი მეუღლე პარალიზებულია.

ბავშვობა რა... ხან მამიდასთან ვიყავი, ხან ბებიასთან, ხან ბიძასთან, ჩემი ნებით დავდიოდი აქეთ-იქით. დედა როცა ჩამოვიდა, მერე თბილისში ვიყავი. სკოლა მეორე ვაჟთა დავამთავრე აქ, თბილისში ვიყავი სულ.

დედა რომ ჩამოვიდა, 1946-ში, ვიყავი, ალბათ, 13 წლისა. მახსოვს, ღამე მტრედი მოფრინდა და დამაჯდა მხარზე, მერე მეზობლისას გადავედი და ჩამაცივდა მეზობლის ქალი, დედაშენი რომ ჩამოვიდეს, რას იზამო. საღამოს ბიძაჩემი მოვიდა და არიქა, წავიდეთ ჩქარაო, დედაშენი ჩამოვიდაო. ხონში ვიყავი, რომ ჩავედი, ვერ ვიცანი. იქიდან რომ მოდიოდა, ხან კრიშაზე იჯდნენ და ხან სად, გატრუსული იყო სულ. მტრედის ამბავი გამართლდა. მერე წამოვედით თბილისში და ერთად ვცხოვრობდით. სოფელში როცა იყო, ვაკითხავდით. ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა. ხასიათით ბაბაიკა[198] იყო, ეზოში ბავშვებს ეშინოდათ, ოთარაანთ ქვრივს ეძახდნენ, ძალიან სამართლიანი და კეთილი ქალი იყო, არ უყვარდა უწესრიგობა. ჯარში რომ მაცილებდნენ, ტირილი მომივიდა და ნუ გეშინიაო, თუ რამე გაგიჭირდესო, იმ გაჭირვებაზე ნუ კი იფიქრებო, აი, უფრო გაჭირვება რომ მქონდეს როგორ ვიქნებოდიო და უფრო გაგიადვილდებაო. იმდენი ჰქონდა გადატანილი მას, რომ იცოდა.

ძალიან განათლებული ქალი იყო, კროსვორდებს ადგენდა თვითონ, ცალკე ჰქონდა მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები. კატალოგი შეადგენა.

ბებია კარგი ქალი იყო, პირველი პატრონი ის იყო, ის რომ არ ჩამოსულიყო სოფლიდან ცალ-ცალკე წაგვიყვანდნენ ბავშვთა სახლებში. დედა გარდაიცვალა 1992 წლის 16 იანვარს.

საბჭოთა კავშირის დაშლა რომ დაიწყო, დედა ნორმალურად შეხვდა, სხვანაირად გაზრდილი, კანონმორჩილი იყო. დიდის ამბით მივეცით ხმა ზვიადს და მერე ჩემს თავს ვწყევლიდი, რა საშინელება მოიტანა. ტროცკისტის შვილობამ არსად არ შემიშალა ხელი. 1956 წლის მერე აქცენტი აღარ კეთდებოდა. 1945 წელს კომკავშირში მიმიღეს და არც პარტიაში შესვლაზე პრომბლემა არ გვქონია.

დედის ნაქარგები არა გვაქვს. სტალინის მუზეუმში ეკიდა უსინდისოდ დედის ნაქარგი. რეაბილიტაცია არ მიუღია, მამის რეაბილიტაციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, მამა უდანაშაულო იყო. „ლაგერში" ათასობით იყვნენ, მაგრამ უმთავრესად — უდანაშაულოები.

198. ე.ი. Баба-яга.







1. რეზო და მიხეილ კეკელიები

2. ალექსანდრე კეკელიას რებილიტაციის ცნობა, 14.02.1956

3. ალექსანდრე კეკელიას რეპრესირებულად აღიარების გადაწყვეტილება, 27.03.1998

КИСЛУХИНА Анна Валентиновна, род. в 1910 г., г. Тифлис, русская.

Приговорена 24.06. 1938 ОСО при НКВД СССР как ЧСИР к 5 годам ИТЛ.

Прибыла в Акмолинское ЛО 24.09.1938 из тюрьмы г. Тбилиси. Период нахождения в АЛЖИРе не указан.

Убыла из Карлага 04.10.1939 в Соликамбумстрой.

## Елизавета (Вета) Кислухина

Мать Анна Трунина-Кислухина

Отец Василий Кислухин

Ф.И.О. Информанта Кислухина Елизавета Васильевна

Фамилия Кислухина

Другие фамилии Орлик

Имя Елизавета

Отчество Васильевна

Год и место рождения г. Тбилиси, 1932 г.

Возраст на момент ареста

Отца 5 лет

Матери 5 лет

Образование

Высшее ГПИ 1951-1956 гг.
(название учебного заведения, время учебы)

Профессия инженер-химик, технолог

Место работы, должность Институт прикладной химии и электрохимии, мл. научный сотрудник

Членство в молодёжных организациях комсомол 1948 (?)
(год и место вступления)

Семейное положение информанта вдова

Дети

Сколько детей 2:

1) Ирина Орлик

образование высшее, врач

семейное положение замужем, 2 детей-мальчик и девочка

**2 ) Ина Орлик**

**образование** высшее, художник

**семейное положение** замужем, 2 мальчика

**Краткая характеристика архива (отметить также наличие подлинных документов, переданных артефактов и интересных документов)** фотографии, справка о реабилитации

**МАТЬ**

**Фамилия** Трунина

**Другие фамилии** Кислухина

**Имя** Анна

**Отчество** Валентиновна

**Год и место рождения** 1912 г. г.Тбилиси

**Образование** среднее (?)

**Должность и место работы** до замужества - Богдановка, медсестра

**Дата ареста** 1937 декабрь

**Приговор** ЧСИР 5 лет с правом переписки

**Место отбытия наказания** Акмолинск

**Освобождение** 1947 г.

**Реабилитация** 1956 г.

**Дата смерти** 1947 г.

**ОТЕЦ**

**Фамилия** Кислухин

**Имя** Василий

**Отчество** Петрович

**Год и место рождения** 1899 г. Иркутск

**Образование** среднее

**Должность и место работы** Принимал участие в раскулачивании в Богдановке, на момент ареста - редактор газеты «Ленинское знамя»

**Дата ареста** 1937 г.

**Приговор** 10 лет без право переписки

**Место захоронения** Поничала (?)

**Дядя**

**Фамилия** Зайц

**Имя** Израиль

**Отчество** Павлович

**Год и место рождения** Польша 1896 г.

**Образование** ?

**Должность и место работы** Министерство местной промышленности, гл. бухгалтер

**Дата смерти** 1960 г.

**Тетя**

**Фамилия** Кислухина-Зайц

**Имя** Ольга

**Отчество** Петровна

**Год и место рождения** Иркутск 1893 г.

**Образование** ?

**Должность и место работы**

**Дата смерти** 1981 г.

Я родилась 19 июля 1932 года. Папа мой был партийный работник, коммунист, работал он в редакции газеты «Ленинское знамя», потом работал в Богдановском[199] районе, раскулачивал кулаков, и в этом же Богдановском районе познакомился с мамой, которая, окончив курсы медицинского института, поехала туда на практику. Они там познакомились и поженились. Папа был на 10 лет старше моей мамы. Они жили очень хорошо, потом у них родилась я. Ну мама была очень молодая, конечно. У меня была тётя, сестра отца. Когда мама с папой куда-то уезжали или куда-нибудь уходили, всегда оставляли меня у тёти, и дядя с тётей шутили, что меня родили для них.

Мне было 4 года, когда меня оставили без родителей. Я ходила в детсад НКВД, на второй день, когда арестовали маму, это было в декабре, меня туда не приняли как ребёнка врагов народа. Тётя меня определила в частный детский сад, французский на Коджорской[200] в 3-ем номере, мы жили в 7-ом, к мадам Бежанбек, вот до школы я ходила в этот детский сад.

До ареста как мы жили, я не помню, на море отдыхали в Кобулети. Вообще у меня детство было прекрасное, несмотря на то, что я осталась без родителей, меня окружили заботой, любовью, вниманием. Потом я поступила в 43-ю школу, хорошо училась, ни одной четвёрки. Окончила школу на золотую медаль. Я никогда не испытывала к себе такого отношения, что я дочь врагов народа. В классе мы даже не знали кто какой национальности, мы на это не обращали внимания.

Когда началась война, мне было 9 лет, было воскресенье, в 12 часов собрались с тётей и дядей завтракать второй раз на балконе, до этого я играла с детьми во дворе, и тётя меня позвала: «Поднимайся скорей!», все слушали выступление Молотова. Дети были, конечно, напуганы все, какое-то чувство такое возникло, в Тбилиси ведь тоже тревоги были, вроде самолёт даже несколько раз залетал. У нас был двор огромный, и там была щель, а тётя была комендантом щели, и когда была тревога, тётя моя больше всех боялась, она давала мне ключи, и я всех детей заводила туда в щель. Потом я дежурила вместе с соседями и с тётей на крышах. Если попадут снаряды, чтобы их потушить. Мы, дети, очень любили на крышах сидеть, рассказывали анекдоты, хорошо было, я вам скажу, несмотря ни на что, детство было хорошее.

Однажды я потеряла хлебные карточки, у меня их выкрали, конечно, была трагедия, но мы как-то просуществовали. У дяди было подсобное хозяйство, кукурузу сажали, он при-

199. Богдановский район – в настоящее время Ниноцминдский район в Южной Грузии (Джавахетии).

200. Коджорская – улица в районе Сололаки.

возил мешками, и мы все тёрли кукурузу, и потом носили на мельницу и мололи, потом пекли мчади. У нас были товарные карточки, дядя был прикреплён к какому-то магазину, и нам давали тряпки, тётя сшила мне из них форму.

В 1951 году я сдала в ГПИ на химический факультет, хотела стать врачом как мама, но химия была в моде. Окончила институт с красным дипломом. У меня родилась дочка, когда я была на четвертом курсе. Потом сразу после окончания института я устроилась в Институт прикладной электрохимии младшим научным сотрудником. У меня была работа кандидатская, но потом родилась вторая дочь, я забросила работу, семья засосала. Муж был геологом, и оттого что вёл неорганизованный образ жизни, часто болел, перенёс несколько инфарктов и скончался. Мне было тогда 47 лет, а в 45 у меня родился внук Дато Микадзе, которого я обожаю и которого, можно сказать, я воспитала, он сейчас в Америке, у него жена Ната и сын Лука. У меня две дочери: старшая Ира, врач по образованию, у неё двое детей, сын старший Дато и дочь Нино, студентка ГТУ. Ира училась, в 18 лет вышла замуж за 18-летнего Игоря Микадзе, он тоже врач, профессор, ангиолог, они живут здесь со мной, я им всегда помогала и сейчас помогаю.

Вторая дочка родилась через 7 лет, она художница, окончила Художественную академию ткани и гобелена, была стипендианткой Ахвледиани. В 29 лет вышла замуж, и уехала в свадебное путешествие в Грецию, думали на 2-3 месяца, но она там уже 13 лет живёт с мужем и с двумя сыновьями, одному внуку 12 лет, а второму 4 года, они там родились. Я 6 раз была у них в гостях. Я очень по дочери скучаю, уже третий год не была в Греции.

Про бабушку, про мою маму, дети не спрашивали, тётя была для них бабушка, она заменила им всё.

Что касается моих родителей, папу я почти не помню, очень смутно, помню только, что он был очень высоким, когда он расставлял ноги, я свободно проходила между ног, а маму помню. Отца арестовали во время дежурства, он на 7 ноября дежурил в редакции, и его прямо оттуда и забрали. Он был осуждён на 10 лет без права переписки. Мы папе носили передачи, но их не принимали, это значило, что его уже не было, их расстреляли, кладбище находится здесь в Поничала[201], и там мемориал. Хотя я получила после реабилитации бумагу, что он умер в 1947 году от разрыва сердца, но это неправда, их всех расстреляли.

201. Поничала – в то время местность в окрестностях Тбилиси; в настоящее время включена в административные границы города.

Отец родился в Сибири, **Кислухин Василий Петрович**. Мать его была дворянского происхождения, но она по любви вышла замуж за Кислухина, как они оказались в Сибири, это я уже знаю от тёти: на Пасху, когда крестный ход был через мост, мой дедушка сбросил с моста священника, и их сослали в Сибирь, и моя бабушка поехала вместе с ним. Кроме моего папы, у неё была старшая сестра Александра, потом сестра Екатерина, потом брат Виктор Петрович, Василий Петрович и Оля. Как они попали в Грузию, я не знаю.

Бабушкина сестра о папе говорила, что как могли такого человека арестовать, добрейший был человек. Я, рассказывает, как-то с ним шла, он получил паёк, а она нуждалась очень, подошёл нищий, и он отломал большой кусок и отдал ему, а я подумала: что это Василий Петрович отдаёт постороннему человеку, а мне самой есть нечего – последнее отдал бы.

Папу арестовали в ноябре, а маму в декабре, на 5 лет с правом переписки. Я очень хорошо этот день помню, когда ночью к нам пришли какие-то люди, мы жили на улице, которая от Лагидзе[202] поднимается к консерватории, пришли с обыском, я была маленькая девочка, тут же рядом оказалась моя бабушка, прибежала с Меликишвили, тётя была, и вот эти люди говорили, что если некому меня взять, то меня возьмут в детдом. Но мама моя, заранее зная, что её тоже арестуют после ареста отца, а отца арестовали 7 ноября 37-го года, и тётя всегда заботилась обо мне, мама попросила её взять меня к себе, и тётя сразу согласилась. Бабушка была старенькая, у неё была другая своя семья, она навещала меня по воскресеньям. Когда маму арестовали, тётя взяла меня в Москву, чтобы рассеяться, потом поехали к её младшей сестре в Калугу.

Получилось так, что в 41-ом началась война, и в этот срок она не смогла вернуться. До Акмолинска мама была в Соликамске[203], и бабушка поехала туда с посылками, тёплые вещи повезла. Мама там работала врачом, а еще научилась делать мягкие игрушки, там то ли фабрика была, то ли что-то, и она с бабушкой прислала мне подарки, у меня были собачки, медвежата. Поскольку она была врачом, работала в лагере для военнопленных немцев и там заразилась туберкулёзом горла и лёгких. Когда уже видно было, что она не жилец, её отпустили домой. Об освобождении мамы бабушка получила письмо. Её встречали я с бабушкой, а тётя с дядей должны были прийти потом к бабушке. Когда поезд подходил, несмотря на то, что я её давно не видела, сразу узнала, она была очень худая. Это было в 47-ом году.

202. Ул. Лагидзе, имеется в виду улица Митрофана Лагидзе – одного из основателей производства знаменитых фруктовых безалкогольных напитков. Ранее носила имена И. Крузенштерна, А. Цулукидзе. Поблизости находится ул. Реваза Лагидзе (бывшая ул. Евангулова, затем А. Луначарского).

203. Соликамский ИТЛ – исправительно-трудовой лагерь в системе ГУЛАГа в Термской области

Ну вот, она больная ни разу не пришла к нам на Коджорскую, потому что сразу же была к постели прикована, наши родственники достали пенициллин, думали, что поможет, но ничего не помогло. Когда моя тётя приходила к ней, она просила, чтоб меня не приводили к ней, чтоб не заразиться. Мама через два месяца скончалась. Похоронили её в Ваке. Хоронили её от бабушки, я тоже была на похоронах.

Я не хотела, чтобы меня забирали от моей тёти, это была трагедия, просто мы, конечно, радовались, что мама приехала, но боялись и тётя и дядя, что я не буду больше жить с ними, и какое-то облегчение было с ее смертью, что я остаюсь с ними.

Ощущения матери у меня не было. Тётя моя очень хороший человек, воспитывала меня строго, она была домохозяйкой. Дядя работал в Министерстве местной промышленности главным бухгалтером, он был русский еврей и был великолепным человеком, и когда некоторые о евреях плохо отзываются, у меня всё переворачивается внутри, потому что такого человека я никогда не видела. Его звали Зайц Израель Павлович. Похоронили их в Навтлуги. Дядя работал главным бухгалтером здесь в Грузии до конца, и когда он должен был выйти на пенсию, страшно переживал, как они будут жить, я уже вышла замуж, сюда пришла, а они жили там вдвоём. Он настолько переживал, что в день ухода на пенсию его разбил паралич, отнялась у него правая сторона. Дочке моей Ирочке было 6 месяцев, я ходила к тёте, помогала ей, ухаживала за дядей, потом установили, что у него был рак лёгких, хотя он никогда не курил. Когда он скончался, я продолжала ходить к ней, оставляла Ирочку, я работала, а вечером забирала её. Здесь со мной жили свекровь и её мать, они, конечно, ревновали. Что она, говорили, ходит туда, она ей даже не мать, но я не обращала на это внимания и ходила. Потом мы с соседями здесь поменялись, и тётя Оленька жила со мной, долго она прожила, почти 87-88 лет. Свекровь моя тоже была репрессирована, арестована из-за мужа Александра Орлика.

После ареста родителей у нас квартиру отобрали, туда зашли соседи. У тёти была квартира 32 кв. м, и мы жили там втроём. Вещи все взяла бабушка, тётя не захотела ничего брать, и, по-моему, на этой почве у них испортились отношения. Двоюродный брат мамы приходил по субботам и брал меня к бабушке, а в воскресенье приводил к тёте. У меня много подруг, жертв репрессии. У мамы была подруга Лида, она жила у бабушки, потом вышла замуж за отца Нино Думбадзе. Лида ухаживала за мамой, когда она там заболела.

У мамы были сестра и брат.

Когда умер Сталин, тётя никогда не ругала, и я тоже так воспитана, что тоже про Сталина что говорят не верю.

Я везде была на переднем плане. И в школе всё было прекрасно, и с друзьями, и с соседями я так привыкла. Сейчас мне 73 года и, по-моему, тогда были отношения лучше к людям, чем сейчас. Бабушка прожила долго. Я на третьем курсе вышла замуж, она была ещё жива. У неё был дом на Меликишвили, потом снесли его и построили гостиницу «Сакартвело», она жила с сестрой и её детьми, и когда дом снесли, все получили квартиры, а моя бабушка получила самую плохую, на Крылова[204], на уровне с землёй.

В 1956 году 9 марта[205] я вместе со всеми побежала к Дому связи, и когда расстреливали там людей, я тоже была там, я не чувствовала себя обиженной Сталиным. Мы обвиняли систему, всех поголовно арестовывали. У кого хорошая квартира была, у кого хороший пост, у кого красивая жена и т. д. Мой дядя всё время боялся, что придут и арестуют его тоже, хотя он никакой вины не чувствовал.

У моего мужа была очень большая родня, двоюродная сестра его матери была замужем за человеком, который работал в НКВД, Барский, и он сказал, что отца расстреляли, фамилию помнил, он входил в тройку, он сам вселился в квартиру репрессированных.

Вся моя жизнь прошла в уходе за больными, свекровь была больна, тётя, бабушка, муж перенёс три инфаркта, и я с ним лежала в больницах и ухаживала за ним, так что некогда было думать о карьере, чтобы могла стать кандидатом наук. Недаром я хотела стать врачом, я и без медицинского образования прошла хорошую практику.

Мы очень хорошо жили в Советском Союзе, Горбачёв и перестройка принесли только хаос и развал.

Государство прибавило нам, репрессированным, пенсию, и я была очень довольна: лучше, чем ничего. После того как я вышла на пенсию, я работала в частном детском саду, в месяц получала 60 лари, была очень довольна, что встаю утром, что у меня какое-то дело, а когда я уехала в Грецию, я потеряла эту работу. Сейчас я без работы не могу. Я встаю в 6 часов утра, нас трое, бегаем на Комсомольскую аллею[206], потом иду в Сиони молюсь, сейчас мои поедут отдыхать, я буду прогуливать собаку в день два раза. Вот так я нахожу для себя дело, лишь бы была энергия.

204. Ул. Крылова _ улица между пр. Давида Агмашенебели и ул. Дмитрия Узнадзе.

205. სტუდენტური გამოსვლები თბილისში ხრუშჩოვის მიერ სტალინის დაგმობის გამო. თუმცა სტალინის დაცვა იყო მხოლოდ მიზეზი ეროვნული უკმაყოფილების გამოსახატავად. გაისმოდა მოწოდებები დამოუკიდებლობისკენ. სტუდენტურ დემონსტრაციას ცეცხლი გაუხსნეს მას შემდეგ, რაც დემონსტრანტები შეეცადნენ შესულიყვნენ ტელეგრაფის შენობაში რუსთაველის პროსპექტზე და მათი რიგებიდან მოხდა გასროლა, შესაძლოა პროვოკატორის, ჯარისკაცების მიმართულებით. დაღუპულთა ზუსტი რაოდენობა ცნობილი არაა.

206. Комсомольская аллея, в настоящее время – Сололакская аллея, проходит по Сололакскому хребту.









1. მშობლები □ ვასილ კისლუხინი და ანა ტრუნინა-კისლუხინა

2. მამა □ ვასილ კისლუხინი

3. ვეტა მშობლებთან ერთად, 1936

4. ვეტა დედასთან ერთად, 1936

5. ვეტა დეიდასთან ერთად

6. ვეტა

7. ვეტა



ВОЕННЫЙ
ТРИБУНАЛ
ЗАКАВКАЗСКОГО
ВОЕННОГО ОКРУГА

1956 г.
№ 1535

СПРАВКА

Дело по обвинению гр. КИСЛУХИНОЙ Анны Валентиновны пересмотрено военным трибуналом Закавказского военного округа 13 июля 1956 года.

Решение особого совещания при НКВД СССР от 24 июня 1938 года в отношении КИСЛУХИНОЙ А.В. отменено, дело прекращено и КИСЛУХИНА реабилитирована.

ПРЕДСЕДАТЕЛЬ ВОЕННОГО ТРИБУНАЛА
ЗАКАВКАЗСКОГО ВОЕННОГО ОКРУГА
Гв. ПОЛКОВНИК ЮСТИЦИИ -
/ТОЛКАЧЕВ/





8. მამის გარდაცვალების (11.10.1944) მოწმობა; დათარიღებულია 18.9.1956

9. ანა კისლუხინას რეაბილიტაციის ცნობა, 18.07.1956

10. ვეტა კისლუხინა

КВЕРЕНЧХИЛАДЗЕ Маргарита Эстаповна, род. в 1889 г., с. Цаленджихи Кутаиской губ.[5], грузинка, жила в Батуме, ул. Камун, д.11, кв.2.

Приговорена 23.04.1937 ОСО при НКВД СССР как ЧСИР к 8 годам ИТЛ.

Прибыла в Карлаг 20.08.1941 из Сегежлага.

Освобождена 23.11.1945.

## რევაზ კვერენჩხილაძე

დედა მარგარიტა მიქავა-კვერენჩხილაძე

მამა კასიანე კვერენჩხილაძე

გვარი კვერენჩხილაძე

სხვა გვარი

სახელი რეზო

მამის სახელი კასიანე

დაბადების წელი ადგილი 1928 წ ლანჩხუთის რ.ჩოჩხათის სასოფლო საბჭო სოფ. ხორესი

ინფორმანტის ასაკი მშობლების დაპატიმრების მომენტში:

მამა 9 წლის

დედა 9 წლის

ძმის\დის — გვარი სახელი მამის სახელი გედეონ, ავთანდილ კვერენჩხილაძე

მშობლების დაპატიმრების შემდეგ ინფორმანტი ცხოვრობდა:

ცხოვრობდა ნათესავებთან მამას ძმის ოჯახში

განათლება

უმაღლესი თ.ს.უ. ფილოლოგიის ფაკულტეტი, 1947-1952 წ

(სახელწოდება სწავლის დრო)

პროფესია ლიტერატორი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა საქართველოს მწერალთა კავშირი 1952-დღემდე

გაერთიანება ახალგაზრდულ ორგანიზაციებში ალკკ

გათავისუფლების შემდეგ დედა ცხოვრობდა

ცალკე 1945-1951 წწ 1951 წლიდან დასთან

ოჯახური მდგომარეობა (ინფორმანტი) ცოლშვილიანი

| | |
|---|---|
| შვილები | მეუღლე და 2 შვილი, ქალ-ვაჟი |
| განათლება | უმაღლესი |
| ოჯახური მდგომარეობა | ქალიშვილი გათხოვილი, ყავს სამი შვილი, ვაჟი უცოლო |

| | |
|---|---|
| სახელი გვარი | |

დედა

| | |
|---|---|
| გვარი | მიქავა |
| სახელი | მარგარიტა |
| მამის სახელი | ესტატეს ასული |
| დაბადების წელი და ადგილი | 1896წ ობუჯი |
| განათლება | ზუგდიდის სასულიერო სემინარია |
| სამუშაო ადგილი, თანამდებობა | მასწავლებელი |
| დაპატიმრების თარიღი | 1937 წ. |
| განაჩენი | დაუსმენლობა |
| სასჯელის მოხდის ადგილი | სეგეჟა, აკმოლენსკი |
| ბანაკიდან გათავისუფლება | 1945 |
| რეაბილიტაცია | 1956 |
| გარდაცვალების თარიღი | 1969 |

მამა

| | |
|---|---|
| გვარი | კვერენჩხილაძე |
| სახელი | კასიანე |
| მამის სახელი | ბესარიონის ძე |
| დაბადების წელი და ადგილი | 1893 |
| განათლება | ოფიცერი |
| სამუშაო ადგილი, თანამდებობა | ოფიცერი |
| დაპატიმრების თარიღი | 1937 |
| განაჩენი | დახვრეტა |
| დახვრეტის თარიღი | 1937 |
| რეაბილიტაცია | 1956 |

ვიდრე საბოლოოდ არ დაღუპავდნენ კომუნისტები და კომუნისტების სადამსჯელო ორგანო, შინსახკომი[207], მამაჩემი მანამდეც რამდენჯერმე დაუპატიმრებიათ.

ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოჩხათის თემის სოფელ ხორელში ვცხოვრობდით. იქ დავბადებულვარ მე. იქ დაბადებულა მამაჩემი, ბაბუაჩემის აშენებულ ოდაში. ბაბუაჩემი ოსტატი ყოფილა.

გვარიანი შეძლებული ოჯახი გვქონდა, მამაჩემი ძველი არმიის ოფიცერი იყო. ეს უკვე საკმარისი იყო ბოლშევიკებისათვის, რომ ეჭვის თვალით შეეხედათ მისთვის. პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დროს, მამაჩემი დამოუკიდებელი საქართველოს არმიაში იყო. ეს დედასგან ვიცი, — მამაშენი, ოზურგეთის დაცვაში მონაწილეობდაო, ოზურგეთი თურქებმა აიღეს, უთაო ხელისუფლების დროს, — 1918-1921 წლებში.

1921 წელს საქართველოს რესპუბლიკაში სოციალ-დემოკრეტიული მთავრობა იყო, რომელსაც არავითარი ეროვნული გრძნობა არ ჰქონდა, ბედის ირონიაა, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადება იმათ ერგოთ. მამაჩემი ხელმძღვანელობდა რაზმს. სხვათა შორის, სურათიც მაქვს — მამაჩემი სამხედრო ფორმაში, დედაჩემი გვერზე. საოცარია, იმ დაბნეულ ცხოვრებაში, ერთი ბინიდან მეორე ბინაში, რომ გადავდიოდი, როგორ შემომრჩა ეს სურათი.

მამა რამდენიმეჯერ დააპატიმრეს, როგორც კი რაიმე გაფაჩუნდებოდა, მიაკითხავდნენ და გასიანე კვერენჩხილაძე მიყავდათ...

იყო ერთი მომენტი, დედას ნაამბობია. დაუპატიმრებიათ მამა, დედა მიდიოდა ყოველთვის „*ჩეკაში*„[208], მაშინ ოზურგეთი იყო მთელი გურიის ცენტრი. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის დროს, მივიდა „*ჩეკაში*„, დედა უფროსთან და უთხრა, „*არაფერი დაუშავებია*“, ვიცი, ბატონოო, და ეს კაცი ასეთ ისტორიას მოყვა: „*როდესაც საქართველო დამოუკიდებელი იყო, მე ბოლშევიკი ვიყავი, არალეგალურად ვმუშაობდი. ერთ მშვენიერ დღეს დამაპატიმრეს, მიმიყვანეს ჩოჩხათის სოფლის საბჭოში, ორსართულიან ოდა სახლში, ამიყვანეს მეორე სართულზე და ერთ ოთახში ვხედავ — გასიანე კვერენჩხილაძე ზის მაგიდასთან...*“

არ ვიცი, დედას ჩემთვის არ უთქვამს, რომ მამას რამე თანამდებობა ჰქონდა, რომ ყოფილიყო, მეტყოდა აუცილებლად. შეიძლება, მამაჩემი ვიღაცასთან იყო მისული. ეს კაცი ამბობს, — „*გულში იმედი ჩამესახა. კასიანე როგორ არ იტყვის ჩემს დასაცავად ორიოდე სიტყვასო. გამატარეს ეს ოთახი, გამიყვანეს შემდეგ ოთახში, დამსვეს და ბადრაგი*

207. შინსახკომი — შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი.

208. ჩეკა - Чрезвычайная комиссия

*წავიდა. არავინ არ იყო ამ ოთახში. ვზივარ, არავინ მაკითხავს. წინა ოთახიდან დაბალ ხმაზე ლაპარაკი მესმის.*

*ფანჯარა ღია იყო, გავიხედე, ეზოშიც არავინ არ ჩანს, ქვევით ბალახებია, ვისკუპე და გადავხტი. გადავხტი, დავეცი საშინელებას, გონება დავკარგე. დიდი ხნის მერე რომ გამოვფხიზლდი, თურმე, ბალახში ნატეხი ქვები ყოფილა, მუხლებით რომ დავცემულვარ, ქვაზე დამირტყია. გავიხედე არავინ არ იყო, გავცოცდი და გულში ვთქვი, თუ ხელისუფლებაში მოსვლა მეღირსა, კასიანე კვერენჩხილაძე, მე შენ გადაგიხდი სამაგიეროს“.*

დედას უთხრეს, ვიცით, თქვენ ქმარს არაფერი რომ არ დაუშავებია და ამ გამწარების გამო წამოვიყვანეთო, დილით გამოუშვებთო. მართლაც, გამოუშვეს დილით.

ახლა ამას სხვა გაგრძელება აქვს. დღეს ბევრი უსინდისო ხალხია. ერთი ადამიანია, მე კი არა მიხეილ ჯავახიშვილს ლანძღავს 15 წელიწადია. მე მიხეილ ჯავახიშვილს ვიცნობ, ჯერ ერთი, 50 ტომი საგამომძიებლო საქმეები ვნახე შინსახკომისა, ბედმა გამიღიმა, დავამუშავე და მერე ის საქმეები გაქრა, კაცმა არ იცის სად. იქ ჯავახიშვილზე ბევრი ვნახე, არ არის არაფერი ისეთი, რომ ვიღაცამ შარი მოსდოს, მაგრამ არის ადამიანი, რომლის ბაბუამ დააბეზღა ჯავახიშვილი, შედარებით მშვიდობიან, 1935 წელს. არსებობს ორი დაბეზღების წერილი, ეს რომ მინიშნებით დაიბეჭდა, იყვირა მისმა შვილიშვილმა. ბაბუაჩემზე არ არის, არ არსებობს ასეთი დოკუმენტიო, იმდენი წერა, იმდენი ბეჭდა, შეყარა ქვეყანა, არქივის ერთი მუშაკი გაბრაზდა, წავიდა, დოკუმენტი მოძებნა და გაზეთში დაბეჭდა, მეათედი თბილისი ვერ გაიგებდა, შვილიშვილს რომ არ ეყვირა. რამე დროს ის გამოჩნდებოდა, მაგრამ არ გახმაურდებოდა. მან თქვა, რომ ბაბუაჩემმა კი დააბეზღა, მაგრამ ჯავახიშვილიც დამბეზღებელი იყოო. ჯავახიშვილს დახვრეტას უპირებდნენ, მაგრამ გაათავისუფლეს, ხელი მოაწერე გამომძიებლის შედგენილ ოქმზეო. იქ ნათქვამია: „მომეცით მე საშუალება, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბანდა დავშალოო“. „ბანდა“ არ არის მწერლის ლექსიკა, ეს ჩვენ ვიცით, ამის ათასი საბუთი მაქვს, როგორ იქცეოდა გამოძიება, როგორ აკეთებდა ყალბ საბუთებს და როგორ რედაქტირებას უკეთებდა. ახლა რედაქტირებას ვუკეთებ წიგნს, ეს არის „ღაღადებენ საბუთები“, 450 გვერდია, მხოლოდ საბუთები, ჩვენი უბედური პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკისა. ჩვენ იმდენი დანაშაული გვაქვს ჩვენი სამშობლოს წინაშე, ეს უნდა ვაღიაროთ.

მეორეჯერ, 1924 წლის აჯანყება რომ იყო, რა თქმა უნდა, მამაჩემი წაიყვანეს, დედაჩემმა იქირავა ცხენი, გამყ-

ოლი და ღამით ჩავიდა ოზურგეთში, მაშინ გურიის საქმეების გასარკვევად ფილიპე მახარაძე გამოგზავნეს. ყველა რაიონში ასე გაგზავნეს ბოლშევიკები. დედაჩემმა მოახერხა და შევიდა ფილიპე მახარაძესთან. ფილიპე მახარაძე იყო ბოლშევიკების ლიდერი, პირველი კაცი, რომელიც ხელმძღვანელობდა მთავრობას, რომელიც რუსების მე-11 არმიას უკან მოსდევდა, აბა, წინ ვერ გამოუძღვებოდა – ეგენი მშიშრები იყვნენ, მაგან შემოიყვანა აქ წითელი რუსის ჯარი.

დედას უთქვამს – *„წამოდგა ფილიპე მახარაძე, შემეგება, მეგრელის ქალო რა გაგჭირვებიათო?“* უთხრა დედაჩემმა, ჩემი ქმარი საერთოდ არ ყოფილა სოფელში და სოფლის გამოსვლებში, როგორ მიიღებდა მონაწილეობასო. მას უთქვამს, ეტყობა შესწავლილი ჰქონდა ეს ამბები, *„წაბრძანდით სახლში და დილით თქვენს ქმარს გამოუშვებენო“.*

მართალაც, წამოვიდა დედაჩემი და გამოუშვეს მამა დილით. შემდეგ, 1931 წელს საცხოვრებლად ბათუმში გადავედით. იქ მამაჩემის ფულით შეძენილი ბინა გვქონდა, კარგ ადგილას, პორტთან ახლოს, მეორე სართულზე, ქუჩაში გამოდიოდა აივანი, ფანჯრები. ამ დრო უკვე იყო საშინელება, განუკითხაობა, რომელმაც ბათუმშიც პიკს მიაღწია. დედა ამბობდა: *„ნამდვილად ვიცი, ჩვენმა მეზობელმა დაგვასმინა, ურომლისოდაც მამა ღვინოს არ დალევდა...“*

მე ერთი ძმა ვარ ჩემი ოჯახიდან, ორი უფროსი ძმა ომში დამეკარგა, მამაც გამორჩეული კაცი იყო ჩოჩხათის საზოგადოებაში.

მამაჩემი ყოფილა ხე-ტყის საწარმოს ხელმძღვანელი. დედა პირდაპირ ასახელებს, ვინმე ქრისტეფორა ღლონტის, თუ არ ვცდები. იქვე მუშაობდა, იპარავდა მასალებს და განზე უშვებდა. მამაჩემი არ ანებებდა. ამან ჩვენი მეზობელი შეიამხანაგა, რომელიც დადიოდა შინსახკომში. იქ საჭირო იყო ერთხელ თქმა, რომ ვიღაც ანტისაბჭოთა ადამიანია, მეტი არაფერი. ისიც უწყობდა ხელს, რომ ძველი არმიის ოფიცერი იყო. მით უმეტეს, იკითხავდნენ ჩოჩხათში, სადაც ერთ ძველ სწორხაზოვან ბოლშევიკს, ელიდეს გუჯაბიძეს, ჩვენი ოჯახის შეჭმა უნდოდა.

მამა წაიყვანეს 1937 წლის ზაფხულში. შემდეგ დედაჩემი. ბუნებრივია, ცოლები პროკურატურაში დადიოდნენ.

ნოემბერში დედაც დააპატიმრეს, ისევე, როგორც უამრავი ქალი ბათუმში და სხვაგან. მე 9 წლის ვიყავი. წარმოიდგინეთ, მამა არ მახსოვს. ზოგიერთ ბავშვს 4-5 წლიდან ყველაფერი ახსოვს, მე არ მახსოვს.

ოცდათხუთმეტი დღე ბათუმის ციხეში, დედამ დღიურების სახით აღწერა. დედის აყვანა არ მახსოვს. ავად

ვიყავი, ბრონქიტი მჭირდა, მთელი ცხოვრება ბრონქიტისა მეშინია. სიცხე მქონდა, ისე დამტოვა დედაჩემმა კარლიაში, მარტო...

ჩემი საშუალო ძმა, არ მახსოვს, მოსწავლე იყო თუ სასწავლო ტექნიკუმში სწავლობდა, ძმები ჩემზე გაცილებით უფროსები იყვნენ, ერთი 1919 წელს იყო დაბადებული. ის 1937-ში მოეწყო სამსახურში, მომდევნო ძმა 1921 წელს იყო დაბადებული.

მამა 1896 წელს დაბადებულა, 1937-ში 40 წლისა იყო, დედა ცოტა ნაკლები. დედას და მამას შორის განსხვება იყო 7-8 წელი.

დედა ბათუმში *შინსახკომის* ციხეში იჯდა. ეს აქვს აღწერილი თავის დღიურებში. ბათუმი პატარა ქალაქია და ეს ცოლები ყველა ერთმანეთს იცნობდნენ. იქაც იყო – ხვალ გაგვიშვებენ, ზეგ გაგვიშვებენ. დედაჩემს კიდეც უთქვამს, ეს დიდი ხალხის ცოლები, ყველა ქარაფშუტა იყოო, ვეუბნებოდი, ვინ გაგვიშვებს, აქ შემოგვყარეს და რა გაშვებაზეა ლაპარაკიო.

დავრჩი მარტო და მერე ჩამოსულა ბებიაჩემი, ბაბუას ყავდა ძმა, რომელსაც შვილი არ ჰყავდა, იმის მეორე ცოლი. მათ უშვილებიათ მამაჩემი. გოგონას ფანელის კაბაზე ცეცხლი წაკიდებია, გაქცეულა და ცეცხლი უფრო გაღვივებულა. მოკვდა ბავშვი. მაშინ უთქვამთ, ეტყობა, შვილის ბედი არ გვაქვსო, თქვენი შვილები ჩვენი შვილები იქნებაო და ჩვენს ოჯახთან იყვნენ სულ. ის ბებია ჩამოვიდა ბათუმში.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ბინიდან გამოგვყარეს, მაგრამ სახლს ეზოს გაყოლებით აივანი გასდევდა, ამ აივანზე ცალკე სამზადი სახლი იყო, იქ ბუხარიც კი გვქონდა. იქ არ ისურვა შესვლა შინსახკომის თამანშრომელმა ქალმა, რომელიც შეუშვეს ჩვენს ბინაში და ჩვენ დავრჩით. ბებია გვპატრონობდა მე და ჩემს საშუალო ძმას, რომელმაც მერე ბათუმის საზღვაო ტექნიკუმი დაამთავრა. ბათუმში, გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის დაწყებამდე, 1941 წლამდე ვცხოვრობდით. იქ გვიგზავნიდა მამის ძმა ფულსა და პროდუქტებს. 5 კლასი იქ დავამთავრე.

1941 წელს, ზაფხულში, ბიძაჩემთან ვიყავი ხორეთში, იმ სახლში, სადაც დავიბადე. ომი რომ დაიწყო, რამდენიმე დღეში ბიძაჩემი ომში წაიყვანეს. იქ ვინ გამოგვიგზავნიდა, იმას თავისი სამი შვილი ჰყავდა სარჩენი. რა თქმა უნდა, შემიყვანეს ჩოჩხათის საშუალო სკოლაში მეექვსე კლასში, იმის შემდეგ იქ ვიზრდებოდი.

1942 წელს ჩემი ძმაც წაიყვანეს ომში. ჯერ გამოუძახებდნენ კომისარიატში, იტყოდნენ, Сын изменника родины.

ასევე მეორე ძმას, თბილისში სწავლობდა, გარიცხვას უპირებდნენ უნივერსიტეტიდან. მერე ჰიტლერის არმია რომ მოადგა კავკასიონს და ზოგან კიდეც გადმოაბიჯეს, ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა და ორივე ძმა წაიყვანეს. ორივე დაიკარგა. უფროს ძმას ნათქვამი ჰქონდა, იმდენად გამწარებული იყო, მე თუ მოვახეხე გერმანელების მხარეს გადავალო. კი ვფიქრობდით ერთხანს, რომ ასე მოხდა, მაგრამ, მერე, მიწერ-მოწერა რომ შესაძლებელი გახდა, მერეც არ გამოჩნდა. ასე დაიღუპა ორივე უგზოუკვლედ.

ვიზრდებოდი ბიძაჩემთან სოფელ ხორეთში, მთელი სიმძიმე ომის დროის ცხოვრებისა განმიცდია, შიმშილი... მართალია, დიდხანს არ იყო, ქერჩში დაიჭრა, მინის ნამსხვრევები მოხვდა... რომ დაბრუნდა ფიზიკური მუშაობა არ შეიძლებოდა, ვინ არჩენდა მის სამშვილიან ოჯახს? მეც კიდევ დამატებული. ოჯახში დიდი ეზო გვქონდა 500 ძირი მანდარინი იყო, ზამთარში, მახსოვს, ღამით გამოვიდოდი და დავთოლავდით, ტოტები რომ არ მოეტეხა. ძნელი იყო, დიდი ხეები იყო. ბოსტანი გვქონდა ეზოში. რომ მოვიზარდე კოლმეურნეობის ბრიგადაში ვმუშაობდი ჩემს ტოლ ბიჭებთან ერთად. მიმუშავია, ყანა მითოხნია, ციტრუსი მიკრეფია, რა ვიცი... ერთი დღე იყო, აღარც ჭადის ფქვილი გვქონდა, აღარც სოიო. ერთი დღე იყო, მხოლოდ კიტრი და პამიდორი გვქონდა.

დიდი სამზადი სახლი იდგა ეზოში, დიდი... ის გავყიდეთ. ისეთ ადგილას ვცხოვრობდით, წყალი ჩვენთან არ იყო, ღელეში მოდიოდა, საცივს ეძახდნენ, წყაროს წყალს. იქედან მოგვქონდა წყალი, მერე ჩითილებს მორწყვა უნდოდა, იქედან ამოგვქონდა. ბევრი სიმწარე გამომიცდია.

სკოლაშიც იქ დავდიოდი. დავამთავრე 1947 წელს, პირველი წელი იყო თერთმეტი კლასი რომ შემოიღეს. იქ მიუხედავად იმისა, რომ გურულებს უყვართ პოლიტიკა და მატრაკვეცები არიან, არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩემთვის რაიმე ეგრძნობინებინათ. პირიქით. ბათუმი ცოტათი რუსული ქალაქი იყო. ეტყობა, მე რუსული გვარიანად ვიცოდი, ამას გრძნობდა რუსულის მასწავლებელი, სხვათა შორის, ნახუცარი იყო, მღვდელი, გაკრეჭილი მღვდელი, კარგად მეპყრობოდა, მაგრამ არც მე ვიყავი უზრდელი ბავშვი, ყოყოჩობა რომ დამეწყო. თავს ვიკლავდი, სად იყო წიგნები, რომ ახსნიდნენ, ვიმახსოვრებდი, არ ყოფილა შემთხვევა, ვინმეს რამე ეთქვა. ერთადაერთი, ერთხელ ჩოჩხათის თემში იყო სკოლა, სოფელში ერთკლასიან სკოლაში გაგზავნეს მასწავლებლად ახალგაზრდა გოგონა, ამ სკოლაში ვსწავლობდი 1947 წლამდე. 1947 წელს მე-11 კლასი დავამთავრე, მას-

წავლებლები თავს იკლავდნენ, რომ ოქროს მედალი მიმეღო, ვერ მივიღე, მაგრამ ვერცხლის მედალზე დავამთავრე. იმ ვერცხლის მედალმა უგამოცდოდ ჩამრიცხა უნივერსიტეტში. ისეთი გამოფიტული ვიყავი უჭმელობით და უსმელობით, პირველი კურსი ლანდად მახსოვს.

ერთადერთი შემთხვევა იყო, სკოლიდან რომ გამოვედი, ვიღაცამ დამაბარა საბჭოდან, გადაეცი კოლმეურნეობის თავჯდომარეს, რომ ხვალ ამა და ამ დროს პარტიული კრება არისო. ავედი ხორეთში და კოლმეურნეობის კანტორასთან მივედი, ვნახე თავმჯდომარე ვიღაცას ესაუბრება, ვუთხარი, *„რაღაც კრება არისო“*, როგორ თუ *„რაღაც“* კრებაო! მე ის *„რაღაც“* ვიხმარე არა იმის გამო, რომ დამეკნინებინა კრება, არამედ, სიტყვის მასალად და მადლობელი ვარ ღმერთის, რომ გადავრჩი.

დეტალები არ მახსოვს, მაგრამ, ერთ მშვენიერ დღეს, კომკავშირში მიმიღეს, სკოლაში. რაიონული კომკავშირის უნდა დავემტკიცებინე კომიტეტს. რაიონში წასვლა არ მინდოდა. ომის დროა. უნდა ჩავსულიყავით სუფსაში, რკინიგზის სადგურია, მერე – ლანჩხუთში. მახსოვს, ღამე გავათენეთ ბაღლინჯოებიან სასტუმრომში. ერთი რამე მახსოვს და გული მტკივა ამაზე, ბიძაჩემმა მითხრა, კომკავშირში თუ შედიოდიო, უნდა გეკითხა მაინც ჩემთვისო, რას ვეტყოდი, მეორე მხრივ, მე რა მექნა, მეთქვა უარი? დეტალები კი არ მახსოვს, მაგრამ რაღაცნაირად, ხომ ვიცოდი, შიში ხომ მაინც მქონდა, ვისი შვილი ვარ. გული მეტკინა, ბიძაჩემის ამბავი წარმოიდგინეთ: ადამიანი, რომლის ოჯახსაც 9-ჯერ მოუნდომეს გაკულაკება, იმისთანა ორსართულიანი სახლები წამოჭიმეს კოლმეურნეობის თავმჯდომარეებმა და ბრიგადირებმა ნაპარავი ფულით, ჩვენი ოდა გამოჩნდა ჯარგვალი.

ბედის დაცინვაა, კოლმეურნეობა რომ არსდებოდა, მოვიდნენ დედაჩემთან და ეუბნებიან: *„ქალბატონო მარგალიტა, თქვენ ხართ მასწავლებელი, თქვენ ხალხი პატივს გცემთ, უნდა გამომყვეთ კომისიაში, რომ ხალხს აგიტაცია გაუწიოთ კოლმეურნეობის ჩამოსაყალიბებლადო“*. ამას ეუბნებოდნენ ქალს, ვისი ოჯახის განკულაკებაც უნდოდათ რამოდენიმე წლის წინ და რომლის ქმარიც ოთხჯერ ჯერ იყო დაპატიმრებული, რადგან ანტისაბჭოთა ელემენტად იყო ცნობილი. რა ექნა?

მე თავიდანვე ჩამენერგა ლიტერატურის სიყვარული, ამაში წვლილი მიუძღვნის მარინე ბებიას. მახსოვს, ჭრელ-ჭრელი ზღაპარი მომიყევი-მეთქი, ვეუბნებოდი და ისიც ჭრელ-ჭრელ ზღაპარს მიყვებოდა. „ზალას“ ვეძახდით, იდგა ერთი

„ეტაჟერკა“, რომელზეც იდო დაახლოებით 20-მდე წიგნი. აი, იმ 20-მა წიგნმა გამხადა კაცი და ის წიგნები რამდენჯერ მაქვს გადაკითხული, ღმერთმა იცის. სად იყო რადიო? რაღაცა თეფშივით რადიო იყო ჩოჩხათში, მაგრამ, როგორც კი ომი დაიწყო, რადიო დაყრუვდა. არ იყო გაზეთი, რამდენჯერმე ვნახე „კომუნისტი“, რუხი, ცალმხარეს დაბეჭდილი. ერთი სიტყვით, სოფელში არავის უგრძნობინებია ჩემი მდგომარეობა. აქაც, არც უნივერსიტეტში არ უგრძნობინებიათ, მაგრამ როცა ასპირანტურაში დარჩენის საკითხი დადგა, იქ რაღაცნაირად მაგრძნობინეს. ზუსტად ვერ ვიხსენებ, რა იყო, მაგრამ ეს ემოცია მახსოვს.

გავიდა მრავალი წელი და ერთხელ, მწერალთა კავშირში შევივარ და ზევიდან ვხედავ, მოდიან პროფესორი ოტია ბაქანიძე და აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე. მე, როგორც გითხარით, მორიდებული ვიყავი, შორიდან მივესალმე და შევედი. ისინი წამომიეწიენ. ალექსანდრე ბარამიძე მეუბნება, — თქვენ ასპირანტურა ხომ გინდოდათო. მე დავიბენი, იმასაც ვანგარიშობდი, რომ უკვე დიდი ხანი იყო დავავმთავრე სწავლა, იქ ოხერი პარტისტორია უნდა ჩამებარებინა, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, ჩემზე უკეთესად ეს ახალმა სტუდენტებმა იცოდნენ. სისხლში მქონდა სიძულვილი ყოველივე კომუნისტურისა, გმირი ვერ გამოვდექი, მაშინ ვერაფერი ვერ გავაკეთე. სამაგიეროდ, მერე მოვიოხე გული, ჩემს წერილებში, კომუნისტების სიგლახის ჩვენებით. სამწუხაროდ, დედაჩემი ამას ვერ მოესწრო.

დედასგან თვეში ერთხელ სოფელში წერილი მოგვდიოდა, მაგრამ დედას არასოდეს არ უთქვამს წერილში, რომ ამდენი მაქვს მოსჯილი, სულ იწერებოდა. ახლო მომავალში ჩამოვალო, ამითი ჩვენ გვამხნევებდა. ჩვენ გვქონდა თვეში ერთხელ ამანათის გაგზავნის უფლება; ხორეთში იყო ერთი ოჯახი, ხარლამპი ანთაძის ოჯახი, ეს კაცი იყო ოჯახში ჩასიძებული. ეს კაცი ტანად ზორბა, მაგრამ ერთი ჩუმი, წყნარი ადამიანი იყო, ხარაზად მუშაობდა, ფეხსაცმელებს კერავდა. კარგად იყო განწყობილი ჩვენდამი, ამანათისთვის ეს კაცი შებოლილ ხორცს გვაძლევდა, ლორს ეძახიან, თუ შაშხს, გასაგზავნად. ეს იმოდენა ამბავი იყო, ჯერ ერთი საშიში — ისეთი დრო იყო. ამის დავიწყება შეიძლება? დედაჩემმა თქვა, ერთ ებრაელ ექიმ ქალს ვუნაწილებდიო. დედაჩემი ავად იყო და იმ ქალმა გადაარჩინა, მერე წამოსვლისაც შეუწყო ხელი, იქ იყო, ბევრს არ უშვებდნენ. იმ ქალმა ისეთი დიაგნოზი ჩაუწერა, რომ გამოუშვეს. დედა ჩამოვიდა 1945 წელს, თვე არ მახსოვს, 8 წელიწადში. დე-

დაჩემმა თქვა, რომ ათავისუფლებდნენ, ჰკითხეს, სად გსურთ გამგზავრებაო. სადაც დაგაპატიმრეს, იმ ქალაქში არავინ გაგიშვებდა, თბილისი სარეჟიმო ქალაქი იყო და არც იქ გაუშვებდნენ. დედას გურია ერჩივნა თავს, მაგრამ იფიქრა, რომ გურიაში იმდენად პოლიტიზირებული ხალხი იყო, არ გამახარებენო. ესეც დრამაა, მეგრელ ქალს გურია თავს ერჩია, იმიტომ, რომ იქ გაბედნიერდა, იქ შეეძინა შვილები, სამი ვაჟი, კარგი ქმარი ჰყავდა. ვიფიქრე, ისევ ჩემს სამშობლო კუთხეში წავალო, გამოფიტული იყო უჭმელობით, უსმელობით. არ შემცდარა... გურიაში, ჩემთვის არავის არაფერი უგრძნობინებია, მაგრამ იმ ადამიანმა, რომელიც ჩვენს ოჯახში, ბევრჯერ არის ღვინით და პურმარილი გამსკდარი შარა გზაზე მეორე მხარეს გადავიდა, დედას რომ არ შეხვედროდა და სალამი არ მიეცა.

თუ არ ვცდები, დედა რომ ჩამოვიდა ზამთარი არ იყო, თუმცა, ჩვენ ზამთარში მოგვიწია წასვლა. არაფერი არ მქონდა ჩასაცმელი, ჩემი მამიდაშვილი იყო ფრონტიდან დაბრუნებული, ერთი შინელი ქონდა და ის მათხოვა. ბიძაჩემი და მე წავედით. შევხვდი პირველად დედაჩემს, არ მახსოვს, რა თქმა უნდა. შეცვლილი იყო, ძალიან დაბერებული მომეჩვენა.

მამაჩემი რომ დააპატიმრეს, დედა წასული ყოფილა დედამისთან სამეგრელოში, ცოტა ხანში, მე უნდა ჩავეყვანე მამას. იქ მივიდა დეპეშა, გასიანე დააპატიმრესო, საშუალო ძმამ გაუგზავნა დეპეშა, სასწრაფოდ წამოდიო. ჩავედით მე და ბიძაჩემი. დეტალები არ მახსოვს, გითხარით, იმდენი რამე არ მახსოვს, პირველი კურსი ისე გავიდა, ბურანში ვიყავი, უჭმელ-უსმელი, გამოფიტული.

დედას, აი, რა უამბნია ჩემთვის... შევადაროთ გურია და სამეგრელო. გურული ვარ მე და ის ღელე და ის სოფელი, ქვეყანას მირჩევნია, ღამე მესიზმრება, სადაც გავიზარდე, ბავშობა გამიტარება, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას. პირველად, რომ ჩავიდა დედა წალენჯიხაში, ხელად უნდა გამოცხადებულიყო უშიშროების კომიტეტში. დედა სასტუმროში გაჩერდა და უშიშროების კომიტეტში მივიდა. უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ეუბნება, ქალბატონო მარგარიტა, თქვენ რუსული ენის სპეციალისტი ყოფილხართ, მე თქვენ გაგიშვებთ სამხედრო კომისარიატში, იქ რუსულის მცოდნე ესაჭიროებათ. კარგი ხელფასი და „პაიოკი“ გექნებათო. დედამ უთხრა, გამოფიტული ვარ, რომ გავდივარ სასტუმროდან, უკან ვერ ვაგნებ სასტუმროსო და ისევ იქნებ, ჩემი სპეციალობით რამე მომინახოთ, ალბათ, ამას ვერ შევძლებო. იმ წუთში იმ კაცმა აიღო ყურმილი, დაურეკა განათლების განყოფილების გამგეს და უთხრა. „

*გივზავნით კარგ სპეციალისტს, დატვირთეთ გაკეთილებით, მიეცით ბინა“.* აი, დამოკიდებულება. მართლაც, ხელად დანიშნეს მასწავლებლად, წალენჯიხის ჩაის მეურნეობაში, მისცეს ბინა, ერთი წელი იქ იმუშავა. მეზობელ, სულ ახლო სოფელში, ობუჩში არ უნდოდა მისვლა. მისი ძმის ცოლი იყო და ბავშვები. არ უნდოდა გლახა ჩვენებოდა მათ. მერე გადავიდა, იქ ძალიან პატივს ცემდნენ.

ხანდახან იყო რომ გაიმართებოდა პურ-მარილი. ვთქვათ, სკოლის მასწავლებლები მოიპატიჟებდნენ განათლების განყოფილების გამგეს, უშიშროების განყოფილების გამგეს, ამ თავყრილობაზე დგება უშიშროების განყოფილების გამგე თუ განათლების განყოფილების გამგე და ეუბნება: *„ქალბატონო მარგარიტა, თქვენ, რომ გაგეხარდებათ, ისე დავბრუნებოდეთ თქვენი ქმარ-შვილი“.* ამ დროს ქმარი ტროცკისტია... ამას გეტყოდნენ გურიაში?

1945 წელს ზაფხულში დედა სამეგრელოდან გურიაში ჩამოვიდა.

1951 წელს ***ელენე თათარიშვილი***, რომელიც დედასთან ერთად იყო აკმოლენსკის ბანაკში, ერთმა ქალმა დააბეზღა, ბაბუა გერმანელი ჰყავდაო. გადაასახლეს. ეს ისეთი დროა, როდესაც მეგრელების საქმე იყო და, საერთოდ, ასეთ ელემენტებს ასახლებდნენ. ეს ქალი ისევ დააპატიმრეს, მართალია, დიდხანს არ გაგარძელდა, დაბრუნდა.

დედაჩემი დატვირთული იყო დილა-საღამოს გაკვეთილებით, ხელფასი რომ ჰქონოდა და ჩემთვის რაღაცეები გამოეგზავნა. 1951 წელს ასთმა დაემართა, გავიდა პენსიაზე და გადმოვიდა თბილისში. მე მეოთხე კურსისი სტუდენტი ვიყავი, აქ დეიდა ცხოვრობდა, ანაგის ქუჩაზე, მასთან ვიყავი. ერთი ოთახი გვქონდა. მოვიდა დედა.

1951 წლიდან 1969 წლამდე მე და დედამ ერთად ვიცხოვრეთ, მანამდე, რამდენჯერმე ჩავაკითხე სამეგრელოში, ზამთრის არდადეგებზე.

დედასთან გაუცხოება იყო, რა თქმა უნდა, თუმცა დეტალები არ მახსოვს. დედის მდგომარეობა წარმოიდგინეთ, ქალს საუკეთესო ოჯახი ჰქონდა, ქმარი დაიჭირეს, ორი შვილი დაიკარგა. თავს იმითი იიმედებდა, რომ ეგებ, სადმე არიან და მოიწერონო. ერთი მე დავხვდი. მეუღლე 1967 წელს, გვიან მოვიყვანე, იმიტომ, რომ ბინა არ მქონდა, ერთ ოთახში ვიყავით 2 ოჯახი, ბოლოს მაინც იქ მოვიყვანე ცოლი, დედა ჩემს შვილს მოესწრო, ხუთი თვის იყო ჩემი ვაჟი, დედა რომ გარდაიცვალა.

დედა თბილისში რომ ჩამოვიდა, საღამოს სკოლებში აქაც იმუშავა, რომ ფული ეშოვა. მე დიდი მომთხოვნი არ ვიყავ, არ ვეძალებოდი. გააწვალა ასთმამ, ბოლოს, მკლავის სარკომა დაემართა და იმან მოკლა, სამოცდაათს გადაცილებული იყო.

როგორც გითხარით, დღიური ჩაიწერა, ჩემთვის არც უთქვამს. გარდაცვალების მერე აღმოვაჩინე.

აი, რა უამბნია დედაჩემს იქაური ამბები:

დედა პირველად იყო გადასახლებაში *სეგეჟაში*, რკინიგზის სადგური ალენინგრადს ზევით; იქ არის ლადოგის ტბა, ზევით ონეგის ტბაა. სეგეჟის სადგურითან *„ბელამორკანალი“*[209] შენდებოდა. ის ადგილი სავსეა დაპატიმრებული ხალხის ძვლებით. იქ იყო დედა პირველად, 4 წელი იქ გაატარა. მანამდე იყო მორდოვეთში, თუ არ ვცდები *პოტმაში*, გამანაწილებელ ბანაკში, ჩემი უფროსი ძმა ჩავიდა, მაგრამ ვინ ანახვებდა დედას. მე ის მიკვირს, როგორ არ სტაცეს ხელი და არ შეაგდეს სადმე. ვინ ანახებდა... ეს არის ომამდელი ამბავი.

სეგეჟაში იყო უზარმაზარი ბანაკების ტერიტორია, ხან რას აკერინებდნენ, ხან რაზე ამუშავებდნენ. ომი რომ დაიწყო, ეს ტერიტორია გერმანელ თვითფრინავებს დაუბომბავთ, მაგრამ გერმანელებს ქალების ბანაკი კი არ აინტერესებდათ, იქ იყო მიწის ქვეშ უზარმაზარი სამხედრო ქარხნები, იყო სულ უცხოური დაზგები, ხანდახან ფუჭდებოდა რაღაც დაზგა, მამაკაცების ბანაკიდან, ბადრაგი მოსდევდა, მოიყვანდენ სპეციალისტს, ჩაიყვანდნენ, გაარემონტებდა და უკან მიჰყავდათ. ეტყობა, გერმანიის დაზვერვას ეს აინტერესებდა. ეზოში იყო უზარმაზარი, ოთახის ოდენა დიდი სიპი ქვები, იმას ვეფარებოდით დაბომბვის დროსო.

დაწვრილებით, ქვეცნობიერად მეშინოდა ამაზე საუბარი. დედა 1969 წელს გარდაიცვალა. ეტყობა, ვერიდებოდი ამაზე ლაპარაკს. ეტყობა მასაც არ უნდოდა ამის გახსენება.

დაბომბვიდან მეორე დღეს, ჩამოაყენეს ეშელონები, ჩრდილოეთის გზით მთელი 2 თვე, ნელ-ნელა ჩაიყვანეს აკმოლენსკის ბანაკში.

იქ ოთხი წელი დაჰყო. ყველაზე ახლოს იყო ნოდარ დუმბაძის დედასთან – ანიკოსთან, ალექსანდრა ერქვა პასპორტით. *„ანიკოს ოხუნჯობებმა გადაგვატანინა იქაური ყოფაო“*, ეტყობა, დედასაც ნოდარ დუმბაძესავით იუმორის გრძნობა ჰქონდა. იქ იყო ქეთუსია ორახელაშვილი, ულამაზესი ქალი.. ქეთუსიას მამა იყო კომუნისტების ბელადი, დედა იყო კომისარი. მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკები გამოქვეყნდა და იქ წერია, მამია ორ-ლი, მე ხომ ვიცი, ორახელაშვილი, 13-14 წლის მოსწავლეებს ეუბნებოდა *„გააჩინეთ შვილები და გაზარდეთ მერეო“*- კომუნის-

209. Беломорканал (სრული სახელი: Беломорско-Балтийский Канал Имени Сталина). სანაოსნო არხი თეთრსა და ბალტიის ზღვას შორის პეტერბურგის სიახლოვეს. „ბელამორკანალი“ იყო სტალინური ხუთწლიანი გეგმების ერთ-ერთი წარმატებული პროექტი, რომელიც გეგმით გათვალისწინებულზე ოთხი თვით ადრე დასრულდა (1933 წ.). მასში გამოყენებული იყო ძირითადად პატიმართა შრომა. უმძიმეს პირობებში ასიათასობით პატიმარი დაიღუპა.

ტური მორალი ეს იყო. ქეთუსია ორახელაშვილი[210] ევგენი მიქელაძის ცოლი იყო. ერთხელ, მითხრა *„ქალბატონო მარგალიტა, რა ვქნა არ ვიციო, ან თავი უნდა მოვიკლა, ან ყველასი უნდა გავხდეო“.*

დათვრებოდნენ კარაგანდაში, ბანაკების ხელმძღვანელები და იტყოდნენ „Поехали прекрасную грузинку смотреть“. საწყალი ქეთუსია ერთი ბარაკიდან, მეორე ბარაკში იმალებოდა. დედამ უთხრა: *„ნურც თავს მოიკლავ გენაცვალე და ნურც ყველასი გახდები, ამ კაცს ხომ ქვეყანას ურჩევნიხარ, უყვარხარ, გაჰყევი“* გაყვა ქეთუსია. ეს კაცი იყო იქ, გათავისუფლებული, და ჭირივით სძულდა სტალინი (ხმას აუწია), მაგრამ ქართველი ხალხი თავზე მეტად შეუყვარდა. ამაშიც ვერ ჩავეძიე დედას. ახლა ვნანობ.

გაყვა ნიკოლოზ დროზდოვს და შეიძლება დედაჩემის სიტყვამ გადაარჩინა, ხომ შეიძლება, მართლა მოეკლა თავი? გაჰყვა ამ კაცს, ჩამოვიდა მერე თბილისში. ის კაცი აქაც ჩამოჰყვა. ამის გამო უკმაყოფილოა ევგენი მიქელაძის ოჯახი. ეს მაშინ ვიგრძენი, როდესაც ევგენი მიქელაძის ბიუსტი გახსნეს ოპერის გვერდზე.

შვილს თუ არ ვცდები ნიკოლოზი — მამას სახელი ქვია.

ჩვენ ვიყავით ყველაზე ღარიბები, თორემ ყველას ჰქონდა ოჯახში რაღაცები, უგზავნიდნენ იქ ვერცხლის დანა-ჩანგალს, ელენე თათარიშვილი ცოტა ხელმოჭერილი ქალი იყო. ამათი ბანაკი იყო და რკინის ბადე, ბადის უკან იყვნენ „ბიტავიჩკები“ საყოფაცხოვრებო, „სებერიაჩკები“, კამეჩს რომ წააქცევდენ, ისეთი ქალები, კაცის მკვლელები, ქმარი რომ მოუკლავთ, ისეთი ქალები. ამათ ეწოდებოდათ „ბიტავიჩკები“ - на бытовом основании , ჰოდა, ამათ უცვლიდა ფულს. ერთხელ ასე ევაჭრა, ბოლოს შეთანხმდნენ ფულზე. იმან არც ფული მისცა და დანა-ჩანგალიც წაართვეს. *„ах вы троцкисты“* - იმათ იმდენი ჭკუა სად ჰქონდათ, სცოდნოდათ, ეს ქალები ვინ იყვნენ.

დედა ყვებოდა, გავყავდით არხების გასაწმენდათ, მიყვებოდათ ბადრაგი, გვეუბნებოდნენ „шаг на лево, шаг на право, стрелять будем“ , ხან კარტოფილის სათხრელად მიყავდათ. ეს მახსოვს. ახლა ბევრს ვნანობ... მაგრამ, აბა, როგორ გამომეკითხა, მაშინოდა...

დედა რომ ჩამოვიდა, დაიწყო სიარული, მივიდა ბათუმში *ჩეკაში* და ბევრი რამე გაიგო, ამიტომ დაბეჯითებით ამბობდა, რომ ანასე ნიკოლაიშვილმა დაღუპა მისი ოჯახი, ეს დღიურშიც აქვს ჩაწერილი.

ერთმანეთში როგორ ლაპარაკობდნენ, სტალინს ეძახდნენ ჩიბუხაძეს, მოლოტოვს ჩაქუჩაძეს...

210. მამია ორახელაშვილის ქალიშვილი.

იყო იქ ლაპარაკი ხვალ გაგვიშვებენ, ზეგ გაგიშვებენ, სად გაუშვებდნენ?!

დედა ხომ მეგრლის ქალი იყო, მაგრამ მაინც ამბობდა: ზუგდიდში ისაკი ჟვანია იყოო, რომელმაც სამეგრელოს ავტონომია მოითხოვა და თურმე, ზუგდიდში, ვიღაც მთავარ მოედანზე მეგრელი დადიოდა და ყვიროდა: კოპეშია გასაყიდი, გოგრა გასაყიდი! გამოაღო მეორე სართულიდან კარი ისაკი ჟვანიამ და დაიძახა *„მამაძაღლო, კოპეშია დაიძახე, კოპეშია ჰქვია გოგრასო.“* ამისათანა ჭკუის ხალხია სამეგრელოში ზოგიერთები. ჯერ საქართველო რა არის, რუკაზე დახედონ და აქ კიდევ მეგრელი ამას რომ იტყვის. ახლაც არიან ვიღაც ვიღაცები, თქვენ წარმოიდგინეთ. მე მინახავს გაზეთი „ყაზახის გაზეთი“ (გლეხის გაზეთი), სცემდნენ მეგრულ ენაზე, დამოუკიდებლობა უნდოდათ. იყო ვიღაც ბეკონია, მისწერეს კალინინს *„დაგვიხსენი საქართველოდან, ჩვენ იმიტომ შეუერთდით რუსეთს, დამოუკიდებლობა გვინდოდაო“.*

ბერიამ ამისთანებს დედა უტირა, თუმცა, ბერიას გამართლება არ შეიძლება, ვიღაცები ამბობენ, ბერიას საქართველოსათვის სიკეთე უნდოდაო. კარგი, ვთქვათ, სიკეთე გინდოდა საქართველოსთვის, ხარ იმპერიის დიდი ჩინოვნიკი, ვერ იტყვი ამას, ვერ გაამხელ, ვერ დაელაპარაკები საქართველოსათვის დამწვარ პატრიოტებს, რომელსაც შენ ჰგონიხარ სისხლის მსმელი და ბევრ ვინმეს აპატიმრებ, ხომ? ჯავახიშვილს ვერ გაუმხელ, ტიციან ტაბიძეს ვერ გაუმხელ, პაოლო იაშვილს ვერ გაუმხელ, მაგრამ თუ სიკეთე გინდა საქართველოსთვის, მარტო მთა-გორებისთვის გინდა სიკეთე? ევგენი მიქელაძე ხომ იცი ვინც არის? დირიჟორი, რომლის მსგავსი არ გყავდა, სანდრო ახმეტელი ხომ იცი? რაღას ხვრეტ? 10 წლით ჩასვი ციხეში, მერე კაცი გამოვა და უამრავ რამეს გააკეთებს. გერმანიის შეერთება[211] უნდოდაო, ეგ მე არ მაწუხებს, ჩემი სატკივარი საქართველოა და არა საბჭოთა კავშირი. გამოვა ვიღაც, მაიმუნი, იტყვის, უზარმაზარი ქვეყანა ააშენა სტალინმაო. საქართველოს რა გაუკეთა, საქართველო დაღუპა. ჯერ ჟორდანიამ, მერე სტალინმა, და მისმა დეგენერატმა ორჯონიკიძემ და ბერიამ.

ღრმად ვერ ვსაუბრობდი ამაზე, არ ვიცი, ეს ჩემი ნაკლია თუ არა, ხომ გეუბნებით, დრო იყო ასეთი, არ შეიძლებოდა ნდობა.

211. ე.ი. სოციალისტური და კაპიტალისტური გერმანიების გაერთიანება.

* * *

1970-იან წლებში, როგორც კი დავამთავრე უნივერსიტეტი, მუშაობა დავიწყე მწერალთა კავშირში. მე არ შემიძლია ეს დავივიწყო, ჩემი ამხანაგები იყვნენ იოსებ ლორთქიფანიძე, მერე დოქტორი გახდა ფილოლოგიის. ლიტერატურის ინსტიტუტში მუშაობდა, კარგი მკვლევარი იყო და მეორე ვაჟა მებუკე.

უნივერსიტეტი რომ დავამთავრე, ყველა გაანაწილეს და მე განაწილების გარეშე დავრჩი. წავედი ჩემს ჩოჩხათში, იქ მომდის დეპეშა იოსებ ლორთქიფანიძის და ვაჟა მებუკის ხელმოწერით. კარგი ურთიერთობა მქონდა მათთან. ესენი მისულან სერგი ჭილაიასთან, ის ჩვენ სემინარებს გვიტარებდა, იგი 1951 წელს აირჩიეს მწერალთა კავშირის მდივნად, 1952 წელი იყო, სერგისთვის უთქვამთ, თქვენი სტუდენტი, ჩვენი მეგობარი არ არის დასაკარგი კაციო. მას უთქვავს ახლა თავისუფლდება მწერალთა სასახლის დირექტორის თანამდებობაო. ვიყავი 23 წლის, აგვისტოში დავიწყე იქ მუშაობა, იმის მერე, 53 წელი ვიმუშავე იქ. ახლა შტატში არ ვარ, მაგრამ ხელშეკრულებით ვმუშაობ. 54 წლიდან ვიბეჭდებოდი, წერილები, რეცენზიები, ნარკვევები. მერე მომივიდა აზრი, რომ მწერალთა კავშირის ისტორია დამეწერა, ეს ვიკვლიე და მთელ რუსეთის იმპერიაში, საქართველოში პირველად შეიქმნა მწერალთა კავშირი 1917 წელს. ამ კვლევის დროს შემხვდა რეპრესირებული მწერლების ისტორიები, დამფუძნებელ ყრილობაზე შეიქმნა საბჭო და ამ საბჭოში ერთ-ერთი წევრი არის გრიგოლ რობაქიძე. პირველი წამკითხველი ამ შავად ნაწერისა იყო ნიკა აგიაშვილი, იყო ასეთი მწერალი, მან მითხრა „რეზო, მეგონა ყველაფერი ვიცოდი მწერალთა კავშირზე და თურმე, რამდენი რამ არ მცოდნიაო. ეს ისეთი ჯოჯოხეთური სამუშაოა, შენს მეტი ამას ვერავინ ვერ გააკეთებსო“. თან მითხრა, იქ რომ გაქვს რობაქიძე დაწერილი, ამას არავინ არ დაგაბეჭდინებსო, ასეთი რამ შეინახეო. ამის შემდეგ დავიწყე ამის შემონახვა, ის წიგნი გამოვიდა 1983 წელს: „მწერალთა კავშირი 1917-1982 წელი“. მაგრამ 1985 წელს, პერესტროიკის დროს, უამრავ დაბრუნებულ ადამიანს ვეკითხებოდი ისტორიას.

2001 წლიდან ვატარებ ლიტერატურულ ორშაბათებს, იქაც პარალელურად წამოვიდა მწერალთა კავშირის ისტორია, დრამატიზმითა და ტრაგიზმით აღსავსე ისტორია და პარალელურად გადაბმული რეპრესირებულ მწერალთა საღამოები. ამითი მე რეპრესირებული მწერლების წინაშეც მოვიხადე ვალი და ჩემი დედ-მამისა და-ძმების წინაშეც, რადგანაც მათი და ჩემი ცხოვრება გატეხა ხერხემალში რეპრესირებამ. თურმე, მე დედას მუსიკალურ სასწავლებელში უნდა მივებარებინე, რა ვიცი, რამდენი რამე დამაკლდა. ბედნიერი ვარ, რომ ეს ორი წიგნი გამოვიდა. ახლა ჩემი ოცნებაა ერთ წიგნად მანახა ესენი გამოცემული. ამას ერთ-ერთი რეპესირებულის შვილიშვილები მპირდებიან.

*12 სექტემბერი, 2005*











1. კასიანე და მარგარიტა კვერენჩხილაძეები

2. ფრაგმენტები დედის ბანაკის დღიურიდან, 1937

3. რევაზ კვერენჩხილაძე, ბათუმი 1941

4. მარგარიტა კვერენჩხილაძე, 25.08.1949

5. მარგარიტა კვერენჩხილაძე, 1962


Военная Коллегия Верховного Суда Союза ССР

СПРАВКА


ВОЕННЫЙ ТРИБУНАЛ ЗАКАВКАЗСКОГО ВОЕННОГО ОКРУГА

СПРАВКА





6. კასიანე კვერენჩხილაძის რეაბილიტაციის ცნობა, 15.11.1956

7. მარგარიტა კვერენჩხილაძის რეაბილიტაციის ცნობა, 12.03.1956

8. კასიანე კვერენჩხილაძის საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიერ რეაბილიტაციის ცნობა, 16.09.1998

9. მარგარიტა კვერენჩხილაძის საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიერ რეაბილიტაციის ცნობა, 16.09.1998

ПАНЦХАВА Надежда Васильевна, род. в 1900 г., г. Кутаиси, русская.

Приговорена 24.06. 1938 ОСО при НКВД СССР как ЧСИР к 8 годам ИТЛ.

Прибыла в Акмолинское ЛО 21.09.1938 из тюрьмы г. Тбилиси. Период нахождения в АЛЖИРе не указан.

Освобождена из Карлага 16.12.1945.

## Нина Панцхава

Мать Надежда Панцхава

Отец Николоз (Алеко) Панцхава

Фамили Панцхава

Имя Нина

Отчество Александровна

Телефон ближайших родственников

Год и место рождения г. Тбилиси

Возраст на момент ареста

Отца 2 года и 4 месяцев

Матери 2 года и 11 месяцев

Ф.И.О. сестры, брата сестра

После ареста родителей информант жил у родственников

Образование высшее

Ф.И.О. Информанта «Дети АЛЖИРа»

МАТЬ

Фамилия Панцхава

ბერტა დაჭერილი არ იყო, ქმარი რომ გადაასახლეს, რა იყო იცი? იმ პირველ კვირას ვინც დახვრიტეს, თორემ მერე აღარ ხვრეტდნენ, ბერტას ქმარი, სვეტლანას მამა, დახვრეტას გადაურჩა. რომ გადაასახლეს, ეს წაყვა, და მუშაობა დაიწყო იქ. დედაჩემის "ლაგერის" უფროსი იყო. მომავალი მძახალი. ჩემი ძმა კიროვობადში მუშაობდა, კიროვობადის ზევით არის განჯა; არა, განჯა არის კიროვობადი და ზევით არის *დაშკესანსკოე რუდოუპრავლენიე*[268], იქ მუშაობდა. სვეტლანაც იქ გაანაწილეს დონეცკიდან. ჰოდა, მე ამას ვთხოულობო, მეცხრე კლასში ვიყავი, წაველი და სურათი რომ ჩამოვუტანე, დედაჩემმა ეს ბავშვი მინახავსო, და მერე რომ გახდა რძალი, მერე გაიგო ვისი შვილი იყო, დედამისი იყო დედაჩემის ლაგერის რეჟიმის უფროსი, მაგარი მამალი ქალი, აზანზარებდა მთელ ლაგერს. მისი ძმა უკრაინის გენერალური პროკურორი იყო, ისიც დახვრიტეს. ქმარი

268. Рудоуправление.

მერე დაბრუნდა გადასახლებიდან. მე დონეცკში ჩავდიოდი, ალექსანდრე იაკოვლევიჩი, დონეცკის ქალაქკომის პირველი მდივანი იყო და მერე იყო კრასნოდარის ოლქის მდივანი. მე-9-ე ნომერი ლენინის ორდენი ჰქონდა, მე-9-ე კაცი იყო საბჭოთა კავშირში. იმისი ძმა დახვრიტეს.

გორის ქუჩაზე ეზოში რეპრესირებულის ოჯახი არავინ იყო. დედა რომ ჩამოვიდა, შვილებთან, რა თქმა უნდა, გაუცხოვება ჰქონდა, ვერ მიიღეს შვილებმა, მამიდა გვზრდიდა და იმასთან ვიწექით ლოგინში. ძალიან ძნელია, 6 წლის რომ ხარ, დედას რომ წაიყვანენ და მე-9 კლასში რომ ხარ, მაშინ ჩამოდის. იცი? გესმის მაგრამ, ესე ადვილი არ არის, მაგრამ რამდენიმე თვეში ყველაფერმა ჩაიარა. რძალ-მულს ერთმანეთში გართულება არ ჰქონიათ, ერთი პოლიტიკაზე თუ დაიწყებდნენ დავას, მამიდაჩემი სტალინის საფლავს არ ტოვებდა და დედაჩემი იძახოდა, – სტალინი მართალი იყოო, სხვები იყვნენ მტრებიო. ამაზე თუ იდავებდნენ, თორემ, კონფლიქტი ერთმანეთში არ ჰქონიათ. დედას მავნებლებად სხვები მიაჩნდა, მაშინ იქ მიდიოდა აგიტაცია პროპაგანდა.

დედას ყველა პატივს სცემდა, კარგი სპეციალისტი იყო, გულკეთილი, კარგ ოჯახში გაზრდილი. ხატი ჰქონდა, რომ წაიღო ასევე ჩამოიტანა. საჭმელის დამალვა ლაგერში არ შეიძლებოდა. *ქეთო კეკელია* დედასთან იჯდა, დიდი ქალი იყო, ამ კარებში არ შემოეტეოდა ცხონებული და საჭმელი არ ჰყოფნიდა, ღამე რომ დაიწყებდა მშიაო, დედაჩემი თვითონ იკლებდა და აჭმევდა. 9 წელიწადი ბალანდა არ უჭამია, არც გაუსინჯია... შაქარი, ბულკი, საავადმყოფოში ხომ იცი. არნახული კონცერტები ტარდებოდა, ბალერინები კამერაში პირდაპირ სცენიდან მიიყვანეს – ზოგი ცოლი იყო, ზოგი მდივანი იყო, ზოგი შვილი, ბევრი ბავშვებიც იყვნენ დაჭერილი, ვის როგორ მოხვეტდნენ, ზოგი ბავშვებიანად იყო. მაგალითად, ტუხაჩევსკის მდივანი, რომელიც 17 წლის იყო, ერთხელ გაიყვანეს ეს გოგო ბაქოს ციხიდან, რომ მოიყვანეს ვეღარ ვიცანით, ისე იყო დასიებულიო და მერე აღარ გვინახავსო, მგონი, მოკვდაო. ბაქოს ციხე ყოფილა საშინელება, რაღაც უბედურების უბედური, მაქედან რომ წაიყვანეს ერთ თვეში დაულაგდა ყველაფერი. ციხეში მიდიოდა "*რასფასოვკა*", შეყრილი იყო ყველა და ზოგის დაკითხვა, ზოგის ცემა. "*რასპალოჩნი*" პუნქტი იყო, ბაქოსი.

ჩემმა ძმამ დაშკესანში იმუშავა 3 წელი. მერე ჩავიდა ჭიათურაში, მერე ბერიას მაღაროზე იყო, როგორც მასტერი, მერე დაწინაურდა, მთავარი ინჟინერი გახდა, მაღაროს დირექტორი, მერე მეორე მაღარომ მმართველი და 45 წელი

გაატარა ჭიათურაში. ჩემი ძმა რომ წავიდა და წავიდა, დედა ჩემთან ცხოვრობდა. იქიდან ცოლი რომ ჩამოიყვანა და წავიდა ჭიათურაში, მას მერე იქ ცხოვრობდნენ. ორივე ბავშვი ჭიათურაში დაიბადა. მე რომ ჩავდიოდი, ჩამქონდა ბულკები, ნავთი და რაღაცები. აბა, უჭირდათ.

ბერიას მაღაროზე, შუშები ჩამტვრეული იყო და გაჭირვებული ცხოვრება იყო. მერე ქალაქში მისცეს ბინა, ჭიათურაში. ჩვენ 30 წელი მგონი გორის ქუჩაზე ვცხოვრობდით, 1937 დან 1962 წლამდე. მერე, როგორც რეაბილიტირებულებს მოგვცეს ოთახიანი ბინა, დედაჩემს უნდოდა რეაბილიტაციით მიღებული ბინა. რომ მოგვცეს, აღწერიდან ამოგვშალეს. მაშინ ხომ ვერ მიიღებდი ორ ბინას, აღრიცხვები იყო. მამიდა დარჩა გორის ქუჩაზე, იქ გარდაიცვალა, არ წამოგვყვა, მე და დედა წამოვედით.

არაჩვეულებრივი ხასიათის ქალი იყო, მთელ ეზოს უყვარდა. ჯერ გორის ქუჩაზე და მერე, ამ კორპუსში, ახლაც არ ყავთ დავიწყებული, ძალიან გულკეთილი იყო და ავ-კარგიანი, ვერ გააბრაზებდი, თუ გაბრაზდებოდა, მალევე ჩერდებოდა. მამიდაჩემი თუ გაბრაზდებოდა, ჩემს მტერს, კედლებს ლაწა-ლუწი გაჰქონდა, მანამდე როგორი იყო არ მახსოვს, მაგრამ შიში მაინც ჰქონდა ხვალინდელი დღის, სულ რაღაცის შენახვა უნდოდა, ხვალ რაღა ვჭამოთ. თითქოს ხვალ შეიძლება რაღაც მომხდარიყო. ამბობდა, კმაყოფილი ვარ, შვილები ვნახეო.

**(ცოლი):** ამდენი გაჭირვების შემდეგ, მაინც ვერ შეატყობდი, რომ ამხელა დაღი ჰქონდა. კი ამბობდა, საწყალი, – მთელი 9 წელი ჩემი შვილების ტირილის ხმა ყურებში მქონდაო. გულდაწყვეტილი იყო იმით, პირველად რომ ჩამოვედი, ჩემი შვილები უფრო მამიდასთან იყვნენო მიკედლებულიო, მერე უკვე, მალე მობრუნდნენ.

(**შვილი**): ლაგერი ერთი 100 ათასი 300 ათასკაციანი იყო. ელიტა მომღერლების, მოცეკვავეების ბალერინების, კონცერტები იდგმებოდა. არც ერთს არაა დანასწრები, ღამე კანვოი რომ შემოივლიდა ხოლმეო, ლაგერში აღნიშნავდნენ, რომ მარტო ხობუას ძინავსო. დაცლილი იყო ყველა. არ სურდა. საავადმყოფოში პრინციპით იყო, თეთრ ხალათში გამოწყობილი, კაი საჭმელი, კაი სასმელი, ყურადღება და კაი ხალხში, სულ აკადემიკოსებში და პროფესორებში. ის ხუსეინბეკოვი იყო ჩვენთან ჩამოსული, რაზე დაგიჭირეს-მეთქი ვკითხე, ძალიან ლამაზი ჭაღარა კაცი იყო, *ფრანცუჟენკა პარიზელი* ჰყავდა ცოლი, პირველი პედიატრი იყო საბჭოთა

კავშირში, სამი ნეკნი აქეთ მაკლიაო და ორი აქეთო. დაბადების დღეზე მივდიოდით ოთხი მეგობარი, მეხუთესთან, ბავშვის დაბადების დღე ჰქონდაო, შევედით მაღაზიაში ფეხსაცმელი ვუყიდოთო და ვერ შევარჩიეთ ვერაფერი და ეს რა ქვეყანაა, ფეხსაცმელი არ იშოვებაო, – ვთქვიო. მოვედი და დილას ვსოო. ცოლი მაგრად უწამებიათ, აღარ შეხვედრია, მოკვდა ცოლი. მერე რეაბილიტაცია მისცეს, ჩამოვიდა ბაქაოში, ერთ-ორჯერ იყო სტუმრად ჩვენთან.

1952 ში რომ მივედი, *გეპეიში* ნახევარი *გეპეი* არ დამხვდა. ის ქალი მაინტერესებს, კეკელიძის ქალი იყო, მათემატიკაში მყავდა. მაგათი (ლექტორების) წაყვანას სხვა თეორია ედო: ისენი წაიყვანეს, ვისაც ჰყავდა საზღვარგარეთ სანათესაო, კაზაკები ჩამოიყვანეს სპეციალურად, ჯვრიანი ქუდებით დადიოდნენ, ხმლებით. მოკლედ, ბარბაროსობის მეტი არაფერი იყო.

მიზანდასახული იყო, ჯერ ერთი ხალხს რომ დაეჯერებინა და მერე პატარა საქმე კი არ აკეთებინეს ამათ. წარმოიდგინე, მთელ ქალაქში შეიძლება ერთი "საპოჟნიკი" იყო შპიონი, მაგრამ "საპოჟნიკები" შპიონი? ყველა კატეგორია ჰყავდათ წაყვანილი, ელექტრიკი, კბილის ექიმი, მთელი ციმბირი ააყვავეს, რაები არ გაიყვანეს, და რა არ გააკეთეს. ამას ხომ სჭირდებოდა სპეციალისტი? პროცენტულად იყო დაჭერები, ქართველი ამდენი, ელექტრიკი ამდენი, სომეხი ამდენი, რაოდენობას უყურებდნენ. ფილოლოგი ამდენი, იურისტი, იქ არ დაკლებოდათ ეს ყველაფერი. ახლა, იტყოდა ხოლმე ლიდერი ვინც იყო, მაგალითად, ჯესკაგანის მაღაროთა უფროსი, იმას დაცვა დაჰყვებოდა და მანქანა და მოსამსახურე. იმათ ჩიტის რძე არ დაკლებიათ, ვინც ძალიან ძლიერები იყვნენ.

დაჭერამდე ვცხოვრობდით როგორც მთავრობის წევრის ოჯახი, სამთავრობო "ლგოტებით". დაცვაც იყო, მანქანაც ემსახურებოდა, მოსამსახურეც ჰყავდათ. ნაცნობ-მეგობრები იმ სახლში ვინ მოდიოდა, არ მახსოვს, ამ სახლში კიდევ შეიძლება. იქიდან მარტო ბერია მახსოვს, მეტი არავინ. აქ მამაჩემის და დედაჩემის ნათესაობა თუ მოდიოდა, თორემ მეგობრები მე არ მინახავს. ერთი ვინც მოდიოდა, მამიდაჩემის მეგობარი იყო, მამას წრე სულ დაიჭირეს და დედას მეგობრები ვინ უნდა მოსულიყო? ყველას ეშინოდა. რომ გადაასახლეს, მერე მოდიოდა მისი დეიდაშვილი. რომ ჩამოვიდა, დედაჩემი ძლიერი ქალი იყო, ურთიერთობების პრობლემა არ ჰქონდა, პირიქით, სულ აღადგინა ნათესაობაში მისვლა-მოსვლა, მეგობრებშიც, კარგი მეგობრები ჰყავდა, საზოგადოდ გამოსული ქალი იყო.

ასეთი ოჯახები ჩვენს გარშემო რამდენიც გინდა, იმდენია. ციალა ბერუჩაშვილი, მისი შვილი ციალა ჩემი ძუძუმტეა, საშკა იოსელიანის ბებია. ლუბას არ ჰქონდა რძე, მამაჩემიც რაიკომის მდივანი იყო, იმის მამაც და ქობულეთში რომ ისვენებდნენ, იცნობდნენ კაცები ერთმანეთს და დედაჩემს ბევრი რძე ჰქონდა 3-4 ბავშვი ჰყავს გაზრდილი. (ბებია მიყვებოდა ხალმე).

რეაბილიტაციას ჩვენი ცხოვრება არ შეუცვლია, გინდა მოეცათ და გინდა არა. პირიქით შეიძლება უფრო სწორი ყოფილიყო რომ დარჩენილიყო ისე, როგორც იყო – „ვრაგ ნაროდა“. *რას ჰქვია სამშობლოს მოღალატე, შვილების მოღალატე? მე იმისთანა ნაბიჯს გადავდგამ, რომ თინიკოს ვუღალატებ? სამშობლო, რამდენიც არ უნდა იძახო, არის დედა, მამა, ცოლშვილი, ოჯახი, სისტემა, თორემ ცარიელი მიწა-წყალი ვის რაში სჭირდება, ვინ დადებს მაგისთვის თავს?*“

პერესტროიკა რომ არ დაწყებულიყო, ადრე თუ გვიან, მაინც დაიშლებოდა საბჭოთა კავშირი, ვაი, იმისთანა დაშლას, ეგ რომ დაიშალა! კიდევ კავშირში ყოფნისას ერთი თავით მაღლა იდგა საქართველო, იმაზე რაც დღეს არის. რას გააკეთებენ ხვალ, არ ვიცი, მაგრამ საქართველო დღეს რომ დაშლის გზაზეა, მაგას, მგონი, ბრმაც ხედავს.

დამოუკიდებლობისთვის იბრძვის მთელი მსოფლიო, მაგრამ, ვაი, მაგისთანა დამოუკიდებლობას. პერესტროიკა ჯერ კიდევ ხრუშჩოვის დრო დაიწყო 1953წ. კომუნისტებს უნდობლობა გამოუცხადა, უსაქმურ ცეკას ინსტრუქტორებს, ასე მომწიფდა და მერე გარბაჩოვმა გამოიყენა. აბა, ტყუილად მისცეს ნობელის პრემია?

ამ მოვლენების სიმართლე და სისწორე? ფაქტი ერთია – დახვრეტილმაც და დაუხვრეტავმაც იცოდეს რომ ეს სწორი არ იყო, მაგრამ, ვაი, იმ თქმას. ისტორიას შემორჩება ანალიზი, თორემ რა კეთდება? სახლს დაგიბრუნებენ, შეგასახლებენ, ან რა ზარალიც მოგაყენეს მორალური, ან ვთქვათ რამე გაგიკეთეს? – არაფერი. ხალხმა ქვეყნის რამე იცის. საქართველოში მორები ჩამოდიოდა. ზედ ეწერა გვარები და სახელები, თარიღები – მე ეს და ეს ვარ და იქნებ ჩაუტანოს ვინმემ ამბავიო. ჭიათურაში რამდენი გვარი წაუკითხავთ, რუსეთიდან შემოტანილ ხის მასალაზე. ამას ხომ ისინი ჭრიდნენ, ხერხებით და ცულებით. იყო ხალხი, რომელსაც მიმოწერის უფლებაც არ ჰქონდა.

ჩემი ძმა ამხელა ტრესტის მმართველი იყო, ბიუროს წევრი იყო, მეც პარტიული ვიყავი, 1500 კაციან კოლექტივში, პარტიული თუ არ იყავი, პარტიული კრება წყვეტდა ყველაფერს.

დღევანდელი მდგომარეობა რომ შეაფასო, – ძალიან გაჭირვებაა, გაჭირვება მე იმდენად არა მგონია ყურადღება გასამახვილებელი, რამდენადაც საქართველო მთლიანი არ არის. მესხეთ-ჯავახეთში – სომხები, აზერბაიჯანელები, იქ – ოსები, აქეთ – აფხაზები, თუ გავა დრო და გადავრჩებით, ამისთანა საცხოვრებელი ქვეყანა არ იქნება.

შუქზე, გაზზე და წყალზე პატარა შეღავათები მოგვცეს, მე მამას პენსიას ვღებულობ 45ლარს, ახლა 48 ლარია. დედაზე არა, ორჯერ ხომ არ მომცემენ და ჩემ ძმასაც უნდა მიეღო. შეეძლო ალბათ, მაგრამ ჩვენ ეგ არ გვაინტერესებდა, მე ცოლმა წამიღო ტვინი. მაგის გულისთვის ვერ წავიდოდი *კაგებეში* და რიგში ვერ ჩავდგებოდი.





1. დედა – მარიამ კეთილაძე

2. მამა – პიმენ ხობუა

ЧАВЧАНИДЗЕ Варвара Дмитриевна, род. в 1905 г., г. Цулукидзе, Грузия, грузинка.

Приговорена 16.12.1937 ОСО при НКВД СССР как ЧСИР к 8 годам ИТЛ.

Прибыла в Акмолинское ЛО 14.11.1938 из тюрьмы г. Тбилиси. В АЛЖИРе находилась до 05.07.1941. Убыла 05.07.1941 в Печорлаг.

Освобождена из Карлага 01.03.1946.

## სიუზანა ჭავჭანიძე

დედა ვარვარა ბარქაია-ჭავჭანიძე

მამა მიხეილ ჭავჭანიძე

გვარი ჭავჭანიძე

სახელი სიუზანა

მამის სახელი მიხეილი

დაბადების წელი ადგილი 1931. თბილისი

ინფორმანტის ასაკი მშობლების დაპატიმრების მომენტში:

მამა 6

დედა 6

ძმის\დის – გვარი სახელი მამის სახელი ლამარა ჭავჭანიძე

მშობლების დაპატიმრების შემდეგ ინფორმანტი ცხოვრობდა ნათესავებთან (ბებია, დეიდა)

განათლება უმაღლესი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ბიოლოგიური

პროფესია ექიმ-ვირუსოლოგი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა პენსიონერი

გათავისუფლების შემდეგ დედა ცხოვრობდა ქალიშვილთან

დედა

გვარი ბარქაია

სახელი ვარვარა

მამის სახელი დიმიტრის ას.

დაბადების წელი და ადგილი 1905 წ. ხონი

განათლება ფარმაცევტული

სამუშაო ადგილი, თანამდებობა ფარმაცევტი

დაპატიმრების თარიღი 1937

განაჩენი ხალხის მტრის მეუღლე

სასჯელის მოხდის ადგილი აკმოლენსკის ბანაკი

ბანაკიდან გათავისუფლება 1946 წ

რეაბილიტაცია 1956

გარდაცვალების თარიღი 1981

მამა

გვარი ჭავჭანიძე

სახელი მიხეილი

მამის სახელი დიმიტრის ძე

დაბადების წელი და ადგილი 1898. ხონი

განათლება მოსკოვის გენერალური აკადემია

სამუშაო ადგილი, თანამდებობა ამიერკავკასიის ქვეხოსანთა სკოლის უფროსი

დაპატიმრების თარიღი 1937 წ.

მამა – მიშა დიმიტრის ძე ჭავჭანიძე. მუშაობდა სამხედრო სკოლაში, პლეხანოვზე (დავით აღმაშენებელის გამზირი). ამ შენობას ეძახდნენ „ТАУ"[269] -ს. მამას მთელი საბუთები დაიკარგა, გაანადგურეს... არაფერი აღარ დამრჩა, ყველაფერი წაიღეს, თითქოს გაცოცხლდებოდა...

მამა იყო გენერალი, მოსკოვში ჰქონდა დამთავრებული სამხედრო აკადემია, შემდეგ მუშაობდა ოდესაში. 1926 წელს თბილისში გაანაწილეს.

უპატიოსნესი ადამიანი იყო, ასე ვიცი მე...

მამას მეგობრები ყველა დაჭერილი იყო... 5 წლის წინ მამას კურსანტი ვნახე. წარმოიდგინეთ, უკვე ხანშიშესული კაცი. ის პირველი იყო, ვინც მამაზე მომიყვა. „*ძალიან ლამაზი კაცი იყო, ისეთი „პახოდკა" ჰქონდა, სულ უკან დავსდევდით კურსანტები და მისნაირად დავდიოდითო*". მამას „*ანგლიჩანინს*" ეძახდნენ, ქერა, ცისფერთვალება, ლამაზი არა, მაგრამ არისტოკრატული გარეგნობის კაცი იყო.

ბევრი მოსაგონარი არ მაქვს მამაზე. მაგრამ მახსოვს, ცუდ ამინდში, წვიმდა თუ თოვდა, სახლში გასუფთავებული შემოდიოდა. სად იწმენდდა ჩექმებს, არ ვიცი. დედა, ასეთ ამინდში, სახლში, რომ ბრუნდებოდა, სულ დასვრილი იყო... მე დედას დავემსგავსე, სიარულით... თუმცა, დედაც არ ჩამორჩებოდა მამას თავისი სიპეწით.

მე ძალიან დამოუკიდებელი ვიყავი, ყველაფერი თავად მინდოდა გამეკეთებინა, დღემდე ასე ვარ.

მამას მშობლები არ ჰყავდა. დედის მხრიდან ბებია და ბაბუა კარგად

ცხოვრობდნენ. მამამ დედა რომ ითხოვა, ბებია (დედის დედა) არ ატანდა შვილს, „*სხვანაირად გაზრდილია, გაუჭირდება ოჯახური ცხოვრება. ჩაის ვერ აგიდუღებს, რად გინდა ასეთი ცოლიო*". მამამ პირობა მისცა, რომ არაფერი გაუჭირდებოდათ, „რესტორანში ვისადილებთ და ჩაისაც იქ დავლევთო".

მამა დედას ბავშობიდან, 16 წლიდან, იცნობდა. სკოლა, რომ დაამთავრა, მოსკოვში წავიდა სასწავლებლად. როდესაც დაოჯახდნენ დედა 20 წლის, მამა კი – 25 წლის იყო.

დაოჯახდნენ... მაგრამ დედამ ჩაი ვერ ადუღა... (იცინის). რესტორანში სვამდნენ ჩაის. ერთხელ დედას რესტორანში ჭიქა არ მოწონებია და ჩაის დალევა სახლში გადაწყვიტა. მამას უთქვამს, „*ბაბუკა, რა უყავი ამ წყალს, სხვანაირი გემო აქვს, რა ჩაასხი, მითხარი*", ატყუებდა. ამ ფაქტის შემდეგ, დედაჩემმა, დაიწყო საჭმლის კეთება. დედას და მამას დიდი სიყვარული ჰქონდათ, ისეთი სიყვარული, რომ არა 1937 წელი, ალბათ, ოჯახი კიდევ გამრავლდებოდა.

269. ТАУ – Тбилисское Артиллерийское Училище.

დედამ ფარმაცევტული დაამთავრა, შემდეგ სურვილი ჰქონდა სამედიცინო ინსტიტუტში გაეგრძელებინა სწავლა.

1937 წელს, მამა რომ დაიჭირეს, დედა მე-4 კურსის სტუდენტი იყო, მე ხუთი წლის ვიყავი, ჩემი და კი – რვა წლის, პირველ სკოლაში სწავლობდა.

მამის დაპატიმრება კარგად მახსოვს. მას სტუდენტები ჰყავდა წაყვანილი მანგლისში, სადაც პოლიგონი იყო. იქ დაიჭირეს, ჩვენ არაფერი ვიცოდით. ძნელაძის[270] ჩამოსახვევთან, ოპერას უკან, სამხედრო სახლში ვცხოვრობდით, მესამე სართულზე. მახსოვს აივანზე ვიდექი... ეზოში ავეჯი ელაგა, გასახლებული ხალხის სახლებიდან გატანილი. კოკისპირული წვიმა მოდიოდა, სველდებოდა ყველაფერი. გამოსახლებულ ხალხს სადარბაზოში აღარ უშვებდნენ, „*ტროცკისტებს*“ ეძახდნენ.

კარგად მახსოვს, ორი სამხედრო დავინახე, „დედა დედა, *ობისკზე* მოდიან“ დავუძახე. ალბათ, სტრესი მქონდა... გაგიჟდა დედაჩემი, რა „*ობისკი*“, რის „*ობისკი*“. ჩემი ბავშვური ტვინით, ვიფიქრე, რომ ჩვენთან მოდიან. მართლაც დააკაკუნეს და „*ობისკზე*“ მოვიდნენ. დედას აცნობეს, რომ მეუღლე დაიჭირეს და სახლი უნდა გაეჩხრიკათ. მამას ბევრი წიგნი ჰქონდა, ერთი წიგნიც რომ გადაეშალათ და სადმე ტროცკისტის გვარი ამოეკითხათ, მხოლოდ ამისათვის შეიძლებოდა დაეჭირათ. როგორც ჩანს, ყველა ოჯახში, წიგნები უნდა გადაეთვარიელებინათ და ტროცკისტების გვარები ამოეშალათ.

დაიწყეს ჩხრეკა, ავიდნენ კარადის თავზე, სადაც მამას ჰქონდა შენახული ხმალი, რომელზეც წარწერა იყო გაკეთებული. ეს ხმალი წაიღეს.

1937 წელს მამა 39 წლის, დედა – 34 წლის იყო.

„*ობისკზე*“, რომ მოვიდნენ წიგნები და სურათები წაიღეს, ჩვენ მეტი არაფერი არ გვქონდა. ავეჯი სახელმწიფოს საკუთრება იყო, „კაზიონი“, ნომრებით. ასეთ ავეჯს თანამდებობის პირებს აძლევდნენ. ოვალური ნომერი იყო, ძალიან მიყვარდა, სადღაც მაქვს კიდეც შენახული. გვქონდა ნომრიანი „კომოდი“, კარადა და საწერი მაგიდა. ეს იყო ჩვენი ავლადიდება. მახსოვს, ერთხელ, დედამ მამას უთხრა, რაღაც შევიძინოთო. მამამ უპასუხა „*რას მეუბნები, ჩვენ იმისთვის ვიბრძოლეთ, რომ ხალხს კარგად ეცხოვრათ, როცა ხალხი უზრუნველყოფილი იქნება, მერე ჩვენ შევიძენთო*“. დედას იმის შემდეგ ხმა არ ამოუღია.

„*ობისკის*“ მერე ჩვენ „შუბებში“ (ქურქებში) გამოწყობილები ვიყავით, ზაფხული იყო, მაგრამ ვძაგძაგებდით. ბავშვები შიშისაგან ვკანკალებდით. ორი ადამიანი იყო შემო-

270. ძნელაძის ქ. – ახლანდელი რევაზ თაბუკაშვილის ქ. თავდაპირველად ერქვა მესანგრეთა (Сапёрная); ერთ დროს იოანე პეტრიწის ქუჩად იწოდებოდა.

271. КГБ _ Комитет Государственной Безопасности. ანაქრომნიზმია, იმ დრომისთვის სახელმწიფო უშიშრომების ფუნქციას ასრულებდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი (Народный Комиссариат Внутренних Дел). სახელმწიფო უშიშრომების კომიტეტი (КГБ) შეიქმნა 1954 წ. მას შემდეგ რაც გამოეყო ბერიას შექმნილ შინაგან საქმეთა სამინისტროს როგორც ცალკე ორგანო.

272. ყიფიანის ქ. – დიმიტრი ყიფიანის ქ. მთაწმინდის უბანში.

სული სახლში, სომეხი და რუსი. კამოზე ცხოვრობდა ვიღაც „კაგებეშნიკი[271]“, რომელსაც ჩვენი ბინა უნდოდა, ჩვენც გამოგვასახლეს. იმ კაცს რომ არ ეჩივლა, არ გამოგვასახლებდნენ.

ერთ თვეში დაიჭირეს დედა. ამ დროს მე ბებიასთან სოფელში, ხონში ვიყავი, ჩემი და თბილისში დარჩა.

1937 წელს დედა სტუდენტი იყო, მას დამალვა ურჩიეს, ტალღა გადაივლის და გადარჩებიო. დედას ვერ წარმოედგინა ინსტიტუტის გაცდენა. ვერ ხვდებოდა რატომ უნდა დაეჭირათ.

ჩემი და რვა წლის იყო, დედას წასაყვანად რომ მოვიდნენ. ის უფრო ტრამვირებული იყო, ვიდრე მე. ის მამასაც დაჭერამდე, წინა დღით განმოემშვიდობა, მანგლისში... დედამ მოითხოვა, შვილს მაინც გამოვემშვიდობოო... ჩემი და დეიდას ყავდა წაყვანილი, რომელიც ყიფიანის[272] ქუჩაზე ცხოვრობდა. ძლივს მოგლიჯეს ბავშვს დედა. ბებია დედას ამშვიდებდა „*არ ინერვიულო, გამოგიშვებენ, დანაშაული არაფერი გაქვს ჩადენილიო*“. ასე დაცილდა დედა და ჩემი და.

მე და ჩემმა დამ „მონანიება“ რომ ვნახეთ, ჩემს დას გული წაუვიდა, გაახსენდა ყველაფერი. ჩემი და ტიროდა, მამა წამართვით და დედასაც მართმევთო“. მოგლიჯეს დედას ბავშვი...

მე იმდენად არ განმიცდია, იმიტომ, რომ თბილისში არ ვიყავი, არც მამა მინახავს არც დედა. ერთადერთი, ეს „ობისკი“ მახსოვს.

მე ამ დროს სოფელში ვიყავი, დედის მშობლებთან. მესმის ჩურჩული... სოფელში ჩამოვიდა ჩვენი ნათესავი, ყური მოვკარი, რომ ვიღაც დაიჭირეს. მივხვდი, რომ დედაზეა საუბარი. ვითომ არ გამიგია, წავედი, ვიტირე და ვიტირე... მას შემდეგ ცრემლი ჩემს თვალზე არავის უნახავს, სულ ვერიდებოდი... იმის შემდეგ გავმაგრდი, არ მიყვარდა საოცრად, რომ იტყოდნენ „*რა ცოდოა, ბავშვს მშობლები არ ჰყავს*“... ეს იყო ჩემთვის მაქსიმალური შეურაცხყოფა. რა მაქვს საცოდავი, ძალიან ძლიერი გამოვდექი, არავისი არ მშურდა... ერთადერთი, გული მწყდებოდა სკოლაში, ბავშვები თავის მშობლებზე ლაპარაკობდნენ. მე ხმას არ ვიღებდი... თუმცა, არაფერი მიგრძვნია არც პედაგოგებისაგან, არც მეგობრებისაგან, კარგი ამხანაგები მყავდა. ზოგიერთ ჩემნაირს ეძახდნენ „*შე, ტროცკისტის შვილო*“, ჩემთვის ასე ცხოვრებაში არ დაუძახიათ...

სოფლიდან გადმოვედი თბილისში, ვსწავლობდი მეორე ქალთა სკოლაში. დედა იწერებოდა, დები არ დააშოროთ

ერთმანეთსო. ჩვენ ცალ-ცალკე ვიყავით. მე ბებია-ბაბუასთან სოფელში, ჩემი და, რადგან სწავლობდა, თბილისში, დეიდასთან.

არაჩვეულებრივად ვიზრდებოდით, არაფერი არ მოგვკლებია. უდედობა არ გვიგრძნია, უბრალოდ, ვიცოდით დედა და მამა. ისე გვექცეოდნენ, ხელისგულზე გვატარებდნენ, უკანასკნელს ჩვენ მოგვცემდნენ, თვითონ შეეძლოთ არ მოეკიდათ ხელი, ესეც კი გულს მტკენდა...

მერე დეიდამ მე წამომიყვანა, ჩემი და ბებიაჩემმა „დაითრია".

კარგად ვსწავლობდი, მაგრამ ბოლოს ავურიე. მე-7 კლასში ვიქნებოდი, ვიფიქრე, *„რატომ ვსწავლობ? დედამ ისწავლა, მამამ ისწავლა, და რა... სრულებით არ მინდა სწავლა"*... გაგიჟდა დეიდა, ბავშვი ხუთებზე სწავლობდა და რა დაემართაო.

დედა ჯერ ტაშკენტში, იყო, მერე აკმოლენსკში გადაიყვანეს, სადაც ფარმაცევტად მუშაობდა. ისინი ცხოვრობდნენ ბარაკებში კოლონიის მსგავს „*ზაპრეტნაია ზონა*"-ში. ბარაკებიდან დადიოდნენ სამსახურებში, იქ საავადმყოფოც იყო. ზონის გარეთ არავინ გაგიშვებდათ.

დედამ ბანაკიდან ჩემს დეიდაშვილს გამოუგზავნა „*ტიუბიტეიკა*[273]". არაფერი არ იცოდა, მაგრამ ყველაფერი ისწავლა, აქედან წაღებული პალტო, 9 წელიწადში დაძველდა, გადააბრუნა, „შპილკით" (თმის სარჭი) შეიკერა. გამაგრდა გაჭირვების დროს...

273. Тюбетейка - არახჩინი

დედასთან წერილებს ვგზავნიდით. ჯერ კიდევ სკოლაში არ დავდიოდი, როდესაც მითხრეს, ახალი მთვარე რომ გამოვა, უნდა თხოვო, რომ დედა დაბრუნდეს და აუცილებლად შეგისრულდებაო. მე ახალი მთვარე მრგვალი მეგონა, იმიტომ, რომ დიდია. როდესაც დიდ მთვარეს დავინახავდი, ვიძახდი, „*ახალო მთვარევ, შენ გამახარე, ჩემი დედ-მამა მანახე*". ეს არასდროს არ მითქვამს არავისთვის, ახლა გიყვები.

მერიდებოდა ყველაფრის, დარდისაც კი მერიდებოდა. სკოლაში ძალიან ცელქი და მხიარული ვიყავი, მოწყენილს ვერ მნახავდით, ამით გადამქონდა ჩემი დარდი, სხვას არ ვაწუხებდი.

ჩემი მეგობრები მეუბნებოდნენ, არასოდეს საყვედური არ გითქვამს, ყოველთვის მხიარული იყავი, მაგრამ გაკვეთილზე რომ გადმოგხედავდით, ძალიან ნაღვლიანი სახე გქონდაო. იმ დროს, ალბათ, დედაზე ვფიქრობდი.

დედა რომ დაბრუნდა, მთელი გზა ვტიროდი, დეიდა მარტო რომ დავტოვე. დეიდაზე ვგიჟდებოდი, არაფერი არ მწყინდა მისგან.

დედა ჩამოვიდა 1946 წელს. სოხუმში ვიყავი დეიდასთან, დაგვირეკეს სახლში და გვითხრეს, რომ დედა ჩამოვიდა. დედა, თბილისში, მეორე დეიდასთან მისულიყო, ჩვენ ბინა გვქონდა კამოზე (უზნაძის ქუჩა).

დედა ჩამოვიდა, მე სოხუმიდან წამოვედი და მთელი გზა ვტიროდი. . .

ვნერვიულობდი დეიდას რა ეშველებოდა, დავტოვე ისინი მარტო... დედა რომ დავინახე, ვერ დავუძახე „დედა“, ვამბობდი, რომ არანაირი სხვაობა არ არის დედასა და დეიდას შორის. 5 წლის ვიყავი, დედა რომ წავიდა და 9 წლის შემდეგ ჩამოვიდა. 14 წლის ვიყავი, ვერ დავუძახე „დედა“. დედამაც ვერ მიცნო. მე ვიცანი... მაგრამ რაღაცნაირად სითამამე არ მქონდა, რომ მივსულიყავი, მოვფერებოდი და ჩავხუტებოდი... თვითონ ჩამეხუტა, მაგრამ „დედა“ არ დამიძახია, გაუცხოვებული ვიყავი. დეიდასთან სულ სხვანაირი ურთიერთობა მქონდა. მერე ძლივს ამოვღერღე *„დედი“* ... *„ეს რა სიტყვააო“* – გაბრაზდა, „ *„დედი“* ვარ თუ *„დედა“?*“... *„დედი“*, მე მორიდებით ვთქვი, ბოლომდე ვერ გავბედე, რომ მეთქვა. მალე, ერთი თვეც არ გასულა, თვითონ მითხრა „დედა“ დამიძახეო. დავუძახე...

დედა, როგორიც წავიდა, ისეთივე დაბრუნდა, ახალგაზრდა იყო, სულ რაღაც 40 წლის.

როგორც დედა ყვებოდა, ძალიან არ უტანჯია. მეზობელი მყავდა, გადასახლებაში ყოფნისას ტყეში მარწყვს კრეფდენ, ერთი მარწყვიც რომ შეეჭამათ, ესროდნენ. დედა ყოველთვის კარგ ადგილზე მუშაობდა, პაიოკებიც ჰქონდა. დეიდა და ბიძა აქედან უგზავნიდნენ საჭმელებს, დედას იქ არ უჭამია გაყინული ხორცი. ადრე ამერიკელები რკინის კოლოფებში ერბოს გვიგზავნიდნენ, კოლოფს ჭრიდნენ და შიგნით პროდუქტს ალაგებდნენ. თვეში ერთხელ პაიოკს აგზავნიდნენ. დედა იქ ყველას ეპატიჟებოდა. მახსოვს სულგუნებში თოკს უყრიდნენ, მზეზე ახმობდნენ და კოლოფში აწყობდნენ. ზოგჯერ ფულსაც უგზავნიდნენ. *„ლაგერში“* რაღაცეები იყიდებოდა. ერთხელ ფული ტრუსიკის რეზინაში ჩაუკერებით და დედას ვერ უპოვია.

გამოგზავნილი ნივთი – „ტუბიტეიკა“ მახსოვს, ისიც სად არის ახლა, არ ვიცი. მხოლოდ სურათი შემომრჩა, დეიდაშვილს ახურავს. ერთხელ შავი ჩულქი დაურღვევია, *„პროსტინიდან“* ძაფი გამოუღია და აბლაბუდასავით, არაჩვეულებრივი *ბლუზკა* მოუქსოვია, რომელიც გამოგზავნა. მერე ცდილობდა გაეკეთებინა, მაგრამ ვერ გაიხსენა როგორ მოქსოვა.

გამომიგზავნა წიგნში ჩასადები, დაქარგული ძაღლი, რომელიც სკოლაში მომპარეს, ძალიან გული მწყდება.

პატარა იყო, ძალიან ლამაზი ფერებით. წიგნიდან ამომაცალეს... არ უნდა წამელო სკოლაში...

მამა დახვრიტეს, აღარ მინახავს. დედას ეგონა გადასახლებული იყო. რეაბილიტაცია როდესაც მივიღეთ, მაშინ გავიგეთ მამას ამბავი. ვიღაცამ მოგვიყვა, როგორ აწამებდნენ ასეთ პატიმრებს. თოკს მოაბამდნენ კაცებს, და ჯერ ცივ წყალში და შემდეგ ცხელში შეყავდათ. მამაზე არაფერი საბუთები არ არსებობდა, ჩვენ გვითხრეს, *„Вы должны гордиться, потому что он не подписал список“*, უწამებიათ, რადგან მამას არ მოუწერია ხელი სიაზე, რომ კონკრეტული ადამიანები მასთან მუშაობდნენ. გავიგეთ, რომ თვალები დათხარეს კონდახითო.

მახსოვს, ჩემი დეიდაშვილი ციხისკენ წავიდა, ყარაულობდა, იქნებ რაიმე დაენახა. როგორც ყვება, გამოიყვანეს ხალხი, წაიყვანეს სამშობიაროს[274] მხარეს, ორთაჭალაში. ეტყობა, იქ დახვრიტეს, მას მამა არ დაუნახავს, მაგრამ სულ გაშიშვლებული ხალხი შენიშნა საბარგო მანქანაში.

არასოდეს არ მიგრძვნია, რომ მშობლები გადასახლებული მყავდა, ამას არც ჩემთვის, არც ჩემი დისთვის ხელი არაფერში შეუშლია. ინსტიტუტში მოვეწყვე, ერთადერთი, კომკავშირელი არ ვიყავი, მე არ მინდოდა. რომ წამოვიზარდე, რადგან მშობლები დაჭერილი მყავდა, სწავლასაც თავი დავანებე პროტესტის ნიშნად. კომკავშირში – არ შევედი. დირექტორმა განცხადება დაწერა ჩემს მაგიერ, კომკავშირში მიღებაზე და მთხოვა გასაუბრებაზე მივსულიყავი. შევედი, ვუთხარი, რომ არ მინდა კომკავშირში, ვიღაც კაცი დამხვდა, ვინ ხართო, მშობლები ვინ არიანო. ვუთხარი, რომ „ტროცკისტები„, რომლებიც დაიჭირეს. ძალიან ამაყი ვიყავი, თავს არავის დავაჩაგრინებდი. მითხრა: *„აი, ხედავთ, თქვენი მშობლები, მოღალატეები არიან, ჩვენ კი მაინც გღებულობთ კომკავშირშიო“*. მე ვუთხარი, რომ არ მინდოდა კომკავშირში, გაწითლდა ეს კაცი და იქ მყოფთ ჰკითხა, მივიღოთო? მათ გადაწყვიტეს, რომ მიველე. გამოვედი, შემხვდა სკოლის მოწაფე, კომკავშირის მდივანი, 20 კაპიკი საწევროა გადასახდელიო, და მე გადავიხადეო. შენი ვალი მმართებს მეთქი, და 20 კაპიკი მივეცი, ვალი გავისტუმრე. იმ 20 კაპიკს დღესაც მივსდევ. ეს იყო და ეს, ჩემი კომკავშირი ამით დამთავრდა.

ინსტიტუტში მოვეწყვე, ჯერ დავამთავრე სასოფლო, მერე დავამთავრე ბიოლოგიური, მერე კვალიფიკაცია მოსკოვში გავიარე, ახლა ბაქტერიოლოგი ვარ. ჩემმა დამ სამედიცინო დაამთავრა, ის უკვე სტუდენტი იყო, დედა რომ დაბრუნდა.

274. სამშობიარო – იგულისხმება IV სამშობიარო ორთაჭალაში.

დედასთან ერთად ვცხოვრობდი. ეტყობა კომპლექსი მქონდა იმისი, რომ სხვის ოჯახში, ტროცკისტის შვილი როგორ შევიდე-მეთქი.

კარგი მახსოვს ყველაფერი, დედ-მამა მაკლდა, თორემ დანარჩენი არ მიგრძვნია ცუდად ყოფნა... რა თქმა უნდა, ამხელა ტრამვა მომაყენეს, ოჯახი, ვერ შევქმენი. დედ-მამა ჩემთან რომ ყოფილიყო, მე დღეს სულ სხვა ცხოვრება მექნებოდა.

ჩემმა დამ დაამთავრა სამედიცინო, არც ის იყო კომკავშირელი. ის გათხოვდა. ერთი ქალიშვილი ჰყავს და სამი შვილიშვილი. ჩემი და გარდაიცვალა. 77-ის იქნებოდა ახლა, 1928 წლიანი იყო. მე 74 წლის ვარ.

გავთხოვდი გვიან. მიჩვეული რომ ვიყავი დამოუკიდებლობას, რაღაცაზე გავბრაზდი... ამ კაცის ქალიშვილს უნდოდა, რომ მამამისს გავყოლოდი, ძალიან მეგობრობდა ჩემთან. გადავწყვიტე, გოგონას დედის მაგივრობას გავუწევდი. ვერ შეიშვენეს, ვერ გავუგეთ ერთმანეთს. ყველა გიჟდებოდა, როგორ გაყევი ამასო... გოგონას გულისთვის გავყევი...

მარტო ყოფნას ვერ ვიტან, იმიტომ არ ვარ ხშირად სახლში. ვინმე თუ მოვა, სიხარულია ჩემთვის.

ასე რომ, ამ წლებს ხელი ნამდვილად არ შეუშლიათ, მაგრამ ტრამვირებული მაინც ვარ. ოჯახი მექნებოდა, შვილები მეყოლებოდა.

ამოწყვიტეს მთელი ინტელიგენცია... შეიძლება, ბევრიც იყო დამნაშავე...

1 ივლისი, 2005 წელი









1. დედა -

2. ბარბარე ჭავჭანიძე (დგას)

3. მამა  მიხეილ ჭავჭანიძე

4. ჭავჭანიძეების ოჯახი

5. ოჯახი



ДЖИКИЯ Тинатин Андреевна, род. в 1911 г., г. Кутаис, грузинка.

Приговорена 16.12.1937 ОСО при НКВД СССР как ЧСИР к 5 годам ИТЛ.

Прибыла в Акмолинское ЛО 04.07.1938 из тюрьмы г. Тбилиси.

Освобождена 17.03.1940.

ნანა ჯიქია

დედა თინათინ ჯიქია

მამა ვლადიმერ ჯიქია

Фамилия Джикия

Имя Нана

Отчество Владимировна

Год и место рождения 1932 г. Тбилиси

Возраст на момент ареста

Отца 4 года

Матери 4 года и 3 месяца

Ф.И.О. сестры, брата сестра _ Джикия Марина Владимировна

После ареста родителей информант

жил у родственников жила с бабушкой и тётей

Образование высшее ,Грузинский политехнический институт, факультет лёгкой промышленности, инженер-технолог, 1951-1956 гг.

Место работы, должность Производство, Министерство легкой промышленности

членство в молодёжных организациях год вступления - 1947 г.

партийность год вступления - 1970 г.

После освобождения мать жила с дочерьми

**МАТЬ**

**Фамилия** Джикия

**Другие фамилии**

**Имя** Тинатин

**Отчество** Андреевна

**Год и место рождения** 1911, г. Кутаиси

**Образование** высшее, филолог

**Должность и место работы** Союз писателей Грузии, корректор

**Дата ареста** 1937 г., приговор от 16,12,1237г. ОСО при НКВД СССР

**Место отбытия наказания** Тбилиси, Акмолинск

**Освобождение** 17.03.1940 г.

**Реабилитация** 1956 г.

**Дата смерти** 03.02.2004 г.

**ОТЕЦ**

**Фамилия** Джикия

**Другие фамилии**

**Имя** Владимир

**Отчество** Гаврилович

**Год и место рождения** 1893 г., Зугдиди

**Образование** высшее, физико-математический факультет Петроградского университета; электромеханический факультет Петроградского технологического института

**Должность и место работы** последнее место работы: управляющий «Грузэнерго»

**Дата ареста** 11 ноября 1936 г.

**Приговор** высшая мера наказания. Решение Военной коллегии Верховного суда СССР от 11 июля 1937 г.

**Дата расстрела** неизвестно

**Реабилитация** 26 мая 1956 г.

**Место захоронения** неизвестно

ჩვენი ოჯახი 1932 წლიდან ცხოვრობდა თბილისში, ქიაჩელის ქ. №12-ში.

მამა, **ვლადიმერ გაბრიელის ძე ჯიქია**, დაიბადა 1893 წელს ქ. ზუგდიდში, მღვდლის ოჯახში.

ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, სწავლის გასაგრძელებლად პეტერბურგში გაემგზავრა და შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, შემდეგ დაამთავრა პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ელექტრომექანიკის ფაკულტეტი, ინჟინერ-ენერგეტიკოსის სპეციალობით და სამხედრო საარტილერიო სასწავლებელი.

1913 წელს ვლადიმერ ჯიქია შევიდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში.

1917-1922 წლებში მუშაობდა პეტროგრადში სხვადასხვა სამხედრო თანამდებობაზე – ჯერ საოლქო სამხედრო სასწავლებლების კომისრად, შემდეგ ქალაქის სამხედრო კომისრად. ამის შემდეგ კი ორი წლის განმავლობაში იგი პეტროგრადის ჯარების სარდალია. მან 1919 წელს დააარსა და 1922 წლამდე რედაქტორობდა პირველ საბჭოთა სამხედრო ჟურნალს ,,კრასნი კომანდირს“.

1922 წელს ვლადიმერ ჯიქია სამუშაოდ გამოგზანეს საქართველოში და იგი დაინიშნა საქართველოს სამხედრო-საზღაო საქმეთა კომისრად და ამიერკავკასიის სამხედრო სასწავლებლის უფროსად.

საქართველოს იმჟამინდელ ხელისუფლებასთან ქართული ეროვნული არმიის შექმნასთან დაკავშირებულ საკითხებში უთანხმოების გამო, 1923 წლის ბოლოს, მას მოუხდა საქართველოს დატოვება და კვლავ პეტერბურგში გაემგზავრა.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ დაიწყო ქვეყნის ელექტროფიკაციის პროგრამის განხორციელება, რომელიც ითვალისწინებდა იმ დროისათვის უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას მდინარე ვოლხოვზე. მთავრობის გადაწყვეტილებით ,,ოლხოვმშენის“ უფროსის, აკადემიკოს გრაფტიოს მოადგილედ დაინიშნა ვლადიმერ ჯიქია, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა ელექტროექანიკის ფაკულტეტი ინჟინერ-ენერგეტიკოსის სპეციალობით.

1927-1930 წლებში ვლადიმერ ჯიქია აირჩიეს საბჭოთა კავშირის წონისა და ზომის პალატეს პრეზიდენტად.

1930 წელს, მთავრობის დადგენილებით, ვლადიმერ ჯიქია გადმოყვანილ იქნა საქართველოში ამიერკაკასიის ჰესების მშენებლობის უფროსად. 1932 წლის იანვარში კი ვლადიმერ ჯიქია ინიშნება *რიონჰესის* მშენებლობის უფ-

როსად და მთავარ ინჟინრად, რადგანაც პროექტში დაშვებული შეცდომის გამო მშენებლობა ჩავარდნილი იყო. მან წარმატებით გაართვა თავი სამუშაოს და 1934 წლის 30 ივნისს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა *რიონჰესი*, რაც დიდ მოვლენას წარმოადგენდა იმდროინდელი საქართველოს სინამდვილეში.

რიონჰესის მშენებლობაში მიღწეული წარმატებისათვის ის დააჯილდოეს ლენინის ორდენით, რომელიც პირადად სტალინმა გადასცა.

ვლადიმერ ჯიქიას შესახებ აზრი წერილებში, მოგონებებსა თუ გამომძიებლებისათვის მიცემულ ჩვენებებში გამოთქმული აქვს ბევრ მის თანამედროვე მწერალს, პოეტსა თუ საზოგადო მოღვაწეს. ქვემოთ მოყვანილია ზოგიერთი მათგანი - ირაკლი აბაშიძე: *„ტექნიკური ინტელიგენციის პირველი თავკაცი ოცდაათიანი წლების საქართველოში იყო ვლადიმერ ჯიქია. იგი იმ ხანებში ერთ-ერთი უპოპულარულესი და სახელოვანი კაცი იყო მთელ საქართველოში“ („ზარები ოცდაათიანი წლებიდან“).*

– **სიმონ ყაუხჩიშვილი:** *„ვალოდია ჯიქია იყო პირველი ხარისხის მოქალაქე“.*

– **შალვა აფხაიძე:** *„ის გახლდათ სულიერი და ფიზიკური შედეგობით*

*გამორჩეული პიროვნება, თხემით ტერფამდე პატრიოტი. იგი ოცნებობდა თავისი ქვეყნის აყვავებაზე“.*

– **შალვა ამირანაშვილი:** *„ვლადიმერ ჯიქიას დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს ისტორიის ადრინდელი ხანის მეცნიერული ძიების ორგანიზაციის საქმეში. 1935 წელს, ხრამჰესის მშენებლობის ხელმძღვანელობის პერიოდში, მან წყლით დაფარვას გადაარჩინა ამ ტერიტორიის ის დიდი ნაწილი, რომელზედაც გაფანტული იყო სრულებით შეუსწავლელი არქეოლოგიური ძეგლები“.*

– **სიმონ ბოლქვაძე:** *„ის იყო ღრმად განათლებული, ცოდნის მძიებელი, გაბედული აზრების მქონე“.*

–**გიოგი ჩიტაია:** *„თუ თრიალეთის ექსპედიციებმა ბრწყინვალე შედეგს მიაღწიეს – ეს ვალოდია ჯიქიას დიდი დამსახურებაა და მას უნდა ვუმადლოდეთ. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, მას რომ დასცლოდა, ხრამჰესის წყალსაცავში არ ჩაიძირებოდა მეთერთმეტე საუკუნის შესანიშნავი ჩუქურთმებით შემკული ეკლესია სოფელ შიფიაკთან*[275]*“.*

275. სოფელი შიფიაკი – სოფელი წალკის რაიონში; 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით, ცხოვრობდა 35 ადამიანი; მათგან 90% ბერძენი.

-ლიდა გასვიანის ჩვენებიდან:

*«Гамсахурдия упрекал меня, что я «плохая грузинка, «обрусевшая» и т.д., приводил в пример Джикия, всегда с*

*восторгом говорил о нем, что его, Гамсахурдия, взгляды полностью совпадают в части националистической с Джикия. «И вот такие, как Джикия, вожди нам, грузинам, нужны», – говорил он. В Кутаиси я с Гамсахурдия, возвращаясь из Цхалтубо, видели Джикия, он говорил о том, как он «урывает» деньги РионГЭСа «для строительства Кутаиси и сохранения исторических ценностей».*

– სანდრო ახმეტელის ჩვენებიდან:

*«Основной характерной чертой Джикия Владимира я считал повышенную патриотичность во всех его суждениях, которая у него проявлялась весьма открыто. Джикия своими действиями создавал себе большую популярность в Грузии. Джикия, будучи начальником РионГЭСа, занялся благоустройством Кутаиси и стал как бы меценатом этого города. Джикия строит гидроэлектростанцию, Джикия проводит дороги, строит школы, покровительствует той или иной организации. Принимает к себе всех, кто способен к работе, у него служат лишенцы. Джикия можно обо всём попросить, он не откажет, он посочувствует, Джикия начинает решать Самгорскую проблему, проводит запросы, командирует в Москву людей и т.д.»*

რიონჰესის გაშვების შემდეგ ვლადიმერ ჯიქია დაინიშნა „საქენერგოს" მმართველად, და იმავდროულად, სათავეში ჩაუდგა ელექტროსადგურის მშენებლობას მდინარე ხრამზე (ხრამჰეს-ი).

1936 წლის 11 ნოემბერს ვლადიმერ ჯიქია გამოიძახეს ცენტრალურ კომიტეტში სამგორის პროექტთან დაკავშირებით, საიდანაც აღარ დაბრუნებულა.

ამ დროს მე ვიყავი ოთხი წლის, ხოლო ჩემი და, მარინე, ორი წლის და 8 თვის.

დედას მხოლოდ ერთხელ მისცეს მასთან შეხვედრის უფლება, მამამ უთხრა – *„არ მესმის რა ხდება, ქართველ კაცს ქართველობას მაბრალებენ„.*

საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ მას 1937 წლის 11 ივლისს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯა, როგორც ქვეყნის მოღალატეს. განაჩენი სტალინის მიერაა დამტკიცებული. განაჩენის შესახებ ოფიციალურად მხოლოდ რეაბილიტაციის შემდეგ გავ-

იგეთ. მანამდე პატარა იმედი მაინც არსებობდა, რომ გადასახლებული იყო შორეულ მხარეში „მიმოწერის უფლების გარეშე“, როგორც ყველას პასუხობდნენ იმ წლებში შინსახკომის ორგანოებში.

ვლადიმერ ჯიქია სსრ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 1956 წლის 26 მაისის განჩინებით რეაბილიტირებულია დანაშაულის არ არსებობის გამო.

განაჩენის სისრულეში მოყვანის თარიღი უცნობია – ასეა აღნიშნული რეაბილიტაციის ცნობაში. უცნობია დაკრძალვის ადგილიც.

ვალოდია ჯიქიას უახლოეს მეგობრებს – მსოფლიოში ცნობილ ბაქტერიოლოგს „ბაქტერიოფაგის“ დამაარსებელ გიორგი ელიავას, უნივერსიტეტის პროფესორს ზოზო ნანეიშვილს, ტიციან ტაბიძეს, სანდრო ახმეტელს – დააბრალეს მასთან ერთად კონტრევოლუციური პატრიოტული ორგანიზაციის შექმნა. ყველა დახვრიტეს, შემდეგ კი ყველა გაამართლეს დანაშაულის არარსებობის გამო

1937 წლის მეორე ნახევარში დააპატიმრეს დედა – **თინათინ ჯიქია**, რომელიც მაშინ 26 წლის იყო. როგორც ირაკლი აბაშიძე წერს მემუარებში „ზარები ოცდაათიანი წლებიდან“ – *„ის იყო იმ დრო ერთ-ერთი ულამაზესი ქალი“*. მისი პორტრეტები შექმნეს: ქეთევან მაღალაშვილმა, ვასილ შუხაევმა, იგორ გრაბარმა, ირაკლი თოიძემ, ლამარა ქვლივიძემ. მას უძღვნა კონსტანტინე გამსახურდიამ ლექსი „ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად ჰგავხარ ზღვას“.

მისი დანახვისას, ტიციან ტაბიძის ოჯახში, ასეთი ფრაზა აღმოხდა გამოჩენილ რუს მწერალს ალექსეი ტოლსტოის: «*Это не реальная а ирреальная красота*».

დედაჩემის წასაყვანად ღამე მოვიდა ორი შინსახკომელი. ისინი შედარებით ადამიანურები აღმოჩნდნენ. არ აჩქარებდნენ. მისცეს საშუალება მომზადებულიყო წასასვლელად, დამშვიდობებოდა შვილებს.

დედა ჯერ თბილისის ციხეში იყო. საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს 1937 წლის 16 დეკემბრის დადგენილებით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-I მუხლის საფუძველზე (სამშობლოს ღალატი) მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამის შემდეგ, ის ბაქოსა და სხვა რამდენიმე ციხის გალით, გადაიყვანეს აკმოლინსკის ქალთა ბანაკში, სადაც ქალებს, ძირითადად, ცხვრების გაკრეჭაზე ამუშავებდნენ.

დედა ხშირად იგონებდა მშვენიერ, განათლებულ ქალბატონს – *ნინა ბედიას*, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის

*ერიკ ბედიას* მეუღლეს, რომელთან ერთადაც ერთ საკანში იმყოფებოდა თბილისის ციხეში. ერთ ღამეს ის გაიყვანეს დაკითხვაზე ბერიასთან, საიდანაც რამდენიმე საათის შემდეგ დააბრუნეს სასტიკად ნაცემი და დასისხლიანებული. დედამ ის თავისი საბნის ქვეშ შეიწვინა. ნინა ბედიამ დედას უთხრა, რომ მის წამებაში თვითონ ბერია იღებდა მონაწილეობას. ამის მიზეზი იყო ის, რომ ერიკ ბედიას წიგნის – „ამიერკავკასიის ბოლშევიკური პარტიის ისტორია" ავტორობა მიისაკუთრა ბერიამ, რის შესახებაც ნინა ბედიამ ხმამაღლა განაცხადა ერთ-ერთ წვეულებაზე.

რამდენიმე დღის შემდეგ ის ისევ გაიყვანეს და აღარ დაბრუნებულა.

აკმოლინსკში ყოფნისას დედამ ზედამხედველის (ყოფილი პოლიტპატიმრის ვინმე ზაიცევის) დახმარებით მოახერხა თავისი და რამდენიმე პატიმარი ქალის წერილების გამოგზავნა. ერთ-ერთმა ყაზახმა პატიმარმა ქალმა ამის შესახებ უჩივლა ლაგერის უფროსთან. ამის გამო ის, სიცხიანი ავადმყოფი, ჩასვეს კარცერში ფსიქიურად მძიმედ დაავადებულ ბულგარელ ქალთან ერთად, რომელაც აიკვიატა სურვილი დედაჩემისათვის ცხვირი მოეჭამა. საკმარისი იყო ჩაეთვლიმა და ის ქალი მაშინვე თავზე დაადგებოდა... დედაჩემს 5 დღე და ღამე თვალი არ მოუხუჭავს. ხშირად ახსენდებოდა ის საშინელი დღეები.

დაიჭირეს თითქმის ყველა ნათესავი, ვისაც ვალოდია ჯიქიასთან ურთიერთობა ჰქონდა – დედაჩემის ძმა, რომელმაც რვა მისჯილი წელი ნორილსკში გაატარა; ჩვენი მამიდაშვილის ქმარი, ახალგაზრდა პერსპექტიული მეცნიერი; ჩვენი ბიცოლას (მამაჩემის ძმის ცოლის) ძმა, რომელიც მრავალი წლის შემდეგ დაბრუნდა და რომლისთვისაც ძირითადი ბრალდება იყო ის, რომ დასთან სტუმრობისას ვალოდია ჯიქიას ხვდებოდა. ყველას ეშინოდა და შორიდან ჩუმად კითხულობდნენ ჩვენს ამბავს.

გვქონდა სამოთახიანი ბინა. ჯერ ჩამოგვართვეს ერთი ოთახი, მერე მეორე და შიგ სხვა შეასახლეს. ჩვენ დაგვტოვეს ერთ ოთახში.

დეიდა, ნინო სანიძე, რომელიც ბებიასთან ერთად გვზრდიდა, მასწავლებელი იყო. დაიბარეს შინაგან საქმეთა ორგანოებში და გააფრთხილეს – თუ მას ჯიქიას ბავშვებთან რაიმე საერთო ექნებოდა, სამსახურიდან გაანთავისუფლებდნენ. ისიც იძულებული იყო მიეცა ხელწერილი, რადგანაც, მისი ხელფასი ჩვენთვის ერთადერთი საარსებო წყარო იყო. ჩვენ ბებიასთან ერთად დაგვტოვა, თვითონ კი, ღამე ჩუმად მოდიოდა ჩვენს სანახავად.

გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ბებიასთან ერთად ვიყავით სოფელში, ქუთაისთან ახლოს. ერთ დღეს ბებია დაიბარა აღმასკომის თავმჯდომარემ და გააფრთხილა, რომ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატიდან მიიღო მითითება ჯიქიას ბავშვები სოფლიდან გაიყვანეთო, რაზეც ბებიასაგან სასტიკი უარი მიიღო.

დედა ვადაზე ადრე დაბრუნდა – 1940 წელს. მაშინ რამდენიმე ქალი გაანთავისუფლეს, რომ ეჩვენებინათ, სამართლიანები არიან და უდანაშაულოებს ანთავისუფლებენ.

ის მოულოდნელად ჩამოვიდა, სადგურიდან ფეხით მოვიდა. ჩვენ ეზოში ვთამაშობდით. თავიდან, თითქოს მორიდებულები ვიყავით. მერე თანდათან შევეჩვიეთ.

რეპრესიებთან დაკავშირებული რამდენიმე ფაქტი სამუდამოდ დამამახსოვრდა.

– პირველ კლასში სწავლისას მივედი ჩვენს ქუჩაზე მცხოვრებ ამხანაგთან, რომელმაც სახლში არ შემიშვა და მითხრა – *„დედამ გამაფრთხილა, ეგ მტრების შვილია და აქ არ მოვიდესო“*.

– ისევე, როგორც თითქმის ყველა რეპრესირებულის შვილი, ჩვენც კარგად ვსწავლობდით. სკოლის დამთავრებისას ქართული წერის გამოცდაზე დავწერე თავისუფალი თემა, რომელიც ენას შეეხებოდა („ ...ვფიცავ, რომ დავიცავ შენს ტკბილ ენას“... ), მაგრამ სტალინი, რომლის ნაშრომი ენათმეცნიერების შესახებ ამ პარიოდში გამოვიდა, არ ვახსენე. ამიტომ დამიწერეს ნიშანი 5/4 – 5 ნაშრომში, ხოლო 4 იმის გამო. რომ „თანამედრომვეობას არ დავუკავშირე“. ისევ სტალინის გამო ვერ მივიღე ოქროს მედალი, რაც იმ დროს ჩემთვის დიდი ტრავმა იყო და მძიმედ განვიცადე.

– სტალინი რომ გარდაიცვალა, მე და ჩემი მეგობარი, რომელსაც მამა რეპრესირებული ჰყავდა, ავადმყოფი ამხანაგის სანახავად წავედით. ჩვენს შეკითხვაზე, თუ რა სჭირდა, მან გვიპასუხა – სტალინი გარდაიცვალა და ისე განვიცდი, მაღალი სიცხე მაქვსო. ჩვენ გაგვეცინა. იქედან რომ წამოვედით, ჩემმა მეგობარმა მითხრა: ეგ რომ წავიდეს და განაცხადოს, რომ გავიცინეთ, ხომ დაგვიჭერენო? ამის შემდეგ, საკმაოდ დიდხანს, შიშის ქვეშ ვცხოვრობდით.

მე დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტი 1956 წელს. ვმუშაობდი ჯერ წარმოებაში, შემდეგ კი მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში. ვარ რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, პერსონალური პენსიონერი.

ჩემმა დამ, მარინემ დაამთარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის

ფაკულტეტი, შემდეგ კი უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გერმანული ენის ფაკულტეტი. არის ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. მუშაობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. ამავე დროს არის ქართული ლიტერატურული თეატრის „ოქროს საწმისის“, სამხატვრო ხელმძღვანელი.

რეაბილიტაციის შემდეგ დავიბრუნეთ ჯერ ერთი ოთახი, მერე მეორე. ნელ-ნელა ავაწყვეთ ოჯახი, მაგრამ, ოჯახი არც მე და არც ჩემ დას არ შეგვიქმნია.

ცხოვრებაში ყოველთვის გვხვდებოდნენ ადამიანები, რომლებიც მამაჩემის გამო გვეხმარებოდნენ.

ახლა მისი თაობიდან აღარავინაა დარჩენილი.

დედა გარდაიცვალა შარშან, 2004 წლის თებერვალში, 93 წლის ასაკში. ის მოხუციც ლამაზი იყო. რადგანაც დედას უყვარდა იის ყვავილი და თვითონაც ლურჯი თვალები ჰქონდა, მისთვის ყველას იის კონები მოჰქონდა. რამდენიმე ათასმა კონამ მოიყარა თავი. საფლავიც იებით ამოუვსეს. მას და მის დაკრძალვას უძღვნა ემზარ კვიტაიშვილმა ახლახან ერთ-ერთ ლიტერატურულ ჟურნალში შესანიშნავი ესე – „იების დედოფალი“.

*ნანა ჯიქიას მიერ დაწერილია 15 ოქტომბერს,*
*2005 წელი*

1. დედა - თინათინ ჯიქია

2. მამა - ვლადიმერ ჯიქია

3. ვლადიმერ ჯიქია





# დამატება

**წიგნში მოხსენიებულ ზოგიერთ პირთა მონაცემები:**

**არუტინოვი (არუტიუნიანი), გრიგორი** (1900-1957) პარტიული მოღვაწე. დაიბადა თელავში. მონაწილეობდა გამოსვლებში საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლების წინააღმდეგ, რის გამოც დაპატიმრებულ იქნა. საქართველოს წითელი არმიის მიერ ოკუპაციის შემდეგ გაათავისუფლეს. კომპარტიის წევრი გახდა 1919 წ. იყო წითელი არმიის პოლიტმუშაკი; საქართველოს კომპარტიის თელავის კომიტეტის მდივანი. 1927 წლიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე (ხელმძღვანელობდა პარტიულ მუშაობას სოფლებში). იყო საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარის მოადგილე. 1931 წ. გახდა საქართველოს კომპარტიის საორგანიზაციო-საინსტრუქციო განყოფილების გამგე და საქართველოს კომპარტიის ცკ-ს სამდივნოს წევრი. იყო ბერიასთან ერთ-ერთი ყველაზე დაახლოვებული კაცი. 1934 წ-დან კომპარტიის თბილისის ქალაქკომის მდივანი. 1937 წ. მას შემდეგ, რაც თითქმის მთლიანად იქნა განადგურებული სომხეთის კომპარტიის ხელმძღვანელობა, გაგზავნეს სომხეთში ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე. 1937-54 წწ. იყო სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. 1952-56 წწ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. სტალინის გარდაცვალების და ბერიას დაპატიმრების შემდეგ მკვეთრად დაუპირისპირდა თავის ძველ მფარველს; თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სრული ლოიალობა უჩვენა ახალ ხელისუფლებას, 1953 წ. მას დაკავებული თანამდებობა ჩამოართვეს.

**ახმეტელი, სანდრო (ალექსანდრე ახმეტელაშვილი)** (1886-1937) უდიდესი ქართველი რეჟისორი. განათლება მიიღო თელავის სასულიერო სასწავლებელში. ქართული და მსოფლიო ლიტერატურა ისწავლა ვასილ ბარნოვთან. შემდგომში სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე. თუმცა, ძირითად საქმედ ექცა თეატრალურ წარმოდგენებზე სიარული და მათზე კრიტიკული სტატიების წერა. შექმნა ახალი ქართული თეატრის კონცეფცია („მანიფესტი“ – 1915 წ.). საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, 1918 წ. ახალგაზრდა მსახიობებთან ერთად შექმნა საზოგადოება

„დურუჯი“, რომლის წევრებსაც ხელი უნდა მოეწერათ ფიცზე, რომ სიცოცხლეს და მომავალს შესწირავდნენ თეატრს. 1922 წელს კოტე მარჯანიშვილთან ერთად სათავეში ჩაუდგა რუსთაველის თეატრს. მისმა სპექტაკლებმა წარმატებით ჩაიარა, როგორც საქართველოში, ისე რუსეთში. ახმეტელი განსაკუთრებით ეფექტურად იყენებდა მასიურ სცენებს, მაგალითად ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ სპექტაკლში, გრიგოლ რობაქიძის „ლამარაში“. რობაქიძის გერმანიაში ემიგრაციის შემდეგაც, ამ სპექტაკლის წარმოდგენა გრძელდებოდა (ავტორის დაუსახელებლად), როგორც საბჭოთა სცენის მიღწევისა. ახმეტელის მწვერვალად ითვლება შილერის „ყაჩაღები“, რომელიც რეჟისორმა 1933 წელს დადგა. ახმეტელს ებრძოდა ლავრენტი ბერია 1937 წ. ახმეტელი დააპატიმრეს შპიონაჟის, აგრეთვე ბერიას და სტალინის მკვლელობის მომზადების ბრალდებით, დაკითხეს და აწამეს პირადად ბერიას თანდასწრებით. 1937 წ. 27 ივნისს დახვრიტეს.

**ბაგიროვი, მირ ჯაფარ** (1895-1956) საბჭოთა პარტიული მუშაკი. კომპარტიის წევრი 1917-54 წწ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი 1937-53 წწ. 1918 წლიდან ეწეოდა სამხედრო-პოლიტიკურ საქმიანობას. 1921-30 წწ. იყო აზერბაიჯანის საგანგებო კომისიის (ЧК), შემდეგ. მთავარი პოლიტიკური სამმართველოს (ГПУ) თავმჯდომარე, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი და აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. 1933-53 წწ. აზერბაიჯანის კომპარტიის და კომპარტიის ბაქოს საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი. მისი ხელმძღვანელობის ქვეშ დაიწყო კარიერა ლავრენტი ბერიამ, ხოლო მას შემდეგ, რაც ბერიას გავლენა უსაშველოდ გაიზარდა, უკვე ბერია მფარველობდა ბაგიროვს, რომელიც 15 წლის მანძილზე „ბერიას კაცად“ ითვლებოდა. 1936-38 წლებში ბაგიროვი ხელმძღვანელობდა მასობრივ რეპრესიებს აზერბაიჯანში. მისი ავტორობით გამოვიდა წიგნი „ბაქოსა და აზერბაიჯანის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიიდან“, რომელშიც ძლიერ გაზვიადებულად წარმოაჩინა სტალინის როლი. სტალინის სიკვდილის შემდეგ ბაგიროვს წილად ხვდა ხანმოკლე დაწინაურება ბერიას ხელშეწყობით: გახდა სსკპ კომპარტიის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი 1953 წ. და ამავე დროს იყო აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. ბერიას დამხობის შემდეგ ბაგიროვი გამოვიდა ცკ-ს პლენუმზე, სადაც ბერია დაადანაშაულა როგორც „ქამელეონი, ჩვენი პარტიისა და ხალხის უბოროტესი მტერი“, თუმცა, ამითაც თავიდან ვერ აიცილა ბერიას

მფარველობის ბრალდება. 1954 წ. გარიცხეს კომპარტიიდან და დააპატიმრეს. 1956 წ. სსრკ უმაღლესი სასამართლოს ბაქოს სამხედრო კოლეგიამ მიუსაჯა სიკვდილი „სოციალ-ისტური სამართლიანობის დარღვევისათვის“. განაჩენი ამავე წელს მოიყვანეს სისრულეში.

**ბედია, ერნესტ (ერიკ) (? – 1937)** თბილისის მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორი. ლავრენტი ბერიამ მას და მალაქია ტოროშელიძეს მიამაგრა ჯგუფი და დაავალა კავკასიაში ბოლშევიკური მოძრაობის ისტორიის დაწერა. წიგნი ეყრდნობოდა „თვითმხილველთა“ მოგონებებს, ვინაიდან დოკუმენტური მასალა ძალიან მწირი იყო, რაც ისტორიის ფაბრიკაციისთვის დიდ გასაქანს იძლეოდა. წიგნს რედაქცია თავად სტალინმა გაუკეთა. წიგნის მიზანი იყო წარმოეჩინა ახალგაზრდა სტალინის ცენტრალური როლი კავკასიის რევოლუციურ მოძრაობაში. სტალინის ფიგურა ამ წიგნში მითოლოგიურამდე იყო გაზვიადებული. ამ გამოცემას უნდა დაეჩრდილა და ჩაენაცვლებინა ამ საკითხზე დაწერილი მანამდელი ნაშრომები, კერძოდ მამია ორახელაშვილისა და ფილიპე მახარაძის, სადაც სტალინის წამყვან როლზე სიტყვაც არ იყო დაძრული. ერნესტ ბედია და მისი მეუღლე ნინა ჩიჩუა, რომელიც არ მალავდა თავისი ქმრის ავტორობას (თუმცა, უფრო ზუსტი იქნება ვიფიქროთ, რომ ეს იყო ჯგუფის ერთობლივი ნაშრომი, სადაც წამყვან როლს ერიკ ბედია ასრულებდა) 1937 წელს დახვრიტეს.

**ბერია, ლავრენტი** (1899-1953) საბჭოთა პოლიტიკური მოღვაწე. ბოლშევიკური პარტიის წევრი 1919 წლიდან. 1921-31 წლებში მუშაობდა დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ორგანოებში: იყო აზერბაიჯანის საგანგებო კომისიის (ЧК) თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს და ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს (ГПУ) უფროსი, გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს (ОГПУ) წარმომადგენელი ამიერკავკასიაში. 1931-38 წწ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი. სახელი გაითქვა წიგნით „ამიერკავკასიაში ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიისათვის“, რომლის ნამდვილი ავტორი მისი დაკომპლექტებული ჯგუფი იყო, რომელშიც შედიოდნენ მალაქია ტოროშელიძე და ერნესტ ბედია. წიგნმა, ისტორიული ფალსიფიკაციების გზით, გააზვიადა სტალინის როლი კავკასიის რევოლუციურ მოძრაობაში. 1936-38 წლების რეპრესიების დროს მისი ინიციატივით დააპატიმრეს და დახვრიტეს ქართული ინტელიგენციის

გამოჩენილი წარმომადგენლები. ბერია თავად მონაწილეობდა დაკითხვებში და წამებებში. 1938 წელს სტალინმა გადაიყვანა მოსკოვში ეჟოვის მოადგილედ. ბერიამ შეაგროვა კომპრომატები ეჟოვზე, რის შედეგადაც იგი დახვრიტეს და მისი უწყება, – შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი (НКВД) – ჩაიბარა ბერიამ. ბერიას დროს ოდნავ შენელდა რეპრესიების ტალღა, თუმცა, რეპრესიებმა მის დროს უფრო სისტემური, გეგმაზომიერი ფორმა მიიღო. ბერიას ინიციატივა იყო „არასანდო ერების", მაგალითად, ჩეჩნების, გადასახლება. ომის დამთავრების შემდეგ კურირებდა საბჭოთა ატომური ბომბის შექმნას. სტალინის სიკვდილის შემდეგ უშედეგოდ სცადა ძალაუფლების ხელში ჩაგდება. ნიკიტა ხრუშჩოვის ბრძანებით დააპატიმრეს, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს და დახვრიტეს 1953 წ. 23 დეკემბერს.

**ბერდიაევი, ნიკოლოზ** (1874-1948) რუსი ფილოსოფოსი. დაიბადა კიევში, არისტოკრატულ, სამხედრო ოჯახში. თავიდან გატაცებული იყო მარქსიზმით და რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმის გამო გადასახლებულიც კი იყო შუაგულ რუსეთში. შემდგომ გაემიჯნა მარქსიზმს. სწამდა მართლმადიდებელი ქრისტიანობის, მაგრამ ზოგ საკითხში უპირისპირდებოდა ოფიციალურ ეკლესიას წინარევოლუციურ რუსეთში, რის გამოც იყო სამუდამო გადასახლების რისკის ქვეშ. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ აგრძელებდა მუშაობას და ლექციების კითხვას, მაგრამ 1922 წელს აიძულეს წასულიყო უცხოეთში, ევროპაში, სხვა 160-მდე ინტელექტუალთან ერთად. ბერდიაევი ჯერ ჩავიდა გერმანიაში, შემდეგ კი პარიზში, სადაც ეწეოდა ნაყოფიერ მუშაობას როგორც რელიგიური ფილოსოფოსი.

**ბულგაკოვი, სერგეი** (1871-1944) რუსი მართლმადიდებელი თეოლოგი, ფილოსოფოსი და ეკონომისტი. ახალგაზრდობაში დაინტერესდა მარქსიზმით. შემდგომში დაუბრუნდა რელიგიურ მსოფლმხედველობას და შეუერთდა „ვეხელების" ჯგუფს, რომლებიც წერდნენ რელიგიურ-სოციო-პოლიტიკური ხასიათის წერილებს ჟურნალ „ვეხი"-ში. 1918 წ. გახდა მართლმადიდებელი მღვდელი. მონაწილეობდა პატრიარქ ტიხონის არჩევაში. 1918 წ. დაუპირისპირდა ოქტომბრის რევოლუციას. სხვა 160 ინტელექტუალთან ერთად გაასახლეს ევრპაში. ევროპაში აგრძელებდა ნაყოფიერ რელიგიურ-ფილოსოფიურ საქმიანობას, გახდა საეკლესიო სამართლის და ღვთისმეტყველების პროფესორი პრაღაში. 1925 წ. ხელი შეუწყო წმ. სერგის მართლმადიდებლური სემინარიის დაარსებას პარიზში.

**გოგლიძე, სერგო** (1901-1953) საბჭოთა სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, სახელმწიფო უშიშროების კომისარი (1935 წ.), გენერალ-პოლკოვნიკი (1945 წ.). 1918 წ. შევიდა წითელი არმიის რიგებში. 1920 წლიდან მუშაობდა თურქისტანის ფრონტის რევტრიბუნალში. 1921-22 წწ. სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის (ВЧК) და სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს (ГПУ) ჯარების კომისარი. 1923 წლიდან მსახურობდა ამიერკავკასიის სასაზღვრო ჯარებში, სადაც გაიცნო ლავრენტი ბერია. 1934-37 წწ. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისარი და (1936 წლიდან) საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამმართველოს თავმჯდომარე. 1937 წლიდან სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. 1937-1938 წწ. საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი. იყო ბერიას უახლოესი თანაშემწე და მუდმივად სარგებლობდა მისი მფარველობით. ხელმძღვანელობდა მასობრივ რეპრესიებს საქართველოში. დაკითხვისას ფართოდ იყენებდა პატიმრების ცემას. 1937 წ. გოგლიძეს ცენტრიდან გაეცა „ლიმიტი“ 1500 კაცის დახვრეტაზე. 1938 წ. დაინიშნა სსრკ შინაგან საქმეთა კომისარიატის ლენინგრადის ოლქის სამმართველოს თავმჯდომარედ. ლენინგრადელი თანამშრომლები ახასიათებდნენ მას როგორც „ყოველმხრივ წესიერ ადამიანსა და ხელმძღვანელს“. 1941 წლიდან კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის რწმუნებული მოლდავეთში. ხელმძღვანელობდა სსრკ-ს შეერთებული ბესარაბიიდან „ანტისაბჭოთა ელემენტების“ გასახლებას. 1941-43 წლებში თავმჯდომარეობდა ხაბაროვსკის ოლქის შინსახკომს, ხოლო 1943 წლიდან იყო სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს (МГБ) რწმუნებული შორეულ აღმოსავლეთში. 1951 წ. გადაიყვანეს მოსკოვში МГБ-ს რკინიგზისა და საზღვაო ტრანსპორტის დაცვის მთავარი სამმართველოს თავმჯდომარედ. 1951 წ. ბერიას ინიციატივით დაინიშნა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მინისტრის, ს. დ. იგნატიევის მოადგილედ. წარმართავდა გახმაურებულ „მკვლელი ექიმების“ საქმეს. 1951-52 წწ. იყო უზბეკეთის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მინისტრი. 1952 წ. დააბრუნეს სსრკ უშიშროების სამინისტროს მინისტრის მოადგილის პოსტზე. სტალინის სიკვდილის შემდეგ გახდა სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს (МВД) კოლეგიის წევრი და ხელმძღვანელობდა სამხედრო კონტრდაზვერვას. ბერიას დაკავების შემდეგ ს. გოგლიძეც დააპატიმრეს და სამშობლოს ღალატის ბრალდებით დახვრიტეს 1953 წ.

**ზასულიჩი, ვერა** (1849-1919) რუსი სოციალისტი. თავის დროზე დაუახლოვდა სერგეი ნეჩაევს, რის გამოც დაპატიმრებულ იქნა 1869 წ. გამოშვების შემდეგ, 1873 წ. შეუერთდა კიევის ანარქისტებს. ყველაზე ცნობილი ისტორია მასზე არის ის, რომ როდესაც ზასულიჩმა გაიგო ერთ-ერთი რევოლუციონერი აქტივისტის ციხეში სასტიკი ცემის შესახებ, გადაწყვიტა შური ეძია და ესროლა გენერალ ტრეპოვს, მას, ვინც გასცა ცემის ბრძანება. შემდეგ დადგა უფრო ზომიერ პოზიციაზე და დაუპირისპირდა სასტიკი, ძალადობრივი მეთოდებით ბრძოლას. შვეიცარიაში წასვლის შემდეგ გახდა მარქსისტი და დაუახლოვდა გიორგი პლეხანოვსა და პავლე აქსელროდს. მათ შეუერთდნენ ახალი თაობის მარქსისტები ლენინის მეთაურობით და ერთად დაიწყეს რევოლუციური გაზეთი „ისკრას“ გამოცემა. მენშევიკებისა და ბოლშევიკების გათიშვის შემდეგ, ზასულიჩი მიემხრო პირველებს. ზასულიჩი ეწინააღმდეგებოდა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციას. გარდაიცვალა პეტროგრადში, 1919 წ.

**ზინოვიევი, სერგეი** (ოვსეი-გერშონ რადომისლსკი) (1883-1936). ბოლშევიკი რევოლუციონერი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბოლშევიკური ფრაქციის წევრი მისი დაარსების დღიდან 1903 წ. 1917 წ. თებერვლამდე იყო ლენინის ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი. კამენევთან ერთად დაუპირისპირდა 1917 წ. ოქტომბერში შეიარაღებულ გადატრიალების გეგმას, რამაც გამოიწვია მისი დაპირისპირება ლენინთან. შემდეგ კვლავ შეუერთდა რევოლუციას და ხელახლა იქნა არჩეული ცენტრალურ კომიტეტში 1918 წ. აქტიურად მონაწილეობდა სამოქალაქო ომში, კერძოდ პეტროგრადის დაცვაში. ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ თავიდან დაუპირისპირდა ტროცკის სტალინთან და კამენევთან ერთად (1923-24 წ.), შემდეგ კი მხარი დაუჭირა ტროცკის და დაუპირისპირდა სტალინს (1926-27 წ.). ტროცკის დამარცხებასთან ერთად, კამენევის მსგავსად მოინანია და გაიზიარა სტალინის ხაზი (1928-34). კიროვის სიკვდილის შემდეგ, სტალინმა დაიწყო პარტიის სისტემური წმენდა, რომლის პირველ ნაკადში მოყვა ზინოვიევიც. დახვრიტეს 1937 წ. 25 აგვისტოს.

**ტოკვილი, ალექსის დე** (1805-1859) ფრანგი პოლიტიკური მოაზროვნე და ისტორიკოსი. ყველაზე მეტად ცნობილია თავისი წიგნისთვის „დემოკრატია ამერიკაში“, რომელიც მან დაწერა ამერიკაში მოგზაურობის შთაბეჭდილებების შემდეგ 1840 წ. ეს ითვლება ერთ-ერთი უადრეს ნაშრომად

სოციოლოგიაში. ტოკვილი იყო ლიბერალური ტრადიციის მიმდევარი მოაზროვნე და აქტიურად მონაწილეობდა საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

**კალინინი, მიხეილ** (1875-1946) კომუნისტური პარტიის წევრი 1898 წლიდან. რევოლუციური ჯგუფის წევრობისათვის 1899 წ. დააპატიმრეს და 10-თვიანი პატიმრობის შემდეგ გადაასახლეს თბილისში, სადაც გააგრძელა რევოლუციური საქმიანობა. იყო გაზეთ „ისკრას“ აქტიური აგენტი. მონაწილეობდა 1905-7 წლების აჯანყებაში. იყო თებერვლის რევოლუციის მონაწილე და ოქტომბრის გადატრიალების ერთ-ერთი ინიციატორი. ლენინი მას მოიაზრებდა როგორც გლეხობისა (წარმოშობით კალინინი გლეხების ოჯახიდან იყო) და მუშა-პროლეტარების (პროფესიით იგი იყო მუშა) ერთიანობის სიმბოლოს. გახდა კომპარტიის პოლიტბიუროს წევრი 1919 წ. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ВЦИК) თავმჯდომარე; 1922 წ.-დან სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე. 1938 წლიდან გარდაცვალებამდე სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე. მიუხედავად მაღალი თანამდებობისა, სტალინის დიქტატურის პირობებში ჰქონდა მხოლოდ მარიონეტული როლი. 1934 წ. ხელი მოაწერა სტალინისა და ენუქიძის შედგენილ დოკუმენტს, „საკავშირო რესპუბლიკებში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებების შესახებ“, რომელმაც სანქცია მისცა „ტროიკების“ გამარტივებულ პროცესებს. დიდი რეპრესიების დროს უმიზეზოდ დაუპატიმრეს ცოლი, რომლის გათავისუფლებაც ვერ შეძლო.

**კამენევი, ლევ** (ნამდვილი გვარი: როზენფელდი) (1883-1936). გამოჩენილი რუსი რევოლუციონერი, პარტიული მუშაკი. სკოლა დაამთავრა თბილისში და შემდეგ სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში, სადაც დაპატიმრებულ იქნა რევოლუციური საქმიანობისთვის. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი 1901 წლიდან და პარტიის გაყოფის შემდეგ მისი ბოლშევიკური ფრაქციის წევრი 1903 წლიდან. მონაწილეობდა 1905 წ. რევოლუციაში. ზინოვიევთან ერთად იყო ვლადიმირ ლენინის უახლოესი თანაშემწე მისი ევროპაში ხიზნობის დროს. ზინოვიევთან ერთად დაუპირისპირდა ლენინის ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების გეგმას, მაგრამ შემდეგ თავადაც ჩაერთო რევოლუციაში. ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ თავიდან დაუპირისპირდა ტროცკის სტალინთან და ზინოვიევთან ერთად (1923-24). შემდეგ სტალინს ტროცკისთან ერთად (1926-27),

დაბოლოს, ტროცკის დამარცხებასთან ერთად დაემორჩილა სტალინის ხაზს (1928-1934 წ.). კიროვის სიკვდილის შემდეგ სტალინმა დაიწყო პარტიის წმენდა, რომლის პირველ ნაკადში მოყვა კამენევი ზინოვიევთან ერთად. იგი დახვრიტეს 1936 წ. 25 აგვისტოს. მისმა ორმა შვილმა (17 და 33 წლისებმა) და მეუღლემ იგივე ბედი გაიზიარეს.

**კიროვი, სერგეი** (ნამდვილი გვარი, **კოსტრიკოვი**) (1886-1934). ძველი ბოლშევიკი, ვისმა მკვლელობამაც 1934 წ. დასაბამი მისცა 1936-38 წ. დიდ რეპრესიებს. ბოლშევიკური პარტიის წევრი 1904 წლიდან. მონაწილეობას იღებდა 1905 წ. რევოლუციაში, რომლის დროსაც დააპატიმრეს, მაგრამ მალე გამოუშვეს. იბრძოდა სამოქალაქო ომში 1920 წლამდე. გახდა აზერბაიჯანის პარტიული ორგანიზაციის თავმჯდომარე. ყოველმხრივ მხარს უჭერდა სტალინს და 1926 წელს დაინიშნა ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის მდივნად. კიროვის პოპულარობა საშიში ხდებოდა სტალინისთვის. 1934 წ. მკვლელობა, დიდი შესაძლებლობით, სტალინის ორგანიზებული იყო. ეს მკვლელობა სტალინმა გამოიყენა დიდი წმენდის დაწყებისთვის პარტიაში.

**კონკვესტი, რობერტ** (1917 - ) ბრიტანელი ისტორიკოსი და პოეტი. გახდა საბჭოთა კავშირის შესახებ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ავტორი თავისი ორი ნაშრომით სტალინურ რეპრესიებზე: „დიდი ტერორი: ოცდაათიანი წლების სტალინური წმენდა“ (1968) (ეს წიგნი ხელახლა გამოვიდა 1989 წელს, მას შემდეგ, რაც კონკვესტმა გამოიყენა მრავალი ახლადგამოქვეყნებული მასალა) და „მწუხარების მოსავალი: საბჭოთა კოლექტივიზაცია და შიმშილის ტერორი“ (1986). 1940-იან წლებში კონკვესტი შეუერთდა კომუნისტურ პარტიას, მაგრამ შემდგომში რადიკალურად გაემიჯნა და დაუპირისპირდა კომუნისტურ იდეოლოგიას.

**კრასინი, ლეონიდე** (1870-1926) პარტიული მუშაკი, დიპლომატი. სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მონაწილე 1890 წლიდან. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (РСДРП) ცენტრალური კომიტეტის წევრი 1903 წლიდან. 1905 წლიდან მეთაურობდა რსდმპ-ს ცენტრალური კომიტეტის ტექნიკურ ჯგუფს და დაკავებული იყო პარტიისთვის სახსრების მოძიებით. 1912 წლიდან გადადგა პოლიტიკური მოღვაწეობიდან. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, 1918 წ. აღადგინეს რუსეთის კომუნისტურ პარტიაში (ბოლშევიკებისა) და ნიშნავდნენ სხვადასხვა საპას-

უხისმგებლო თანამდებობებზე. მუშაობდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში; 1918 წ. დეკემბერში ხელი მოაწერა ბრესტის ზავის დამატებით პირობებზე. 1918-20 წლებში იყო სრულიად რუსეთის სახალხო მეურნეობის (ВСНХ) პრეზიდიუმის წევრი, რსფსრ ვაჭრობისა და მრეწველობის სახალხო კომისარი და საგანგებო კომისიის (ЧК) მდივანი წითელი არმიის მომარაგებაში. 1920-23 წწ. გახდა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი, და, ამავე დროს, რსფსრ სრულუფლებიანი წარმომადგენელი და სავაჭრო წარმომადგენელი დიდ ბრიტანეთში. 1925 წ. დაინიშნა სსრკ შინაგან და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარის მოადგილედ. 1924 წ.-დან იყო სსრკ სრულუფლებიანი წარმომადგენელი საფრანგეთში, ხოლო 1925 წ.-დან კვლავ დიდ ბრიტანეთში. 1924 წლიდან იყო სრულიად რუსეთის კომპარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალური კომიტეტის წევრი. დაკრძალეს წითელ მოედანზე. ეკუთვნის მემუარების წიგნი: „გარდასრულ დღეთა საქმენი“ (*Дела минувших дней.* Москва, 1934).

**კრუპსკაია, ნადეჟდა** (1869-1939) რუსი რევოლუციონერი, სამხედრო ოფიცრის შვილი. 1898 წ. ცოლად გაჰყვა ვლადიმირ ლენინს, ორთავეს ემიგრაციაში ყოფნის დროს. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გახდა განათლების სახალხო კომისრის, ანატოლი ლუნაჩარსკის მოადგილე. სტალინის მხრიდან კრუპსკაიას შეურაცხყოფა გახდა დაპირისპირების მიზეზი სტალინსა და ლენინს შორის. კრუპსკაია ცდილობდა პოლიტიკაში აქტიური როლის თამაშს ქმრის სიკვდილის შემდეგაც, მაგრამ იოსებ სტალინმა მოახერხა მისი გარიყვა და იზოლირება. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საბჭოთა საბიბლიოთეკო საქმის განვითარებაში.

**ლენინი (ვლადიმირ ულიანოვი)** (1870-1924) დაიბადა სიმბირსკში, სახალხო სასწავლებლების ინსპექტორის ოჯახში. ჩააბარა ყაზანის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომლიდანაც გარიცხეს სტუდენტური მღელვარებების შემდეგ. ლენინის ცხოვრებაზე საბედისწეროდ იმოქმედა მისი ძმის, ალექსანდრეს სიკვდილით დასჯამ 1887 წ. ალექსანდრე დასაჯეს როგორც ნაროდოვოლცელი და იმპერატორ ალექსანდრე III-ის მკვლელობის შეთქმულების მონაწილე. ლენინმა წარმატებით ჩააბარა გამოცდები პეტერბურგის უნივერსიტეტში. ამავე დროს გახდა მარქსისტი და შვეიცარიაში შეხვდა პლეხანოვს. დაბრუნების შემდეგ, 1895 წ. დაარსა „მუშათა კლასის გათავისუფლებისთვის ბრძოლის კავშირი“ («Союз борьбы за освобождение рабочего класса»). ლენინი დააპატიმრეს და

გადაასახლეს ციმბირში სამი წლით. 1900 წ. დატოვა რუსეთი და უცხოეთში დააარსა რევოლუციურ-მარქსისტული გაზეთი – „ისკრა“. გაზეთის რუსეთში გავრცელებამ შექმნა პირობა მთელ რუსეთის იმპერიაში არალეგალური მარქსისტული ორგანიზაციების ქსელის გაშლისათვის. ამ პერიოდში იღებს ფსევდონიმად „ლენინს“ და აქვეყნებს ფუნდამენტურ ნაშრომს „რა ვაკეთოთ?“, სადაც აყალიბებს პროფესიონალი რევოლუციონერების მცირერიცხოვანი პარტიის კონცეფციას. ამგვარი პარტია, მისი აზრით, უნდა იყოს მუშათა კლასის ავანგარდი ბურჟუაზიასთან ბრძოლაში. 1905 წ. ბრუნდება რუსეთში, მაგრამ სტოლიპინის რეაქციის შემდეგ კვლავ მიდის ემიგრაციაში. 1912 წ. რადიკალურად გაემიჯნა მენშევიკებს. უცხოეთიდან ხელმძღვანელობდა რუსეთში ლეგალური სტატუსის მქონე გაზეთ „პრავდის“ გამოცემას. პირველი მსოფლიო ომის დროს, ციმერვალდის (1915) და კინტალის (1916) კონფერენციებზე ამტკიცებდა, რომ იმპერიალისტური ომი უნდა გადაიზარდოს სამოქალაქო-კლასობრივ ომში. 1917 წ. ბრუნდება რუსეთში და აყენებს მეორე რევოლუციის მომზადების საკითხს („აპრილის თეზისები“). ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ტროცკისთან ერთად იყო „წითელი ტერორის“ ინიციატორი. როდესაც ხელი მოეცარა მის არარეალისტურ, კომუნისტურ ეკონომიკურ პოლიტიკას, გამოვიდა „ახალი ეკონომიკური პოლიტიკის“ (НЭП) ინიციატივით. НЭП-მა დაუშვა კერძო საკუთრებისა და თავისუფალი ბაზრის ფორმების არსებობა. სიცოცხლის ბოლოს ლენინი დაუპირისპირდა იოსებ სტალინს ეროვნებების საკითხში და ასევე იმაში, თუ ვინ უნდა ყოფილიყო პარტიის ლიდერი მისი სიკვდილის შემდეგ. მან ვერ შეძლო სტალინის დამარცხება, რადგან ბოლო თვეები ფაქტობრივად იმყოფებოდა ამ უკანასკნელის პატიმრობაში გორკიში. გარდაიცვალა 1924 წ. იანვარში.

**ლომინაძე, ბესარიონ** (1897-1935) საბჭოთა პარტიული მუშაკი. დაიბადა ქუთაისში, მასწავლებლის ოჯახში. 16 წლიდან მონაწილეობდა სტუდენტურ რევოლუციურ წრეებში ქუთაისსა და პეტერბურგში. კომპარტიის წევრი გახდა 1917 წ. ამავე წლის აპრილიდან მუშაობდა ბოლშევიკური პარტიის პეტერბურგის კომიტეტის სამხედრო ორგანიზაციაში. 1917 წლიდან იყო პარტიულ თანამდებობებზე ქუთაისში, თბილისში და ბაქოში. 1918 წ. დააპატიმრა მენშევიკურმა მთავრობამ. 1919-20 წწ. იყო აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. 1921-22 წწ. პეტროგრადის ვიბორგის რაიონის პარტიული ორგანიზატორი; მონაწილეობდა კრონდშტატის ანტიბოლშევიკური აჯანყე-

ბის ჩახშობაში. 1922-24 წწ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი. 1925-29 წწ. მუშაობდა კომინტერნში. ეკავა მაღალი პარტიული თანამდებობები რუსეთში. სტალინი მას ენდობოდა, მაგრამ, როგორც ლომინაძე იხსენებდა, მათ შორის რაღაც დაძაბულობა ყოველთვის იყო, მისი აზრით, იმის გამო, რომ სტალინს, შესაძლოა, შურდა მისი სიმაღლის და უაქცენტო რუსულის. კიროვის მკვლელობის შემდეგ დააპატიმრეს ლომინაძის უახლოესი პარტიული მეგობრები და თავად ლომინაძეც გამოიძახეს მაგნიტოგორსკიდან მოსკოვში. თავი მოიკლა 1935 წ.

**მახარაძე, ფილიპე** (1868-1941) საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი 1891 წლიდან. დაიბადა გურიაში მღვდლის ოჯახში, და თვითონაც სწავლობდა სემინარიაში, სანამ არ გარიცხეს „მგლის ბილეთით“. სწავლობდა ვარშავის ვეტერინარულ ინსტიტუტში, რომელიც ასევე არ დაუმთავრებია. ეწეოდა მარქსიზმის და რევოლუციის პროპაგანდას საქართველოში; განსაკუთრებით ცნობილია მისი პოლემიკა ილია ჭავჭავაძესთან სოც. დემოკრატიულ გაზეთ „მოგზაურში“. მონაწილეობდა 1905-7 წლების რევოლუციაში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წლებში ებრძოდა ხელისუფლებას და დაპატიმრებულ იქნა მეტეხის ციხეში. 1922 წლიდან ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი, საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის მდივანი. 1938 წლიდან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მდივანი. ერთ-ერთი იშვიათი ძველი ბოლშევიკთაგანი, რომელიც სტალინურ წმენდას გადაურჩა.

**მდივანი, პოლიკარპე (ბუდუ)** (1877-1937) ძველი თაობის ქართველი ბოლშევიკი. ბოლშევიკური პარტიის წევრი 1903 წლიდან. რევოლუციურ საქმიანობას ეწეოდა თბილისში, ბაქოსა და ბათუმში. 1917 წ. რევოლუციის შემდეგ მუშაობდა ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროში; იყო 11-ე არმიის რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს წევრი. სტალინთან და ორჯონიკიძესთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობაში. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დაარსების შემდეგ ბუდუ მდივანი დაუპირისპირდა სტალინსა და ორჯონიკიძეს იმით, რომ იცავდა საქართველოს კომპარტიის ცენტრისაგან დამოუკიდებლობას. 1937 წ. ლავრენტი ბერიამ დაადანაშაულა მდივანი „ჯაშუშობის, საბოტაჟის და ტერორიზმის ტროცკისტული ცენტრის“ შექმნაში და დაახვრეტინა.

დახვრიტეს აგრეთვე მისი ცოლი და შვილები, მათ შორის ცნობილი ჩოგბურთელი არჩილ მდივანი (1911-1937).

**მიქელაძე, ევგენი** (1903-1937) ქართველი დირიჟორი. დაამთავრა ლენინგრადის კონსერვატორია. 1931-37 წ. იყო თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირიჟორი. 1932 წ. დააარსა თბილისის კონსერვატორიის სტუდენტთა ორკესტრი. 1933-1937 ხელმძღვანელობდა მის მიერ დაარსებულ საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრს. 1937 წ. რეპრესიებში მოყვა პირადად ლავრენტი ბერიას ინიციატივით, მას შემდეგ რაც ცოლად შეირთო ბერიას პოლიტიკური მოწინააღმდეგის, რეპრესირებული მამია ორახელაშვილის ქალიშვილი, ქეთუსია, რომელიც აკმოლენსკის ბანაკში იყო გადასახლებული.

**მიწიშვილი, ნიკოლო** (ნამდვილი გვარი – სირბილაძე) (1896-1937). ქართველი მწერალი. სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1912 წ. ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ დაწერილი ლექსებით. რედაქტორობდა ქუთაისის გაზეთ „გოლოს სოლდატას“ (1917) და თბილისის რუსულენოვან გაზეთ „ფიგაროს“ (1920-22). 1922-25 წწ. ცხოვრობდა საფრანგეთში. 1925 წ. დაბრუნდა საქართველოში და რედაქტორობდა ჟურნალ „ქართულ მწერლობას“ (1926-28). მეგობრობდა „ცისფერყანწელებთან“ და წერდა სიმბოლისტურ ნაწარმოებებს, როგორც პოეტურ, ისე პროზაულ („ეპოპეა“ – 1929; „ერთი ღამის ამბავი“ – ნოველების კრებული – 1928 ა.შ.). თარგმნა ტ. შევჩენკოს, ვ. მაიაკოვსკის, მ. რილსკის თხზულებები.

**მოლოტოვი, ვიაჩესლავ** (ნამდვილი გვარი, **სკრიაბინი**) (1890-1986) – საბჭოთა პოლიტიკური მოღვაწე, საბჭოთა მთავრობის მეთაური 1930-1941 წწ.; საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი და მინისტრი 1939-1949 წწ. ბოლშევიკურ პარტიას შეუერთდა 1906 წ. მონაწილეობდა გაზეთ „პრავდას“ შექმნაში და იყო მისი რედაქციის მდივანი 1912-13 წწ. მხარს უჭერდა შეიარაღებულ გადატრიალებას 1917 წ. და ამავე წლის ოქტომბერში იყო პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის წევრი. ლენინის სიკვდილის შემდეგ მხარს უჭერდა სტალინს და ებრძოდა მის მოწინააღმდეგეებს პარტიაში ტროცკის, ზინოვიევს, კამენევს და „მემარჯვენე უკლონისტებს“ 1928-29 წწ. აქტიურად მონაწილეობდა 1930-32 წწ. კოლექტივიზაციაში. კალინინთან და ენუქიძესთან ერთად ხელი მოაწერა სტალინის მიერ ინიცირებულ ე.წ. „თავთავების კანონს“ (1932 წ. 7 აგვისტო), რომელმაც მილიონობით ადა-

მიანი იმსხვერპლა. მოლოტოვი 1936-38 წლების რეპრესიების ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო და სტალინთან ერთად ხელს აწერდა დახვრეტის ოქმებზე. მისი ინიციატივა იყო „სიებით გასამართლების“ შემოღება, რაც ამარტივებდა და აჩქარებდა პროცესს. 1939 წ. დაინიშნა საგარეო საქმეთა მინისტრად და მონაწილეობდა მოლაპარაკებებში ჰიტლერის მთავრობასთან; რიბენტროპთან ერთად ხელი მოაწერა „თავდაუსხმელობის პაქტს“ 1939 წ. გერმანიასთან ომის დაწყების შემდეგ კი მოლაპარაკებებს აწარმოებდა ანტიფაშისტურ კოალიციასთან. მოლოტოვის სახელთანაა დაკავშირებული ყველა საერთაშორისო კონფერენცია: მოსკოვის (1941),

თეირანის (1943), იალტის (1945, 4-11 თებერვალი) და პოტსდამის (1945, 17 ივლისი – 2 აგვისტო). 1949 წ. სტალინმა დაუპატიმრა ცოლი. სტალინის სიკვდილის შემდეგ მხარი დაუჭირა ხრუშჩოვს ბერიას განადგურებაში. ხრუშჩოვის მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლისთვის ჩამოაქვეითეს, საბოლოოდ კომპარტიიდანაც გარიცხეს. აღადგინეს მხოლოდ 1984 წ., ანდროპოვის დროს.

**მოროზოვი, პავლიკ** (1918-1932) ეკატერინებურგის რაიონის ღარიბი სოფლის, გერასიმოვკას მკვიდრი რუსი გლეხის ბიჭი. ოფიციალური საბჭოთა ვერსიით მან განაცხადა მამის დანაშაულების შესახებ შინსახკომში, რის შედეგადაც მამა ათი წლით გადაასახლეს, ხოლო ოჯახის წევრებმა შური იძიეს და მოკლეს დამსმენი – 13 წლის პავლიკი. ეს ვერსია, მკვლევართა აზრით, შორს უნდა იყოს სინამდვილიდან, არამედ წარმოადგენს საბჭოთა პროპაგანდის პროდუქტს, რომლის მიხედვითაც ოჯახის ფასეულობაზე მაღლა დგას ის, რასაც ასწავლის პარტია და ხელისუფლება. ოფიციალური საბჭოთა პროპაგანდით პავლიკი გამოცხადდა ახალი ტიპის მოწამედ.

**ნეჩაევი, სერგეი** (1847-82) რუსული რევოლუციური მოძრაობის მონაწილე. საიდუმლო ორგანიზაციის, „სახალხო შურისგების“ („Народная Расправа“) ფუძემდებელი; ავტორი „რევოლუციონერის კატექიზმო“-სი. 1869 წელს მოსკოვში ღალატის ბრალდებით მოკლა სტუდენტი ი. ივანოვი და მიიმალა უცხოეთში, ფიოდორ დოსტოევსკის „ეშმაკნის“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის პაველ ვერხოვენსკის პროტოტიპი. 1872 წელს გაცემულ იქნა შვეიცარიის ხელისუფლების მიერ. მიესაჯა 20 წელი კატორღულ სამუშაოებზე. გარდაიცვალა პატიმრობის მეცხრე წელს.

**ორახელაშვილი, ივანე (მამია)** (1881-1937) საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მუშაკი, კომპარტიის წევრი 1903 წ. 1908 წ. დაამთავრა პეტერბურგის სამხედრო აკადემია. რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება XIX ს. 90-იან წლებში. 1917-18 წ. იყო რუსეთის სოციალ დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკებისა) (რსდმპ (ბ)) ვლადიკავკაზის კომიტეტის და საბჭოს თავმჯდომარე, რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრი. 1920-21 წწ. საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე. 1926-29 წ. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი. 1930 გაზეთ „პრავდის" სარედაქციო კოლეგიის წევრი მოსკოვში. 1932-37 წ. მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე მოსკოვში. 1927-30 წ. დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქციის წევრი. ემსხვერპლა 1937 წ. რეპრესიებს.

**ორჯონიკიძე, გრიგოლ (სერგო)** (1886-1937) რევოლუციონერი 1903 წლიდან. დაპატიმრებულ იქნა იარაღის გადატანისთვის. გამოშვების შემდეგ ცხოვრობდა გერმანიაში. 1907 წ. ჩავიდა ბაქოში, სადაც მუშაობდა სტალინთან ერთად. სამოქალაქო ომის დროს იყო კომისარი უკრაინაში. მონაწილეობდა ბრძოლებში კავკასიაში. ხელი შეუწყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას სომხეთში. წამყვანი როლი ითამაშა 1921 წ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობაში. პოლიტბიუროს წევრი 1926 წლიდან. დიდი რეპრესიების დროს ორჯონიკიძე დაუპირისპირდა სტალინს, განსაკუთრებით იმ მხრივ, რომ იყენებდა თავის ძალაუფლებას და იცავდა შინსახკომის ძიების ქვეშ მყოფ, მისი აზრით, სრულიად უდანაშაულო თანაპარტიელ მეგობრებს. ხმები დადიოდა, რომ ორჯონიკიძე აპირებდა ღიად დაეგმო სტალინის რეპრესიული პოლიტიკა პოლიტბიუროს 1937 წ. აპრილის პლენუმზე. ოფიციალური ვერსიით, მან თავი მოიკლა. თუმცა, ამ ვერსიის საეჭვოობა იმით დასტურდება, რომ ის ექიმები, რომლებმაც დაადასტურეს თვითმკვლელობა, თავადაც რეპრესიებში მოყვნენ.

**რიუტინი, მარტემიან** (1890-1937) ძველი თაობის ბოლშევიკი, მოსკოვის კომუნისტური პარტიის კომიტეტის მდივანი 20-იან წლებში. 1927-1930 წ. სსრკ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი; ბუხარინთან და რიკოვთან ერთად, პარტიის მემარჯვენე, ზომიერი ფრთის მხარდამჭერი. 1930 წ. იგი გარიცხეს პარტიიდან ოპოზი-

ციონერული აზრებისთვის და დააპატიმრეს, მაგრამ მალევე გაათავისუფლეს და პარტიის წევრობაც დაუბრუნეს 1931 წ. რიუტინმა სცადა ფარულად ემოქმედა სტალინის დიქტატურის წინააღმდეგ და დაწერა 200 გვერდიანი „მიმართვა სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ყველა წევრს“, სადაც გმობდა ძალდატანებით კოლექტივიზაციას, მოუწოდებდა ყველა დევნილი პარტიელის რეაბილიტაციისკენ და შემორიგებისკენ და გმობდა სტალინს, როგორც „რევოლუციის დამსამარებელს“. ავტორის ვინაობის დადგენისთანავე იგი, და ისინი, ვინც წაიკითხა ე.წ. რიუტინის პლატფორმა და არ მოახსენა ხელისუფლებას, დააპატიმრეს (მათ შორის ზინოვიევი და კამენევიც). რიუტინი დახვრიტეს დიდი წმენდის დროს, 1937 წ.

**რობაქიძე, გრიგოლ** (1882-1962) ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია, შემდგომში ტარტუს და ლაიფციგის უნივერსიტეტები. საქართველოში სათავეში ჩაუდგა სიმბოლისტი მწერლების კავშირს „ცისფერ ყანწებს“. მისი შემოქმედებისთვის და მრწამსისთვის ცენტრალური მნიშვნელობა ჰქონდა ქართული მითოსური არქეტიპების ძიებას. განიცდიდა ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიის გავლენას. 1930 წელს იდეოლოგიური დევნის პირობებში მოუწია ემიგრირება გერმანიაში. მისი პიესა „ლამარა“ კვლავ პოპულარული იყო სსრკ-ში, თუმცა, იდგმებოდა ავტორის დასახელების გარეშე. რომანი „გველის პერანგი“, რომელიც რობაქიძემ გერმანულად დაწერა, ანტისაბჭოთა ხასიათისაა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რობაქიძეს დასავლეთში აყვედრიდნენ ნარკვევების გამოქვეყნებას ჰიტლერზე და მუსოლინიზე, რომლებიც, კრიტიკოსთა აზრით, ფაშიზმის აპოლოგიას წარმოადგენდა. ამ ბრალდებას თავად ავტორი უარყოფდა. გარდაიცვალა ჟენევაში 1962 წ. შემდგომში გადაასვენეს ლევილის ქართული სათვისტომოს სასაფლაოზე.

**როზანოვი, ვასილი** (1856-1919). რუსი მწერალი და ფილოსოფოსი. ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური მოაზროვნე რუსეთის ისტორიაში. მისი ნააზრევი ატარებდა პარადოქსულ, წინააღმდეგობრივ ხასიათს და არ ჰქონდა დასრულებული ფილოსოფიური ტრაქტატის ფორმა, არამედ იწერებოდა პირადი დღიურის სახით („მარტოობის ჩანაწერები“ – «Уединенное» (1911); „ჩამოცვენილი ფოთლები“ - «Опавшие Листя» (1913; 1915). მის ნაწერებს თავს ესხმოდენ როგორც ლენინი, ისე ოფიციალური ეკლესიის წარმომადგენლები. ნიკოლოზ ბერდიაევი მას „წარმართ

ფილოსოფოსს“ უწოდებდა, როგორც ჩანს, მისი აზრებისთვის სექსუალობაზე. გარდაიცვალა უკიდურეს სიღარიბეში, ყველასგან დავიწყებული, საბჭოთა წყობის დამყარების შემდეგ.

**რუდენკო, რომან** (1907-1981) სსრკ გენერალური პროკურორი 1953-81 წწ. კომპარტიის წევრი 1926 წლიდან. დიდი სამამულო ომის დროს მუშაობდა სსრკ პროკურატურის ორგანოებში. 1944 წ. იყო უკრაინის სსრ პროკურორი. 1945-46 წწ. იყო ნაცისტი სამხედრო დამნაშავეების მთავარი ბრალმდებელი სსრკ-ს მხრიდან. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი 1961 წ.-დან. როდესაც სტალინის სიკვდილის შემდეგ დაიწყო სტალინის რეპრესირებულთა საქმის გამოძიება, ხრუშჩოვმა შეკითხვა დაუსვა სსრკ გენერალურ პროკურორის თანამდებობაზე მყოფ რუდენკოს იმის თაობაზე, თუ იურიდიულად რამდენად საფუძვლიანი იყო ის ბრალდებები, რომლებიც წაეყენათ პარტიის თვალსაჩინო წარმომადგენლებს, რაზეც რუდენკომ უპასუხა: *„იურიდიული ნორმების თვალსაზრისით, ამ ხალხის გასამართლებისთვის არანაირი მონაცემი არ იყო. ყველაფერი ეფუძნებოდა პირად აღიარებებს, ხოლო ფიზიკური და მორალური წამებით მოპოვებული პირადი აღიარებები არ წარმოადგენენ ადამიანთა გასამართლების საფუძველს.“*

**საყვარელიძე, პავლე** (1885-1944) ქართველი მწერალი. კომპარტიის წევრი 1903 წლიდან. 1918-20 წწ. მონაწილეობდა სამოქალაქო ომში ირკუტსკის გუბერნიაში. 1921 წ. დაბრუნდა საქართველოში. იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბეჭვდითი სიტყვისა და „სახელგამის“ კოლეგიების წევრი, გაზეთების „მუშა“, „მიწის მუშა“, „ახალი სოფელი“ და ჟურნალი „ნიანგის“ რედაქტორი. მოყვა 1937 წ. რეპრესიებში.

**სვერდლოვი, იაკობ** (1885-1919) რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი 1902 წლიდან. შემდგომში შეუერთდა ბოლშევიკების ფრაქციას ლენინის მეთაურობით. 1905 წ. რევოლუციის მონაწილე. დააპატიმრეს 1906 წელს. გათავისუფლდა 1917 წელს, თებერვლის რევოლუციის შემდეგ და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ოქტომბრის რევოლუციის დაგეგმვაში. მის სახელთან არის დაკავშირებული ნიკოლოზ რომანოვის ოჯახის დახვრეტა – ამ ბრძანებას სვერდლოვმა მოაწერა ხელი 1918 წ. 16 ივლისს. გარდაიცვალა 1919 წ. გრიპით.

**სტალინი იოსებ (ჯუღაშვილი)** (1879-1953) კომპარტიის წევრი 1898 წლიდან. მონაწილეობდა 1905-07 წწ. რევოლუციაში კავკასიაში. პეტროგრადის 1917 წ. ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთი მეთაური. 1917 წ. ოქტომბრიდან სახალხო კომისარი ეროვნებების საქმეებში. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი 1919 წლიდან. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი 1922 წლიდან. 1941 წლიდან თავდაცვის სახალხო კომისარი და უმაღლესი მთავარსარდალი. ითამაშა მნიშვნელვანი როლი საბჭოთა კავშირის ბრძოლაში ნაციზმთან მეორე მსოფლიო ომში. მიენიჭა გენერალისიმუსის წოდება გერმანიაზე გამარჯვების შემდეგ, 1945 წ. მისი ინიციატივით ჩატარდა საბჭოთა კავშირში ორი დიდი რეპრესია: 1932-33 წლებში სოფლებში, ე.წ. კულაკების წინააღმდეგ და 1936-38 წლებში, ე.წ. „დიდი ტერორი“, რომლებსაც მილიონობით ადამიანი ემსხვერპლა.

**სტურუა, გიორგი** (1884-1956). საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე. 1901 წელს შეუერთდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას (РСДРП), პარტიის გაყოფის შემდეგ დარჩა ბოლშევიკების ფრაქციაში. 1903-14 წწ. მუშაობდა არალეგალურ ბოლშევიკურ ტიპოგრაფიებში ბაქოში და მოსკოვში. რამდენჯერმე დააპატიმრეს. 1914 წ. გადაასახლეს ნარიმის ოლქში, საიდანაც გაიქცა. 1917-18 წწ. კომპარტიის ბაქოს საბჭოსა და კომიტეტის წევრი. 1918 წ. ბაქო-პეტროვსკის ფრონტის კომისარი. 1919-20 წწ. რუსეთის კომპარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრი. იყო კანონიერი დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ ბოლშევიკების 1919 წ. აჯანყების ერთ-ერთი მოთავე, რისთვისაც 1920 წ. დააპატიმრეს და გადაასახლეს აზერბაიჯანში. 1920 წ. სექტემბერ-დეკემბერში იყო აზერბაიჯანის კომპარტიის ცკ-ს მდივანი. 1925-27 წწ. საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი. 1929-31 წწ. საქართველოსა და ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარი. 1937-50 წწ. სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. 1938-41 წწ. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. 1942-48 წწ. საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი. 1946-48 წწ. სსრკ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. სტალინის გარდაცვალების შემდეგ დაკარგა ყოველგვარი გავლენა და პროფკავშირების საბჭოს ხანმოკლე მდივნობის შემდეგ დაინიშნა ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორად.

**ტოროშელიძე, მალაქია** (1880-1937). პარტიული და საბჭოთა საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი. კომპარტიის წევრი 1902 წლიდან. 1904 წ. ჟენევაში გაიცნო ვლადიმირ ლენინი. 1905-6 წწ. მონაწილეობდა აჯანყებებში საქართველოში. თანამშრობლობდა ბოლშევიკურ პრესაში. 1910 წ. დაამთავრა ჟენევის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ამის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და გააგრძელა რევოლუციური საქმიანობა. იყო ბოლშევიკური გაზეთების „ბრძოლისა" და „კავკაზსკი რაბოჩის" სარედაქციო კოლეგიის წევრი. 1928-30 წ. თსუ-ს რექტორი. 1931-36 წ. საქართველოს სსრ საგეგმო კომისიის თავმჯდომარე და სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. 1934-35 წ. მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის დირექტორი და მწერალთა კავშირის თავმჯდომარე. 1936 წ. განათლების სახალხო კომისარი. მოყვა 1937 წ. რეპრესიებში.

**ტროცკი ლევ (ლეონ ბრონშტეინი)** (1879-1940). რუსი კომუნისტი რევოლუციონერი. ლენინთან ერთად არალეგალურ გაზეთ „ისკრას" ფუძემდებელი. 1905 წლის რევოლუციის მონაწილე. შეუერთდა ბოლშევიკურ პარტიას 1917 წელს და იყო ამავე წლის ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი. ლენინის მთავრობაში საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი 1917 წლიდან. სამხედრო კომისარი 1918 წლიდან. იღებდა მონაწილეობას სამოქალაქო ომში თეთრგვარდიელების წინააღმდეგ და განსაკუთრებულ სისასტიკეს ავლენდა „წითელი ტერორის" დროს. დაუპირისპირდა ლენინს და სტალინს „ახალი ეკონომიკური პოლიტიკის" (НЭП-ის) საკითხში. ასევე, ლენინის სიკვდილის შემდეგ, დაუპირისპირდა სტალინის თეორიას სოციალიზმის ერთ ქვეყანაში აშენების შესახებ, რადგან თავად მიაჩნდა, რომ რუსეთის რევოლუცია მთელს მსოფლიოს უნდა მოსდებოდა. ამ დაპირისპირების შედეგად ტროცკი ჯერ დააპატიმრეს, შემდეგ კი აიძულეს დაეტოვებინა ქვეყანა. მექსიკაში მცხოვრები ტროცკი მოკლა რამონ მერკადერმა, რომელიც, შესაძლოა, სტალინის აგენტი იყო.

**ტუხაჩევსკი, მიხაილ** (1893-1937) მხედართმთავარი, საბჭოთა კავშირის მარშალი (1935 წ.). სამხედრო კარიერა დაიწყო I მსოფლიო ომს. 1914 წ. ტყვედ ჩაუვარდა გერმანელებს. 1917 წ. დაბრუნდა რუსეთში. 1918 წ. შეუერთდა კომპარტიას და წითელ არმიას. 1918 წლიდან იყო მოსკოვის ოლქის თავდაცვის კომისარი. 1918-19 წწ. მეთაურობდა აღმოსავლეთის ფრონტის 1-ლ, შემდეგ სამხრეთ ფრონტის VII

და V არმიებს. 1920 წელს მეთაურობდა კავკასიის, ხოლო 1921 წლიდან დასავლეთის ფრონტებს. იყო კრონშტადტის ანტიბოლშევიკური აჯანყების სისხლში ჩახშობის ერთ-ერთი მეთაური. ტუხაჩევსკის საგანგებოდ დაავალეს გლეხთა აჯანყების ჩახშობა ტამბოვის გუბერნიაშიც, რაც მან დიდი სისასტიკით შეასრულა (მასიური დახვრეტები, მთელი სოფლების იავარქმნა, მძევალთა დახოცვა, საკონცენტრაციო ბანაკების შექმნა). მეთაურობდა დასავლეთის და ლენინგრადის სამხედრო ოლქების არმიებს. 1924-25 წწ. აქტიურ მონაწილეობას იღებდა შეიარაღებული ძალების ტექნიკურ რეკონსტრუქციაში; მონაწილეობდა სამხედრო ენციკლოპედიების შედგენაში, სამხედრო მშენებლობის თეორიის შემუშავებაში. ტუხაჩევსკი ამტკიცებდა ძლიერი ავიაციისა და სატანკო შენაერთების შექმნის, ქვეითი ჯარის და არტილერიის ახლებური შეიარაღების, კავშირგაბმულობის ახალი საშუალებების გამოყენების აუცილებლობას. ტუხაჩევსკიმ მხარი დაუჭირა ს. კოროლიოვის წინადადებას რეაქტიული ინსტიტუტის შექმნისათვის, რომელსაც უნდა ეწარმოებინა კვლევები სარაკეტო მშენებლობაში. 1935 წ. მიანიჭეს მარშალის წოდება. 1930 წლიდან სახელმწიფო უშიშროების ორგანოები მასზე კომპრომატებს აგროვებდა. არის მოსაზრება, რომ მის ცრუ კომპრომეტირებაში სტალინს დაეხმარა ნაცისტური გერმანია, რომელმაც გამოსცა დოკუმენტური ფილმი, სადაც ნაჩვენები იყო ტუხაჩევსკის თანამშრომლობა ნაცისტებთან. 1937 წ. ტუხაჩევსკი დაადანაშაულეს ტროცკისტული სამხედრო ორგანიზაციის შექმნაში, გაასამართლეს, როგორც „ხალხის მტერი“ და დახვრიტეს. რეაბილიტირებულია 1957 წ.

**ფილარეტი (საერო სახელი: ვასილი დროზდოვი)** (1782-1867). მოსკოვის მიტროპოლიტი 1826-1867 წლამდე. კანონიზირებულია 1994 წ. მონაწილეობდა ალექსანდრეს მანიფესტის შედგენაში ბატონყმობის გაუქმებასთან დაკავშირებით.

**ქობულოვი, ბოგდან (ბაღჩო)** (1904-1953). სსრკ სახელმწიფო უშიშროების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, სახელმწიფო უშიშროების კომისარი (1943), გენერალ-პოლკოვნიკი (1945). 1921-22 წწ. მსახურობდა წითელ არმიაში. 1922 საქართველოს საგანგებო კომისიის (ЧК) შემდეგ კი მთავარი პოლიტიკური სამმართველოს (ГПУ) თანამშრომელი. 1925 წ. შევიდა კომპარტიაში. 1931 წლიდან ეკავა საქართველოს სადაზვერვო სამმართველოს (ГРУ) საიდუმლო-პოლიტიკური განყოფილების ხელმძღვანელი თანამდებობები. 1935 წ. გააგზავნეს სპარსეთში სადაზვ-

ერვო საქმიანობისთვის. 1936 წლიდან ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს (УГБ) ეკონომიკური განყოფილების და საქართველოს შინსახკომის სამმართველოს თავმჯდომარე. 1937 წლიდან საქართველოს შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს საიდუმლო-პოლიტიკური განყოფილების თავმჯდომარე და ამავე წლის დეკემბრიდან საქართველოს შინაგან საქმეთა კომიტეტის სახალხო კომისარის მოადგილე. ხელმძღვანელობდა სტალინურ რეპრესიებს საქართველოში. 1938 წ. ბერიამ გაიწვია მოსკოვში და დანიშნა სსრკ შინსახკომის 1-ლი სამმართველოს საიდუმლო-პოლიტიკური განყოფილების თავმჯდომარედ. იყო ბერიას უახლოესი და ყველაზე სანდო თანამშრომელი, პოლიტიკური ტერორის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი. 1939 წლიდან სსრკ შინსახკომის მთავარი ეკონომიკური სამმართველოს (ГЭУ) თავმჯდომარე. 1940 წ. შედიოდა სამეულში, რომელმაც მოამზადა და დაამტკიცა ტყვე პოლონელი ოფიცრების დასახვრეტი სიები. 1941 წ. სსრკ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარის მოადგილე. იყო ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი გამომძიებელი სტალინური ტერორის დროს; ჰქონდა სადისტური მიდრეკილებები და დაპატიმრებულებს საკუთარ კაბინეტში აწამებდა. მონაწილეობდა ჩეჩნების ყაზახეთში გასახლების ოპერაციაში 1944 წ. ომის შემდგომ, 1946 წლიდან იყო საგარეო ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული უცხოეთში საბჭოთა ქონების მთავარი სამმართველოს თავმჯდომარის მოადგიელე და გერმანიაში საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის თავმჯდომარის მოადგილე. მის განკარგულებაში იყო უშიშროების ყველა ორგანო გერმანიის ოკუპირებულ ნაწილში, ხელმძღვანელობდა მასიურ დაპატიმრებებს, რათა ხელი შეეწყო გერმანიის სოციალისტური სახელმწიფოს შექმნისათვის. სტალინის სიკვდილის შემდეგ, ბერიამ, რომელიც მას სავსებით ენდობოდა, ქობულოვი მოსკოვში გადაიყვანა და სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროში თავის მოადგილედ დანიშნა. ბერიასთან ერთად დააპატიმრა ხრუშჩოვმა და შპიონაჟის არარეალური ბრალდებით სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. დახვრიტეს 1953 წ. 23 დეკემბერს.

**ყაუხჩიშვილი, სიმონ** (1895-1981) ქართველი მეცნიერი, ფილოლოგი-კლასიკოსი, ბიზანტინისტი. გიორგი წერეთელთან ერთად დააარსა კლასიკური ფილოლოგიის ქართული სკოლა. 1913-17 წლებში სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა პეტერბურგში, აკად. ნიკო მართან ერთად, შემდეგ თბილისის

სახ. უნივერსიტეტში მუშაობდა პროფ. ივანე ჯავახიშვილთან. 1920-23 წლებში იმყოფებოდა სამეცნიერო მივლინებით ათენისა და ბერლინის უნივერსიტეტებში. 1930 წ. გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. იყო ქუთაისის უნივერსიტეტის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და ამ უნივერსიტეტის პროფესორი 1933-38 წლებში. 1938 წ. ბერიამ დააპატიმრა „იმპერიალიზმის აგენტობის“ ბრალდებით. გამოუშვეს 1939 წ.

1940 წ. დაბრუნდა თბილისში და სათავეში ჩაუდგა თსუ კლასიკური ფილოლოგიის კათედრას. სერიების „გეორგიკა“ ანუ „ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“ (1934), „ძველი ქართული წყაროები ბიზანტიის შესახებ“ (1974) დამაარსებელი.

**შევარდნაძე, დიმიტრი** (1885-1937) ქართველი საბჭოთა ფერმწერი, თეატრისა და კინოს მხატვარი. საზოგადო მოღვაწე. სწავლობდა პეტერბურგის და მიუნხენის სამხატვრო აკადემიებში. „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ ერთ-ერთი დამაარსებელი (1916) და მისი ხელმძღვანელი. 1920 წ. საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ეროვნულ სამხატვრო გალერეას თბილისში. მისი თაოსნობით დაარსდა თბილისის სამხატვრო აკადემია (1922) და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი – „მეტეხი“ (1933). ემსხვერპლა 1937 წ. რეპრესიებს.

**ჯავახიშვილი, მიხეილ** (ნამდვილი გვარი, ადამაშვილი) (1880-1937). ქართველი მწერალი - ჰუმანისტი. რუსეთში არასრული (ოჯახიური ტრაგედიის გამო სწავლის შეწყვეტა მოუწია) განათლების მიღების შემდეგ საქართველოში დაბრუნდა და ჟურნალისტურ-სამწერლო მოღვაწეობას შეუდგა. რედაქტორობდა ჟურნალებს „ივერია“ (1904) და „გლეხი“ (1906). წერდა სტატიებს მეფის რეპრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ, რის გამოც დევნიდნენ; 1910 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს. საქართველოში დაბრუნდა 1913 წ. წერა განაგრძო საბჭოთა ხელისუფლების დროს, 1923 წ.-დან. საფუძველი ჩაუყარა XX საუკუნის ქართულ რეალისტურ რომანს („კვაჭი კვაჭანტირაძე“ – 1924; „ჯაყოს ხიზნები“ – 1925; „თეთრი საყელო“ – 1926; „არსენა მარაბდელი“ – 1933-36) თავის მოთხრობებში არ ერიდებოდა იმ მანკიერებების მხილებას, რაც საქართველოში საბჭოთა წყობის დადგომას ახლდა. ხელისუფლებასთან კონფორმიზმზე უარის გამო, 1937 წელს პირადად სტალინის ხელმოწერით დახვრიტეს.

**ჯორჯიაშვილი (ჯოიაშვილი), არსენ** (1881-1906) ქართველი რევოლუციონერი, 1905 წ. მონაწილეობდა პოლიციის მოხელეებისა და მეფის ჯარის ნაწილებზე შეიარაღებულ თავდასხმებში. 1906 წ. 16 იანვარს ყუმბარით მოკლა კავკასიის სამხრეთ შტაბის უფროსი, გენერალი გრიაზნოვი, რომელიც გურიაში გეგმავდა სადამსჯელო ოპერაციას მასიურ. კავკასიის სამხარეო საოლქო სასამართლოს განაჩენით მიესაჯა ჩამოხრჩობა.

**ჰაველი, ვაცლავ** (1936 - ) ჩეხი მწერალი და პოლიტიკოსი. დისიდენტი და ცნობილი „ხავერდოვანი რევოლუციის" წამყვანი ფიგურა. კომუნიზმის დამარცხების შემდეგ, ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი (1989-1992) და ჩეხეთის პრეზიდენტი (1993-2003).

**პირთა საძიებლისთვის გამოყენებული წყაროები:**


1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბილისი, 1975.
2. Советский Энциклопедический Словарь, «Советская Энциклопедия»: Москва, 1980.
3. ХРОНОС: Биографический указатель: http://www.hrono.info/
4. ამ საიტზე გამოყენებულია მასალები შემდეგი გამოცემებიდან:
5. Торчинов В.А., Леонтюк А.М. *Вокруг Сталина. Историко-биографический справочник*. Санкт-Петербург, 2000;
6. Залесский К.А. *Империя Сталина. Биографический энциклопедический словарь*. Москва, Вече, 2000.
7. Шикман А.П. *Деятели отечественной истории. Биографический справочник*. Москва, 1997 г.
8. *Политические деятели России 1917. биографический словарь*. Москва, 1993.
9. Wikipedia. www.wikipedia.com

HEINRICH BÖLL STIFTUNG
SOUTH CAUCASUS

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის შესახებ

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი გერმანიის მწვანეთა პარტიასთან ასოცირებული, იურიდიულად დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომლის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს სამოქალაქო განათლებას როგორც გერმანიაში, ისე მის ფარგლებს გარეთ; აგრეთვე დემოკრატიულ პროცესებში საზოგადოების ჩართულობას, სოციალურ და პოლიტიკურ აქტივობას და განსხვავებულ კულტურებს შორის ურთიერთგაგების ჩამოყალიბებას.

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი ცდილობს დაეხმაროს ხელოვნებასა და კულტურას, მეცნიერებასა და კვლევებს, აგრეთვე განვითარების სფეროში თანამშრომლობას. მისი საქმიანობა განისაზღვრება ეკოლოგიის, დემოკრატიის, სოლიდარობისა და არაძალადობის ფუნდამენტური პოლიტიკური ღირებულებებით.

ფონდის საქმიანობა მიმართულია განსხვავებული წარმომავლობის, კულტურული თუ გენდერული იდენტობის ან პოლიტიკური შეხედულებების ადამიანთა შორის ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებისაკენ.

ფონდი თავის მრავალრიცხოვან პარტნიორებთან საერთაშორისო თანამშრომლობით მიისწრაფის გააძლიეროს გლობალური ეკოლოგიური და სამოქალაქო აქტივობა, გააძლიეროს იდეებისა და გამოცდილების გაცვლა და ხელი შეუწყოს ადამიანების გახსნილობას ცვლილებებისადმი.

ფონდის საქმიანობისთვის მნიშვნელოვანია ჰაინრიჰ ბიოლის მაგალითი – მისი იდეები და პოლიტიკაში მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობის მიმართ მისი მხარდაჭერა.

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო 2003 წელს გაიხსნა და ცდილობს, საკუთარი წვლილი შეიტანოს ამ რეგიონში თავისუფალი, სამართლიანი და ტოლერანტული საზოგადოების ჩამოყალიბებაში. ფონდი ხელს უწყობს რეგიონში ცალკეული პიროვნებებისა და ორგანიზაციების თანამშრომლობას; ადამიანის უფლებების ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით ცდილობს საზოგადოებისა და პოლიტიკის არადემოკრატიული და არატოლერანტული განწყობის შეცვლას.

სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო ხელს უწყობს ეთნო-პოლიტიკური და ტერიტორიული კონფლიქტების ტრანსფორმაციას სამართლიანი და არაძალადობრივი გზით და მხარს უჭერს ადამიანებისა და საზოგადოების მდგრად განვითარებას. ფონდი ხელს უწყობს საჯარო დისკუსიების კულტურის ამაღლებას, რათა გადაწყვეტილებების მიღების პროცესი უფრო სამართლიანი და გამჭვირვალე გახდეს.

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო
ზოვრეთის ქ. 38
0160 თბილისი
ტელ: +995 32 380467
ფაქსი: +995 32 912897
info@boell.ge
www.boell.ge
www.boell.de